11

1967 1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

126

გამოცემის მეთერთმეტე წელი

11

ნოემბერი

1967

თბილისი

◆

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

50

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

3. ირაკლი აბაშიძე. მოგილოცავთ დღესასწაულს!

4. როინ მეტრეველი. ოქტომბერი და ახალგაზრდობა

პოეზია და პროზა

13. ჯანსუღ ჩარკვიანი. ამ ოქტომბერში

14. გიორგი კეჭაღმაძე. ჩემი პატარა ლანდი. რომანი.

59. შოთა არაბული. ბერდიშვილების სტუმარი. დოკუმენტური მოთხრობა

64. ნიკა აგიაშვილი. ოქტომბრის თანატოლები

დიდება ძმობას!

73. გალაკტიონ ტაბიძე, ნიკოლოზ ტიხონოვი, პავლო ტიჩინა, ედუარდას მეჟელაიტისი, ჯამბული, ტოქტოგული, გევორკ ემინი, მაქსიმ ტანკი, ემელიან გუკოვი: თარგმნეს: კოლაუ ნადირაძემ, მურმან ლებანიძემ, ვახტანგ ჯავახაძემ, შოთა ნიშნიანიძემ, თეიმურაზ ჯანგულაშვილმა, გივი ძნელაძემ, შოთა ნიშნიანიძემ, ვახტანგ გორგანელმა

წერილები

86. რომან მიმინოშვილი, იგორ გოგომოლოვი. საქართველო მოძმე ხალხთა ლიტერატურაში

96. ნუგზარ წერეთელი. ოქტომბერს უმღეროდნენ

რევოლუციის ჯარისკაცები

103. ლუარსაბ ეგოროვი. ვასილ მასლოვსკი

106. ნარგიზა მგელაძე. ერთი აბაშელი გიჰი

112. სიმონ წვერავა. იმ გოგოქარ დღეებში

121. გიორგი გიგაური. წარწერა ხეზე

124. აკაკი ჯიქია. კავკასიელი არწივი

128. თეიმურაზ ჯანგულაშვილი. ისინი ოქტომბრის მონაპოვარს იცავდნენ

მოგონებები

136. ანასტას მიქოიანი. მეთერთმეტე არმია გაქოში მიდის

ჩვენი ადამიანები

147. გიორგი სანადირაძე. ენგური, სექტემბერი...

ხელოვნება

152. ლიანა მიქაძე. ქართველი მხატვრები რევოლუციას უძღვნიან

156. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი გაქრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
როინ მეტრეველი,
ოტია კაჭკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ წულეისკირი,
ტარიელ ჭანტურია,
სერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე,
ლაშა ჯანაშია.

წინ, წინ, სამშობლო მხარეს! ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც შესძრა მსოფლიო მთელი!

ირაკლი აბაშიძე

მოგილოცავთ დღესასწაულს, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ახალგაზრდა მწერლებო, ახალგაზრდა მკითხველებო, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის მუშაკებო!

გავიდა ნახევარი საუკუნე.

ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წელი შესრულდა.

რა დიდი დროა, რა ვრცელი გზაა...

მე გედნიერი ვარ განვაცხადო, რომ ამ ხუთ ათეულ წელში ჩვენმა ქართულმა მწერლობამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა როგორც შინ, ისე გარეთაც. აბა, წუთიერად ყველაფერი გავიხსენოთ, აბა, ყველაფერს გადავხედოთ წუთიერად!

რევოლუციის სწორედ წინა დღეებში წავიდნენ ქართული მწერლობის მაღალი სარბიელიდან ჩვენი უკვდავი აკაკი და ვაჟა. ქართული მწერლობის სახლი თითქოს უიმედოდ დაობლდა, ახალი მწერლობა ჯერ კიდევ უმწიფარი იყო, თუმცა იქ უკვე გაისმოდა გალაკტიონ ტაბიძის გოლიათური ხმა.

დიდებული ტრადიციების გაგრძელებას რაღაც ძლიერი იმპულსი სჭირდებოდა.

ეს ძლიერი იმპულსი იყო რევოლუცია, რომელმაც ქართული მწერლობა მომავლის დიდ გზაზე შეაყენა.

რევოლუციის შემდეგ იწყება ქართული მწერლობის არა მარტო ახალი აღორძინება, არამედ მისი გასვლა მსოფლიოს დიდ გზებზეც.

ქართული მწერლობა იყო და არის ჩვენი ხალხის, ჩვენი ადამიანების მაღალი სულიერი თანამგზავრი მთელი ამ წლების მანძილზე.

ქართული მწერლობა იყო და არის საქართველოს მაღალი ცისკენ წასული ის აეროსტატი, რომელიც მილიონი უხილავი ძაფებით ეზიდებოდა, ეზიდება და ამაღლებს ჩვენი ადამიანების სულს.

ამიტომ უყვარს ქართველ ხალხს მისი ახალი მწერლობა, მისი სულის მესაიდუმლე, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი.

აი, უკვე რევოლუციის ორმოცდაათი წლის ზღურბლსაც გადავაბიჯეთ. ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა მწერლებო, სახელოვნად განაგრძეთ ეს ძვირფასი ტრადიციები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როინ მეგრელელი
საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის პირველი მდივანი

ოქტომბერი და ახალგაზრდობა

საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შრომის ნახევარსაუკუნოვან მატიანეში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების შესანიშნავი საქმეები. ძნელბედობის ჟამს ახალგაზრდობა იყო ის შემტევი ძალა, რომელმაც უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა და უფროს თაობას მხარი დაუმშვენა ქვეყნად სიკეთის დასამკვიდრებლად. გამბედაობა, სიახლეთა შეთვისების სურვილი, დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისაკენ, — აი რა ახასიათებდა კომუნისტური საზოგადოების საფუძვლის ჩამყრელ თაობას, რომელიც რევოლუციის მონაპოვართა დაცვასა და განმტკიცებაში ხედავდა ადამიანური ცხოვრების ძირითად შინაარსს.

მძიმე და უსიხარულო ცხოვრება იყო მილიონობით ჭაბუკისა და ქალიშვილის თანამგზავრი მეფის თვითმპყრობელობის დროს. მცირეწლოვანთა შრომის უსირცხვილო ექსპლოატაცია მოზარდთა ჯანმრთელობაზე მომაკვდინებელ გავლენას ახდენდა.

ახალგაზრდობაში იზრდებოდა ბრძოლის სურვილი, ღვივდებოდა რევოლუციური განწყობილება. ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სწორად აფასებდნენ ახალგაზრდობის ძალისა და ენერგიის პოტენციალს; მიუთითებდნენ, რომ მოზარდ თაობას დიდი როლის შესრულება შეუძლია მოახლოებული რევოლუციის ძლევამოსილად გამარჯვებასა და სოციალისტურ მშენებლობაში. ამიტომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გამახვილებული იყო რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდობის ჩაბმისა და პარტიის იდეური ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის დამოუკიდებელი, კომუნისტური ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობაზე.

ვ. ი. ლენინის მითითებამ ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობის შესახებ თავისი ნაყოფი გამოიღო; ბოლშევიკური კომიტეტების ხელმძღვანელობითა და უშუალო დახმარებით ზედიზედ იქმნებოდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, უკრაინაში, ამიერკავკასიაში და მთელ რიგ ოლქებში.

ახალგაზრდობისადმი ბოლშევიკური პარტიის ღრმა რწმენის მკაფიო გამოხატულებაა ვ. ი. ლენინის სიტყვები: „საჭიროა ახალგაზრდა ძალები... საჭიროა, მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ ფართოდ და გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ შეგვეშინდეს მისი, ომიანობის დროა, ახლა ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და მისი გამარჯვების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიც იყო „პეტროგრადის მუშა-ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი", „მოსკოვის მუშა-ახალგაზრდობის კავშირი"; ივანოვო-ვოზნესენსკის, დონის როსტოვის, ხარკოვის და სხვა სამრეწველო ქალაქების მუშა-ახალგაზრდობის ორგანიზაციები (კავშირები).

ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები. რევოლუციონერთა ახალგაზრდა კადრების პოლიტიკურ აღზრდაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ—გაზეთმა „პრავდამ", რომელსაც იმჟამად ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

ახლადშექმნილი ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები ბოლშევიკური პარტიის პლატფორმაში ხედავდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების გამოხატულებას, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობის პროგრამას და ამიტომაც მათი მიმართულება ბოლშევიკური იყო.

ახალგაზრდობამ გაამართლა ბოლშევიკური პარტიის ნდობა. ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა სამრეწველო ცენტრების ახალგაზრდა მუშები იარაღით ხელში აღდგნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად და უმაგალითო გმირობის ფურცლები ჩაწერეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მატიანეში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ახალგაზრდობამ მიიღო პოლიტიკური და სოციალური უფლებები. მას საშუალება მიეცა ესწავლა და ემუშავა; ახალგაზრდობამ შეიცნო საკუთარი ძალა და მტკიცედ ჩადგა უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა რიგებში.

ამ გმირულ შემართებას სათავეში ედგა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. იგი იმ უაღრესად მძიმე წლებში მტკიცდებოდა და ამრავლებდა თავის რიგებს, როცა საბჭოთა რესპუბლიკა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ცეცხლის ალში იყო გახვეული. მაგრამ სიძნელეები როდი აშინებდა რევოლუციაში გამოწრთობილ მებრძოლ თაობას. თავიანთი გმირი მამებისა და უფროსი ძმების მსგავსად, ახალგაზრდები საბრძოლო შაშხანებსა და ვაზნებს იღებდნენ და საკუთარი მკერდით იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. კომკავშირმა ბობოქარ წლებში სამი მობილიზაცია ჩაატარა. მისი წარგზავნილები გმირული შეუპოვრობით იბრძოდნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე და თავიანთი თავდადებით ახლადშექმნილ ორგანიზაციას სამუდამო დიდება მოუპოვეს. ეს ის პერიოდია, როცა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ორგანიზებულად ყალიბდება.

მოწინავე, კომუნისტურად მოაზროვნე ახალგაზრდობამ, სანამ გაერთიანდებოდა, შრომისა და ბრძოლის დიდი გზა განვლო. მან დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიის იდეებისადმი. მაშინ ნათელი გახდა, რომ მოდიოდა დიდი სულიერი მისწრაფებების, ახალი მორალის და უდიდესი ენერგიის მქონე ახალგაზრდობა.

სწორედ ასეთ ვითარებაში 1918 წლის 29 ოქტომბერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პროლეტარული ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს — კომკავშირს. აქედან მოყოლებული, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი გადაიქცა საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების ავანგარდად, რომლის საშუალებითაც ბოლშევიკური პარტია წარმართავდა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას.

როდესაც პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი—„ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!“ კომკავშირის კომიტეტების კარებზე ჩნდებოდა წარწერები: „რაიკომი დაკეტილია. ყველანი ფრონტზე წავიდნენ“.

მუშა-ახალგაზრდობის პეტროგრადის კავშირი მოუწოდებდა ახალგაზრდებს: „ყველა, როგორც ერთი, ჩაეწერეთ ახალგაზრდათა მებრძოლ რაზმებში, ყველა, როგორც ერთი, დადექით საბჭოების წითელი დროშის ქვეშ რევოლუციის დასაცავად“...

რუსეთის ახალგაზრდობის რევოლუციურ აღმაფრენას უსამართლობის წინააღმდეგ გმირული ბრძოლებით მხარს უჭერდა საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა. ყალიბდებოდა, იწრთობოდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მოზარდი თაობის აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

1917 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. „საინიციატივო ჯგუფი“, რომელსაც დაევალა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და ორგანიზაციულად გაფორმება. იმავე წლის 3 სექტემბერს ავლაბარში შეიკრიბა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის — „სპარტაკის“ დამფუძნებელი კრება, რომელიც პირველი სერიოზული ცდა იყო საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაციების გაერთიანებისა. აღნიშნული კრების გადაწყვეტილებით, მან მიიღო სახელწოდება: „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მასობრივად იქმნება „სპარტაკელთა“ ორგანიზაციები. მძლავრი რევოლუციური ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში, აბაშაში, სიღნაღსა და სხვა კუთხეებში.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით 1918 წლის ბოლოს და 1919 წლის პირველი ნახევრისათვის „სპარტაკის“ ორგანიზაციები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შეიქმნა, თუმცა ამ ორგანიზაციებს შორის ჯერ კიდევ არ იყო მჭიდრო კავშირი და ერთიანი ხელმძღვანელობის ცენტრი. ამასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დადგა საკითხი „სპარტაკის“ ყველა ორგანიზაციის ერთ კომუნისტურ ორგანიზაციად გაერთიანებისა.

1919 წლის 31 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოიწვიეს ახალგაზრდობის „სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებით ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციებს ეწოდა ახალი სახელი: „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“.

თბილისის პირველი საქალაქო კონფერენცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციას. იგი ამასთანავე აღიარებული იქნა, როგორც საქართველოს კომკავშირის დამფუძნებელი ყრილობა.

საქართველოს კომკავშირმა, მთელმა ჩვენმა ახალგაზრდობამ დიდი დახმარება გაუწია პარტიას მენშევიკების განდევნასა და რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებაში. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების მუშაობას სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, მიხა ცხაკაია და სხვები.

ქართველი ახალგაზრდობა მოწიწებით ინახავს საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის, შესანიშნავი ბოლშევიკი ორგანიზატორის, ბორის ძნელაძის სახელს. საქართველოში კომკავშირის დამაარსებლების: გაიოზ დევდარიანის, დავით კაჭარავას, იაშა ოქოევის, ამასი ამირბეგოვის ცხოვრების ნათელი მაგალითები დღესაც აღაფრთოვანებს ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

საქართველოს კომკავშირი პარტიის ძლიერი რაზმი გახდა, ასრულებდა მის ყოველგვარ დავალებას, მისგან სწავლობდა ორგანიზატორულ მუშაობას და მენშევიკების პარპაშის პერიოდში საბრძოლველად აღაფრთოვანებდა ახალგაზრდა მუშებისა და გლეხების რაზმს. იგი სრულ სოლიდარობას და ძმურ პატივისცემას უცხადებდა რუსეთის ახალგაზრდობას, რომელიც სამოქალაქო ომის ფრონტებზე თავგანწირულად იბრძოდა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მეტად მწვავე მდგომარეობა შეიქმნა. ქვეყნად მძვინვარებდა შიმშილი, არ იყო სათბობი, არ მუშაობდა დანგრეული ფაბრიკა-ქარხნები, მოიშალა სოფლის მეურნეობა. კომუნისტებს მხარი დაუმშვენეს კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა განადგურებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ჭაბუკები და ქალიშვილები ენერგიის დაუზოგავად შრომობდნენ ყველა უბანზე, ამავე დროს ეუფლებოდნენ ცოდნას საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში, იძენდნენ სპეციალობებს და მშენებელთა მწყობრში დგებოდნენ. ქვეყანას სჭირდებოდა მძლავრი ინდუსტრია, მექანიზებული სოფლის მეურნეობა და ახალგაზრდობაც მთელ თავის ძალებს მიმართავდა დიდი ლენინის მიერ შემუშავებული გეგმების განსახორციელებლად.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ისტორიაში დაუვიწყარია 1920 წელს ჩატარებული მისი III ყრილობა, რომელზედაც მოზარდი თაობის ბრძოლისა და შრომის საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ამ ისტორიულ სიტყვაში გენიალური სიღრმითა და სიზუსტით ჩამოყალიბდა კომკავშირის როლი სოციალისტურ მშენებლობაში, დაისახა ახალგაზრდობის პრაქტიკული მოღვაწეობის, ცოდნის შეძენის, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლების ამოცანები. ვ. ი. ლენინის მიერ წამოჭრილი უპირველესი ამოცანა — კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული საქმიანობით ახალგაზრდობის აღზრდა — კომკავშირის მთელი შემდგომი მუშაობის ღერძად და დედააზრად გადაიქცა.

საბჭოთა ახალგაზრდობამ ღრმა მწუხარებით განიცადა ერთგული მეგობრისა და მასწავლებლის — დიდი ლენინის უდროოდ გარდაცვალება. კომკავშირის VI ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება — ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს მინიჭებოდა ვ. ი. ლენინის სახელი. როცა კომკავშირს გენიალური ბელადის სახელი დაერქვა, მან იკისრა დიდი პასუხისმგებლობა — ლენინის აზრები, რჩევები, ოცნებები გადაექცია თავისი ყოველდღიური საქმიანობის მუდმივ კრიტერიუმად, ჩაენერგა ახალგაზრდობისათვის ლენინიზმის საფუძვლიანი შესწავლის მისწრაფება.

ასე დაიწყო არნახული შეტევა სოციალიზმის მშენებლობათა ობიექტებზე. კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარ ჩამორჩენილობას, შიმშილსა და სიღარიბეს. მათ იერიში მიიტანეს დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის, სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნების, კუზნეცკისა და მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხნების მშენებლობებზე. ქართველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების მარჯვენის ძალა გამოსცადა მძიმე ინდუსტრიის ობიექტებმა და კოლხეთის ჭაობიანმა ველ-მინდვრებმა. ახალგაზრდობა შეუპოვრად უტევდა და ამარცხებდა სიძნელეებს. იგი მთელი შესაძლებლობითა და გულმოდგინებით იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლების განმტკიცებისათვის. კომკავშირელები და ახალგაზრდები იყვნენ სოფლად პარტიის ხაზის გამტარებლები, კოლექტივიზაციისათვის აქტიური მებრძოლები. ლენინური კომკავშირი გახდა სოციალისტური შეჯიბრების წამომწყები და შრომის დამკვრელების მოძრაობის საფუძვლის ჩამყრელი.

პირველი ხუთწლედების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწია, ამაღლდა მშრომელი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურა, მაგრამ გერმანელმა ფაშისტებმა შემოქმედებითს შრომაში გართულ ხალხს მოულოდ-

ნელად თავს მოახვიეს ომი და, რა თქმა უნდა, უფროს თაობასთან ერთად ახალგაზრდობაც აღდგა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

კომუნიზმის მშენებელთა საუკეთესო თვისებები მთელი სიცხადით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში. ახალგაზრდობამ აჩვენა გმირობისა და ვაჟკაცობის, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულებისა და დაბრკოლებათა დაძლევის უბადლო მაგალითი. ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასობრივი მამაცობა და თავგანწირვა, როგორიც საბჭოთა ხალხმა და მისმა სასიქადულო მომავალმა თაობამ გამოიჩინა. 3,5 მილიონი კომკავშირელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით; საბჭოთა კავშირის 11 ათასი გმირიდან 7 ათას კომკავშირელსა და კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა ეს მაღალი წოდება. საკმარისია ახალგაზრდა გმირების სახელების ჩამოთვლა, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს ვერაგი მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის მძიმე ეპიზოდები.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დაუვიწყარი გმირობის მაგალითები ჩაწერეს ქართველმა ახალგაზრდებმა დიდი სამამულო ომის მატიანეში. მათ მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული, თუ რისთვის იბრძოდნენ, რას წარმოადგენდა გამხეცებული ჰიტლერელების შემოჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამიტომაც ენერგიას არ იშურებდნენ და ყველაზე ძვირფას განძს — სიცოცხლეს — წირავდნენ სამშობლოს დაცვისა და გათავისუფლების საქმეს.

მამულისადმი როგორი უანგარო სიყვარული და ერთგულება ამოძრავებდათ სოციალისტური სამშობლოს გმირ დამცველებს, ამაზე თუნდაც ასეთი ფაქტი მიუთითებს—ბრძოლის ველიდან თბილისელი ვახტანგ მიქელაძე კომკავშირის კიროვის რაიონულ კომიტეტს სწერდა: „კომკავშირელებისადმი მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინეთ, დაე, თვითეულმა ახალგაზრდამ იცოდეს, რომ კომკავშირული ბილეთის წმინდად ტარებისათვის მშრომელთა სისხლი დაიღვარა სამოქალაქო ომში და სისხლი იღვრება ახლა საყვარელი სამშობლოსათვის“.

მართლაც, ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი მომთხოვნელობა და მტერზე გამარჯვების დაუოკებელი სწრაფვა არასოდეს დაავიწყდებათ მოსკოვისა და ლენინგრადის, სტალინგრადისა და სევასტოპოლის, ოდესისა და ბრესტის ციხე-სიმაგრის ერთგულ დამცველებს. ქართველი ახალგაზრდობის მაღალი მორალური თვისებების დასახასიათებლად გამოდგება ისიც, რომ ერთი დღის განმავლობაში თერთმეტი საჰაერო ბრძოლა გადაიხადა თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშის ოჯახში აღზრდილმა მფრინავმა მიხეილ ჯარმელაშვილმა.

შოთა გამცემლიძე და ვასილ პეტრიაშვილი, თინა იოსებიძე და ჭიჭიკო ბენდელიანი, ნიკოლოზ შიოშვილი თუ ზოია რუხაძე, რომელ ერთს ჩამოთვლი. ყველა ისინი ლენინურ კომკავშირში გამოიწრთვნენ, აქ ჩაენერგათ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

კანონიერ სიამაყეს იწვევს იმის აღნიშვნა, რომ 134 ქართველი მეომრის მამაცობა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით აღინიშნა, რომ ათასობით ახალგაზრდა დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

ახალგაზრდობის ხალისიანი, სისხლსავსე ცხოვრება მშვიდობიან პერიოდში კიდევ უფრო გამოვლინდა. ომისგან მიყენებული მატერიალური ზარალის აღდგენისათვის ბრძოლაში ერთსულოვნებამ და მონოლითურობამ შესაძლებელი გახადა გაპარტახებული ქალაქებისა და რაიონების აღდგენა და უზარმაზარი სამუშაოების გვერდით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მძლავრი საფუძვლის შექმნა.

დიდი ოქტომბრის მონაპოვართა შორის ყველაზე სანუკვარია საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი, მონოლითური შეკავშირება და მეგობრობა, რომლის განმტკიცებაში თავის როლს კომკავშირიც თამაშობს.

ლენინური კომკავშირი თავისი დაბადების პირველი დღეებიდანვე მრავალეროვანი ორგანიზაცია იყო. იგი იმთავითვე ნათლად განასახიერებდა სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობის ურღვევ მეგობრობას. კომკავშირის მთელი მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ხორცშესხმის ცოცხალი მაგალითია. აღმოცენდა რა, როგორც ინტერნაციონალური ორგანიზაცია, კომკავშირმა თავისი არსებობის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდების ერთიანობისა და მეგობრობის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენა.

დღეისათვის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის პირველი რიგის ამოცანაა, მოზარდი თაობის აღზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, მათში ინტერნაციონალური სულისკვეთების — მოძმე ხალხისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება.

საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები დაუღალავად შრომობენ და ბეჯითად სწავლობენ, მთელ თავიანთ ახალგაზრდულ მგზნებარებას სწირავენ საყოველთაო სახალხო საქმეს. უდიდესი სიხარული იყო ქართველი ახალგაზრდობისათვის ჩვენი რესპუბლიკის ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოება. ამ დიდი ჯილდოთი აღფრთოვანებული ახალგაზრდობა, საქართველოს მებრძოლი კომკავშირი ახალი ძალით შეუდგა შემოქმედებითს შრომას, რათა კვლავაც კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა პირველ რიგებში იყოს, ერთგულად შეასრულოს დიდი ლენინის დარიგება.

შრომასა და სწავლაში ახალი ძალა შთაბერა ქართველ ახალგაზრდობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მაღალმა შეფასებამ: „სოციალიზმი ხომ ჩვენი პლანეტის ახალგაზრდობაა და სიმბოლურია, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობაში ასეთ დიდ როლს ასრულებს ახალგაზრდობა. საქართველოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, ჩვენ ყოველთვის ვხედავთ კომუნიზმისაკენ ბრძოლის წინა ხაზზე. უფროსი თაობის გამოცდილება და სახელოვანი ტრადიციები ჩვენს ქვეყანაში მჭიდროდ შეერწყო მჩქეფარე ენერგიას, სიხალისესა და გაბედულ ახალგაზრდულ შემართებას. ეს არის ჩვენი გამარჯვებების, ჩვენი ძლიერების, ჩვენი წარმატებითი წინსვლის ერთ-ერთი წყარო“.

ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის ფართოდ გაშლისათვის. საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მამოძრავებელი ძალაა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა.

უკვე ორმოცდაათი წელია, რაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერისა და ეროვნების მშრომელები ერთი ცხოვრებით ცხოვრობენ. კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ისინი ერთად ერკინებოდნენ კაპიტალისტურ წესწყობილებას, აშენებდნენ სოციალიზმს, იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ფაშისტური შემოსევის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში, იბრძოდნენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის ომისშემდგომ პერიოდში. სახელოვნად განვლილმა ორმოცდაათმა წელმა გამოაწრთო საბჭოთა ხალხების მეგობრობა, მტკიცე და ურღვევი გახადა იგი.

სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობას შორის მეგობრობის განმტკიცების, ჭაბუკებისა და ქალიშვილების ინტერნაციონალური აღზრდისადმი განუწყვეტელმა ყურადღებამ კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის მეტად დიდი გამოცდილება დაუგროვა.

ინტერნაციონალური აღზრდის საკითხს დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე. ყრილობამ საგანგებოდ დააავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ „კვლავაც განუხრელად განახორციელონ ლენინური ეროვნული პოლიტიკა, აღზარდონ ყველა საბჭოთა ადამიანი საბჭოთა

პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო, პროგრესული ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, შეუპოვარი ბრძოლა აწარმოონ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ".

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდას. ამჯერადაც ბევრი კეთდება იმისათვის, რომ ახალგაზრდა ადამიანის ცნობიერებაში მკვეთრად ჩამოყალიბდეს ზოგადსაკაცობრიო იდეალები, მოქალაქის პატრიოტულ თვისებებს მჭიდროდ შეერწყას მისი ინტერნაციონალური ხასიათი.

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის შემდეგი ძირითადი მიმართულებებით წარმოებს:

სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობის დაახლოება და მეგობრობის განმტკიცება ერთობლივი შრომის პროცესში, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა და ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი ღრმა რწმენის აღზრდა, ჭაბუკებსა და ქალიშვილებში საბჭოთა პატრიოტიზმისა და სხვა ეროვნების ხალხებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ინტერნაციონალური ტრადიციების შესწავლა.

ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, თვით დიდი რუსთაველიდან მოყოლებული, ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე ქადაგებდნენ, სხვა ერების სიყვარულსა და პატივისცემას გვასწავლიდნენ. XII საუკუნეში შოთა რუსთაველის ნათქვამი აფორიზმი:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

დღესაც ძალუმად ეხმაურება ჩვენს მიზნებსა და ამოცანებს.

ჩვენი ახალგაზრდობა ბეჯითად სწავლობს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდებულ ტრადიციებს, მათ ისტორიას, ეკონომიკას, კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. კომკავშირული ორგანიზაციები ცდილობენ, რომ ახალგაზრდობამ სწორად გაიგოს და შეისწავლოს მოძმე ხალხების ეროვნული ტრადიციები, საბჭოთა ერების მეგობრობისა და სოლიდარობის მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ დამკვიდრდა ინტერნაციონალური საღამოების, კონფერენციების, შეხვედრების, თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების დათვალიერებების ჩატარება.

მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის ზეიმად გადაიქცა თბილისის კიროვის რაიონის ქართული, რუსული და სომხური სკოლების მოსწავლეთა მიერ ერთობლივად ჩატარებული მეტად საინტერესო ღონისძიებები.

ქობულეთელი მოსწავლეების ინიციატივით კარგ ტრადიციად იქცა რუსი, უკრაინელი, სომეხი, ბერძენი, პოლონელი და სხვა ეროვნების ახალგაზრდობის შეკრება-საღამოების ჩატარება თემაზე „ქობულეთი მეგობრობის ქალაქია".

რესპუბლიკის საშუალო სკოლებში ფართოდ ინერგება ინტერნაციონალური აღზრდის ისეთი ფორმები, როგორიცაა მეგობრობის კლუბი, მეგობრობის მუზეუმები, მეგობრობის კუთხეები და სხვა.

ბევრ სკოლას, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებს საქმიანი ურთიერთობა აქვთ დამყარებული კავშირის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების შესაბამის ორგანიზაციებთან. ხდება მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, რასაც სასარგებლო შედეგი მოაქვს როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

კომკავშირული ორგანიზაციები გარკვეულ ყურადღებას უთმობენ ერებისა და რესპუბლიკების შრომითი, კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის საკითხე-

ეის პროპაგანდის საქმეს. ჩვენი მიზანია, უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული ინტერნაციონალური აღზრდის ისეთი ქმედითი საშუალება, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრებ ქალიშვილებსა და ჭაბუკებთან. სწორედ ასეთმა შეჯიბრებამ გამობრძმედა დონეცკელი, სუმგაითელი და რუსთაველი მეტალურგების მეგობრობა. გამოცდილების ურთიერთგაზიარების, სამამულო ტექნიკის მიღწევების დანერგვისა და რეზერვების გამოყენებით აღნიშნულ საწარმოებში მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის ახალგაზრდა მშრომელები ფართოდ იყენებენ რიგის, ბაქოსა და ერევნის მშრომელების კარგ გამოცდილებას აღებული ვალდებულებების წარმატებით განაღდების საქმეში. დღეს უკვე შეუძლებელი იქნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, ყარადაღ-აღსტაფა-თბილის-ერევნის და ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენები რომ არ იყოს. ინტერნაციონალიზმის მჭევრმეტყველურ გამოხატულებას წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც აზერბაიჯანის მადნით მუშაობს, მილებს კი ბელორუსიასა და უზბეკეთს აწვდის.

სასიხარულოა, რომ მახარაძისა და გენიჩესკის რაიონების კოლმეურნეთა შეჯიბრებაში უდიდეს მონაწილეობას იღებს ახალგაზრდობა. ამ რაიონებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებამ საერთო ეკონომიური წინსვლა განაპირობა. მახარაძის რაიონის მთელ რიგ სოფლებში გაიხსნა მეგობრობის მუზეუმები, სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ამსახველი მასალები. წლების მანძილზე მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ქართველ და ყაზახ სტუდენტებს შორის. ყოველწლიურად ჩვენი სტუდენტები ჩადიან ყაზახეთში და შრომობენ საბჭოთა კავშირის სხვა თანამეგობრებთან ერთად. შრომაში დამყარებული მეგობრობა მტკიცე და ურყევია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას მტკიცე კონტაქტი აქვს დამყარებული მოსკოვის, კიევის, ბაქოს, ერევნის, ვილნიუსის, ტარტუს, ტაშკენტისა და სხვა ქალაქების სტუდენტებთან. თბილისის უნივერსიტეტის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი ხშირად მართავს კონცერტებს რიგასა და ვილნიუსში.

თბილისის უნივერსიტეტში შექმნილია ლათინური ამერიკის ქვეყნების სემინარი, რომელიც დაკავშირებულია ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. სტუდენტები სწავლობენ ამ ქვეყნების ისტორიას, კულტურასა და ეკონომიკას, ატარებენ საუბრებს ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდული ორგანიზაციების შესახებ. მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ლენინგრადის, ურალის, აზერბაიჯანის, სომხეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტებს შორის. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკავშირო კინოჟურნალის „პოლიტექნიკოსის" გამოშვებაში. აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს მიმოწერა აქვთ ლაიფციგის, ვარშავისა და პრაღის პოლიტექნიკური ინსტიტუტების თანატოლებთან.

ცხოვრების წინსვლასთან ერთად ხალხთა მეგობრობაც უნდა გაიზარდოს, კიდევ უფრო გაფართოვდეს ახალგაზრდობის ურთიერთობა. ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ უნდა ვაწარმოებდეთ „...ბრძოლას ვიწრო ეროვნული შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძოების წინააღმდეგ. ბრძოლას იმისათვის, რომ გათვალისწინებული იქნას მთელი და საერთო, რომ კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს ზოგადის ინტერესებს".

საქართველოს კომკავშირი საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მონოლითური კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. იგი თავდადებული შრომით ამტკიცებდა და ამტკიცებს კომუნისტური პარტიის პოლიტი-

კის ღრმა გაგებას. არ ყოფილა არც ერთი დიდი თუ პატარა საქმე, ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ღირსეული წვლილი რომ არ შეეტანოთ.

კანონიერ სიამაყეს იწვევს ჩვენი ახალგაზრდა მეჩაიეებისა და მეფოლადეების, მევენახეებისა და მეავტომობილეების, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის სასახელო წარმატებები. ჩვენი ახალგაზრდობის ყოველი დღე აღსავსეა სიხარულისა და სიყვარულის, ახალ გამარჯვებათა მოპოვებისაკენ მისწრაფების სურვილით.

პარტიის XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს, როცა ხაზი გაუსვა პარტიის, კომკავშირისა და ყველა სხვა ორგანიზაციის პასუხისმგებლობას ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის. დღეს კომკავშირელები, საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს აღიქვამენ, როგორც თავიანთი საქმიანობის საბრძოლო პროგრამას. ისინი ამაყობენ, რომ პარტიას სწამს ახალგაზრდობის ძალა.

თანამედროვე ახალგაზრდა თაობა იდეურად მტკიცე, შრომისმოყვარე, შეუპოვარი ადამიანების, ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტების თაობაა. ყველაფერი საუკეთესო, რაც დამახასიათებელია ჩვენი დედებისა და მამებისათვის, კომუნისტებისათვის: მამაცობა, სიმტკიცე, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება — ყოველივე ამას ისინი გულუხვად გადასცემენ თავიანთ ახალგაზრდა ცვლას.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი ბრძოლისუნარიანი ორგანიზაციაა. კომკავშირის ბრძოლისუნარიანობა და საქმიანობა განსაზღვრავს მის ავტორიტეტს ახალგაზრდობის თვალში. კომკავშირელთა წინაშე ახალი ამოცანები დასახა საკავშირო კომკავშირის XV ყრილობამ.

ქართველი ახალგაზრდობა დიდი ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავს ახალი წარმატებებით ეგებება.

რესპუბლიკის სამრეწველო ორგანიზაციებში მომუშავე ახალგაზრდებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კომკავშირელების თაოსნობას, პირადი საჩუქრებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლის იუბილეს.

ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, ზვრებსა თუ ჩაის პლანტაციებში საოქტომბრო ვახტზე დგას ახალგაზრდობა. წარმატებებს დოვლათი და ბარაქა მოაქვს. ახალგაზრდობის რომელ ერთ სასახელო საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ!

ოქტომბერმა ახალგაზრდობას თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება მოუტანა. ახალგაზრდობის ვალია დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვა. ახალგაზრდობაზე, ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებზეა დამოკიდებული მომავლის ბედი. კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მხარდაჭერა და მზრუნველობა ახალი საგმირო საქმეებისაკენ ეძახის ახალგაზრდობას; ჩვენი მიზანი კომუნიზმის გამარჯვებაა მთელ დედამიწაზე, ხოლო „კომუნიზმია მსოფლიოს სიჭაბუკე და იგი ახალგაზრდობამ უნდა აშენოს“.

ჯანსულ ჩარკვიანი

ამ ოქტომბერში

რევოლუციის
ულამაზეს ფერთა სიმღერით
დგას ოქტომბერი,
დიდებული და მოლხენილი.
ჩვენ ვდგაეართ ძეგლთან
დღეთა რწმენით,
დღეთა სიმხნევით,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ გვინახავს
დიდი ლენინი.

მღერიან მთანი
და ჩვენსავით ილხენენ ხენი,
ბუნება სუნთქავს
ლამაზი და ყელმოღერილი.
ამ ოქტომბერში
ჩვენ თვალებში ვუყურებთ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ გვინახავს
დიდი ლენინი.

ქვეყანა მიჰყავს ლაჟვარდებში
იმედით, რწმენით
და მხარში გვიდგას
მზესთან ერთად გამოჩენილი...
ჩვენ საოცარი სიყვარულით
ვუყურებთ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ გვინახავს
დიდი ლენინი.

ჰქვია ბელადი,
კიდევ? — მამა
და კიდევ? — ბრძენი,
რევოლუციის
გრიგალებში გამოვლენილი...
ჩვენ ტრიბუნაზე კვლავ ყურს ვუგდებთ
ვლადიმერ ლენინს,
ჩვენ, ვისაც ერთხელ არ გვინახავს
დიდი ლენინი.

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

1

დილით დათოს ფეხის ხმაზე გამეღვიძა — ოთახში დადიოდა. დროდადრო შეჩერდებოდა და მერე კვლავ განაგრძობდა სიარულს. რამდენჯერმე მივიდა წიგნების კარადასთან, თაროებზე ხელი მოაფათურა, წიგნები აქეთ-იქით გადაწია. უსტვენდა და განგებ მძიმე-მძიმედ ადგამდა ფეხს. ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ შეიძლებოდა მისი ფეხის ბრახაბრუხზე გამღვიძებოდა.

საწოლიდან წამოვიწიე.

— რა გინდა, რას ეძებ?

დაწოლის წინ კარს შიგნიდან ვკეტავ ხოლმე, რომ დილის ძილი არავინ დამიფრთხოს. მაინცადამაინც წუხელ დამრჩა კარი ჩაუკეტავი.

— ვერ ნახე? — მივხვდი, რასაც ეძებდა.

— ვერ ვიპოვე, — მომიგო დაღონებულმა, — ეტყობა, მედიცინა თუ არ ჩაერია საქმეში, ისე არაფერი გამოვა.

„მედიცინა“ მამაჩემია.

— არა მაქვს-მეთქი, ხომ გითხარი. ერთი ცალი მქონდა და ისიც შენ მოგეცი.

ჟურნალ „ცისკრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე რომანმა მიიღო მეორე პრემია.

დათო მიყურებდა და უნდობლად იღიმებოდა. მამაჩემთან დასმენის სულაც არ მეშინოდა. თუნდაც იმიტომ, რომ მამაჩემსა და დათოს, როგორც ჩემი სიძე ამბობს ხოლმე, კარგა ხანია გაწყვეტილი აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა.

— ახლაც დგას ოთახში სუნი, — თქვა დათომ, — წუხელ რამდენჯერ მოსწიე, ათჯერ? თხუთმეტჯერ?

თხუთმეტი არა, მაგრამ წუხელ დაწოლის წინ სამსა თუ ოთხ სიგარეტს მაინც რომ მოვწევდი, ეჭვი არ ეპარება: ალბათ ჰგონია, რომ კარსაც ამიტომ ვიკეტავ ხოლმე. აშკარაა, დათოს ჩემზე ოხერი, ზარმაცი და განებივრებული ბიჭი ქვეყანაზე არ ეგულება, თუმცა ამას პირში არ მეუბნება. რა იცის, რომ უკეთესი აზრი არც მე მაქვს მასზე.

გუშინ, გერმანული ენის კონსულტაციაზე რომ ვიყავით, ჯაბამ რამდენიმე სიგარეტი ამოაძვრინა, ჯერ შემახარბა, მერე ორი ცალი მომცა, შესვენებაზე მოვწიოთო. გარეთ რომ გამოვედით, იქვე, ქუჩის კუთხეში მივიყუჟეთ და სიგარეტები პირში გავიჩარეთ. თან შიშით ვიხედებოდით აქეთ-იქით. „ეს ერთი გამოცდაც და...—ამბობდა ჯაბა და ჭრელ, უტიფარ თვალებს ქურდულად აცეცებდა, — მერე ჩიბუხს ვიყიდი, თუთუნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავტენი, დილით ჭიშკართან დავხვდები დირექტორს და, რომ ჩამივლის, შიგ ცხვირში შევაბოლებ". ჯაბას თვალებში შევყურებდი და ვგრძნობდი, რომ ამ დანაქადის შესრულება დიდად არ გაუჭირდებოდა. მაინც შევედავე: „შეაბოლებ კი არა, პირდაპირ შეხედვასაც ვერ გაუბედავ". „რაო? ვერ გავუბედავ? — გაცხარდა იგი. ვერ იტანს, ვინმე მის გულადობაში ეჭვს რომ შეიტანს, — თუ გინდა, ახლავე წავალ და ამ სიგარეტით კაბინეტთან გავისეირნებ..."

კარგად ვიცნობ ჯაბას: საკმარისი იყო მეთქვა, ვერ წახვალ-მეთქი და მართლა წავიდოდა. „მერე ატესტატი? — ვუთხარი მე, — დაგიხატავს ატესტატს!" „ჯანდაბას, — ჩაიქნია ხელი, — უმაღლესში მაინც ვერ მოვხვდები." „ასე გინდა უმაღლესში სწავლა?" — ვკითხე მე. „ყველა შედის და..." „ვინ ყველა?" „ყველა... — ჩაილაპარაკა ნაღვლიანად, თითქოს მის გარდა ყველას უგამოცდოდ ღებულობდნენ, — თუმცა ყველა რას მოხვდება, — დაუმატა მაშინვე, — ასე ადვილია? თანაც, მე სად უნდა წავიდე ჩემი საცოდავი სამიანებით?"—ჯაბამ შემომხედა. მეც მის დღეში ვიყავი — მარტო ერთი ხუთიანი და ოთხიანი მაქვს, ყოფაქცევასა და ფიზკულტურაში. სიმართლე რომ ითქვას, ის ოთხიანიც არ მეკუთვნოდა.

„შენ რას შეგედრები, — მიმიხვდა ჯაბა და უცნაურად ჩაიცინა, თითქოს რაღაც დანაშაული მქონდა ჩადენილი და ამით მაგრძნობინებდა, ნუ ნაღვლობ, მიპატიებიაო, — მამაშენი... მამაშენს რა გაუჭირდება, მთელი ქალაქი იცნობს".

ჯაბა შურის თვალით მიყურებდა. მზერა ავარიდე. მაშინვე შემატყო, რაღაც არ მესიამოვნა და, თითქოს ბოდიშს იხდისო, დაუმატა: „ეჰ, სისულელეა, — ვერ კი მივხვდი, რა მიაჩნდა სისულელედ, — გინდა, წავიდე და ზედ კაბინეტთან გავაბოლო?" „არა, არ მინდა", — ვუთხარი მე.

ნამწვები ფეხით მივსრისეთ და ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ის ერთი სიგარეტი კი, ჯიბეში რომ ჩამრჩა, საღამოს დათოს მივართვი. საზღვარგარეთული სიგარეტი იყო, გრძელი, ფილტრიანი. დათოს ბავშვივით გაუხარდა. სწრაფად მოსწია და მერე დაიჟინა, შენ ისეთი ეშმაკის ფეხი ხარ, ასეთი სიგარეტების მთელი კოლოფი გექნება და შუაზე თუ არ გამიყოფ, მამაშენთან დაგასმენო. სულ ეს იყო...

— შარზე ნუ ხარ, — ვუთხარი დათოს და საათს შევხედე. დრო იყო, ლოგინიდან გამოვმძრალიყავი: გამოცდაზე ვიყავი წასასვლელი.

— დღეს ამთავრებ? — მკითხა დათომ.

— ჰო, — ავდექი და ჩაცმას შევუდექი.

— ბედნიერი კაცი ხარ, — მითხრა დამცინავად.

ჩემკენ ზურგშექცევით იდგა და ფანჯარაში იცქირებოდა.

— რატომაც არა, ბედნიერი ვარ, — დავეთანხმე.

— ახლა მამაშენიც დატრიალებდა, არა?

— ჰო.

— შენც ექიმად უნდა გამოგაცხოს?

დათოს ცოლი, ჩემი უფროსი და — ციცინო — ექიმია. შარშან დაამთავრა ინსტიტუტი. მეორე და, ნუნუც სამედიცინოზე სწავლობს.

— რა ვიცი, ჩემთვის სულერთია.

დათო ჩემკენ მოტრიალდა. ისეთი თვალით მიმზერდა, თითქოს რაღაც მომეპაროს მისთვის.

— სულერთია, — გაიმეორა ჩემი ნათქვამი. ახლოს მოვიდა და თავზე ხელი გადამისვა, — რა კარგი ბიჭია... სულერთია!

ისევ დამცინოდა.

— თავი გამანებე! — შევუღრინე მე.

— სულერთია... რა ჰქნას საცოდავმა, თუ იმის თავიც არა აქვს, რომ პროფესია თვითონ აირჩიოს. თანაც მამა ჰყავს ბრძენი. შეუძლია ათი კაცის მაგივრად იფიქროს და კიდეც იცხოვროს...

გიორგი კეჟალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

— თავი გამანებე, — ავუწიე ხმას,— შენ ვინ გკითხავს?!

— ერთი კაცი ცხოვრობს ყველას მაგივრად. ჩვენ კი — მეც, შენც, ჭკუით გატენილი შენი დებიც, ლანდები ვართ... მეტი არაფერი.

დათოსგან არაფერი არ უნდა გეწყინოს, თავისი ახირებულობით იმ დღიდანვე გაითქვა სახელი, ჩვენი სიძე რომ გახდა.

განსაკუთრებით მამაჩემს ვერ შეეწყო. მგონი ხანდახან მამაჩემიც აჭარბებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დათო არც ისე ხშირად თვრება, მამა კი გამოუსწორებელ ლოთს და ხულიგანს ეძახის. თუმცა, თუ ფული იშოვა, ქეიფზე უარს არასდროს არ ამბობს. ფული არა აქვს და ეს უშლის ხელს. თუ ვინმე მეგობარმა დაპატიჟა, მაშინ იცის გადამლაშება. ისე კი, ბოლო დროს დიდად არც მეგობრები აწუხებენ. ამ ერთი თვის წინ დათვრა, ყვირილი ატეხა — ციცინოს ეჩხუბებოდა. ყვიროდა, ეს სახლი უნდა გადავწვაო. მერე ჩემოდანს დაავლო ხელი და სადგურში გარბოდა, აქ დღეიდან ჩემს ლანდს ვერ დაინახავთო, იმუქრებოდა. ძლივს მოვაბრუნეთ.

ან საიდან ექნებათ ფული. ინსტიტუტი ორივემ დაამთავრა, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი არ მუშაობს. ციცინოს მაინცადამაინც ქალაქში უნდა მუშაობა და ისიც ცენტრში. მამა უშოვიდა ადგილს, რომ მოენდომებინა, მაგრამ მგონი განზრახ არ ეხმარება. დათო კი აგრონომია და, როგორც თვითონ ამბობს, თბილისში ყველა ხე და მცენარე თითო-თითოდ აქვთ დანაწილებული აგრონომებს და მას არაფერი ერგო. რაც უბედურება მჭირს, ხშირად ეუბნება დათო ციცინოს, სულ მამაშენის ბრალიაო. არ ვიცი, რას გულისხმობს ამ „უბედურებაში“. ციცინო ეჩხუბება ხოლმე: უმადური ხარ, მამაჩემს შენთვის კარგის მეტი რა გაუკეთებიაო. აბა, ერთი სცადე და თბილისში იქირავე ასეთი ბინა, ნახავ, რა დაგიჯდებაო. კისერზე აზიხარ მამაჩემს და მადლობაც არ გემეტება, ფულის ხარჯვა კი გეხერხება, მაგრამ შოვნა არ შეგიძლია. მრცხვენია, მუდამ მამაჩემს ვთხოვთ ფულს, თითქოს პატარები ვიყოთო. სწორედ გითხრათ, ციცინო მეცოდება. ფულის ხარჯვისგან არაფრით არ შეუძლია თავის შეკავება, თხოვნა კი უჭირს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. მოწყალებასავით სთხოვს მამაჩემს ფულს და, ცხადია, თავს დამცირებულად გრძნობს. მე სულ სხვანაირი მეთოდი მაქვს; ფულს ისე ვთხოვ, თითქოს ახლახან მიმებარებინოს შესანახად.

პირსაბანთან ნუნუმ მიმასწრო და მაშინვე კბილების ხეხვას შეუდგა. ამ საქმეს ხუთ საათს მოუნდება. კარგი კბილები აქვს და იმიტომაა ასე გადაყოლილი. საერთოდ, ნუნუ ეშხიანი გოგოა. დიდი, ცისფერი თვალები აქვს. დედაჩემი ყოფილა ასე ლამაზი. მე ცხრა წლისა ვიყავი, დედა რომ მოკვდა. ნუნუ დედას ჰგავს, ციცინოც. მე კი არა...

სარკეში ჩავიხედე. არა, არ ვგავარ დედას. ჩემი აზრით, ძალიან უშნო არა ვარ, მაგრამ არც ლამაზი მეთქმის. მამაჩემს ვგავარ. ამას კიდევ არა უშავს რა, სიმაღლეში რომ მოვიმატებდე. არც ისე დიდი ხნის ვარ, ჯერჯერობით თვრამეტიც არ შემსრულებია. კაცები ხომ ოცდახუთ წლამდე იზრდებიან. შვიდ წელიწადში, ვინ იცის, რამდენს მოვიმატებ. მამაჩემზე ცოტათი მაღალი ახლაც ვარ, მაგრამ ეს უშველის საქმეს?.. სილამაზე კი, სწორი გითხრათ, დიდად არ მეპიტნავება. რად მინდა სილამაზე, გოგო ხომ არა ვარ?!

ნუნუმ, როგორც იქნა, ჯაგრისი პირიდან გამოიღო, თვალი ჩამიკრა და მითხრა:

— მოგილოცავ.

— გმადლობთ — ვუთხარი და გამახსენდა, რომ დღეს ნუნუც ამთავრებდა გამოცდებს. არც ის დამვიწყებია, გერმანულში ინჩიბინჩი რომ არ ვიცოდი, დღეს შეიძლება ორიანი მიმეღო და ნუნუს მილოცვა ნაადრევი გამომდგარიყო.

— რას მილოცავ? — ვკითხე.

ნუნუს ახლა პირი წყლით ჰქონდა სავსე.

— დღეს ორიანს მივიღებ.

— გაგიჟდი?

— ორიანს მივიღებ, — ვუთხარი დაბეჯითებით, — არაფერი მიშველის.

— ნუ გეშინია... მეც შენს დღეში ვიყავი, მაგრამ გადავრჩი.

ნუნუც კარგი ზარმაცი ბრძანდება. ღირსეული და-ძმა ვართ. ტოლს არ ვუდებთ ერთმანეთს.

— დროზე მორჩი... მეჩქარება.

— შენც სამედიცინოზე შემოხვალ?

— რა ვიცი.

— მამას ჯერ არაფერი უთქვამს?

— არა.

— მოდი, სხვაგან შედი სადმე.

— კარგი, — ვუთხარი და ხელი ვკარი, ძლივს მოვაცილე პირსაბანს.

კიბეზე რომ დავეშვი, მაშინღა გამახსენდა, რომ უსაუზმოდ მივდიოდი. როცა ბებიაჩემი ავად არის და წევს, საუზმე ხშირად მავიწყდება ხოლმე. სკოლის ბუფეტში ვისაუზმებ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არც ფული აღმომაჩნდა ჯიბეში. ისევ ავირბინე კიბეზე. დერეფანში დათო შემეჩეხა.

— რატომ მობრუნდი? — მკითხა, ცოტა არ იყოს, ცრუმორწმუნეა. როცა ვინმე გზიდან შინ მობრუნდება, ცუდად მაქვს დაცდილიო, ამბობს.

— ფული მინდა. ხომ არ მასესხებ?

— რა?

— ფული მასესხე.

კაცმა რომ თქვას, ფული კარგა ბლომად მაქვს შეგროვებული. ცარცის ფისუნიას, ჩემი წიგნების კარადაზე რომ დევს, მუცელი სამმანეთიანებითა და ხუთმანეთიანებითა აქვს გამოტენილი. მაგრამ სანამ სკოლას არ დავამთავრებ, ხელს ვერ ვახლებ. ასე მაქვს დათქმული. დღესვე, სკოლიდან რომ დავბრუნდები, მუცელს გამოვუფატრავ ფისოს.

დათო იდგა და უსიტყვოდ მიბღვერდა.

— სიძეც ასეთი უნდა, ჯერ ხუთკაპიკიანიც არ გიჩუქებია ჩემთვის.

დათო წამოჭარხალდა. გამიკვირდა, არც ასეთი მორცხვია.

ამ დროს ციცინო გამოვიდა, დათოს შეხედა და მკითხა:

— რა მოგივიდათ?

დათო გაურკვევლად ბუზღუნებდა რაღაცას.

— რა უთხარი? — მკითხა ციცინომ.

— ფული მასესხე-მეთქი.

— ჰოდა, ძალიან დაგიშავებია. ხომ იცი, რა ცუდად მოქმედებს დათოზე ფულის ხსენება.

მამაჩემი დიდად არ უნდა ცდებოდეს, დათოზე რომ ამბობს, დალაგებული ჭკუის არ არისო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვერც ციცინო დაიტრაბახებს ჭკუით. ისე კი, გარეგნულად წუნს ვერც ერთს ვერ დასდებთ, რაც მართალია, მართალია.

დათომ ჯიბეები მოიქექა. საიდანღაც დახეული და ერთიანად დაცრეცილი მანეთიანი ამოაძრო და მომაწოდა.

— დღეს ვერ გაგაწბილებ... გამომართვი. იცოდე, სამ დღეს ქუჩაში უნდა ვკრიფო სიგარეტის ნამწვები.

— საღამოს დაგიბრუნებ.

ფული ჯიბეში ჩავიდე.

უკვე გვარიანად მშიოდა და საუზმის გადადებას აზრი აღარ ჰქონდა. სკოლაში გამოცდის დაწყებას კი უჩემოდაც მოახერხებდნენ. სამზარეულოსაკენ გავუხვიე. ნუნუ სუფრას უჯდა და ჩაის სვამდა. რომ შევედი, ადგა და მეც დამისხა.

მაგიდას მივუჯექი.

— ბებია სად არის? — ვკითხე.

— ავადაა.

— დღეს არ ამდგარა?

— არა.

ნუნუმ ამასობაში საუზმე დაამთავრა.

— მეჩქარება. უნდა წავიდე. ხომ არაფერი გინდა?

სუფრა მოვათვალიერე.

— წადი, — ვუთხარი მე, — ორიანს გისურვებ.

— ხმა ჩაიწყვიტე!

მუშტი მომიღერა და გავიდა. ბევრი

გიორგი კეჭალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

არც მე დამიყოვნებია. პირი ძეხვითა და პურით გამოვიტენე და ნუნუს დავედევნე.

●

გარეთ გამოვედი და კარი მივხურე. ესეც ასე. დამთავრდა. რაც იყო, იყო. დერეფნის ბოლოში ჩემი სიმაღლის სარკე იდგა. სარკის წინ შევჩერდი. წითლად მიღვივოდა სახე. თვალები მოვისრისე. მერე ისევ ჩავიხედე სარკეში.

აღარ დამიწერეს ორიანი, მაპატიეს. მაინც რატომ მეგონა, ორიანს არ დამიწერდნენ? ნუნუს კი ვუთხარი, ორიანს მივიღებ-მეთქი, მაგრამ რატომღაც მაინც მქონდა იმედი, რომ არ დამიწერდნენ, იქნებ სჯობდა, რომ დაეწერათ? ალბათ სჯობდა.

სხვა საგნებში რაღაც კი ვიცოდი. დღეს კი... ნუღარ მკითხავთ!

ეზოში ჩავედი. წყლის ონკანთან ბიჭები და გოგოები დარბოდნენ. ჯაბა ონკანს დაპატრონებოდა და ვინც ახლოს მოსვლას გაბედავდა, პეშვით წყალს აშხეფებდა. ნატო ხმამაღლა იცინოდა, სულელურად დახტოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და ცდილობდა ზურგიდან მივარდნოდა ჯაბას. სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. სველი კაბა ტანზე აკვროდა; მაინც არ ეპუებოდა. მოშორებით იუზა იდგა, ნატოს უმზერდა, პირი დაეღო და გიჟივით ხარხარებდა. საერთოდ, რა თქმა უნდა, არც ერთი არ ჰგავდა ჭკუაზე მყოფს. არც იყო გასაკვირი. უკვე ჩააბარეს გამოცდა. ალბათ მეც სიამოვნებით ჩავერეოდი მათ სულელურ თამაშში, ასე სამარცხვინოდ რომ არ ეწყალობებინათ ჩემთვის სამიანი.

— რა მიიღე? — დამიძახა ჯაბამ.

სამი თითი დავანახვე.

— სამიანი? — განმარტა ნატომ. მერე მკითხა, — რატომ?

ვითომ არ იცოდა, რომ სამიანიც არ მეკუთვნოდა.

ჭიშკარი გავაღე და ქუჩაში გავედი. ვჩქარობდი. არ მინდოდა, ჯაბა ან იუზა გამომყოლოდა. ცხელოდა. შუადღე იყო. ჰაერი არ იძვროდა და ქუჩა გახურებულ თონეს ჰგავდა. ქუჩაში მიმავალნი სახლის კედლებს ეკვროდნენ, რომ როგორმე მზეს მოფარებოდნენ. ამაოდ, ჩრდილი თითქმის არსად იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მზის სხივები ყველგან და ყველაფერში ატანდნენ, თითქოს მიწაზე ყველაფერი გამჭვირვალე იყო.

ჭიშკარი მივხურე თუ არა, შეწყდა ჯაბას სულელური ქირქილი, ნატოს ტკარცალი, იუზას ხორხოცი, ამოწუმპული გოგოს ცუნდრუკს რომ უყურებდა და მეც ერთბაშად შვება ვიგრძენი. მომაგონდა, გუშინ ჯაბა რომ ამბობდა, ჩიბუხი უნდა ვიყიდო და დირექტორს თუთუნის კვამლი სახეში შევაბოლოო... გამეცინა. მაშ ასე... დღეიდან სულ სხვა ცხოვრება იწყება.

მთავარი ქუჩა გადავჭერი და ტელეფონის ჯიხურში შევედი.

ნომერი ავკრიფე.

— ალო...

ქალის ხმა იყო.

— მამაჩემს სთხოვეთ.

— ვინაა მამაშენი?

ვუთხარი, ვინც იყო.

— მერაბი ხარ? ახლავე დავუძახებ მამაშენს.

ნეტა მომილოცავს თუ არა მამაჩემი? შეიძლება სულაც არ მოაგონდეს. ამაშიც ვგავართ ერთმანეთს. ასეთ რამეებს, თუ ვინმემ არ შემახსენა, თვითონ ვერაფრით ვერ მოვისაზრებ.

— მერაბ!

— გისმენთ...

— მამაშენს არ სცალია, ოპერაციაზეა.

— კარგი, გმადლობთ.

ყურმილი დავკიდე, გარეთ გამოვედი და ტრამვაის შევახტი.

ტრამვაი ბოლო გაჩერებას უახლოვდებოდა. კონდუქტორს არც შემოუხედავს ჩემთვის, წინ იდგა და ვატმანს ელაპარაკებოდა. თან ჩანთაში აფათურებდა ხელს — ფულს აჩხრიალებდა. სტუდენტებთან ჩამოვედი. წყლის გამყიდველის ურიკასთან რიგში ჩავდექი.

სტუდქალაქის ჭიშკარი ღია იყო. იქიდან ზოზინ-ზოზინით გამოდიოდა საბარგო მანქანა. ჭიქა ავიღე და განზე გავდექი. ნება-ნება ვსვამდი. წყალი ცივი იყო. მიყვარს აქ დგომა და ფაცაფუცით მიმავალი სტუდენტების ყურება.

ამ დროს თემური დავინახე: ურიკასთან მოვიდა და წყლის გამყიდველს ხუთკაპიკიანი მიაწოდა.

— თემო!

ცარიელი ჭიქა დავდგი. ავიწიე და თემურს მხარზე დავკარი ხელი — მაღალი ბიჭი იყო, ძლივს შევწვდი.

სად გავიცანი თემური, ან ვინ გამაცნო, აღარ მახსოვს. ძალიან უცნაური ვინმე კია, რატომღაც სულ ცდილობს, ჩემი გული მოიგოს. ცოტა არ იყოს, მეპირფერება კიდეც.

— დაამთავრე გამოცდები?

— ჰო, ახლახან. სკოლიდან მოვდივარ.

— გილოცავ.

— გმადლობთ.

— ჩვენთან რატომ აღარ დადიხარ?

— ახლა მოვდიოდი. სად მიდიხარ?

— უნივერსიტეტში.

— სულთანი სად არის?

სულთანი თემოს ოთახში ცხოვრობს, პოეტია. მგონი ჩერქეზი უნდა იყოს. ვერ იქნა და ვერ დავიმახსოვრე მისი გვარი. ქართული კარგად იცის, მაგრამ ლექსებს ჩერქეზულ ენაზე წერს და ბეჭდავს კიდეც. თავის მხარეში უკვე ცნობილი პოეტია.

— წადი, ოთახშია. მამია და ზაურიც შინ არიან. მეც მალე მოვალ.

თემური წავიდა. მე სტუდქალაქის ჭიშკარში შევედი. ახალი კორპუსებისაკენ გავუხვიე. ხელმარცხნივ, სტადიონზე, ფეხბურთს თამაშობდნენ. ისეთი პაპანაქება იყო, სუნთქვა ჭირდა, მაგრამ სტუდენტები, ეტყობა, ვერაფერს გრძნობდნენ, გაშმაგებული დასდევდნენ ბურთს.

ერთ-ერთი კორპუსის მესამე სართულზე ავედი. პირველივე კართან შევჩერდი. კარზე თეთრად ბრწყინავდა ემალის აბრა. აბრაზე ნომერი ეწერა. ნომერს ქვემოთ ქაღალდი იყო მიწებებული — ოთახში მცხოვრებთა გვარები ჩამოეწერათ.

წინა ოთახში არავინ იყო. აქ მხოლოდ გრძელი მაგიდა და ორიოდე სკამი იდგა. შიგნითა ოთახის კარზე დავაკაკუნეხმა არავინ გამცა. ისევ დავაკაკუნე.

— მოდი, ჰო! — მომესმა ზაურის ხმა, — რა კაკუნი აგიტყდა!

შევაღე და შევედი. ზაური ლოგინზე გაშოტილიყო და თვლემდა. ძლივს ეტეოდა საწოლზე. მკერდზე რაღაც სქელი წიგნი ედო. თავი ოდნავ წამოსწია, შემომხედა, ხელი უნდილად ჩამომართვა და სკამზე მანიშნა, დაჯექიო. თვლემა განაგრძო. სულთანი საწოლზე იჯდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო და იმას ჩასცქეროდა. ტანმორჩილი იყო, დიდთავა. ყალყზე შემდგარი უშველებელი ქოჩორი ჰქონდა და თავიც იმიტომ მოუჩანდა ალბათ ისე არაბუნებრივად დიდი. მამია, გრძელცხვირა, გამხდარი სტუდენტი, თავის კომოდთან იჯდა და რაღაცას გამალებით ჩხაპნიდა. დროდადრო შეჩერდებოდა და წიგნში ჩარგავდა ცხვირს.

სკამი შუა ოთახში დავიდგი, დავჯექი, საზურგეს მივეყრდენი და ისე გულმოდგინედ დავუწყე კედლებს თვალიერება, თითქოს სწორედ ამისთვის მოვსულიყავი.

— ჰო, — შემახსენა სულთანმა, — თქვი რამე.

— იმეცადინეთ, — ვუთხარი მე, — აღარ გაგაცდენთ.

სულთანმა ფურცელი გადაკეცა, წიგნი დახურა, ლოგინზე დადო და ადგა.

— როგორ ხარ? — მკითხა.

— კარგად. გამოცდები დავამთავრე.

— მართლა?... გილოცავ.

— თქვენ რას აკეთებთ?

— ჩვენც მალე მოვრჩებით.

— მთაში ხომ წამიყვანთ?

— სად?

— მთაში. ხომ დამპირდით.

— მე დაგპირდი?

გიორგი კეჭაღმაძე
ჩემი პატარა ლანდი

ზაური შეინძრა და გადმომხედა.

— ჰო.

— მთვრალი იქნებოდა, — თქვა მაშიამ, — მთვრალი როცაა, რას არ დაპირდება კაცს.

— არ წამიყვანთ?

— არ ვიცი, — მიპასუხა სულთანმა, — ჯერ არც კი ვიცით, წავალთ თუ არა.

— აკი ყოველ წელს დავდივართო.

— ადრე დავდიოდით... წელს კი არ ვიცი, წავალთ თუ არა.

ამასობაში ზაური გამოფხიზლდა, წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო.

— გამოცდა როდის გაქვთ? — ვკითხე სულთანს.

— ხვალ.

ზაურმა თავი წამოსწია.

— წავალ, — ავდექი.

— ხვალ შემოიარე, — მითხრა სულთანმა და ისევ დაჯდა თავის საწოლზე, წიგნი გადაშალა, — დღეს არ გვცალია შენთვის.

— კარგად იყავით, — კარი გამოვაღე და წინა ოთახში გამოვედი. ვიფიქრე, აქ დავჯდები და თემოს დაველოდებიშეთქი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხელი ჩავიქნიე.

2

ჯაბამ თავი გამოიდო, ვაჟკაცი ვარო. წვეთი ღვინოც არ დაიკლო. დაცლილ ჭიქას ხელში ატრიალებდა, აბა შეხედეთ, როგორ ამოვამშრალეო. თან თვალებს ჭუტავდა და დამცინავად შეჰყურებდა ჩვენს ჭიქებს. „თუ სმაა, სმა იყოს, რა საცოდავად წრუპავთ...“ ერთორჯერ შემომთავაზა, შემეჯიბრეო. აგდებულად ავუქნიე ხელი. ის მაინც სვამდა. მალე სახე აელეწა და თვალები აერია. თუმცა ისე მთვრალი მაინც არ ყოფილა, როგორც თავს გვაჩვენებდა. განგებ ბარბაცებდა და გოგოებს ეჯახებოდა. გოგოები ფიქრობდნენ, სიმთვრალით შოსდისო და წყენას არ იმჩნევდნენ. იცინოდნენ და ეცლებოდნენ. ბოლოს ჯაბამ ნატო ამოიჩემა. ჯერ ღვინო დააძალა და თითქმის ძალით დაალევინა ორი ჭიქა. მერე, სუფრაზე შესვენება რომ გამოვაცხადეთ და ცოტა ხნით წამოვიშალეთ, კოცნაც კი დაუპირა. ნატომ მკერდზე ხელი ჰკრა.

— ჭკუით იყავი!..

თვალი ავარიდე.

— ჯაბა! — ხმას აუწია ნატომ, — მომცილდი, რა დაგემართა!

ჯაბამ ხმამაღლა გაიცინა, აქაო და ვხუმრობდი, არაფერი გეწყინოსო. მაგიდასთან მივიდა და ჭიქა აავსო.

— ჩვენ უკვე შეგვიძლია... ჩვენ უფლება გვაქვს... ჩიბუხი, ჩიბუხი!..

— ნუ სვამ! — ვუთხარი გაბრაზებით, — ხომ ხედავ, მთვრალი ხარ!

— სწორია, — მოულოდნელად დამეთანხმა. ამჯერად ენა სულაც არ შებორკვია. დივანზე ჩამოჯდა ჩემს გვერდით, — ყველა მსმელს თურმე ასე ემართება, — დაუმატა სერიოზულად,— ადრე ვთვრები, მაგრამ სმის დროს თანდათან ვფხიზლდები და მერე რამდენსაც გინდა, იმდენს დავლევ.

ცირამ რადიოლა ააღრიალა. ცეკვა დაიწყეს. მე დივანზე გადავწექი — მეძინებოდა. ვიღაცამ შემანჯღრია.

— ჰო...

— გინდა ვიცეკვოთ?

თვალი გავახილე. ნატო იყო.

— ჰო.

ცეკვა არ მეზარება, მაგრამ კარგად არ ვიცი და მალე მბეზრდება ხოლმე. ერთხანს ვიტრიალეთ მე და ნატომ. მერე მაგიდასთან მივიყვანე და სკამზე დავსვი. ნატოს თვალები უციმციმებდა.

— ცუდად ვცეკვავ? — ვკითხე.

— ჰო, მაგრამ არა უშავს... სულერთი არაა?

„რატომაა სულერთი?“ — გავიფიქრე მე. რომ ვეღარ მივხვდი, აღარ დამიწყია ბევრი თავის მტვრევა. მაინც ვერ მივხვდები-მეთქი. თვალით ჯაბა მოვძებნე. ახლა ცირას ეღლაბუცებოდა.

— დათვრა საწყალი ჯაბა, — მითხრა ნატომ.

— კარგი ბიჭია, არა? — ვკითხე მე. ცხადია, სულ სხვას ვფიქრობდი. ნატომ

შემომხედა. ჯაბამაც გამოიხედა ჩვენკენ. დამიძახა:

— მოდი, რაღაც უნდა გითხრა.

მე და ნატო ავდექით და ჯაბასთან მივედით.

— შენ წადი, — უთხრა ჯაბამ ნატოს. — კაცური საქმეა.

— თქვენც თუ კაცები ხართ! — ჩაილაპარაკა ნატომ და მოგვშორდა.

— გოგოსთვის გიკოცნია? — მკითხა ჯაბამ.

არაფერი მითქვამს.

— თქვი, ნუ გრცხვენია, — ჯაბამ თვალები მოჭუტა, — ჰო, გამოტყდი.

— შენ? — შევუბრუნე კითხვა.

— რამდენიც გინდა.

— რა დიდი ამბავია მერე, — გულგრილად ვთქვი.

ჯაბამ ცერად გადმომხედა. მერე ზურის ჰკითხა:

— შენ?

ზური გაწითლდა. ჩემი არ იყოს, არც მას აგლეჯდნენ გოგოები კალთას.

— არ უკოცნია, — დაასკვნა ჯაბამ, — სისულელეა და მეტი არაფერი.

— რაა სისულელე? — ვერ გაიგო ზურიმ, — კოცნა?

— კოცნა კი არა, რომ არ გიკოცნია, ისაა სისულელე.

— მე ჯერ არავინ მყვარებია ისე, რომ მეკოცნა, — თქვა ზურიმ, — რა ძალა მადგას, გოგო არ მიყვარდეს და მაინც ვაკოცო.

ჯაბამ დააღო პირი და ხარხარი ატეხა.

— შე სულელო, კოცნას რა დიდი სიყვარული უნდა. ცოლად ხომ არ ირთავ! მოკიდებ გოგოს ხელს და აკოცებ, მორჩა და გათავდა!

— რომ ეწყინოს? — წამომცდა უნებურად. ჯაბა ისევ ახვიხვინდა. მეც გამეცინა. საკმაოდ გულუბრყვილოდ ვიკითხე, მაგრამ მაინცდამაინც სასაცილოს ვერაფერს ვხედავდი.

— რა უჭირს მერე, — თქვა ჯაბამ, სიცილს რომ მორჩა, — მალე გაუვლის წყენა. შეგიძლია, წინასწარ უთხრა, მიყვარხარო. მაშინ აღარ ეწყინება. არა და არც ეს არის აუცილებელი. რომ აკოცებ, თვითონვე იფიქრებს, ვუყვარვარო და აღარ ეწყინება.

— თუ არ გიყვარს, რატომ უნდა აკოცო? — თავისას არ იშლიდა ზური, — რა ფასი აქვს?

— მაინც კარგია, — უთხრა ჯაბამ, — უნდა გამოსცადო. ყველაფერი უნდა იცოდე, — გოგოებს გადახედა და დაუმატა, — შინ რომ წავალთ, მე ნატოს გავაცილებ და ვაკოცებ...

— წეღან რომ გაბრაზდა? — ვკითხე მე.

— ხალხში ყველა გაბრაზდება.

ეჭვი არ იყო, ნამდვილად შეასრულებდა თავის დანაქადებს. გული მომივიდა. ვიღაცა სულ უცნობი გოგო რომ დავინახო ბიჭთან გავლილი, გული მწყდება, ასე მგონია, ის გოგო მე წამართვეს.

— ნურას უკაცრავად, — ვუთხარი ჯაბას, — ნატოს მე გავაცილებ, რამდენი ხანია ამაზე ვოცნებობ.

რა თქმა უნდა, პირველად ახლა დამებადა თავში ეს აზრი და ისიც ჯაბას ჯიბრზე.

— უარს გეტყვის.

— წავალ და მამაჩემის მანქანას მოვიყვან. არც მაშინ გამომყვება?

— გაქვს მართვის უფლება?

— არც მინდა, თუ არ მაქვს. ვინ რას მეტყვის. მამაჩემს ყველგან იცნობენ.

— მანქანით მართლა მაჯობებ, — გამოტყდა ჯაბა, — გათხოვებს მამაშენი?

— რატომაც არა...

— წადი, მოიყვანე მანქანა. ყველანი წამოვალთ. ქალაქგარეთ გავისეირნოთ.

— ახლა? — ხმა ჩამიწყდა. ცუდად შემობრუნდა საქმე. ისე გავერთე ტრაბახით, დამავიწყდა, რომ მამაჩემი მაშინაც ძლივს მანდობს საჭეს, გვერდით რომ მიზის ხოლმე.

— ახლა არა. სხვა დროს იყოს. ახლა არ შეიძლება.

— რატომ არ შეიძლება? — მკითხა ჯაბამ.

გიორგი კეჟალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

— მთვრალი ვარ.

— ორი ჭიქაც არ დაგიცლია, არც გეტყობა არაფერი.

— მაინც არ შეიძლება.

ჯაბა გაჩუმდა. რას გამოაპარებ, ეშმაკის ფეხია.

●

გარეთ რომ გამოვედით, უკვე ღამე იყო. „ვინ გამაცილებს?“—იკითხა ნატომ და შემომხედა. იქნებ გაიგონა ჩვენი საუბარი? რატომღაც ისე ავღელდი, ხმა ვერ ამოვიღე.

ჯაბამ ერთი კი გადმომხედა სიბრალულით, მერე ნატოს ამოუდგა გვერდით, გაიჯგიმა და გულზე დაირტყა ხელი.

— მე აქ არა ვარ? სხვა ვინ გაგაცილებს?

ამასობაში ცოტათი დავმშვიდდი. ნატოს შევხედე. იქნებ მართლა გაიგონა ჩვენი საუბარი? ან რატომ ეძებს გამცილებელს? აქვე, გვერდით ქუჩაზე არ ცხოვრობს?

ზურიმ მიხსნა:

— ნატოს მერაბი გააცილებს.

— ორივე, — გაიცინა ცირამ, — მაშინ ორივემ გააცილოს.

ყველა ისე უცნაურად იქცეოდა, თითქოს შეთქმული ყოფილიყვნენ და მარტო მე არ ვიცოდი იმ შეთქმულების არაფერი.

— ორივე? — თქვა ჯაბამ, — ორივე არა. ან მე, ან მერაბი. აბა, ამოირჩიე,— შიუბრუნდა ნატოს.

— თუ ასეა, მერაბი წამოვიდეს, — თქვა ნატომ.

— შენი ნებაა, — გულგრილად უთხრა ჯაბამ. მაშინვე ჩამოუშვა ცხვირი. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ნატოს სახლის შესასვლელთან ვიდექით.

— რა კარგი ღამეა, — ვუთხარი მე,— არა?

— ჰო.

— რა მალე მოვედით, არა?

— ჰო.

მეტი ვერაფერი მოვახერხე.

— შევიდე? — მკითხა ნატომ, — როცა შემატყო, რომ ენა გადაყლაპული მქონდა, — ჯერ მართლა ადრეა...

„ხომ არ ვუყვარვარ? — გავიფიქრე მე, — გოგოებმა ადვილად იციან შეყვარება. ბიჭები ვართ, გულის მაგივრად ქვა რომ გვიდევს...“

— ჯერ ნუ შეხვალ, — მკლავზე ხელი მოვკიდე.

— აქ ვიდგეთ?

— გავიაროთ და მერე ისევ მოვიდეთ.

შესასვლელს მოვცილდით და ქვევით დავუყევით ქუჩას.

„კარგი გოგოა, სკოლაში არ იყო ასე ლამაზი. სკოლაში მაინცდამაინც ლამაზი არც ერთი გოგო არ იყო. ახლა კი ერთბაშად გალამაზდნენ ყველანი“.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა ნატომ.

ვუთხარი რაზეც ვფიქრობდი: გოგოები სკოლას რომ ამთავრებენ, მერე ერთბაშად ლამაზდებიან-მეთქი.

— მეც?

— ჰო.

— მანამდე არ ვიყავი ლამაზი?

— მანამდეც იყავი, როგორ არა.

— ჯაბა უსინდისოა, — თქვა ნატომ.

— რატომ?

— მიეპარება გოგოს და აკოცებს. მერე ტრაბახობს.

მინდოდა მეკითხა, შენთვის ხომ არ უკოცნია-მეთქი, მაგრამ აღარ ვკითხე. რომ ეპასუხა, მაკოცაო, მაშინვე უნდა დავმშვიდობებოდი და შინ წავსულიყავი.

— ახლა რას აპირებ? — მკითხა ნატომ.

— ახლა?

— ჰო. სკოლა ხომ დაამთავრე. ახლა რა უნდა გააკეთო?

— არ ვიცი.

— სად უნდა ისწავლო?

— არ ვიცი... ეგ მამაჩემის საქმეა. შენ? შენ ალბათ გათხოვდები, არა?

ამ კითხვისა თვითონვე შემრცხვა. როგორ უნდა გათხოვილიყო ეს ერთი ციცქნა გოგო?

— არა, რას ამბობ! რა დროს ეგ არის?! უნდა ვისწავლო ჯერ.

ნატომ მედალზე დაამთავრა სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ისწავლის. უმაღლესში შევა და სწავლას გააგრძელებს.

„რა იქნება რომ ვაკოცო?“

— დაგბრუნდეთ, — მითხრა ნატომ.

შესასვლელთან ისევ შევჩერდით.

— წავალ, — მითხრა ნატომ, — კარგად იყავი.

— მოიცადე.

მუხლები ამიკანკალდა. სისულელე იყო, მაგრამ რახან გადავწყვიტე, უკან დახევა არასდიდებით არ მინდოდა.

— ცოტა ხანს მოიცადე, რაღაც უნდა გითხრა.

ნატომ თავი დახარა. ეტყობა, გოგოები ყოველთვის გრძნობენ, რის თქმასაც აპირებენ ბიჭები.

— თქვი.

— მიყვარხარ, — ვუთხარი ხრინწიანი ხმით და სიმწრის ოფლმა დამასხა.

ნატო აილეწა და უფრო დახარა თავი. ასე მაშინ იცოდა დგომა, მასწავლებელი რომ გაუჯავრდებოდა ხოლმე. ახლოს მივედი. ნატო არ განძრეულა. გადავიხარე და ტუჩებით ლოყაზე შევეხე. მაშინვე იმედი გამიცრუვდა. არაფერიც არ იყო ისეთი. ნატოს კი ცეცხლი მოედო ლოყებზე. ისევ რომ გადავიხარე, სახეზე ხელები აიფარა.

— არა, მერაბ...

ხმაზე შევატყვე, ცოტაც და ატირდებოდა. ცხადია, კოცნა ამად არ ღირდა.

— კარგი, დაწყნარდი, — ვუთხარი მე, — მეტს აღარ ვიზამ... ჩამოიღე ხელი.

ნატომ ხელები მოწაფესავით ჩამოუშვა და გაისუსა. ერთხანს ასე ვიდექით. თავი რომ ასწია, დავინახე, თვალებში ცრემლი უბრწყინავდა. რა ატირებდა ვითომ?

— მართლა? — მკითხა ჩურჩულით.

„რაზე მეკითხება?“ — გავიფიქრე. ვდუმდი და თვალებში ვუმზერდი. მოთმინებით ელოდა ჩემს პასუხს. ძლივს გამოვერკვიე...

— ჰო, მართლა...

— მეც.

ხომ არ ეგონა, სიხარულისაგან, იქვე ჩავიკეცებოდი? კვლავ დახარა თავი.

— ჰო, წადი ახლა, — ვუთხარი მე.

თავი ასწია და წყრომით შემომხედა. მერე ნელა აიარა ორიოდე საფეხური. გამოიხედა, ნახვამდისო, ჩაილაპარაკა და კიბეზე აირბინა.

„გათავდა, ახლა დაღუპული ვარ“.

●

ის იყო გამომეღვიძა და დათომაც მოაკაკუნა კარზე.

— გძინავს?

— ჰო.

— გაიღვიძე და ტელეფონთან მიდი.

— ვინაა?

— არ ვიცი...

ტელეფონი წინა ოთახის კართან იდგა. „ნატო იქნება ალბათ, — გავიფიქრე მე, — ახლა კინოში წამიყვანეო, მეტყვის. ვიშოვე საქმე. დღეიდან საშველს აღარ მომცემს...“

— ალო. ალო...

მაშინვე ვიცანი ჯაბას ხმა. გულზე მომეშვა.

— მერაბი ხარ?

— ჰო.

— რას აკეთებ?

— არაფერს, — დავამთქნარე.

— გეძინება?

— ჰო.

— ზურისთან ვიყავი ახლახან. ზის და იზუთხავს. დიდი კაცი უნდა გახდეს. კინაღამ გარეთ გამომაგდო დედამისმა. კინაღამ კი არა, გამომაგდო და ისაა. შვებულება აუღია და ზურის დარაჯობს, რომ ვინმე ამხანაგი არ ესტუმროს და არ გააცდინოს. მეტს აღარ მივალ. დამთავრდა ჩვენი ამხანაგობა. არც შენ გირჩევ მისვლას...

— რას აკეთებ? — ვკითხე.

— ნუღარ მკითხავ. ლამისაა მეც წიგნს მოვკიდო ხელი. წეღან იუზა შემხვდა. ხელში ორმოცი ცალი საერთო რვეული ეჭირა და სადღაც გარბოდა.

გიორგი კეჭაღმაძე
ჩემი პატარა ლანდი

მასწავლებელთან დავდივარო. ემზადება ბიჭი. გაფუჭდა ქვეყანა...

ცოტა ხნის შემდეგ მკითხა:

— აკოცე ნატოს?

— ჰო.

— მართლა, მართლა!

— არა.

— მაშინ მე რაღად დამაკარგვინე?

არაფერი მითქვამს.

— მშიშარა ხარ... შეგეშინდებოდა. ვერ დაინახე, ძალად გაგაცილებინა თავი? გოგო სათოფეზე რომ არ მოგეკაროს, ახი იქნება.

ვდუმდი.

— დაგეძინა?

— . . .

— მომებარე შეგირდად... გასწავლი, როგორ უნდა მოექცე გოგოებს.

— . . .

— ხმას რატომ არ იღებ? დაგეძინა თუ რა დაგემართა?

ძალიან მინდოდა, რაღაც ისეთი მეთქვა ჯაბასთვის, გამეცოფებინა. ამაზე ვფიქრობდი, რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ავდექი და ყურმილი დავკიდე.

3

ქალაქიდან რომ გავედით, მამამ მანქანა გააჩერა, კარი გააღო და მეორე მხრიდან შემოუარა.

— აბა, წაიყვანე!

მაღირსა, როგორც იქნა. ვერ გეტყვით, ხშირად იმიტომ არ გვავარჯიშებს, მანქანას უფრთხილდება-მეთქი. თუ მანქანა გაფუჭდა, ადგება და შეაკეთებინებს. ფულს არასდროს არ დაჰკანკალებს. ეგ არის, ათასში ერთხელ თუ მოიცლის ჩვენთვის.

ნუნუ უკანა სავარძელზე გარინდულიყო. ძალიან უყვარს მანქანით სეირნობა. ეს რამდენიმე დღეა, ჩემს ჯიბრზე მანაც აიჩემა, მართვა უნდა ვისწავლოო.

— მე წავიყვანო? — იკითხა და წამოიწია.

— მერაბი წაიყვანს, — უთხრა მამამ, — შენ მერე...

საჭეს ხელი შევახე. მამა გვერდით მომიჯდა. გასაღები გადავატრიალე და სტარტერი ჩავრთე. ვიგრძენი, როგორ წამოვწითლდი სახეზე.

— ნუ ხარ ასე დაძაბული, — მითხრა მამამ, — თავისუფლად...

— ვიცი... პირველად ხომ არ მიმყავს.

რა თქმა უნდა, საჭესთან პირველად არ ვიჯექი. მაინც უცნაურად ვღელავდი. ვერ იქნა და ვერ შევეჩვიე.

მანქანა რომ დაიძრა, ყურებიც კი გამიხურდა.

— გამოცვალე სიჩქარე.

— ვიცი, მე თვითონ...

სიჩქარეს ვუმატე. მალე მეოთხეც ჩავრთე. ცოტა ხანიც და სპიდომეტრმა სამოცდაათი აჩვენა. გზა ისეთი სწორი იყო, ნელა ზოზინი არც გვეპატიებოდა. ყველა ხომ არ უნდა მიმხვდარიყო, რომ ახლა ვსწავლობდი მართვას.

— ნელა... არსად მიგვეჩქარება.

— ნუ გეშინია.

— ახლა მე! — წამოიძახა ნუნუმ.

— დამაცადე...

— გზაჯვარედინზე მოუხვიე. რატომ იბნევი? ჯერ სიჩქარე შეანელე...

— ვიცი...

— დათოს ხომ აქვს მართვის უფლება? — ჰკითხა ნუნუმ მამას, — მანქანას რატომ არ ათხოვებ?

მამა დუმდა.

— არც მე მათხოვებ? — ჰკითხა ნუნუმ.

— გათხოვებ...

— მერაბს?

— მერაბსაც. მაგრამ ჯერ კარგად უნდა ისწავლოთ.

— დათოს რაღას ერჩი?

— მასაც ვათხოვებ, — თქვა მამამ,— ნუ ჩქარობ, — მომიბრუნდა მე, — რამდენჯერ უნდა გითხრა, არსად არ მიგვეჩქარება...

— ახლა მე!—ნუნუ სავარძელზე ვერ ისვენებდა.

— კარგი, გააჩერე, — მითხრა მამამ.

მანქანა გავაჩერე და გადმოვედი. უკანა სავარძელზე დავჯექი და კარი მოვკეტე. „რა ქალის საქმეა მანქანის

მართვა“, — ვფიქრობდი გაბრაზებული. თუმცა ძალიან მომწონს, როცა საჭესთან გოგოებს დავინახავ ხოლმე; უხდებათ. ნუნუსაც მოუხდება. იმიტომ ვბრაზობდი, რომ ვიცოდი, ნუნუს მაინც მალე მობეზრდებოდა მანქანა. ასე იცის. ყველაფერი ხელად ბეზრდება ბავშვივით. მანქანის მართვის შესწავლასაც ვერ მოასწრებს და მობეზრდება. თანაც არა მგონია, მამაჩემმა თავის სიტყვა შეასრულოს და მანქანა ათხოვოს.

— ნადირობა გიყვარს? — ვკითხე მამაჩემს. თვითონაც არ ვიცი, რამ გამახსენა ნადირობა. მამაჩემი დაძაბული ადევნებდა ნუნუს თვალყურს და ჩემი შეკითხვა არ გაუგია.

— ნადირობა თუ გიყვარს? — გავუმეორე კითხვა.

მოიხედა.

— ნადირობა?

— ჰო.

— არა... ჩემს დღეში არ მინადირია.

— რატომ?

— არ მეცალა... არასდროს არ მქონია სამაგისო დრო.

მამას შინ საუკეთესო ორლულიანი თოფი აქვს. ერთ ცნობილ გენერალს უჩუქებია ომის დროს. სასოებით ინახავს.

— სხვები ხომ დადიან სანადიროდ? შენ სხვაზე ნაკლები რით ხარ?

რატომღაც ძალიან მინდა, მამაჩემს ნადირობა უყვარდეს, ან თევზაობდეს ხოლმე, ან ფეხბურთზე მაინც დადიოდეს და სატურნირო ცხრილებს ჩაკირკიტებდეს. ეგ კი არა, უბრალო საფოსტო მარკებსა და ასანთის კოლოფებს რომ აგროვებდეს, ალბათ ათჯერ მეტად მეყვარება. მარკებისა და ასანთის კოლოფების შეგროვება პირადად ძალიან არასერიოზულ საქმედ მიმაჩნია, მაგრამ არც მამაჩემის მეტისმეტი სერიოზულობა მომწონს. ასე მგონია, ქვეყანაზე თავის საავადმყოფოსა და ავადმყოფების გარდა არაფერი აინტერესებს. ხომ ამდენი ხანია, მანქანა ჰყავს და ჯერ არ მინახავს, მაზუთში ხელი ჰქონოდეს ამოსვრილი. თუ მანქანას რამე დაუზიანდება, მაშინვე ხელოსანს დაუძახებს. შეაკეთებინებს, ფულს მისცემს და გაისტუმრებს. თვითონ ახლოსაც არ ეკარება გაფუჭებულ მანქანას. საერთოდ, ჭირივით ეჯავრება ჩხირკედელაობა.

— არც თევზაობა გიყვარს?

მამაჩემმა შემომხედა.

— სად მცალია სათევზაოდ.

ეჭვი არ მეპარება, რომ მამაჩემი სხვებზე ჭკვიანია. ტყუილად კი არ იცნობს მთელი ქალაქი. სად სცალია სანადიროდ ან სათევზაოდ, ან ფეხბურთზე სარბენად და მარკების საგროვებლად. ეგღა აკლია... ისე კი მომწონს, ძალიან ჭკვიანი კაცი ხანდახან ბავშვივით გულუბრყვილოდ რომ მოიქცევა და იგრძნობ, ესეც ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილაო.

— ერთი სანადიროდ წამიყვანა, მეტი არაფერი მინდა! — ვუთხარი მამას.

— რაზე უნდა ინადირო? მარტო ბეღურას მოკვლა არ აუკრძალავთ ჯერ.

— მაინც კარგია ნადირობა.

უცბად წინა სავარძლის საზურგეს თავით დავეჯახე, გაისმა მუხრუჭების წივილი და ღრჭიალი. თავი რომ ავწიე, დავინახე: გაფითრებული ნუნუ საჭეს ჩაფრენოდა და გაშეშებულიყო. მამასაც წასვლოდა ფერი, თუმცა მაინც ნუნუს ამშვიდებდა:

— არაფერია, ნუ გეშინია...

ჩვენი მანქანა გზაზე გარდიგარდმოდ იყო გაჩერებული. ეშმაკმა იცის, სად მიჰყავდა ნუნუს. თუმცა შეიძლება უეცარი დამუხრუჭების დროს შემოტრიალდა ასე. ცოტა მოშორებით, ზედ თხრილის პირას, „ვოლგა“ იდგა. იქიდან მაღალი კაცი გადმოვიდა და ჩვენთან მოვარდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო. მამაც გადმოვიდა მანქანიდან. დაბნეული და შეწუხებული იყო. კაცს მიეგება. ნუნუს არც ახლა აუწევია თავი. მეც გავაღე მანქანის კარი.

გიორგი კეჟალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

უცებ კაცი შეჩერდა. ადგილზე გაშეშდა.

— მაპატიეთ, — უთხრა მამამ, — ჩვენი ბრალი იყო.

— აბა, რას ბრძანებთ, ბატონო ალექსი, მე თვითონ... უკაცრავად.

— ბავშვს მოჰყავდა. ხომ იცით... სწავლობს და...

— არა უშავს. რა მოხდა მერე? — კაცმა გაიღიმა, — ძალიან კი შემეშინდა, — სახეზე ახლაც ედო მკვდრის ფერი, — იმიტომ ვერ გიცანით...

— უკაცრავად, — გაიმეორა მამამ.

— რა მოხდა მერე... კარგად ბრძანდებოდეთ.

კაცი წავიდა. მამამ ნუნუს ანიშნა, ადგილი დამითმეო და საჭეს თვითონ მიუჯდა.

— ვინ იყო? — ვკითხე, როცა „ვოლგა“ დაიძრა.

— არ ვიცი, — მამამ მხრები აიჩეჩა და მანქანას თვალი გააყოლა, — ცოტა ნაცნობი სახე კი ჰქონდა.

— რა ფერი ედო! ისე იყო გაცოფებული, მეგონა ცოცხალს არ გაგვიშვებდა, — ვთქვი და ცოტა ხნის შემდეგ დავუმატე, — რა გოგოს საქმეა მანქანის მართვა?

ნუნუმ შემომიბღვირა, მაგრამ არაფერი უთქვამს. საწყალ გოგოს შიშისაგან გული გახეთქილი ჰქონდა. ჯერაც ვერ მოსულიყო გონს.

●

— გინდა ვითევზაოთ? — მკითხა უცებ მამამ.

თვალებში შევხედე, იღიმებოდა. იფიქრებდით, ხუმრობსო. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ არ ხუმრობდა. მაინც ვკითხე:

— რა თქვი?

— თუ გინდა ვითევზაოთ-მეთქი, — მერე თითქოს ამ უცნაურ გადაწყვეტილებას ამართლებსო, დაუმატა, — დღეს უნდა დავისვენო.

მე რას მომატყუებდა. დასვენება არაფერ შუაში იყო. მამაჩემს თევზაობა უნდოდა. „იქნებ ჩემი გულისთვის აკეთებს ამას?“ — გავიფიქრე და ხელადვე დავასკვენი, რომ ნამდვილად ასე იქნებოდა. ერთ წამში მოვიმატე სიმაღლეში, მანქანაში ვერ ვეტეოდი.

— ვითევზაოთ! — დაიძახა ნუნუმ, — რა კარგია! — წამით ჩაფიქრდა, — როგორ, ანკესებით ხომ არა?

— ჰო, ანკესებით, — უთხრა მამამ.

იუზა ხომ არ დაგავიწყდათ? მგონი ვახსენე სადღაც. ჩემთან დაამთავრა სკოლა. სოფლელი ბიჭია. შარშან გადმოვიდა ქალაქში. მისი მშობლები ისევ სოფელში ცხოვრობენ. მარტო ბიჭი გამოგზავნეს ბიძამისთან, ქალაქში უფრო კარგად ისწავლისო. იუზა ზოგი სოფლელივით ენაჩავარდნილი კი არ იყო მთელი წელი იმის შიშით, ქალაქელებმა არ გამამასხარაონო, პირიქით: ჩვენს კლასში ყველაზე მეტს თვითონ ლაქლაქებდა ხოლმე. ენაზე მუდამ თევზაობა და ნადირობა ეკერა. მისთვის რომ დაგეჯერებინა, ისა და მამამისი სოფელში თურმე ნადირობისა და თევზაობის მეტს არაფერს აკეთებდნენ. ერთ დღეს ვუთხარი, სტყუი, მამაშენს ამდენი სად ეცლება, შენთან სათევზაოდ და სანადიროდ იაროს, რომც ეცალოს, არ იკადრებს-მეთქი. უნდა გენახათ, როგორ გააცეცხლა ჩემმა სიტყვებმა: შენ მამაჩემი ისეთი ხომ არ გგონია, ზოგის მამა რომ იბზეკს ცხვირს, შვილი პროფესორი რომ ჰყავდეს, მაინც ამრეზილად უყურებს და, საერთოდ, პირდაპირ არც კი უმზერს, ვითომდა ჩემზე მეტი მაინც არაფერი იციო. დამენიძლავა და იმავე ზამთარს არდადეგებზე თავის სოფელში წამიყვანა. ერთი წუთითაც არ მოვცილებივარ, არ იცუღლუტოს და მამამისს ჩუმად არ გააგებინოს, დანიძლავებული რომ ვართ-მეთქი. მაინც წავაგე. მეორე დილით მამამისმა ადრიანად გაგვაღვიძა და გვითხრა: „აბა, გვინადირია ახლა...“ იუზას ხმა არ გაუღია, მხოლოდ გადმომხედა და თვალი ჩამიკრა. მამამისმა ცოტა ხნის შემდეგ უთხრა: „აბა, ადექით... ყველაფერი მზადაა... შენს მეგობარს უყვარს ნადირობა?“ იუზას მაინც არაფერი უთქვამს. მიმზერდა და ნიშნის-

მოგებით მიღიმოდა, აჰა, ხომ გაიგონეო. „ბოლოსდაბოლოს ადგებით თუ არა? — გაბრაზდა მამამისი, — იქნება არ გინდათ სანადიროდ წასვლა?“ „მერე წავიდეთ, — უთხრა იუზამ, — ხვალ, ან ზეგ. დღეს მეზარება რაღაც...“ ბავშვივით ეწყინა. ჩემს დღეში არ მენახა ასეთი რამ. იმედგაცრუებულმა ერთხანს თვალებში უმზირა ბიჭს, თითქოს ემუქრებოდა. დაიცა, ჩამივარდები ხელშიო. ბოლოს ჩაილაპარაკა: „უარესი მეკუთვნის, ბიძაშენს რომ დავუჯერე და ქალაქში გავატანე შენი თავი. ახლა, ალბათ ფეხის დასველებას სიკვდილი გირჩევნია“. არა მგონია, ასეთი კაცი ბევრი იყოს ქვეყანაზე. ერთი პირობა ეჭვიც კი შემეპარა, იქნება იუზამ მომიწყო ეს სცენა-მეთქი. სანადიროდ მაინც წავედით იმ დღეს. არაფერი მოგვიკლავს. საღამომდე გაუკვალავ თოვლში დავდიოდით. ეს იყო და ეს. ის კაცი მაინც ძალიან კმაყოფილი იყო. იფიქრებდით, ასე იღბლიანად თავის დღეში არ უნადირიაო. ჩვენც კმაყოფილი ვიყავით. ერთი სიტყვით, იუზას მამა კიდევ უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ბიჭის ნალაქლაქევით შეიძლებოდა წარმოგედგინა. განსაკუთრებით ის მომწონდა, რომ იუზას ყველაფერს ისე მორიდებით ეკითხებოდა, თითქოს დიდი ჭკუასაკითხავი ვინმე ჰყოლოდეს. „იულონა (იულონს ეძახდა), ეს ხე უნდა მოვჭრა, რას იტყვი შენ, კარგი იქნება, ხომ?“ „იყოს, რას გიშავებს?“ „არ მოვჭრა? თუ გინდა არ მოვჭრი. ისე კი ნამდვილად მოსაჭრელია. გამიფუჭა ბაღი. ხედავ, როგორ ჩრდილავს ყველაფერს?..“ „თუ ასეა, მოჭერი, მე რას მიყურებ...“ „კარგი, მაშინ მოვჭრი...“

ჰოდა, მამაჩემმა თევზაობა რომ ახსენა, სწორედ ის კაცი მომაგონდა და უცებ მომინდა, მამაჩემისთვის მხარზე დამეკრა ხელი, როგორც იუზა აკეთებდა ხოლმე, და მეთქვა: „ყოჩაღ, ძველო. აი, ეს მწამს. წავიდეთ, ვითევზაოთ...“ წამოვიწიე კიდეც, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ამას ვერასოდეს ვერ გავბედავდი. ალბათ ასეც სჯობია. აბა რას ემსგავსება, შვილმა მამას თანატოლივით რომ უტყაპუნოს მხარზე ხელი. თანაც ვის, საქვეყნოდ ცნობილ ქირურგს, დიდი და პატარა მოწიწებით რომ უკრავს თავს. იუზას მამა მაინც სხვაა. უბრალო მიწის მუშაა და ვინ იცის, იუზა პროფესორი ჰგონია. ალბათ დიდ პატივადაც მიაჩნია, იუზა თუ იკადრებს და გაესაუბრება ხოლმე, ან სანადიროდ და სათევზაოდ თუ წაჰყვება. მისგან მამამისს ბევრი ჭკვიანური და საინტერესო ამბის გაგონება შეუძლია. აბა ჩემგან რა უნდა გაიგონოს მამაჩემმა ისეთი, ჯერ რომ არ სმენია?..

ყოველ შემთხვევაში, სათევზაოდ მეც მივყვები მამაჩემს.

— ანკესები სად ვიშოვოთ? — ვკითხე.

— ახლავე დავბრუნდებით და ვიყიდით.

ქალაქში დავბრუნდით. ჯერ ანკესები ვიყიდეთ. მერე, რახან სადილობა მოახლოებული იყო, სანოვაგეც მოვიმარაგეთ: ბაზარში შევიარეთ და ხილი, მწვანილი და კონსერვები ვიყიდეთ.

— დიდხანს დარჩებით წყალზე? — გვკითხა ნუნუმ, ამდენი სურსათ-სანოვაგით მანქანაში რომ დავბრუნდით.

— საღამომდე, — მიუგო მამამ.

— მე აღარ წამოვალ, — თქვა ნუნუმ, — საღამომდე მდინარეზე რა გამაჩერებს?

— სილაზე დაწექი და გაშავდი. ხედავ, როგორი მზეა?

— საღამომდე?

— რაღა დარჩა. უკვე შუადღეა.

შევატყვე, მამას ძალიან უნდოდა, რომ ნუნუც წამოსულიყო. არ მესიამოვნა. ჯერ ერთი, სად გაგონილა გოგოების ანკესობა და მეორეც, მინდოდა დამეჯერებინა, რომ ეს თევზაობა მამამ ჩემთვის მოიწადინა.

— წავედი, — თქვა ნუნუმ და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა — ტროლეიბუსის გაჩერებასთან. მამამ წყენით გაა-

ყოლა თვალი. წამით შემეშინდა კიდეც, მდინარეზე წასვლა ამანაც არ გადაიფიქროს-მეთქი, მაგრამ მამამ გაიღიმა და მანქანის კარი გამოაღო:

— ჩვენ წავიდეთ. მართლაც, რა გოგოების საქმეა ანკესი.

●

ძალიან ცხელოდა. მანქანა ზევით, მაღალი, ტოტებგაფარჩხული ნიგვზის ჩრდილში დავაყენეთ, სანოვაგე წავიღეთ და ნაპირისაკენ დავეშვით. ნაპირს რომ მივუახლოვდით, ფეხზე გავიხადეთ. ცხელი სილა და კენჭები ფეხისგულებზე გვიღიტინებდა, მამაჩემი წინ მიდიოდა. დროდადრო ისე შეხტებოდა, თითქოს ნემსს დააბიჯაო.

— ვიბანაოთ ბარემ, — მითხრა მამამ.

ტანსაცმელი გავიხადეთ და წყალში შევედით. წყალი თბილი და დაწმენდილი იყო. კარგა ხანს ვიჭყუმპალავეთ. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. სიჩუმეს მხოლოდ მდინარის წყნარი დუდუნი არღვევდა.

ამოვედი და ანკესის თასმა გრძელ ჯოხზე მივაბი. ჯოხი იქვე, მდინარის პირას მოვჭერი.

— წავიდეთ, სილაზე დავწვეთ, — მითხრა მამამ, როცა ისიც ამოვიდა წყლიდან და ხელი ტირიფებისაკენ გაიშვირა, — მერე ვითევზაოთ. არსად გაიქცევიან შენი თევზები.

თასმა ჯოხზე დავახვიე და მამაჩემს გავყევი. თან მდინარისკენ ვიცქირებოდი, მყუდრო ადგილებს ვარჩევდი. წყლის ზედაპირი ვერცხლისფრად ბზინავდა. აქა-იქ, ნაპირთან თევზსაც მოვკარი თვალი. ერთი სული მქონდა, როდის ჩავუშვებდი ანკესს წყალში, მაგრამ ჯერ სილაზე უნდა გავწოლილიყავი, ეს მამაჩემის სურვილი იყო და ხათრს ვერ გავუტეხდი.

— ან რა აზრი აქვს, დავიჭერთ თევზს თუ არა, — მითხრა მამამ. მზეს შეხედა და სახეზე აღტაცება გამოეხატა, — აი, ესაა მთავარი, — ხელები ფართოდ გაშალა.

— ჰო, — დავეთანხმე მე. იმ წუთს საოცრად ჰგავდა იუზას მამას. თუმცა მამაჩემი მსუქანი და დაბალი იყო, იუზას მამა კი მაღალი და ხმელ-ხმელი.

ვისადილეთ და ტირიფების ჩრდილში წამოვწექით ცხელ სილაზე.

მამაჩემი პირაღმა იწვა. თვალი დაეხუჭა და თვლემდა. მალე მომწყინდა. სტვენა დავიწყე. მამაჩემმა ცალი თვალი გაახილა და შემომხედა. არაფერი უთქვამს. რომ აღარ გავჩერდი, გაჯავრებულმა ჩაილაპარაკა:

— არ მოასვენებ კაცს?

სტვენა შევწყვიტე.

ჩვენს კლასში პატარა ტრიო გვყავდა, მსტვენელთა ტრიო: ჯაბა, იუზა და მე. ხმა არ მივარგა, თორემ სმენა, საერთოდ, არა მაქვს ცუდი.

— ცუდად ვუსტვენ? — ვკითხე მამას.

არაფერი გაუგონია. უკვე ეძინა, ღრმად, თანაბრად სუნთქავდა. პირაღმა იწვა.

თანდათან ხვრინვა ამოუშვა. სტვენა დავაპირე, რომ გამეღვიძებინა, მაგრამ ვერ გავბედე.

მამაჩემი გულიანად ხვრინავდა. ისეთ გუნებაზე ვიყავი, ისე მომწყინდა, ლამის ავმდგარიყავი და ფეხით წავსულიყავი შინ. თევზაობაც მეზარებოდა.

ნეტა თუ შეუძლია მამაჩემს თევზაობა? არა მგონია. ალბთ ვაჯობებდი. ამასაც ცოდნა უნდა, როგორ გაბრაზდებოდა, ერთ თევზსაც რომ ვერ დაიჭერდა. აი, ეს იქნებოდა სეირი...

ამ ფიქრმა ოდნავ გამართო და ცოტათი გავმხიარულდი კიდეც. მაგრამ მერე გავიფიქრე: შეიძლება მამაჩემი სულაც არ გაბრაზებულიყო, თევზს რომ ვერ დაიჭერდა. გულგრილი ღიმილით ჩაილაპარაკებდა: „თევზაობა არაფერია. აი, ესაა მთავარი, — მზეს შეხედავდა და დაუმატებდა. მთელი დღე რომ დააღამო, ნახევარ კილო თევზსაც ვერ დაიჭერ. რა აზრი აქვს ასეთ თევზაობას. წადი ბაზარში, იყიდე, რამდენიც გინდა.“ — ამის გაფიქრებაზე ისევ დავღონდი.

რაღას მატყუებდა, ვითევზაოთო, თუ ძილისთვის მოდიოდა? ვთქვათ, ჩემს მა-

კივრად ვინმე თავისი ამხანაგი წამოჰყოლოდა, მაშინაც წამოწვებოდა და ბვრინვას ამოუშვებდა? თუ კაცს ჰატივს სცემ, იმასთან, რა თქმა უნდა, ამას არ გააკეთებ.

ავდექი, ჩემი ანკესი ავიღე და ნაპირს დავყევი. ვერაფერი დავიჭირე. თევზი ახლოსაც არ ეკარებოდა ანკესს.

ჯოხი შუაზე გადავტეხე და ანკესიანად წყალს გავატანე. მერე მანქანაში დავბრუნდი კარი ჩაკეტილი იყო. ბევრი ვიწვალე, სანამ გავაღებდი. ამუშავებით მაინც ვერ ავამუშავე. ვიფიქრე, ჩავალ და გასაღებს მამას ჯიბიდან ამოვართმევ-მეთქი. მაგრამ შემეზარა კვლავ ქვევით ჩასვლა. თანაც მეშინოდა, ვიცოდი, გამიჯავრდებოდა.

გაბრაზებული უკანა სავარძელზე მივწექი და დავიძინე.

●

კინოთეატრ „რუსთაველთან“ რომ ჩამოვიარე, ნატო და ცირა დავინახე, აფიშას მისჩერებოდნენ. თვალი მომკრეს თუ არა, მომცვივდნენ და ხელები ჩამჭიდეს.

— შედიხართ? — ვკითხე გოგოებს.

— არ ვიცი, — ნატო შეყოყმანდა,— ხომ არ შევსულიყავით? მიუბრუნდა ცირას.

ცირა ყოყმანობდა.

— კარგი ფილმია.

— სასაცილოა?

— ჰო.

— შენ უკვე ნახე? — მკითხა ნატომ.

— არა, მაგრამ ვიცი, ძალიან სასაცილო ყოფილა.

— თქვენ შედით, — გვითხრა ცირამ, — მე არ მცალია.

თვალებზე შევატყვე, სულით და გულით უნდოდა სურათის ნახვა, ამიტომაც იყო მოსული. მაგრამ უცებ შეტრიალდა და არც დაგვმშვიდობებია, ისე გაიქცა. თითქოს ეშინოდა, არ შემაჩერონო. მე და ნატომ ბილეთები ავიღეთ, დარბაზში შევედით და სკამებზე დავსხედით. სეანსის დაწყებას ოცი წუთი აკლდა.

— ცირა რატომ გაიქცა? — ვკითხე.

— არ ვიცი, — ნატომ თვალი ამარიდა. იფიქრებდით, იცის, მაგრამ გამხელა არ უნდაო.

— სურათის სანახავად არ მოხვედით?

— ჰო, მაგრამ წავიდა და რა ვიცი, სად წავიდა...

„ალბათ უკვე იცის ჩვენი საიდუმლო. საიდან გაიგო? ნატო ეტყოდა. რა სულელები არიან გოგოები. გულმა არ მოუთმინა და ყველაფერი ჩაუკაკლა“.

— შენ უთხარი რამე?

— რა უნდა მეთქვა?

„სამნი რომ ვყოფილიყავით, უფრო გავერთობოდით. სალაპარაკო მეტი გვექნებოდა. ახლა რაზე უნდა ვილაპარაკოთ, სიყვარულზე? ნურას უკაცრავად. მაშინაც არ უნდა მეთქვა, მიყვარხარ-მეთქი. თორემ რა გამოვიდა: გოგოს ჰგონია, მიყვარს, მე კი არც ვიცი, მიყვარს თუ არა“.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა ნატომ.

— არაფერზე.

— როგორ შეიძლება, არაფერზე ფიქრობდე. მითხარი, რას ფიქრობდი და მეც გეტყვი, კარგი? ოღონდ გულწრფელად.

— რა ვთქვა? არაფერსაც არ ვფიქრობდი.

— თქვი რა, გეხვეწები!..

„ძვირი დამიჯდება ის ერთი კოცნა. ნეტა თვითონ რას ფიქრობდა?“

— ჯერ შენ მითხარი.

— არა, ჯერ შენ...

— ორი დღის შემდეგ მთაში მივდივარ. დათვებზე უნდა ვინადიროთ.

— დათვებზე?!.

— ჰო, დათვებზე.

ნატო თვალებში მიმზერდა, ვერ გაერკვია, ვხუმრობდი თუ სიმართლეს ვამბობდი.

— რამდენნი მიდიხართ? — მკითხა ბოლოს.

— ხუთნი ვიქნებით... ყველაფერი

გიორგი კეჟალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

მზადა გვაქვს, თოფები, ტყვია-წამალი, კარვები. ათ დღეს დავრჩებით მთაში.

— რა კარგია!

— კარგია, — დავეთანხმე მეც, — ოღონდ ცოტა საშიშია.

— საშიშია?

— ჰო. დათვი თუ დაიჭრა, მერე მტრისას.

ნატოს ვერ გადაეწყვიტა, შევბრალებოდი თუ არა.

— გოგოები ხომ არ მოდიან?

— როდის იყო, გოგოები დათვებზე ნადირობდნენ.

— მართლაც...

— დათვი რომ დაინახო, შიშისაგან გული გაგისკდება.

— ალბათ, — დამეთანხმა ნატო, — ისე, წამიყვანდი?..

— რატომაც არა... შენ თუ ძალიან გინდა, წამოდი. მე თანახმა ვარ. სხვებზე კი ვერაფერს გეტყვი... წინასწარ ვიცი, სასტიკ უარზე დადგებიან.

— შენ არ გეწყინებოდა, რომ წამოვსულიყავი? შენ მომცემდი ნებას? —

— მე არ მეწყინებოდა.

„იქნებ არც ვარგა, აქედანვე რომ ვათამამებ“.

მკლავზე ხელი მოვკიდე და ტანზე მომეკრა. მივიხედ-მოვიხედე. დარბაზი სავსე იყო ხალხით.

4

ოთახში მარტო სულთანი დამხვდა. ფანჯარასთან იჯდა, ხელში რვეული და ფანქარი ეჭირა. ლექსს თუ წერდა.

— გამარჯობა.

თავი დამიქნია და უსიტყვოდ მანიშნა, მოდი და დაჯექიო.

მე საწოლზე ჩამოვჯექი და კარგა ხანს ხმა არ გამიღია. სულთანი წამოწვა და ჭერს მიაშტერდა, მომწყინდა ასე ჯდომა. ვუთხარი:

— ჰო, დაწერე, რაღას უცდი.

გაკვირვებულმა გადმომხედა.

— რა დავწერო?

— რასაც წერდი.

— არაფერს არ ვწერდი.

თემურმა მითხრა, პოეტები, ცოტა არ იყოს, უცნაურები არიანო. ზოგი იმიტომ, რომ მართლა უცნაურია, ზოგი კი განგებ იქცევა ახირებულად, ამით უნდა დაამტკიცოს, ნიჭიერი პოეტი ვარო.

— როდის მივდივართ?

— სად?

— მე რა ვიცი, სად... მთაში.

— ჰოო, მთაში? — სულთანი ჩაფიქრდა. არ ვიცი, რა ჰქონდა იმდენი საფიქრალი, — ხვალ დილით, — ამოღერღა, როგორც იქნა. მერე წამოიწია და შემომხედა, — ახლა მეკითხები? ჩვენ უკვე ყველაფერი მზადა გვაქვს.

განა არ ვიცოდი, რომ ხვალ მივდიოდით, მზადაც ვიყავი. იმიტომ ვკითხე, ხომ არ გადაიფიქრეს-მეთქი.

— კარავი იშოვეთ?

— ჰო... მართლა, აქედანვე გაფრთხილებ, ჭადრაკი, ან სხვა რამე სათამაშოები არ წამოიღო, წიგნებისაგანაც შეიკავე თავი. იქ სამაგისო დრო არ გვექნება.

სულთანი ადგა, კომოდის თავზე დადგმულ სარკეს მიუჯდა და თმის ვარცხნა დაიწყო. მის ადგილას სულ გადავიპარსავდი თმას. ამოდენა თავის პატრონს რაღა თმის მოშვება უნდა. ახლა თმაც ნახეთ, როგორი აქვს. ნამდვილი ჯაგარია. დგას ყალყზე და არც უკან მიდის, არც გვერდზე ჩერდება. ასეთ კაცს თმა თუ გასცვივა, მადლია, დაისვენებს.

უცებ ვარცხნა შეწყვიტა. რაღაც მოაგონდა. ადგილიდან წამოვარდა, საწოლებს ჩამოუარა, ქვემოდან გატენილი ზურგჩანთები გამოათრია და ჩხრეკას შეუდგა.

— რას ეძებ?

— ჭადრაკებს... შენც მომეხმარე, თორემ მოგვისწრებენ და მერე გვიანღა იქნება.

მალე ერთ-ერთ ჩანთაში პატარა ხის კოლოფი ვიპოვე, ზედ ცხენის თავი ეხატა. გახარებულმა სულთანმა კოლოფი გამომართვა და თავისი ლეიბის ქვეშ ამოდო. მერე ისევ განვაგრძეთ ძებნა.

ახლა მეორე ჩანთას მივწვდი. ძლივს ავწიე, ისეთი მძიმე იყო.

— ეგ ჩემი ჩანთაა, — მითხრა სულთანმა, — თავი გაანებე.

ძალიან მაინტერესებდა, ნეტა ამ სიმძიმე რა მოაქვს-მეთქი. სწრაფად მოვხსენი პირი.

— წიგნები?!

სულთანმა ჩანთას ჩახედა. დაიბნა.

— რად გინდა ამდენი წიგნი?

— მართლა ბევრი ჩამიწყვია, უნდა მოვაკლო.

იქვე შეუდგა გადარჩევას.

სულთანი ისევ თავის ჩანთასთან იყო წამოჩოქილი, ოთახში თემური, ზაური და მამია რომ შემოვიდნენ.

ახლაღა გამახსენდა, რომ ოთახში მხოლოდ სამი ზურგჩანთა იყო.

— ვინმე არ მოდის? — ვიკითხე.

— აი, — ზაურმა თემურს გადახედა, — გადაუდებელი საქმეები გამოუჩნდა.

თემური, საერთოდ, არ უნდა იყოს ცუდი ბიჭი. მხოლოდ, ცოტათი ზანტია. ამხანაგებს მაინცადამაინც არ უყვართ და ძალიან მიკვირს. თუმცა რას გაიგებ, უყვართ თუ არა. ზაური ყველას უხეშად ელაპარაკება. მამია სულ დუმს. სულთანს კი წიგნების, ლექსებისა და ქოჩრის მეტი ქვეყანაზე არაფერი ახსოვს. ერთი კი აშკარად იგრძნობა: თემური ცალკეა, ზაური, მამია და სულთანი კი ცალკე.

— მართლა არ მოდიხარ? — ვკითხე თემურს, — რატომ?

არაფერი მიპასუხა. გულგრილად გადაიხედა ფანჯარაში.

— ერთ გოგოს დასდევს, — თქვა ზაურმა, — ამ ბოლო დროს მგონი რაღაცას მიაღწია. ჰოდა, აღარ უნდა ძვირფასი დრო დაკარგოს.

— ზაურ, — თითი დაუქნია თემურმა.

მე არ შევიმჩნიე, რომ უკვე ვხვდებოდი, ვისაც „დასდევდა“ თემური.

— იმ გოგოს მამა ჰყავს ფულიანი...

— ზაურ! — შეაწყვეტინა თემურმა, მერე ჩემკენ გამოაპარა მზერა. მე გვერდზე ვიცქირებოდი.

ამასობაში სულთანმა ისევ ჩააწყო წიგნები ჩანთაში და თავი მოუკრა.

— თოფი არავის მოაქვს? — ვიკითხე მე.

ყველამ მე შემომხედა.

— თოფი რაში გვჭირდება? — გაიკვირვა სულთანმა.

— არაფერი არ შეგვხვდება... კურდღელი, ან თუნდაც დათვი?

— დათვებთან ჯერ საქმე არა გვქონია, — გაიცინა ზაურმა, — კურდღელი კი მართლა შეიძლება შეგვხვდეს.

— გინდათ, წამოვიღო თოფი? — გული მიკანკალებდა, ვაითუ უარი თქვანმეთქი.

— წამოიღე, — მითხრა სულთანმა,— გულის გასახალისებლად დავაქუხებთ ხანდახან.

— ოღონდ შენ უნდა ატარო, — მითხრა ზაურმა.

— რა თქმა უნდა, — დავეთანხმე სწრაფად.

— გაქვს თოფი? — მკითხა მამიამ.

— მამაჩემი მათხოვებს.

მამაჩემი ათასში ერთხელ თუ გამაწბილებს. ცოტას კი აჯაჯღანდება პირველად, მაგრამ მერე აუცილებლად დათმობს. მთავარია, გაბრაზებული არ იყოს. გაბრაზებით კი იშვიათად ბრაზდება. არც ფულზე გეტყვის უარს. მიზეზს გკითხავს, რისთვის გჭირდებაო, მაგრამ ამან არ უნდა შეგაშინოს. უპასუხე, რაც ენაზე მოგადგება. არც კი გიგდებს ყურს. ერთხელ ჩემს ოთახში წიგნების კარადის თავზე ცარცის ფისო ნახა, ყულაბას ჰგავსო, თქვა. მერე აიღო და შეანჯღრია. შიგ ხურდა ფული რომ აჩხრიალდა, ადგა და ათმანეთიანი ჩააგდო. კარგი ხელის ვარო. ცოტა ნასვამი იყო, მაგრამ ასეთ რამეს ფხიზელიც აკეთებს ხოლმე. ამის შემდეგ მეც ბევრჯერ ჩავაგდე იმ ყულაბაში ქაღალდის ფული. რა თქმა უნდა, მამაჩემის მოცემული. ეს მაშინ, როცა ზედმეტი აღმომაჩნდებოდა და სად დამეხარჯა არ ვიცოდი.

ავდექი.

გიორგი კეჭაღმაძე

ჩემი პატარა ლანდი

— ახლა წავალ და ვაზნებს ვიყიდი.

უფრო შინ დაბრუნება მეჩქარებოდა, მამაჩემი თოფის თხოვებაზე უნდა დამეყოლებინა.

●

შუადღემდე ავტობუსით ვიმგზავრეთ. გვარიანად გვანჯღრევდა. სანამ ბოლო გაჩერებას მივაღწევდით, კარგა ხანს ვიჯაყჯაყეთ. ძირს რომ ჩამოვედით, ფეხები ძლივს გავმართეთ. მაგრამ იქვე სასადილო დავინახეთ და დაღლილობაც მაშინვე გადაგვავიწყდა.

ძალიან გვშიოდა. წამოღებული ხორაგისთვის ხელი არ გვიხლია. მე დავაპირე ჩანთიდან კონსერვის ამოღება (ჩანთის შემსუბუქება მინდოდა), მაგრამ ზაურმა არ დამანება. ეგ კი არა, კიდევ დავიმატეთ რამდენიმე პური და კონსერვი. გემრიელად ვისადილეთ. მერე გამოვედით და გზის პირას მაღალ ბალახში გავიშოტეთ.

წამთვლიმა, მაგრამ ვინ დამაცალა. ზაურმა ხელი მკრა და წამოდგა.

— ადექი, გზას უნდა გავუდგეთ.

— ფეხით? — ვიკითხე მე.

— სამხერხაომდე სატვირთო მანქანას გავყვებით, — თქვა მამიამ და ისიც წამოდგა, — მერე კი ფეხით.

ერთხანს მაინც ფეხით ვიარეთ. მერე სატვირთო მანქანა წამოგვეწია და ჯოჯოხეთიც დაიწყო. ამასთან შედარებით ავტობუსით მგზავრობა განცხრომად გვეჩვენა. გზა ხომ ისედაც ოღროჩოღრო იყო და მძღოლსაც ძალიან ეჩქარებოდა. არაფერს ერიდებოდა, არც გზის უსწორმასწორობას, არც ვიწროებს, არც მკვეთრ მოსახვევებს. მაგრამ რას ვიტყოდით, კრიჭაშეკრულნი გამწარებით ჩავფრენოდით ხარიხებს და ჩუმჩუმად ვნატრობდით, მანქანას რაღაც გაფუჭებოდა, რომ ცოტა ხნით სული მოგვეთქვა.

საღამოს სამხერხაოს მივაღწიეთ. სინამდვილეში ეს იყო ამ ათიოდე წლის წინ მიტოვებული ორიოდე ფარდული. ერთს მხოლოდ კედლები ჰქონდა, ეტყობა, სახურავი ქარს აეგლიჯა. მეორეს სახურავზე აქა-იქ შერჩენოდა რამდენიმე დამპალი ყავარი. ალაგ-ალაგ ჩონჩხებივით ეყარა მწყობრიდან გამოსული მოტორისა და სხვა რაღაცეების ნაწილები.

— აქ ჩამოდიხართ, ბიჭებო? — დაგვიძახა მძღოლმა კაბინიდან, ისე რომ სვლა არ შეუნელებია.

— აქ ჩამოვდივართ, — დაიკნავლა მამიამ.

მანქანა გაჩერდა. ძირს პანტაპუნტით გადმოვცვივდით. სულთანმა ჯიბე მოიქექა და მძღოლს ფული შეაძლია. მძღოლმა თავი გადააქნია, არ მინდაო.

მანქანა სწრაფად დაიძრა.

ძლივს მივლასლასდით ჩვენი ბარგიბარხანით იმ მინგრეულ-მონგრეულ ფარდულამდე. მიწაზე კარავი დავაფინეთ, დავეყარეთ და დავიძინეთ.

●

ალიონზე მამიამ გამოგვაღვიძა. გარეთ დილის ნისლი იწვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ აღმართს შევუდექით. წინ მამია მიგვიძღოდა. ის იყო ჩვენი მეგზური. მას ზაური მისდევდა. მე ჩამკეტი ვიყავი. ჩემ წინ სულთანი ებრძოდა აღმართს.

მალე გავხურდით.

როგორც იქნა, მზეც ამოიწვერა და პირველი სხივები დაგვადევნა.

აღმართს ბოლო არ უჩანდა. პირიქით, სულ უფრო დაკიდული და ძნელად ასასვლელი ხდებოდა. მალე მივხვდით, რომ თურმე ხე-ტყის დასაცურებელ ღარს მივყვებოდით. ერთ ადგილას ღარში უზარმაზარი, ტოტებგაფარჩხული ხე ჩახერგილიყო. ძლივს გავძვერით ტოტებს შორის. მივცოცავდით და მივცოცავდით ზევით. ვერც მარჯვნივ გაუხვევდი, ვერც მარცხნივ. ყველაფერი ისე ჩამოეფხიკა ზევიდან ჩამონაცურებ მორებს, ბალახის ღერსაც ვერსად ნახავდით. წურწურით ჩამომდიოდა ოფლი. ცალკე შიშისგან მისკდებოდა გული. ერთიც ვნახოთ, ვინმე წინმიმავალს ფეხი მოცურებოდა და ქვა დაეგორებინა!

შიში მალე გამიმართლდა. ვიღაცამ იყვირა, ქვა მოდისო. გულგახეთქილი კედელს მივეტმასნე. ქვებმა ჩაიხრიგინა და ღარში გაჩხერილ ხის ტოტებს ლაწალუწი აუტეხა. ყვირილი მოვრთე, ჭკუით იარეთ-მეთქი.

— ქვა ხომ არ მოგხვდა? — მომიბრუნდა სულთანი.

— უფრო ფრთხილად ვერ ივლით?— გავუჯავრდი.

— შენ წადი წინ, — მითხრა სულთანმა და გზა დამითმო, — ვნახავ, რა ბიჭიცა ხარ.

უსიტყვოდ დავთანხმდი. მალე ზაურსაც წამოვეწიე.

— წინ წადი, — გზა დამითმო მანაც, — ვაი შენს დღეს, თუნდაც ერთი კენჭი რომ დააგორო.

— ნუ გეშინია.

— თუ გინდა, თოფს მე წამოგიღებ.

— არა.

— არ დაიღალე?

— ჯერ არა.

დაღლილიც ვიყავი და თოფის თრევაც მიჭირდა. ამას დაუმატეთ ვაზნებით გატენილი პატრონტაში, წელზე რომ მქონდა შემოკრული და თავისუფლად მოძრაობას მიშლიდა. არც ჩემი ჩანთა იყო სხვისაზე მსუბუქი. ერთი სიტყვით, ყველაზე მეტ ტვირთს მივათრევდი და თავიც მომწონდა.

მამია კარგა მაღლა ასულიყო. არც უკან იხედებოდა, არც ჩერდებოდა. მიბობღავდა და მიბობღავდა. მარტო მისი ჩანთა მოჩანდა, მეტი არაფერი.

კარგა ხანი გავიდა, აღმართი კი არ ილეოდა და არა. მზე თანდათან მაღლა იწევდა და სულ უფრო და უფრო მწარედ გვაჭერდა კეფაში. გაოფლილი პერანგი ტანზე მეკვროდა. ოფლი შუბლსა და საფეთქლებზე ჩამომდიოდა. ყოველ წუთს ვიწმენდდი სახელოთი, რომ თვალში არ ჩამსვლოდა. ზაური ფეხდაფეხ მომდევდა და წამდაუწუმ მომძახოდა, აბა, გასწიო... მართლა სჯობდა უკან ყოფნა. როცა მომესურვებოდა, მაშინ შევისვენებდი.

მამია კი მიდიოდა და მიდიოდა. „ნეტა რა აჩქარებს? — ვფიქრობდი მე, — არ დაიღალა მაინც? დღეს ხომ არ ვამთავრებთ ამ დაწყევლილ ლაშქრობას. მთელი კვირა წინ არაა?“

ერთ ადგილას ღარი ცოტათი გაფართოვდა. კედლებიც აღარ იყო ისე დამრეცი, როგორც აქამდე. ალაგ-ალაგ ზევიდან ისე გადმოხრილიყო ტოტები, ხელითაც მისწვდებოდა კაცი. ამით გათამამებულმა გზიდან გადავუხვიე და შქერის ბუჩქს მივწვდი. სწრაფად ავბობღდი კედელზე. მერე სხვა ბუჩქს მოვეპოტინე და ღარს თავზე მოვექეცი. ჩრდილში შევძვერი და თავისუფლად ამოვისუნთქე. ჩამოვჯექი.

— მანდ ვერ ივლი, — რომ გამისწორდა, მითხრა ზაურმა, — ხომ ხედავ, წინ გაუვალი ბუჩქებია.

გავიხედე: შქერის ბუჩქები ისე გადახლართულიყვნენ ერთმანეთში, ჩიტიც ვერ გაძვრებოდა.

მაინც ჯიუტად განვაგრძე გზა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბუჩქებში გავიხლართე.

— ხომ გითხარი, — დამიძახა ზაურმა.

ფრთხილად ჩამოვცურდი ქვევით. ფეხი დამისხლტა და შქერის ბუჩქზე ჩამოვეკიდე. ქვები ჯერ კანტიკუნტად, მერე სეტყვასავით დაეშვა ქვევით. ზაურმა დაუყვირა სულთანს, ფრთხილად იყავიო და სულთანის ყვირილიც მოისმა.

კარგ დღეში არც მე ვყოფილვარ. ხელები დამეღალა, ფეხი კი ვერსად მოვიკიდე. ყველგან ზვავდებოდა მიწა და ქვები. ვატყობდი, შქერის ის წვრილი ტოტი, რომელსაც ჩავბღაუჭებოდი, დიდხანს ვერ შემიმაგრებდა.

— რას შვრები ახლა? — ზაური იდგა და უმწეოდ წრიალებდა. ჩემკენ ფეხის გადმოდგმაც ვერ გაებედა, რადგან ისევ ჩამოიმზღვლეოდა ქვები და სულთანს უარესი დღე დაადგებოდა.

გიორგი კეჭალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

— ტოტი წყდება, — ვუთხარი გულგახეთქილმა, — ჩამოვვარდები...

თვალწინ წარმომიდგა, როგორ მივექანებოდი ქვევით ქვებთან ერთად. ცივი ოფლი დამასხა.

— ნუ გეშინია...

— წყდება...

— ცოტა ხანს კიდევ გაუძელი. ცოტა ხანს...

მე კი გავუძლებდი, მაგრამ ან ტოტი მართლა წყდებოდა, ან ძირიანად ითხრებოდა ბუჩქი. ერთი კი იყო, ტოტი ნელ-ნელა მომყვებოდა და მეც დაბლა ვცურდებოდი.

— ჩქარა, სულთან! — დაუძახა ზაურმა. მერე მე მითხრა, — იქნებ ჩანთა მომცე, ან თოფი?

— განძრევაც არ შემიძლია.

— რა იყო? — როგორც იქნა, ამობობღდა სულთანი.

— ჩქარა, წადი წინ, — უთხრა ზაურმა, — მალე ჩვენი მონადირე ჩამოგორდება და იქნებ როგორმე შევაკავო, თორემ თავიდან მოუხდება ამ სიმაღლეზე ამობობღება.

ძირს დავექანე. შქერის ბუჩქი ხელში შემრჩა. ვიღაც ხალათში მწვდა და წამით შემაჩერა. ზაური იყო. ახლა ორივე მივცურავდით ქვევით. ალბათ ასე მისრიალებდნენ ხოლმე ერთმანეთის მიყოლებით ხის მორები. ქვა-ღორღი თან მოგვყვებოდა. მოზრდილი ქვები გვასწრებდა და გრიალ-გრიალით მიისწრაფოდა ქვევით.

უეცრად შევჩერდით, ეტყობა ზაურმა რაღაცას ჩასჭიდა ხელი. განძრევას მაინც ვერ ვბედავდი, სანამ ზაურმა არ მომქაჩა და არ წამომაყენა. ცხვირ-პირი ერთიანად ამოგანგლული ჰქონდა. სახეზე ხელი მოვისვი.

— არაფერი გიჭირთ, — გვანუგეშა სულთანმა, — ნუ გეშინიათ.

— აბა, მონადირევ, — მითხრა ზაურმა, — ხომ არაფერი იტკინე?

ტკივილი ვის ახსოვდა.

შევისვენეთ და კვლავ შევუდექით აღმართს. ზაური ისევ უკან მომდევდა. ახლა გვერდზე გახედვასაც ვერ ვბედავდი, თავდახრილი მივდიოდი. რაც უფრო მაღლა ვიწევდით, თანდათან თხელდებოდა ჩვენს ირგვლივ ბუჩქნარი. ბოლოს აქა-იქ მოტიტვლებული ადგილი გამოჩნდა და უკვე შეიძლებოდა იმ გულისგამწყალებელი ღარიდან ამოსვლა.

მზე უმოწყალოდ აჭერდა. ჩრდილის ძებნაზე არც გვიფიქრია. დავიღალეთ, მაგრამ მზეში გაჩერებას ისევ სიარული სჯობდა. პირი გაგვიშრა და წყლის მცირე მარაგიც გამოგველია. რას ვიფიქრებდით, მთაში წყაროს ვერ ვიპოვიდით. უკვე შეადღე იყო და წყალი არსად შეგვხვედრია.

სულ ზემოთ რამდენიმე მაღალი ხე დავინახეთ. იმედი მოგვეცა და ნაბიჯს მოვუჩქარეთ. ტყე იწყებოდა. მამია გაუჩინარდა ხეებს შორის. ცოტა ხნის მერე ტყეში შევედით და ჩვენი მეთაურიც დავინახეთ, ხის ძირას პირალმა წამოწოლილიყო. ჩვენს ხმაურზე წამით გაახილა თვალი, მაგრამ არ განძრეულა. ისიც გვარიანად იყო დაღლილი. ჩანთები იქვე მივყარ-მოვყარეთ და მიწაზე დავცვივდით.

— გვეჭამა რამე, — თქვა სულთანმა, — შიმშილისაგან კუჭი მეწვის.

— ეგებ წყალი შეგვხვედროდა სადმე, — უთხრა ზაურმა, — უწყლოდ დაგვახრჩობს ეს გამხმარი პური.

სულთანმა ჩანთაში მსხალი იპოვა და უცებ შესანსლა.

პირალმა ვიწექი. გული ამოვარდნაზე მქონდა. ოციოდე ნაბიჯი სირბილით ამოვათავე, ტყეში შევედი და მუხლები თავისით მომეკეცა. ყურები მიგუგუნებდა, ტერფები და წვივები მტკიოდა.

— სულ ეს არის თქვენი ლაშქრობა? — ვთქვი გაბრაზებით.

— სულ ეს არის, — ასწია თავი ზაურმა, — რა, არ მოგწონს?

— თუ სულ ეს იყო, დროზე ვერ მითხარით? რა ჯანდაბა წამომიყვანდა. მეორე დღეა, მოვდივართ და გზას ბოლო არ უჩანს.

— ხომ არ დაგვიძალებია, წამოდიო, — მითხარ მამიამ, — თვითონ აი-

ჩემე. თუ სიარული გეზარებოდა, რაღას მოდიოდი?

რა მეთქმოდა. ვდუმდი.

— მთელი კვირა ასე უნდა ვიხეტიალოთ ამ ხრიოკ მთებზე?

მამია ადგა და ჩანთა აიღო.

— მივდივართ? — შიშით იკითხა სულთანმა.

— ჰო. იქნებ წყაროს წავაწყდეთ სადმე.

მამიამ ჩანთა ზურგზე მოიკიდა. ზაურმა და სულთანმაც მას მიბაძეს.

— ფეხსაც არ მოვიცვლი... — გავჯიუტდი.

ზაურმა ძალით წამომაყენა.

— წყაროს ვნახავთ და იქ დავისვენებთ, არ მოგშივდა მაინც?

ხელი რომ გამიშვა, ისევ მიწაზე დავჯექი.

— ადექი, — მითხრა სულთანმა, — რაც მეტს გაჩერდები, უარესია.

— აი, წყარო! — წამოვიძახე უცებ,— აბა, შეხედეთ!

ჩვენს გვერდით, მაღალ ბალახში წყლით გაჟღენთილ მიწას მოვკარი თვალი. ფეხი დავკარი და წყალმა გაიჭყაპუნა. ბალახი ხელით გადავწიე.

წამში სამივენი ჩემს გვერდით ჩაცუცქდნენ.

— ბიჭოს, მართლა მოწვეთავს რაღაც! — წამოიძახა სულთანმა.

— ღარი რომ გაგვეკეთებინა, ენას მაინც გავისველებდით, — ვთქვი მე. წყალი იმდენად არ მაინტერესებდა, რამდენადაც დროის მოგება და დასვენება. ისე ვიყავი გასავათებული, ნაბიჯის გადადგმას სიკვდილი მერჩია.

სველ ადგილს ბალახი და ფიჩხი მოვაცილე. სულთანმა ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, იქვე რაღაც მაღალი, ბრტყელფოთლებიანი მცენარე მოჭრა, მერე ფოთლები გააცალა და ხელში ღარი შერჩა.

ცოტა ხანიც და ღარში წყალი წამოწანწკარდა. ჭიქა შევუშვირე. მალე აივსო. ოთხივემ გავიყავით ერთი ჭიქა წყალი. ისეთი ცივი იყო, კბილი მოგვჭრა. ბევრი ერთად არ დალიოთო, გაგვფრთხილა ზაურმა და ჩანთიდან ლიტრიანი ტოლჩა ამოაძვრინა. ტოლჩა წყალს შეუდგა. სწრაფად გავშალეთ სუფრა...

●

ტყის ვიწრო ზოლი ავიარეთ და მთის წვერზე აღმოვჩნდით. ერთხანს ქედის გასწვრივ მივდიოდით. მერე ფერდობს დავუყევით. ტყიანი ფერდობი ხეობისკენ ეშვებოდა. ხეობიდან მდინარის ხმაური ისმოდა. მამიამ თქვა, ამ მდინარეზე უნდა გავიდეთო. მისი აზრით, საღამომდე მოვასწრებდით მოპირდაპირე მთაზე ასვლას. არ დაგვცალდა. ტყეში შევედით თუ არა, ნისლი წამოვიდა. მდინარის პირს რომ მივუახლოვდით, ისე ჩამობნელდა, ორიოდე ნაბიჯზე ერთმანეთს ძლივს ვხედავდით.

წყალში გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ასეთ ბურუსში სად მოვნახავდით ფონს. გადავწყვიტეთ, სანამ ნისლი გაიფანტებოდა მდინარის პირას დავბანაკებულიყავით. მამიამ ჩანთა გახსნა და კარავი ამოიღო. სულთანმა წელზე მონადირის პატარა ხელცული მოიხსნა და ტყეში შევიდა სოლების გამოსათლელად.

— ხომ არ გაწვიმდება? — ჰკითხა მამიამ ზაურს, — თუ გაწვიმდა, ცუდად წაგვივა საქმე.

— რატომ? — ვკითხე.

— მდინარე ადიდდება და გაღმა ვერ გავალთ...

— არ გაწვიმდება, — დააიმედა ზაურმა.

მალე სულთანიც მოვიდა და უსიტყვოდ შევუდექით კარვის გაშლას.

ტყიდან შეშა მოვიტანეთ და კარვის წინ ცეცხლი ავაგუზგუზეთ. მერე მდინარის პირს შევყევით, მაღალი ბალახი დავგლიჯეთ და გასაშრობად ცეცხლთან მივიტანეთ. მთელი ზვინი მოვაგროვეთ. ბალახი კარგად რომ გაშრა, კარავში შევიტანეთ და მიწაზე დავაგეთ. ეს უნდა ყოფილიყო ჩვენი ლოგინი.

გიორგი კეჭალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

ნავახშმევს სულთანმა ჩანთიდან რვეული ამოიღო და ცეცხლის შუქზე წერას შეუდგა. მგონი ლექსს წერდა, ან დღიურს.

●

იმ ღამით არ გაწვიმებულა, მაგრამ დილით მდინარეზე გასვლა მაინც ვერ შევძელით. წყალი ძალიან ღრმა იყო. თანაც ისე მძლავრად მოედინებოდა, შიგ რომ ჩავსულიყავით, ნაფოტებივით წაგვიღებდა. ბოლოს გადავწყვიტეთ, მდინარეს ავყოლოდით.

შუადღემდე ასე ვიარეთ. ალაგ-ალაგ ციცაბო ნაპირი ეშვებოდა, ზოგან კი მთები ისე მიჯრილიყვნენ მდინარესთან, თითქოს გასრესას უპირებენო. ამიტომაც ხშირად შორიდან გვიხდებოდა ხოლმე შემოვლა. მამია წუხდა, მარშრუტს ავცდითო. ზაურმა რამდენჯერმე შემოგვთავაზა, წყალი არც ისე ღრმა უნდა იყოს, როგორც გვეჩვენება, გავბედოთ და გაღმა გავიდეთო. მამია მაინც ვერ ბედავდა. ვერც სულთანი. არც მე ვიყავი გაღმა გასვლაზე თანახმა. ვისადილეთ.

კლდის ძირას დასასვენებლად რომ წამოვწექით, გამახსენდა, რომ ჯერ არც კი ვიცოდი, სად მივდიოდით...

— სად მივდივართ? — ვიკითხე.

— მთაში, — მითხრა მამიამ, — ვერა ხედავ?

— ჰო, მაგრამ ასე ხეტიალს რა აზრი აქვს? რამე ხომ უნდა ვნახოთ?

— გაიხედ-გამოიხედე. სანახავის მეტი რაა.

გავიხედ-გამოვიხედე, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი დავინახე, ისეთი, რისთვისაც აქ წამოსვლა, კლდეებზე ხეტიალი, ღამე სიცივისაგან კანკალი, ამდენი სანოვაგის ზურგით თრევა და, საერთოდ, ამდენი წვალება ღირდა.

— აი, იმ მთაზე უნდა ავიდეთ, — მითხრა სულთანმა და ხელი წინ გაიშვირა. მაინც ვერ მივხვდი, რომელ მთას გულისხმობდა, რადგან წინ ბევრი მთა ჩანდა, — იქიდან გადმოვიხედავთ და შინ დავბრუნდებით.

— იმ მთის ძირში პატარა ტბაა, — მითხრა მამიამ, — იმასაც დავათვალიერებთ. ყორნის ტბა ჰქვია. გაგიგონია ყორნის ტბა?

— იქ ტბას რა უნდა? — ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ხუმრობდნენ.

— მივალთ და ნახავ.

— მთავარი მაინც მთიდან გადმოხედვაა. გადმოგიხედავს მაღალი მთიდან?

„სულთანი პოეტია, — გავიფიქრე, — მისთვის ალბათ მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთიდან გადმოხედვას“.

წამით დუმილი ჩამოვარდა. მზემ შეგვაწუხა და კიდევ უფრო მივიყუჟეთ კლდის ძირში. ხეობიდან მდინარის ხმაური ისმოდა. ჩვენს ირგვლივ უცნაურად ახორხლილიყო შიშველი კლდეები. მარჯვნივ და მარცხნივ, ციცაბო ფერდობები ტყით იყო დაფარული.

— ჭადრაკს რატომ აღარ თამაშობთ? — ჰკითხა ბიჭებს სულთანმა.

— მართლაც, ხომ არ გვეთამაშა? — იკითხა ზაურმა.

მამიამ საათზე დაიხედა.

— ერთ პარტიას მოვასწრებთ.

ზაურმა ჩანთაში ჩაყო ხელი. სულთანი პირაღმა გადაწვა მიწაზე.

ზაურმა ჭადრაკი ვერ იპოვა. გაოცებულმა გადახედა მამიას.

— ზეპირად ითამაშეთ, — შესთავაზა სულთანმა, — ჭადრაკი სტუდქალაქის საწყობში ინახება სხვა ბარგი-ბარხანასთან ერთად.

— მართლა? — ზაური მერე ჩანთას მისწვდა და ჭადრაკი ამოიღო.

სულთანი კოლოფს დააკვირდა. მერე წამოდგა და ჩანთას სტაცა ხელი.

— ნუ ჩქარობ, — უთხრა ზაურმა.

სულთანმა ჩანთა დააგდო და მიწაზე დაჯდა:

— ამაღამ აქ მოგვიწევს ღამისთევა,— მითხრა გატანჯული ხმით, — ნახავ თუ არა!

მერე რაღაც წიგნი ამოაძრო ჩანთიდან, კითხვას შეუდგა. მე თოფი ავიღე და ტყისკენ გავემართე.

შორს არ წავსულვარ. მახლობლად დავეხეტებოდი. მეშინოდა, გზა არ ამეურიოს-მეთქი.

მაინც კარგად ვინადირე. ორი კოდალა და სამი სხვა ჩიტი მოვკალი. ვახშმად გვეყოფოდა, თუკი ვინმე იკისრებდა გაბდღვნას და შეწვას. თუმცა კარგად არც კი ვიცოდი, შეიძლებოდა თუ არა მათი ჭამა. ასე იყო თუ ისე, მაინც წამოვიღე ნანადირევი. სულთანმა ზიზღით გადახედა დახოცილ ჩიტებს და ჯალათი ყოფილხარო, ჩაილაპარაკა. არც გამკვირვებია მისგან: პოეტებს განსაკუთრებით სათუთი გული აქვთ. მამია და ზაური ისევ იმ ადგილას ისხდნენ, სადაც დავტოვე.

— ხომ ვთქვი, აქ მოგვიწევს გათენება-მეთქი, — მითხრა სულთანმა, — უკვე მესამე პარტიას თამაშობენ. ტყუილად კი არ ვჩხრეკდი იმ ჩანთებს.

— არ იჭმევა? — ჩიტებზე ვუთხარი.

ზაურმა მოიხედა და ზიზღით გადააფურთხა:

— შენც მონადირე ყოფილხარ... ახლავე გადაყარე!

ჩიტები გადავყარე და წამოვწექი. არ გეგონოთ, ისეთი გულქვა ვიყო, ჩიტები არ შემცოდებოდეს. სანამ თოფს ვუმიზნებ, გული მიფანცქალებს, არ დავაცილო-მეთქი. სიბრალულისთვის არ მცალია. მაგრამ როცა დაჭრილ ჩიტს დავინახავ, საცოდავად რომ ფრთხიალებს გასისხლიანებული და ფრთებმომტვრეული, გული სიბრალულით მევსება და ვფიქრობ, ნეტავი დამეცილებინა-მეთქი.

— ნისლი! — დაიძახა უცებ სულთანმა, — შეხედეთ!

მამიამ თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა. ზემოდან ნელა მოიწევდა ნისლი. საათზე დაიხედა.

— ბიჭოს! რა დრო გასულა. აქედან მაინც გავასწროთ ნისლს. სადმე ახლომახლო მწყემსები იქნებიან, მათთან რომ მივასწრებდეთ, არაფერი გვიჭირს.

წამოვცვივდით და ჩანთები მოვიკიდეთ.

●

ნისლი მალე წამოგვეწია, მაგრამ გზას მაინც გავნაგრძობდით. მამიას სჯეროდა, სადმე მწყემსებს წავაწყდებოდით, ისინი კი ღამეს გაგვათევინებდნენ და გზასაც გვასწავლიდნენ. როგორც შევატყვეთ, მამიას უფრო ეს უკანასკნელი აინტერესებდა. არ ამბობდა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ გზა არეული გვქონდა.

ნისლი თანდათან სქელდებოდა. ნაბიჯს ვუკელით. ძლივს ვხედავდით ერთმანეთს. შევჩერდეთ და კარავი გავშალოთო, თქვა ზაურმა და იმ დროს, ჩანთები რომ მოვიხსენით და ძირს დავყარეთ, მამიამ ქოხს მოჰკრა თვალი.

— მივედით! — დაიძახა გახარებულმა და მაშინვე იქით გასწია. ქოხი ტყის პირას იდგა, ფერდობზე. თითქოს ამას ელოდაო, ერთბაშად ისე ჩამობნელდა, თვალთან თითსაც ვერ მიიტანდით.

ქოხში შევედით.

— გაწვიმდება, — თქვა სულთანმა,— დროზე მოვასწარით.

— გადი, თოფი ისროლე, — მითხრა ზაურმა, — იქნება ვინმემ გაიგონოს.

გარეთ გავედი და თოფი დავაქუხე. მერე სიჩუმეს მივაყურე. „ჰეე...“ გაისმა ქვევიდან. მეც გამოვეპასუხე. მერე ქოხში შევედი. ქოხის შუაგულში მამია ცეცხლს აჩაღებდა. ცეცხლი სწრაფად მოედო ყავრის ხმელ ნამტვრევებს და ქოხი გაანათა. კედლებთან ძელის გრძელი საწოლები დავინახე. საწოლებზე მუთაქის მაგივრად მოკლედ გადაჭრილი მორები ეწყო. თოფი კუთხეში მივაყუდე, წამოვწექი და ერთ-ერთ მორზე თავი მივდე.

— ესეც ჩვენი სასტუმრო, — კმაყოფილი იერით თქვა მამიამ, — ამაღამ ტკბილად გამოვიძინებთ.

— ჰეე, — მოისმა გარედან.

— ვიღაც მოდის...

გარეთ გავედი. იქვე შევეჩეხე ჩემკენ მომავალ კაცს, შეშა მოჰქონდა. შეშა ქოხში შემოიტანა, დაყარა და წელში გასწორდა.

— გამარჯობა. მოასწარით ნისლს?—

გიორგი კეჟალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

ეს ისე თქვა, თითქოს იცოდა, გზაში რომ ვიყავით და გველოდა.

სალამზე ერთხმად გავეცით პასუხი.

მწყემსმა შეშა შეუკეთა ცეცხლს. მალე დაგვცხა და უკან დავიხიეთ.

— ახლავე ამოვლენ ბიჭები, — გვითხრა მწყემსმა, — კალმახები დაიჭირეს მდინარეში. შევწვავთ. არაყიც გვაქვს.

— წყალი ხომ არ გაქვთ ახლოს? — ვკითხე.

— წყალი? არც ისე ახლოსაა. ცოტა მოითმინე, მგონი ბიჭებს წყლიანი ვედროც მოაქვთ. შორიდან მოდიხართ?

ვუთხარით, საიდანაც მოვდიოდით.

— ფეხით? — იკითხა გაკვირვებულმა.

— ჰო, ფეხით.

— კარგა გრძელი გზაა. რაო, ცხენები ვერ იშოვეთ?

— ფეხით გვერჩივნა, — უთხრა მამიამ.

— ფეხითაც შეიძლება, — თქვა მწყემსმა, — ისე კი კარგა გრძელი გზაა.

— რა ნისლი სცოდნია, — ვთქვი მე, — ერთბაშად ჩამობნელდა.

— პირველად ხომ არ ხარ მთაში? — მკითხა მწყემსმა.

— პირველადაა, — უთხრა სულთანმა.

— ზოგჯერ ისე ჩამოწვება ნისლი, ისე ჩამოიბურება, ნაბიჯის გადადგმასაც ვერ გაბედავ.

მწყემსი შუახნის იქნებოდა. წვერი მოშვებული ჰქონდა, მაღალი, ტანადი კაცი იყო.

ქოხში ორი კაცი შემოვიდა. ერთს ჩანთა ეჭირა ხელში, მეორეს ვედრო. სალამი თქვეს და ცეცხლთან მოვიდნენ. ერთი ძალიან ახალგაზრდა ჩანდა. ტანადაც პატარა იყო. ჩემზე დიდად უფროსი არ იქნებოდა. თავზე სულთანივით აჩეჩილი ქოჩორი ედგა. ტანად არც მეორე იყო მასზე მეტი, ხნით კი ასე, ოცდაათის მაინც იქნებოდა. ჩასკვნილი და ჯმუხი იყო. ხელი ჩამოგვართვეს და სახელები გვითხრეს. ერთს შოთა ერქვა, მეორეს — გიგო.

გიგომ დანა ამოიღო ჯიბიდან, სწრაფად გათალა ჯოხები, რამდენიმე თევზს ორ ჯოხს შორის მოუქცია თავი და ჯოხები ბოლოებით ერთმანეთზე გადაბა. მერე თევზები ცეცხლს მიუფიცხა. ჩვენ ჩანთები გავხსენით, საწოლზე გაზეთი გადავაფინეთ და ზედ საჭმელი დავალაგეთ. გიგომ ჩანთიდან არყიანი ბოთლი ამოიღო.

— ჭიქა არ გვქონია, — დაიბნა იგი.

მამიამ ჩანთიდან ჭიქები ამოიღო და ტახტზე დააწყო.

გიგომ ჭიქებში არაყი დაასხა, დაგვლოცა და სწრაფად გადაჰკრა.

თევზი უკვე შემწვარი იყო. ცეცხლს მოვაცილეთ და გაზეთზე დავყარეთ. გიგომ არყიანი ჭიქები გადმოგვიწყო, დალიეთ, მადაზე მოხვალთო. ყველამ დალია. ბოლოს მეც მომაწოდეს. დავილოცე და გადავკარი. ერთბაშად ჩამიხუხა ყელი. სულთანმა თევზი და პური მომაწოდა.

— კარგი კალმახი იცის აქეთ, — თქვა გიგომ, — გუშინ სამნი ამოვიდნენ ბარიდან სათევზაოდ. ცხენებით იყვნენ. არაყიც მათ ამოიტანეს. თქვენც რომ ცხენებით ყოფილიყავით, უფრო გაგიადვილდებოდათ მგზავრობა.

— ფეხით სიარული გვირჩევნია, — ვუთხარი მე, — ცხენით ყველა ივლის.

ზაურმა შემომხედა და ჩაიცინა.

— შენ სიამოვნებით მოკურცხლავდი უკან, მაგრამ მარტო სად წახვალ.

— არაფერიც, — ვუთხარი წყენით.

— გამოგიკეთდა გუნება? — მკითხა მამიამ.

— არაყმა უშველა, — გაიცინა მაღალმა, — აბა, თითო კიდევ დავლიოთ.

გიგომ კვლავ დაისხა, დალია და ჩვენც ჩამოგვირიგა.

— ფრთხილად იყავი, — მითხრა ზაურმა, — არ დათვრე და თოფი არ დაგვიშინო.

— დალიოს, არა უშავს, — უთხრა გიგომ, — პატარა ხომ არაა.

მეც ვიუარე ზრდილობის გულისთვის, თორემ ისევ მინდოდა დამელია. მესიამოვნა პირველი ჭიქა, თავი გამიბრუვ-

და, გავხურდი და ოფლი დამასხა. ცეცხლი აბოლდა და ქოხში კვამლი დადგა. თვალები ამეწვა. მაღალი მწყემსი ადგა, ცეცხლს შეუჩუჩხურა და ისევ დააყარა შეშა. ახლა მთლად გაივსო კვამლით იქაურობა.

— ცოტა ხანს გაუძელით, — გვითხრა მან, — ახლავე აბრიალდება.

ცეცხლი აგიზგიზდა და კვამლიც გაქრა. მწყემსი თავის ადგილას დაჯდა.

— შეშა აქვეა, ტყის პირას, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო შოთამ. იგი აქამდე უსიტყვოდ ჭამდა და არაყს წრუპავდა. თან სახეში ისე მოგვჩერებოდა, თითქოს ვეცნობოდით და ვერასგზით ვერ გაეხსენებინა, სად გაგვიცნო.

— ახლა ეს ჩვენი მთა ვადღეგრძელოთ, — თქვა გიგომ.

დიდი სმის მოყვარული უნდა ყოფილიყო გიგო. დალევდა თუ არა, სახე სიამოვნებით გაებადრებოდა.

— გაუმარჯოს! — ხელი ასწია მაღალმა. მერე ჩვენკენ წამოვიდა ჭიქა.

— მთა ადღეგრძელეთ? — ვკითხე მწყემსებს, ჭიქამ უჩემოდ რომ შემოხაზა წრე და ისევ გიგოს დაუბრუნდა.

— ჰო, — მოიხედა სულთანმა, — რაო, შენ კიდევ ხომ არ გინდა?

შოთას ფშლუკუნი აუტყდა. გიგოსაც გაეცინა და მაშინვე დამისხა არაყი.

მაღალმა ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ეს რა დაგვემართა, არ გამოგვრჩენია კაცი?

— დალიე, თუ ძალიან გინდა, — მითხრა მამიამ, — ოღონდ არ დათვრე და...

— რა დამათრობს!

თვითონაც არ ვიცოდი, რა ეშმაკი შემიჯდა. უკვე მთვრალი ვიყავი. გიგომ ჭიქა მომაწოდა.

— ცოტა დამისხი, ძალიან ცოტა, — ვუთხარი და ჭიქას წავეპოტინე.

— დასხმულია უკვე, — მითხრა ზაურმა, — დალიე, თუ შეგიძლია.

— გაუმარჯოს! — გადავკარი.

— ა, ბიჭო, კაცი, — მომიწონა გიგომ.

— მეტს წვეთსაც არ დავლევ, — ვთქვი დაბეჯითებით, — მორჩა...

მთვრალი ვიყავი...

გიგომ ისევ დააპირა ჭიქების ავსება, მაგრამ მამია ხელში სწვდა.

— მეტი არ შეიძლება!

— წავალთ, — ადგა მაღალი, — დაღლილი იქნებით და დაისვენეთ.

მწყემსები დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. წასვლის წინ დაგვიბარეს, ცეცხლს ნუ ჩააქრობთ, თორემ გაცივდებითო. შეშაც გვაჩვენეს იქვე, ტყის პირას. მადლობა გადავუხადეთ, შეშა მოვიმარაგეთ და ქოხში დავბრუნდით.

— აბა, შეცურდი შენს დაბამბულ საბანში, — მითხრა ზაურმა, — დილამდე გვერდი არ იცვალო.

ტახტზე გავიშოტე:

— ესეც ასე...

საწოლის ძელები ისე უშნოდ იყო გამოჩორკნილი, დილით ალბათ არც ერთს არ აგვყვებოდა გვერდები. მაგრამ მე მაინც მშვენიერ გუნებაზე ვიყავი.

— მთვრალი ხომ არა ხარ? — მკითხა სულთანმა, — დიდი მონდომებით კი ყლურწავდი არაყს.

— თოფის სროლა მინდა, — ვთქვი და ცერად გავხედე თოფს.

— აბა, ჭკუით იყავი, — მითხრა ზაურმა.

თოფს წავეტანე.

— ჭკუით იყავი, — გაიმეორა ზაურმა, — თოფი მანდ დადე და დილამდე ხელი არ ახლო.

— ხვალ რაც შეიძლება მაღლა უნდა ავიდე მთაზე და გადმოვიხედო.

— ხვალ ყველანი ერთად გადმოვიხედავთ, — მითხრა სულთანმა, — მერე კი ბარისაკენ დავეშვებით.

ქოხში დუმილი ჩამოვარდა. ზაური საწოლზე გაიშოტა. სულთანმა და მამიამ ტახტზე კარავი დააფინეს და ერთმანეთს მიეხუტნენ. მე ზედ კართან ვიწექი. თავი მორზე მედო და ძილი არა და არ მეკარებოდა. ცეცხლი გუზგუზებდა.

გიორგი კეჭაღმაძე
ჩემი პატარა ლანდი

რომ დავრწმუნდი, ყველას ეძინა, ავდექი, თოფი ავიღე და გარეთ გამოვედი. ლუსკუმი ღამე იყო. ბალახი ცვარს დაესველებინა. სიჩუმეს დროდადრო უცნაური ზუზუნი და იდუმალი შრიალი არღვევდა. უცებ ტყის პირას რაღაცამ გაიშლიგინა. ეს ხმა მაშინვე შეწყდა. ცივმა ნიავმა წამოუბერა და შუბლზე ოფლი შემაშრო. გამაჟრჟოლა.

ტყის პირას ისევ გაიშლიგინა რაღაცამ.

„იქნებ დათვია? — გავიფიქრე, — სხვა რა უნდა იყოს ამ შუაღამისას... ან მგელი იქნება... ალბათ საქონელს უტრიალებს“.

თოფი ცას მივუშვირე. ჯერ ცეცხლის ენებმა გაიელვა სიბნელეში. მერე ქუხილი გაისმა. თოფის გრიალს რამდენჯერმე გამოეხმაურა მთები.

— რა ამბავია? — მოისმა ქოხიდან მამიას ყვირილი.

— ეჰეე!.. ეჰეე!..

— რა მოხდა? — დაიძახა სულთანმა, — ვინ ისროლა?

— იმ ლაწირაკმა, — მომესმა ზაურის ხმა, — ახლა გარეთ დგას და ბღავის.

— ჰეე! — დავიყვირე ისევ.

მერე ქოხში შევედი და თოფი კუთხეში მივაყუდე.

— გაგიჟდი, თუ რა დაგემართა? — მკითხა ზაურმა.

ხმა არ გამიღია. შეშა ავიღე და მინავლულ ცეცხლს შევუკეთე.

— ხმა ამოიღე! — დამიყვირა ზაურმა. ეტყობა, ჩემმა დუმილმა უფრო გააბრაზა.

— რა მოხდა მერე, — ვუთხარი მშვიდად, — თოფი გავისროლე. არ დამეძინა და რა მექნა.

— მერე ჩვენც არ უნდა დაგვაძინო?— მითხრა მამიამ, — ამ შუაღამეზე თოფის სროლა გაგონილა? შეიძლება მწყემსებმა იფიქრონ, რამე უჭირთო და ამ სიბნელეში აქ ამოცვივდნენ. სირცხვილი არ არის?

ეს არ მიფიქრია. „იქნებ არაფერიც არ იფიქრონ? — ვინუგეშე თავი, — ხომ შეიძლება მიხვდნენ, რომ ტყუილად ვისროლე... უთუოდ მიხვდებიან“.

— ისეც ხომ აფრენს, — თქვა ზაურმა, — ახლა სულ გამოთაყვანდა. მთვრალია...

— არა ვარ მთვრალი, — ვუთხარი მე, — ტყუილია. მერე დავწექი, მაგრამ არ იქნა და არ დამეძინა. ყველას ეძინა. ცეცხლი ნელ-ნელა ინავლებოდა, თითქოს ისიც დაძინებას აპირებსო. ავდექი და შეშა მივუმატე. ისევ დავწექი. მაინც არ მომეკარა ძილი. უკვე ახვრინდა ზაური. მამია აწრიალდა და კვნესა დაიწყო. ნეტა რა აკვნესებს ამოდენა ბიჭს, რა ესიზმრება ასეთი? სულთანი აბუტბუტდა. სულ ასე ბუტბუტებს ძილში. სწორედ ისეთი განცდა მქონდა, როგორც მაშინ, მამამ სათევზაოდ რომ წამიყვანა, მერე კი ჩეროში წამოწვა და გემოზე გამოიძინა. თითქოს მომატყუეს, მიღალატეს და მარტო მიმატოვეს. თითქოს რაღაცას დამპირდნენ და არ შემისრულეს. „რატომ უნდა ეძინოს? — ვბრაზობდი სულთანზე, — ზაური და მამია კიდევ ჰო, მაგრამ სულთანი პოეტია და არ უნდა ეძინოს“.

ხელი მოვკიდე და შევანჯღრიე.

თავი წამოსწია, შემომხედა.

— რა გინდა?

ისევ შევანჯღრიე.

— რა გინდა?

უცებ სათქმელი ვერაფერი მოვიფიქრე. მან ისევ მიდო თავი. ხელი ვკარი.

— რა გინდა, ბიჭო, არ იტყვი?

— მართლა... მართლა ვაფრენ?

— რაო?

— წეღან ზაურმა რომ თქვა, მართალია?

— ჰო...

— შენ გგონია, ვერ ვხვდები?

— მერე რაღა გინდა ჩემგან. მომციალდები თუ არა?

ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი, ჩემს გვერდით ტახტზე რომ ჩამომჯდარიყო და ღამე ეთია. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. რის ღამის თევა, ძლივს ახელდა თვალს.

— დაწექი და ხმა არ ამოიღო, თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემ ავდგები და კინწისკვრით გაგაგდებ გარეთ.

— მე თვითონ გავალ, — ვუთხარი და ავდექი. თოფს მოვკიდე ხელი განზრახული მქონდა, ყველა ვაზნა დამეცალა. გავაღვიძებდი ზაურსაც, მამიასაც, მწყემსებსაც, ყველას და ყველაფერს, ვისაც და რასაც ახლა ეძინა... ყველას!

ეტყობა, სულთანმა თვალი გამომაყოლა და რომ დაინახა, თოფი და პატრონტაში მიმქონდა, წამოვარდა, ხელში მწვდა. პატრონტაში წამართვა და თავქვეშ ამოიდო.

— თოფიც აქ მომეცი, შენ კი სადაც გინდა, იქ წადი.

— კარგი, კარგი, — ვუთხარი მე, — რა გაყვირებს?

თოფი დავუთმე. გარეთ გამოვედი და ქოხის შესასვლელთან დაყრილ შეშაზე დავჯექი.

სულთანი ცოტა ხნის შემდეგ ისევ აბუტბუტდა.

მე კი არა და არ მეკარებოდა ძილი.

6

მეორე დღეს დილაადრიან გავედით მდინარეზე. ფონი მწყემსებმა გვასწავლეს. ჯერე პირდაპირ ტბისკენ გავწიეთ. თუ არ დავიბნეოდით და გზა არ აგვერეოდა, ნაშუადღევს იქ უნდა ვყოფილიყავით.

გზა არ აგვრევია: მწყემსები გვხვდებოდნენ და ჩვენც ყველას ვეკითხებოდით, სწორ გზაზე ვიდექით თუ არა. მადლობის ნიშნად ფოტოსურათებს ვუღებდით და მისამართებს ვიწერდით, ვპირდებოდით, გამოგიგზავნითო.

შუადღე რომ მოახლოვდა, მოიღრუბლა.

— ცუდადაა საქმე, — შეშფოთდა მამია და ცას ახედა.

მესამე დღეა, ამ შიშში ვართ და წვიმა კი მაინც არ მოდის.

თუმცა მე სულაც არ მეშინია. ჩემთვის სულერთია, გაწვიმდება თუ არა... რატომღაც მირჩევნია კიდეც, თუ გაწვიმდება.

— ახლა ნამდვილად გაწვიმდება, — თქვა სულთანმა, — უნდა ვიჩქაროთ, ეგებ ტბამდე მივასწროთ. დავიჯერო, იქ ერთი ქოხიც არ იქნება?

— იქნება ალბათ, — თქვა მამიამ.

სასწრაფოდ ვისადილეთ და ხუთი წუთიც არ შეგვისვენია, გზას გავუდექით. ტბამდე მართლა მივასწარით წვიმას, მაგრამ იქ ნაქოხარიც არსად იყო.

ტბა პირველად ზაურმა დაინახა.

— ბიჭოს! — წამოიძახა მან, — ამის ნახვა მართლაც ღირდა!..

სულთანს აღტაცებისა და გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა. მე თოფი გადმოვიღე და ვიდრე ხელიდან არ გამომგლიჯეს, სროლა არ შემიწყვეტია.

პატარა, მრგვალ ტბას ირგვლივ გორები ერტყა. ნაპირი თეთრად ბზინავდა. პირველად ვერც კი მივხვდით, რომ ეს თოვლი იყო. ტბას თოვლის რგოლი ჰქონდა შემოვლებული.

— შეხედეთ!.. თოვლი! — წამოვიძახე.

ნაპირთან მისვლა ვერ მოვახერხეთ, იმსიმაღლე თოვლი იდო.

ამასობაში ცა უფრო და უფრო იქუფრებოდა. ნისლიც წამოვიდა. ალაგ-ალაგ წვიმის მსხვილი წვეთი ჩამოვარდა. სულთანმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა, ვიდრე სულ დაბნელდება, ყველაფრის გადაღება უნდა მოვასწროო.

თოვლზე წამოვწექით. სულთანმა ყოველი მხრიდან გვიტრიალა და იმდენხანს აჩხაკუნა ფოტოაპარატი, სიცივისაგან გავლურჯდით და ძაგძაგი აგვივარდა. ბოლოს ავტომატური გადამღები ჩართო და ჩვენთან მოირბინა.

წვიმა დაიწყო.

— კარავი გავშალოთ!

სწრაფად გამოვთალეთ პალოები. ქარიც ამოვარდა და ხელს გვიშლიდა კარვის გაშლაში. წვიმა თანდათან მატულობდა. სანახევროდ გალუმპული ვიყავი. ძლივს მოვასწარით კარავში შეძრომა, რომ კოკისპირულად დაუშვა.

— აი, ეს მწამს, — ვთქვი რიხიანად.

გიორგი კეჟაღმაძე
ჩემი პატარა ლანდი

ბიჭებს შევხედე. გაწუწულ ყვავებს ჰგავდნენ. მამია მოიბუზა და მარტო ცხვირად იქცა. სულთანის აბუძგულ ქოჩორს არც დასველებამ უშველა. თმა ისევ ისე ყალყზე ედგა. ზაური ოთხად მოკეცილიყო და მაინც ვერ ეტეოდა კარავში. საცოდავად ძაგძაგებდა.

— რაო, გიხარია? — მკითხა ზაურმა.

— ძალიან.

— რომ გადაიღებდეს, — თქვა მამიამ, — ცეცხლს დავანთებდით.

მაგრამ გადაღებას არ აპირებდა. პირიქით, წვიმა მატულობდა. ალაგ-ალაგ წყალმა კარავში შემოჟონა.

— ეგღა გვაკლდა, — შეწუხდა სულთანი.

— შენ ისა თქვი, მთელი ღამე ასე რომ იწვიმოს, — ჩაილაპარაკა მამიამ,

წვიმდა და წვიმდა. ოთხივენი ვძაგძაგებდით.

სულთანის ხელში წიგნი გაჩნდა. მამიასა და ზაურსაც მოაგონდათ, რომ ჭადრაკის თამაში სჯობდა კარვიდან გარეთ თვალების უიმედოდ ჭყეტას.

მარტო მე დავრჩი უსაქმოდ.

ჩანთაზე თავი მივდე და წამთვლიმა.

კარავი შექანდა, გამოვფხიზლდი — ქარი უბერავდა. ზაურმა გარეთ გაიხედა. მამიას სვლა იყო.

— ბიჭოს, გადაუღია! — წამოიძახა მან, — აბა ჩქარა, შეშა მოვიტანოთ.

სულთანმა წიგნი დახურა. პირველი მე გავვარდი გარეთ. ტყე კარგა შორს იყო.

— რაღა შეშა ვზიდოთ იმ სიშორიდან, — ვუთხარი სულთანს, — მოდი, კარავი წავიღოთ და იქ დავდგათ.

სულთანი ჩაიფიქრდა.

— ტბაზე თუა საქმე, — ვუთხარი მე, — იქიდან უკეთესად არ გამოჩნდება? მერე თოვლს რომ ვხედავ ასე ახლოს, მთელი ძვალ-რბილი მეყინება...

— მართალი ხარ, — მითხრა სულთანმა.

სოლებს მივცვივდით. კარავი ერთ წამში დაიჩუტა. ახლაღა გაგვახსენდა, რომ მამია და ზაური კარავში იყვნენ.

— რა ამბავია? რას შვრებით? — აყვირდნენ.

— ჩქარა გამოდით გარეთ. სანამ ისევ წამოვიდა წვიმა, კარავი ტყის პირას დავდგათ.

ზაური და მამია კარვიდან გამოძვრნენ. ჩანთებს ხელი ვტაცეთ, კარავი დავახვიეთ და ტყისკენ გავიქეცით.

გავთბით და გავშრით. სასიამოვნოდ ტკაცუნებდა ნაძვის ხმელი ტოტები, გუზგუზებდა ცეცხლი. აღარ წვიმდა, არც ქარი ქროდა.

საღამოს ისევ წამოწვიმა. კარავში შევძვერით და ახლა იქიდან ვეფიცხებოდით ცეცხლს.

●

ყველაზე ადრე მე გამომეღვიძა. დილა იყო. გარეთ გავიხედე. აღარ წვიმდა. ჩანთიდან პირსახოცი ამოვიღე და ტბისკენ დავეშვი. კარგა ხანს ვიარე ნაპირ-ნაპირ. თოვლის ციცაბო კედელი ეშვებოდა ტბაზე და ვერსაიდან მივუდექი, რომ პირი დამებანა. ის იყო, უკან გამობრუნებას ვაპირებდი, პატარა ნაკადულს წავაწყდი. ნაკადული თოვლის რგოლს რომ უახლოვდებოდა, მიწაში მიძვრებოდა და იკარგებოდა. პირი დავიბანე. წყალი ყინულივით იყო.

კარავში რომ დავბრუნდი, ყველას ეღვიძა.

— სად იყავი? — მკითხა სულთანმა.

— პირი დავიბანე, — მივუგე და ტბისკენ გავიშვირე ხელი, — იქ, ქვევით.

— მეზარება, — თქვა სულთანმა, — რომ ჩავივლით, მდინარეში დავიბან.

იქ ტანის დაბანაც მოგიწევს, — უთხრა ზაურმა, — წყალი გვარიანად იქნება ადიდებული.

ჟინჟღვლა დაიწყო და კარავში შევძვერით.

— აღარაა საშველი, — თქვა მამიამ, — წელს ბედი არ გვწყალობს.

კარგა ხანს ვდუმდით. გარეთ ვიხედებოდით და მოუთმენლად ველოდით გამოდარებას. წვიმა გადაიღებდა თუ არა,

შაშინვე გზას უნდა გავდგომოდით. ასეთი იყო მამიას განკარგულება.

— წელს აბარებ უმაღლესში მისაღებ გამოცდებს? — მკითხა მამიამ.

— ალბათ, — მივუგე მე.

— სად?

— მგონი სამედიცინოზე.

მამია გაჩუმდა. არც სხვებს გაუღიათ ხმა.

— რატომ მკითხე?

— ისე.

— მამაჩემს უნდა, მეც ექიმი გამოვიდე.

დუმილი.

— მალე გადაიღებს, — თქვა ზაურმა.

სულთანმა თავი გაჰყო გარეთ.

— მამაჩემსაც უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, — დაიწყო მამიამ, — ვაბარებდი კიდეც სამედიცინოზე. დიდი კონკურსი იყო. ოთხიანები მივიღე და ვერ მოვხვდი. შინ რომ დავბრუნდი, ჩავუჯექი წიგნებს და კარგადაც მოვემზადე... რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უნდა შევსულიყავი სამედიცინო ინსტიტუტში. მერე მამაჩემი გახდა ავად...

მამიამ ლაპარაკი შეწყვიტა და შემომხედა. თითქოს სურდა გაეგო, მაინტერესებდა თუ არა მისი ნაამბობი. მე გულისყურით ვუსმენდი. მამიას საერთოდ ეზარებოდა ხოლმე ლაპარაკი და რახან ამოიდგა ენა, უხერხული იყო, არ მომესმინა.

— ქალაქში ჩამოვიყვანეთ მამაჩემი. ოპერაცია გაუკეთეს და ისევ შინ წავიყვანეთ. ექიმმა თქვა, ასე სჯობიაო. ერთი თვის შემდეგ კი გარდაიცვალა.

მამია შემეცოდა, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, რატომ მიამბო ეს.

— მერე აღარ შეხვედი სამედიცინოზე?—ვკითხე. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, მამიამ თავის განზრახვაზე თვითონ აიღო ხელი, თორემ შესრულება არაფრით არ გაუჭირდებოდა.

— ჰო, იმ დღიდან ხელი ჩავიქნიე.

— რატომ?

— ის ექიმი, მამაჩემს ოპერაცია რომ გაუკეთა, ვერ მიხვდა, მამაჩემს კიბო რომ ჰქონდა. რომ გაჭრა და თავისი თვალით დაინახა, ოპერაცია შეწყვიტა. დედაჩემს კი უთხრა, ყველაფერი კარგად არის და მალე მოკეთდებაო.

მამია ერთ ხანს დუმდა. ყველანი ვდუმდით.

— უბედურება ის იყო, — თქვა მამიამ, — რომ დედაჩემს ექიმისთვის ოპერაციის გაკეთებამდე ფული მიეცა. ვიღაცას ესწავლებია, ასე სჯობიაო...

— მერე მაინც არ დაუბრუნებია?..

— არა, არ დაუბრუნებია.

— ჰოო, მაშინ...

— ეს ამბავი რომ გავიგე, ჩემი რვეულები და ქიმიის სახელმძღვანელო იმ დღესვე ცეცხლში ჩავყარე.

— სისულელე იყო, — თქვა სულთანმა.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა მამია, — მაგრამ მაშინ სხვანაირად არ შემეძლო. ვითომ გული მოვიფხანე.

— გადაიღო! — წამოვიძახე მე, — მზე გამოჩნდა!

გარეთ გავცვივდით. ცა იწმინდებოდა.

— აბა, სწრაფად, — აგვაჩქარა ზაურმა.

— ცოტა ხანს მოვიცადოთ, — თქვა მამიამ, — ეტყობა, აღარ გაწვიმდება. ბარემ გაშრეს კარავი, შემსუბუქდება...

მზემ დააცხუნა. კარავი ერთ საათში გაშრა. ავშალეთ, ავიბარგეთ და გზას გავუდექით. განზრახული გვქონდა, ღამე ისევ იმ ქოხში გაგვეთია, გუშინ რომ დავტოვეთ.

საღამოს პირზე მდინარესთან ვიყავით. წყალი ადიდებული და ამღვრეული იყო. მამიამ გვითხრა, მოდი, ამაღამ აქ გავათიოთ, წყალი ხვალ დილამდე დაიკლებსო. ყველანი დავეთანხმეთ.

მაგრამ კარვის გაშლა რომ დავაპირეთ, შევატყვეთ, ისევ აპირებდა წვიმას.

— უნდა წავიდეთ, — თქვა მამიამ,— თუ წვიმამ მოგვისწრო, მერე გაღმა გასვლა არ გვიწერია.

გიორგი კეჟაღმაძე
ჩემი პატარა ლანდი

ტანსაცმელი გავიხადეთ, ჩანთებში ჩავაწყვეთ და წყალში შევედით. ყველაზე წინ, ამჯერად, ზაური მიდიოდა. მერე— სულთანი, მერე — მე, ბოლოს კი მამია. ერთმანეთზე გადაკრული ჩანთა და თოფი მარჯვენა ხელით მეჭირა მაღლა, მარცხენა ხელით კი სულთანის მკლავს ვიყავ ჩაჭიდებული. ნახევარი ფონი გავლილიც არ გვქონდა, წყალი უკვე წელამდე გვწვდებოდა. ძალიან რომ გაგვიჭირდებოდა თავის შეკავება, წყლიდან ამოჩრილ ლოდებს ვებღაუჭებოდით. ნელა მივჩოჩავდით წინ.

როგორც იქნა, გავცდით იმ ადგილს, სადაც წყალი ყველაზე ღრმა იყო და ალბათ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, რომ უეცრად არ წამეფორხილა და მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა წყალში არ ჩამვარდნოდა. მაშინვე რომ წაეღო ჩანთა წყალს, ხელს ჩავიქნევდი და გზას განვაგრძობდი, მაგრამ, ჩემდა საცდუნებლად, წყალმა ჩანთა შორიახლოს ერთ ქვასთან მიიტანა, დაატრიალა, თითქოს ყოყმანობდა, წავიღო თუ არაო. მეც ვიფიქრე, წავწვდები და დავიჭერ-მეთქი. რომ წავიწიე, ჩანთა ქვას გასცდა და ქაფში გაუჩინარდა. თავი ვეღარ შევიკავე და მეც გავყევი. წყალმა ერთ-ორჯერ მეც შემატრიალა და მერე ქვევით გამაქანა. ხელებს ვიქნევდი. ქვებს ვეპოტინებოდი. ვცდილობდი, როგორმე ნაპირისაკენ გამეხვია. ორმოციოდე ნაბიჯის შემდეგ ჩანჩქერი იწყებოდა და იქამდე მაინც უნდა მომესწრო ფეხის მომაგრება.

ისევ დამატრიალა წყალმა. სული შემეხუთა. მალე კვლავ წამიღო დინებამ და ქვას დამაჯახა. ამან ცოტა გამომაფხიზლა.

ამ დროს მამიაც დავინახე — ჩემკენ მოცურავდა, დამეწია. მაგრად მკრა გვერდზე ხელი და ცურვით გამომყვა. რამდენსაც დამეწეოდა, იმდენს მიბიძგებდა და ასე ბიძგებ-ბიძგებით მიპირებდა ნაპირზე გაყვანას.

წელში გავსწორდი და ფეხის დადგმა ვცადე — არაფერი გამოვიდა. „ნაპირისკენ! — მიყვიროდა მამია, — გაცურე!..“ წყალმა კვლავ დამატრიალა და შეშინებული მამიას წავეპოტინე, მაშინვე დამიყვირა, ხელი არ მომკიდოო. ბოლოს, როგორც იქნა, მოვითქვი სული და გონზეც მოვედი. თვალი მოვკარი ზაურსა და სულთანს. ქვევით მორბოდნენ ნაპირ-ნაპირ. რაღაცას გვიყვიროდნენ და ხელებს გვიქნევდნენ. ალბათ ჩანჩქერზე გვანიშნებდნენ. მე ისედაც ვხედავდი, რომ ჩანჩქერთან ძალიან ახლოს ვიყავით. ზაური წყალში გადმოხტა და ჩვენკენ გამოცურა.

ისევ დავეჯახე ქვას და კვლავ დავრეტიანდი. კარგა ბლომად მქონდა წყალი ნაყლაპი, ზაურმა ჩამჭიდა ხელი, ნაპირისკენ წამათრია და ლოდზე შემსვა. წყალი ახლა მუხლზე მწვდებოდა. ქვაზე ვიყავი გადაწოლილი. სულს ძლივს ვითქვამდი. „აქეთ!“ ყვიროდა ზაური და მამიას ხელს უქნევდა. ზედ ჩანჩქერის თავზე ვიყავით. ეტყობა, მამიაც გაბრუებული იყო და წყალი თავის ნებაზე მიათამაშებდა. წამიც და მამია გაუჩინარდა. ჩანჩქერს გადაჰყვა, ზაურს ჩემკენ აღარ მოუხედავს, ნაპირზე გავიდა და ქვევით გაიქცა.

კარგა ხანს ვიყავი იმ ქვასთან. განძრევის თავი არ მქონდა. ყურები მიგუგუნებდა. დროდადრო წყლის შხუილი ისე შორიდან მესმოდა, თითქოს წისქვილში ვიყავი და ვთვლემდი. წყლის ხმა მოვარდებოდა, ერთბაშად გამაყრუებდა, მერე ისევ ნელ-ნელა იკარგებოდა, ნელა მშორდებოდა და ბოლოს ყრუ, ძლივს გასაგონ ბუყბუყად იქცეოდა.

არ ვიცი, რა დრომ გაიარა, მგონი წამთვლიმა კიდეც. რომ გამოვფხიზლდი და მივიხედ-მოვიხედე, ირგვლივ არავინ ჩანდა. შიშმა ამიტანა. ასე მეგონა, ყველამ მიმატოვა-მეთქი.

გავედი და ბარბაცით დავუყევი ნაპირს. ოციოდე ნაბიჯი რომ გავიარე, ზაური, სულთანი და მამია დავინახე. მამია მიწაზე იწვა. სულთანი და ზაური თავს ადგნენ. ზაურმა თავი ასწია, დამინახა და ხელი დამიქნია.

ნაწილი მეორე

1

შინ მარტო ბებია დამხვდა. ძლივს მიცნო — კარგა ხანს გაოცებული მიყურებდა.

მაშინღა გამახსენდა, რომ მაინცადამაინც რიგიანად არ მეცვა. გამეცინა. ჩემს ოთახში შევვარდი და სარკეში ჩავიხედე. ბებიაჩემიც შემომყვა და შორიახლოს გაჩერდა. მიმზერდა და ვაიმე შვილო, ბუტბუტებდა. მეც ძლივს ვიცანი ჩემი თავი. წვერიც კი ამომსვლოდა ამ ერთ კვირაში. მივხვდი, რამაც შეაშფოთა ბებია, — ძალიან გამხდარი ვჩანდი. ალბათ იმის ბრალი იყო, დაღლილი, თმააბურძგნილი და ჭუჭყიანი რომ ვიყავი. ტანსაცმელიც ხელს მიწყობდა. იმ მაღალი მწყემსის შარვალი მეცვა და ჩემისთანა სამი კიდევ ჩაეტეოდა შიგ.

— ახლა ვიბანავებ და ყველაფერი რიგზე იქნება, — ვუთხარი ბებიას და საბაზანოში შევედი.

ვიბანავე, ჩავიცვი და სარკის წინ გავჩერდი. ცოტათი მართლა გავმხდარიყავი. ლოყაზე ხელი მოვისვი. ხომ არ გამეპარსა? ერთ ხანს ვიყოყმანე, ანდა რა მაჩქარებდა? საღამო ხანი იყო და არსად ვაპირებდი წასვლას.

მამაჩემი რომ მოვიდა, ვიწექი, მაგრამ არ მეძინა. ადრე დავწექი. მთელი კვირა იყო, რიგიანად არ გამომეძინა.

მამაჩემმა ჩემს ოთახში შემოიხედა.

საწოლზე წამოვიწიე.

— გამარჯობა, — დავასწარი.

— გაგიმარჯოს.

საწოლთან არ მოსულა. ცოტა არ იყოს, გულცივი კაცია. მე მგავს — არ უყვარს ხვევნა-კოცნა და ლაქუცი. თუმცა ჩემი დები მაინც გულისამრევად ელაქუცებიან ხოლმე.

— ჩამოდი?

— ჰო.

მიმზერდა და მაგიდაზე თითებს ათამაშებდა. ბოლოს თქვა:

— ხვალიდან წიგნებს ჩაუჯდები. დღე-ღამეს გაასწორებ მეცადინეობით. გეყოფა, რაც იხეტიალე.

— ჩავუჯდები.

— თოფი გაწმინდე?

თოფის დაკარგვისათვის ეტყობა, კარგი დღე არ დამადგება.

— გაწმინდე? — გამიმეორა.

— ჰო...

„ხვალვე ავიღებ ჩემს ფულს და მამაჩემს ახალ თოფს ვუყიდი. მერე ვუამბობ, რაც გადამხდა თავს. ბოლოსდაბოლოს კინაღამ შევეწირე იმ თოფს“.

მამაჩემი ადგა.

— ქიმიაში ჩემი მეგობარი პროფესორი გამეცადინებს. უკვე მოველაპარაკე. ხვალვე მიგიყვან მასთან.

— კარგი.

მამა რომ წავიდა, ნუნუ შემოვარდა ოთახში.

— თოფი დავკარგე, — ვუთხარი, ცოტა ხნის შემდეგ.

— რომელი თოფი?

— მამამ რომ მათხოვა. წყალმა წამართვა. მეც კინაღამ დამახრჩო. როგორც ხედავ, გადავრჩი, თოფი კი დაიკარგა. ვეძებეთ და ვეღარ ვიპოვეთ...

ნუნუს ფერი წაუვიდა:

— მერე მამამ იცის?

— არა.

— აბა რას აპირებ?

— ხვალვე ვუყიდი ახალ თოფს. ფული მაქვს.

— ახალი რად უნდა? სადაური მონადირეა... ის ნაჩუქარი იყო და იმიტომ ინახავდა.

— აბა, რა ვქნა?

ნუნუ ჩაფიქრდა.

— გინდა, ვუთხრა?

ციცინოსი არ იყოს, ნუნუსაც ეხერხება კაცის მოთაფლვა. თუ მოინდომა, ხმასაც არ ამოაღებინებს მამას. თოფის დაკარგვასაც შეატყობინებს და პატიებასაც დასტყუებს.

— ეტყვი?

— რა ვიცი, თუ გინდა...

— არ დაგავიწყდეს, მე თვითონ ბეწვ-

ზე გადავრჩი და მადლობა უნდა მითხრას, ცოცხალი რომ დავბრუნდი.

— როგორ არა, მადლობასაც გეტყვის!..

●

დილით ადრე ავდექი — ასე, ცხრა საათი იქნებოდა. მამა წასული მეგონა და თამამად გავედი გარეთ. გავედი და მამაჩემიც დავინახე. თავი დავხარე. „ნეტა უთხრა თუ არა ნუნუმ?“ უთქვამს. არ მომსალმებია, ისე დაეშვა კიბეზე. ეზოში ჩავიდა, მანქანა გარაჟიდან გამოიყვანა და ქუჩაში გავიდა. ერთხელაც არ მოუხედავს უკან. მემდურის. მეგობარ პროფესორს როდის უნდა წარუდგინოს ჩემი თავი? თუმცა მამაჩემს ალბათ უკვე დაავიწყდა ეს ამბავი. მით უკეთესი. სულ არ მეჩქარება იმ პროფესორის ნახვა. ვიცი, როგორც გააბარებს ჩემი გაცნობა.

ვისაუზმე. ფული ჯიბეში ჩავიდე და გარეთ გამოვედი. თოფის ყიდვა, რა თქმა უნდა, გადაფიქრებული მაქვს. მამაჩემს სულაც არ სჭირდება თოფი. ფული იმიტომ ჩავიდე ჯიბეში, შინ დასატოვებლად ვერ გავიმეტე...

ფეხით გავუყევი სტუდქალაქისკენ.

ეზოში აქა-იქ თუ მოჰკრავდი თვალს კენტად მიმავალ სტუდენტს. დაცარიელებულიყო სტუდქალაქი. ალბათ მარტო ისინი არიან დარჩენილი, ზაურის ამხანაგებივით ყაზახეთში მიმავალ ეშელონს რომ ელოდებიან.

კარი ღია იყო. წინა ოთახში არავინ დამხვედრია. იმ ოთახიდან, ჩემი თანამგზავრები რომ ცხოვრობდნენ, ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა. ყველაზე მეტს ზაური ყვიროდა. კართან შევჩერდი.

— მიაფურთხე ეშმაკს, — ეუბნებოდა ვიღაცას სულთანი, — წამოდი... არაფერს წააგებ.

— არა, ძმაო, — ეს თემურის ხმა იყო, — მეყოფა შარშანდელიც.

— შარშან ჩვენც ხომ ვიყავით.

— თქვენ ფულს ხართ დახარბებული. შარშან ბლომად იშოვეთ.

— ფულზე არაა საქმე! — იყვირა ზაურმა, — კარგად ვიცი, რა საქმეებიც გაქვს აქ. ფეხქვეშ ეგები იმ გოგოს. იქნება მამამისის სქელ ჯიბეში ჩავყო ხელიო.

დუმილი ჩამოვარდა.

მე კართან მივიტანე სკამი. დავჯექი და სმენად ვიქეცი. დაინტერესებდა, გამეგო, ვის ჯიბეში აპირებდა თემური ხელის ჩაყოფას.

— ნუ ყვირი, — უთხრა თემურმა ხმადაბლა, — აქ არავინაა ყრუ.

— შენ ხარ ყრუ, — უთხრა მამიამ.

— მე ფეხქვეშ არავის ვეგები და თუნდაც ასე იყოს, ეგ ჩემი პირადი საქმეა და თქვენ არავინ არაფერს გკითხავთ. სხვის საქმეში ნუ ეჩრებით.

— მაშ აღარ მოდიხარ? — ჰკითხა ზაურმა.

— რას შემომიჩნდით. არ მინდა წამოსვლა და არ მოვდივარ. თქვენ თუ ძალიან გეხალისებათ წასვლა, ადექით და წადით.

— მართალია ეს კაცი, — თქვა სულთანმა, — დაანებეთ თავი.

— მე ის მწყინს, — თქვა ზაურმა, — მუდამ თავის დასაძრომს რომ ეძებს. ახლა ჩვენთან ოთახში ყოფნაც მობეზრდა და მდიდარი კაცის ფართო ბინაში უნდა მოიკალათოს. ამისთვის ყიდის სულს.

— ტყუილია, — შეაწყვეტინა თემურმა, — შური გალაპარაკებს.

— შური?

— ჩვენ ორივეს მოგვწონდა ის გოგო. დაგავიწყდა? ბოლოსდაბოლოს მე გაჯობე...

— თფუ!..

ეს იყო ზაურის ბოლო სიტყვა.

კარი ცხვირში კინაღამ მომხვდა. ზღურბლზე თემური იდგა.

— აქ რას აკეთებ? — მკითხა გაოცებულმა.

— არაფერს.

— ყურს გვიგდებდი?

— ჰო...

— არ იცი, ეგ უსინდისობა რომაა?

— ვის ელაპარაკება? — მოისმა შიგნიდან.

კარებში ზაური გამოჩნდა.

— აა, ცოლისძმას...

უცებ ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქოს სახეში მოეფურთხებინოთ. ზაური დამცინავი ღიმილით დამყურებდა. გახელებულმა მეტი რომ ვერაფერი მოვახერხე, მთელი ძალით დავარტყი მუშტი მაგიდას. ხელი საშინლად მეტკინა.

თემური არაფერს ამბობდა. ზაური კი იდგა და კვლავ იღიმებოდა. ვიფიქრე, ჩემს დღეში ამ ოთახში ფეხს არ მოვდგამ-მეთქი. დავაპირე კიდეც გაქცევა, მაგრამ ვინ გაგიშვა. ზაური წინ მედგა; ცოტა მოშორებით კი, მაგიდასა და კედელს შორის თემური გახირულიყო. სკამს ფეხი ვკარი და მაგიდის ქვეშ შევაგდე. მერე მაგიდას დავეჯახე, გადავაბრუნე, ვისკუპე და ერთი ნახტომით დერეფანში გავჩნდი.

ისე კისრისტეხით ჩავირბინე კიბე, თითქოს გასალახავად მომდევდნენ.

სტუდქალაქის ჭიშკართან შევჩერდი და უკან მივიხედე.

„რა მომარბენინებს? — გავიფიქრე,— რა მოხდა ასეთი? არაფერიც არ მომხდარა“.

ბრაზმა გამიარა, დავმშვიდდი. რამ ამაფხუკიანა? მეც ხომ ვიცი, რომ ჩუმად ყურის გდება უსინდისობაა.

არა, ეგ არაფერ შუაშია. მე სულ სხვა რაღაცაზე მომივიდა გული.

ფეხით მივდიოდი და ვცდილობდი, არაფერზე არ მეფიქრა. არ მინდოდა მივმხვდარიყავი, რატომ ვიყავი საძაგელ გუნებაზე. ასე ალბათ იმ ადამიანს ემართება, რამე უემური ამბის მაუწყებელ წერილს რომ მიიღებს, წინასწარვე გრძნობს, რაც წერია წერილში და წაკითხვას აჭიანურებს. გაუხსნელი კონვერტი ჯიბეში უდევს და ჩუმჩუმად ოცნებობს კიდეც, ნეტა დამეკარგებოდესო.

ცოტა ხნის შემდეგ თემური წამომეწია, შემაჩერა.

— თუ რამე გაწყენინე, მაპატიე, — მითხრა ხმადაბლა.

— არაფერი არ მწყენია.

— აბა რატომ გამოიქეცი?

— რა ვიცი...

ცოტა ხანს ჩუმად მივდიოდით.

— კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ამ ბოლო დროს რატომ მიღრენენ ასე, ვერაფერი გამიგია.

თემურს თვალებში შევხედე. არაფერი მითქვამს.

— მთაში რომ არ წამოვედი, მას შემდეგ არიან ასე. ახლა მაინც წამოდიო... ადვილი სათქმელია. არ მინდა წასვლა და ძალაა?

— თუ არ გინდა, ვის რა ესაქმება.

თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა. არ უნდოდა და არ მიდიოდა, ადრეც არ უნდოდა და არ წამოვიდა. მორჩა და გათავდა.

●

კარგა ხანს ვხეტიალობდი მარტო. მარჯანიშვილზე მეტროში ჩავედი. მატარებლით ვისეირნებ-მეთქი. ესკალატორზე ჯაბა დავინახე. „მონადირე!“ დამიყვირა და ხელი დამიქნია.

მივიხედე.

— მონადირეს გაუმარჯოს!

ამასობაში გვარიანად დამშორდა.

— ჩამოდი, დაბლა მოგიცდი, — დავუძახე.

— მოვდივარ.

მალე დამეწია.

— რა ტყუილად დამაკარგვინე ხუთი კაპიკი.

— გეჩქარება? — ვკითხე.

— გინდაც არ მეჩქარებოდეს, რა ხეირია შენთან ყოფნა. მართლა სანადიროდ იყავი?

სულაც არ ვიყავი ტრაბახის გუნებაზე. საერთოდ, ბევრი ლაპარაკის თავი არ მქონდა, მაგრამ არც ჯაბას გაშვება მინდოდა. თუმცა კიდეც რომ მდომებოდა, რას მოვიცილებდი. არ ვიცნობ ჯაბას? ქუჩაში რომ გამოვა, სწორედ ჩემისთანა უსაქმურ ხალხს ეძებს.

— გინდა ვიქეიფოთ? — ვკითხე.

უნდა გენახათ, როგორ გაიბადრა.

— ფული?

ჯიბეზე დავიდე ხელი.

გიორგი კეჟალმაძე

ჩემი პატარა ლანდი

— წავსულვართ, — ზევით ავყევით ესკალატორს. ისე მაგრად ჩამჭიდა ხელი, თითქოს ეშინოდა, არ გადაიფიქროს და არ გაიქცესო.

— კაფეში შევიდეთ? — ვკითხე.

ჯაბა ყოყმანობდა.

ბოლოს თქვა, ღვინო გავიყოლოთ და ჩემსას წავიდეთ, მარტო ვარო. ღვინო ვიყიდეთ, მერე ტაქსი დავიჭირეთ და ხუთ წუთში ჯაბას ბინაზე ვიყავით. ჯაბამ სწრაფად გააწყო სუფრა. სამზარეულოდან ყველი და პური გამოიტანა, თან წამოღებული ძეხვი შევწვით და მწვანილი გავრეცხეთ. ჯაბა ბედნიერი იყო. მე კი გული მისკდებოდა, მაგიდაზე დაწყობილ ღვინით სავსე ბოთლებს რომ ვხედავდი — რა დალევს-მეთქი. მაინც არ მინანია, ჯაბას ღვინის სმა რომ შევთავაზე.

ის იყო, უნდა დევმსხდარიყავით, მომაგონდა, რომ ურიგო არ იქნებოდა, აქვე, გასტრონომიდან მოხარშულ წიწილს თუ ამოვიტანდი. ფული ბევრი მქონდა და არ მინდოდა, ჯაბასთან ძუნწობა გამომეჩინა. ჯაბამ ერთი კი თქვა, არ გვინდაო, მაგრამ მერე თავის ფეხით გაიქცა მაღაზიაში.

მშვენიერი პურ-მარილი გაიშალა. ღვინო დავიდგით და ქეიფს შევუდექით.

— უგუნებოდა ვარ, — ვუთხარი ჯაბას, ღვინო რომ დამისხა.

— მეც შეგატყვე, — მომეპირფერა ჯაბა. ვიცოდი, არაფერიც არ შეუტყვია, — გაწყენინა ვინმემ?

— ჰო.

— თუ ისეა, არ დაგეხათროს... ჭკუას ვასწავლით.

— არა, განა მაგისთვის გითხარი. მარტო იმაზე კი არ ვარ ნაწყენი. საერთოდ, რაღაც ვერ ვისვენებ. მგონი ეშმაკი შემიჯდა ტანში. რაღაც მინდა და რა მინდა, არ ვიცი...

— ეგ მეც მემართება. შენ პირველად დაგემართა?

— მგონი...

— მე ხშირად მემართება. ასაკის ბრალი ყოფილა.

— კარგი ერთი.

— გაგვიმარჯოს! — ჭიქა ასწია ჯაბამ, სულმოუთქმელად დაცალა.

— გაგვიმარჯოს, — მეც ავწიე ჭიქა.

— სად იყავი? — მკითხა ჯაბამ. პირი მწვანილით ჰქონდა გამოტენილი.

— სად არ ვიყავით...

— მოჰკალი რამე?

ჯაბას, რა თქმა უნდა, ვერ ვეტყოდი, რომ იმდენი გზა იმისთვის გავიარე, ერთი პატარა ტბა მენახა და „მთიდან გადმომეხედა“.

— ბევრი ვერაფერი...

— მაინც?

— კურდღლები და კიდევ რაღაც-რაღაცეები.

ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, მიგიხვდი, მაგრამ ჩემთვის სულერთია, რამდენიც გინდა, იმდენი იტრაბახეო.

— დაასხი, რაღას უყურებ, — შევახსენე.

ჭიქები შეავსო და სადღეგრძელო დაიწყო:

— იცი, რას გეტყვი? მოდი, ნამდვილ მეგობრობას გაუმარჯოს. ზოგი მოყვება და დაიწყებს ლაქლაქს. მე არაფერს მოვყვები. პირდაპირ გეტყვი, ნამდვილი რაც არის, იმას გაუმარჯოს.

სათამადო კაცია ჯაბა. ქორწილში უნდა დააყენო თამადად.

— აბა, როგორ, — დავეთანხმე მაშინვე, — ნამდვილი რაც არის...

ხელად გამიბრუვდა თავი.

— შენ არ იფიქრო, — მითხრა მან, როცა ჭიქა დავცალე, — იმიტომ გეუბნებოდე, რომ ეს სუფრა... — წიწილას ფრთა აახლიჩა და პირისაკენ გააქანა, — დღეს შენ, ხვალ მე... ასეთია ცხოვრება. შენ როგორ ფიქრობ, რატომ სხვასთან არ ვზივარ ახლა, ამ წუთას?

ძნელი გამოსაცნობი კი იყო, მე და ჩემმა ღმერთმა.

— რა თქმა უნდა... აბა, რა. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, ჩემო ჯაბა...

თავს ვუქნევდი და ვუღიმოდი, ყველაფერი უსიტყვოდაც ცხადია-მეთქი.

მეოთხე ჭიქის შემდეგ ერთბაშად ვიგრძენი: კიდევ თუ დავლევდი, ისიც

წამმწარდებოდა, რაც აქამდე ვსვი და ვჭამე.

— აღარ მინდა მეტი, — ავდექი.

ჯაბას სახე წითლად უღვიოდა, თვალები უბრწყინავდა.

— დაჯექი, კაცო, რა გაჩქარებს?

— არა, უნდა წავიდე.

დაიტანჯა კაცი, არ ეთმობოდა სუფრა — ძლივს აიტანა წელი.

— სად მიდიხარ?

დავფიქრდი, სად წავიდე-მეთქი. არ მინდოდა, ჯაბა წამომყოლოდა.

— ნატოსთან...

— იმ ღამის შემდეგ რაღაც ხშირად დადიხარ ნატოსთან. რაო?

— თუ მინდა, თითზე დავიხვევ. გიჟდება ჩემთვის.

— კარგი ერთი!

— მართალს გეუბნები.

— აბა, წავიდეთ მაშინ.

— შენ იქ რა გინდა?

— ნუ გეშინია, ხელს არ შეგიშლი.

ჯაბამ აიჩემა და, სანამ გარეთ გამოვიდოდით, მაინც დამალევინა ერთი ჭიქა ღვინო. მიედ-მოედო რაღაცას, ჩვენს მომავალ შეხვედრას, ჩვენს კაიბიჭობას გაუმარჯოსო. მერე სარკეს მივუშვირეთ გავარვარებული სახეები. თმა გავისწორეთ და ქუჩაში გავედით.

— ჯერ დაურეკე, — მითხრა ჯაბამ, — იქნებ არ იყოს შინ.

— იქნება...

არ მინდოდა, ჯაბას თანდასწრებით დავლაპარაკებოდი ნატოს. სულ რომ ჩამომცილებოდა ჩემი მეინახე, ამაზე უკეთესი არაფერი იქნებოდა.

— წამო, წამო, ჯიხურიც აქვეა. ეიცი ტელეფონის ნომერი.

ჯიხურში შევიდა და ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— ნატოს სთხოვეთ, თუ შეიძლება.

ყურმილი ხელიდან გამოვგლიჯე.

— დამაცადე!

ამ დროს ნატოს ხმა გაისმა:

— ალო. ალო!..

— გამარჯობა, ნატო. მერაბი ვარ.

— მერაბი? რა კარგია, რომ დამირეკე. როდის ჩამოდი?

— გუშინ, საღამოს...

— რატომ არ გამოიარე?

— ძალიან დაღლილი ვიყავი... მაშინვე დამეძინა.

— როდის გამოივლი?

— დღეს.

— მალე მოდი. მარტო ვარ შინ. ვზივარ და გერმანულს ვიზუთხავ. იცი, როგორ მომბეზრდა?

— რაო? — მკითხა ჯაბამ, — მომეცი ყურმილი. ახლა მე დაველაპარაკები.

— წავიდა, — ვუთხარი და მილი დავკიდე.

— მეც უნდა დავურეკო, — ჯაბამ ჯიბეში ორკაპიკიანს დაუწყო ძებნა.

ვერ იპოვა და ხელი ჩაიქნია. ჯიხურიდან გამოვედით.

●

მე და ნატო ბაღში ვიჯექით. ნატოს თმა უცნაურად ჰქონდა დავარცხნილი. ნაწილი შუბლზე ჩამოეჩეჩა, ნაწილი ბუდესავით ადგა თავზე. მგონი უხდებოდა. თუმცა, ეტყობოდა, ნაჩქარევად დავარცხნა.

მხარზე გადავდე ხელი. შეიშმუშნა და ხელი ჩამომაღებინა.

ისევ გადავხვიე ხელი. კვლავ უსიამოვნოდ შეიშმუშნა, მაგრამ აღარ მოვეშვი. მივიზიდე და კოცნა დავუპირე. გაიბრძოლა და ხელიდან დამიძვრა.

— გაგიჟდი? ხედავ, რამდენი ხალხია?

მაინც რატომ გამოიდო თავი?

— აჰ, უკაცრავად, — ვუთხარი, — მაპატიე, შევცდი.

დუმილი ჩამოვარდა. ნატო თვალებში მიმზერდა.

— რას მიყურებ? — ვკითხე, — ვერ მიცანი?

— ვერ გიცანი.

— იცი, რას გეტყვი, ნატო? — ვუთხარი, — მოდი, დავამთავროთ ეს თამაში, მე არ მიყვარხარ.

ნატომ უკან გადაიწია და მომაშტერდა. მე გულგრილად გავიხედე გვერდზე.

— აჰა... ის... იმ ღამეს...

გიორგი კეჭალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

ხმა ჩაუწყდა. ვინ იცის, როგორ მიპირებდა ნელ ცეცხლზე შეწვას და ყველაფერი კი ჩაეშალა.

— ბიჭებს დავენიძლავე, ვაკოცებმეთქი, ეგ იყო, მეტი არაფერი.

— მერე?.. მოიგე?..

— კი.

გაფითრდა. არა, გაფითრებული ისედაც იყო — ტუჩზე იკბინა. უცებ წამოხტა და სილა მტკიცა. რა თქმა უნდა, სულაც არ გამკვირვებია.

გაიქცა. წამში გაქრა.

ავდექი და მეც წამოვედი. დიდხანს დავხეტიალობდი ქალაქში. კარგი იქნებოდა, ჯაბას გადავყროდი სადმე. რატომღაც ძალიან მინდოდა მისი ნახვა.

●

შინ გვიან დავბრუნდი.

კარადის წინ სკამი დავიდგი, დავჯექი და სარკეში ჩავიხედე.

ტანში ჟრუანტელი მივლიდა ზიზღისაგან, ისე მძულდა ის, ვინც სარკიდან მიმზერდა.

— მითხარი, თუ ძმა ხარ, — მივმართე მას. სკამი ახლოს მივიწიე, — ვინა ხარ. რა გინდა ჩემგან, დამეხსნები თუ არა?

ის ბიჭი უტიფარი თვალებით მიმზერდა. თავხედურად იღიმებოდა. ჯიბეში მოაფათურა ხელი და სიგარეტი მომაწოდა.

— მოწიე, ძმობილო...

მოუკიდა და გააბოლა.

— მრცხვენია შენს მაგივრად. აღარ ჩამოგითვლი, რამდენი სიგლახე ჩაგიდენია... ჩამოგითვალო?

ბიჭმა შიშით გააქნია თავი. მერე უტიფრად გაიღიმა, ღრმად შეისუნთქა ბოლი და მითხრა:

— როგორც გინდა...

ხველა აუტყდა. კინაღამ დაიხრჩო.

— შენგან კაცი არ გამოვა, — ვუთხარი, — ტყუილია ყველაფერი.

ბიჭი სულელურად იმეორებდა ჩემს სიტყვებს.

— იცი, როგორი ხარ? — ვკითხე. იცნობ შენს თავს?

— ვიცნობ.

— მოგწონს?

ისევ მოქაჩა და ღრმად შეისუნთქა ბოლი.

— მოდი, — ვუთხარი, — გადააგდე ეგ სიგარეტი, ნუღარ ეწევი.

— ა? — გაუკვირდა მას, — გადავაგდო?

— ჰო, გადააგდე. ხომ ვიცი, რომ გეზიზღება. რისთვის ეწევი, რა ძალა გადგას. და საერთოდ, ნუთუ არ შეგიძლია, რომ სხვანაირად იცხოვრო, ადგე და სულ სხვანაირი გახდე, არ შეგიძლია?

ბიჭი დაფიქრდა.

— შემიძლია... ახლა რა ვქნა, ეს სიგარეტი ბოლომდე მოვწიო თუ არა?

„მგონი მასხარად მიგდებს," გავიფიქრე მე.

— ახლა როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მაგას მნიშვნელობა აღარა აქვს. ხვალიდან კი სხვა ცხოვრება უნდა დაიწყო.

— კარგი, — ბიჭმა ნამწვი ჩააქრო. აღარ იღიმებოდა ისე უტიფრად. დარცხვენილი ჩანდა. იმედი მომეცა, ხვალიდან იქნებ მართლა ახალი ცხოვრება დაიწყოს-მეთქი.

— მაშ ასე. ხვალიდან, კარგი?

— კარგი.

დავემშვიდობე, სინათლე ჩავაქრე და ლოგინში დავყვინთე.

მესიზმრა: ის ბიჭი, სარკიდან რომ მელაპარაკებოდა, ადგა, სარკე გამოამტვრია და ოთახში გადმოაბიჯა. მერე ზედიზედ აბოლებდა სიგარეტს, იფურთხებოდა, იგინებოდა, იატაკზე კოტრიალობდა — რაც მოეპრიანებოდა, იმას აკეთებდა. გულზე ვსკდებოდი ბრაზისაგან, მაგრამ განძრევის თავი არ მქონდა, ხმაც ვერ ამოვიღე. ბოლოს ბიჭი საწოლთან მოვიდა და სასთუმალთან დამიჯდა. საბანი გადამხადა, ჯიბიდან ქინძისთავი ამოიღო და მთელ ღამე მჩხვლეტდა და მჩხვლეტდა.

განაწამებს, დაბეგვილსა და დამტვრეულს გათენებისას გამომეღვიძა. ისე მტკიოდა სხეული, თითქოს მართლა დავეჩხვლიტე ვიღაცას. მალე ისევ დამე-

ძინა და ისევ სიზმარი ვნახე. ამჯერად აბეზარი ბიჭი იატაკზე კი არ დადიოდა, ჰაერში დაფარფატებდა და მეეჭვრეებოდა, თუ ძმა ხარ, ხელი მომკიდე და ძირს ჩამომიყვანეო. ისე დაპატარავებულიყო, იფიქრებდი, სული რომ შეუბერო, გაქრებაო. მოვკიდებდი ხელს, დავსვამდი მიწაზე, მაგრამ გავუშვებდი თუ არა, ისევ ჰაერში აფარფატდებოდა. არც წონა გააჩნდა, არც სხეული. უცებ დავაკვირდი სახეზე და ვიცანი: ეს იყო ჩემი ლანდი, პატარა, უმწეო, საცოდავი... ეგ კი არა და, მე თვითონ ვიყავი ის ლანდი.

2

პირველი გამოცდა სამ აგვისტოს მქონდა. დილით მამამ გამაღვიძა. შვიდი საათი იყო.

— ადექი, — მითხრა, — დღეს გამოცდა რომ გაქვს, ხომ არ დაგავიწყდა?

არ დამვიწყებია, მაგრამ ამისთვის შვიდ საათზე ადგომა ზედმეტ თავგანწირვად მიმაჩნდა.

მაგრამ მამაჩემი კარში იდგა და მელოდა.

წამოვხტი, ჩაცმას შევუდექი.

— ცხრაზე იწყება? — მკითხა მამამ.

— ცხრაზე.

— თორმეტ საათზე ინსტიტუტთან გამოვივლი. იქ დამხვდი. უჩემოდ არსად წახვიდე.

— კარგი, — ვუთხარი. მერე დავუმატე, — ორიანი რომ დამიწერონ?..

მამამ შემომხედა და უსიტყვოდ მაგრძნობინა, ასეთ რამეზე ხუმრობა არ მიყვარსო. მაგრამ მე სულაც არ ვხუმრობდი. თავისუფლად შემეძლო ორიანის მიღება.

დღეს ზურისაც აქვს გამოცდა — უნივერსიტეტში შეიტანა საბუთები, მათემატიკურზე. ნატო დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე აბარებს. ჯაბა იურიდიულზე სცდის ბედს.

ხელ-პირი დავიბანე და ქიმიის სახელმძღვანელო გადავფურცლე.

ნუნუს ეძინა. ბებია ისევ ავად იყო და იწვა. თბილისში დიდი სიცხეები დაჭირა. ახლა ნუნუ სიამოვნებით წავიდოდა ქალაქიდან, მაგრამ ვინ უშვებდა. ბებიას მოვლა უნდოდა და, საერთოდ, სახლს დიასახლისი სჭირდებოდა.

ნეტა რას მაწვალებს მამაჩემი? ხუთიანები თუ ვერ მივიღე, მთელი ეს წვალება წყალში ჩამეყრება — ვერ მოვხვდები. რაც თავი მახსოვს, სამედიცინოზე სულ ასე იყო და წელსაც ასე იქნება. მე სამიანიც არ მეკუთვნის. მამაჩემს კი დიდი იმედი აქვს. არ ამხელს, მაგრამ ვატყობ, რაღაცას ჯახირობს.

რამდენჯერმე მამაჩემის ნაცნობ პროფესორთან ვიყავი. არც ის გაუკვირვებია ჩემს ცოდნას. რამდენიმე გაკვეთილი კი ამიხსნა უხალისოდ. ალბათ მაშინვე იგრძნო, რომ ჩემი საშველი არ იყო. რაღაც-რაღაცეები გამომკითხა. ბოლოს ცდები ჩამატარებინა ქიმიაში. რა თქმა უნდა, მაინც ვერაფერს მივხვდი, მხოლოდ ის მომწონდა, მოულოდნელად რომელიმე კოლბაში წყალი რომ აშიშხინდებოდა და ოთახში მძაფრი სუნი დგებოდა. ან თეთრ-მოწითალო ალი იფეთქებდა და უცნაურად იგრიხებოდა...

ერთ დღეს პროფესორმა იმდენი დავალება მომცა, ხელად მივხვდი, ჩემი ჩამოცილება ჰქონდა განზრახული. მას შემდეგ არც მივსულვარ. ხომ არ ჰგონია მამაჩემს, რომ იმ პროფესორმა მთელი თავისი ცოდნა გადმომილოცა?

რვა საათამდე, როგორც იქნა, გავიტანე დრო. მერე ვისაუზმე, პასპორტი და საგამოცდო ფურცელი ჯიბეში ჩავიდე და ფეხით გავუყევი უნივერსიტეტისაკენ. იმედი მქონდა, იქ ბევრ ნაცნობს და ამხანაგს ვნახავდი. გზაში უკვე მხვდებოდნენ შეშინებული აბითურიენტები, თითოს სამ-სამი გულშემატკივარი რომ მიჰყვებოდა.

უნივერსიტეტთან კარგა ბლომად შეგროვილიყო ხალხი. ბაღში შევიხედე და თემური დავინახე — ძელსკამზე იჯდა.

მანაც დამინახა და ხელი დამიქნია. ახლოს მივედი. მივესალმე. გვერდით შუახნის კაცი უჯდა. ჩემი ბიძაო, გამაცნო თემურმა, კაცს ხელი ჩამოვართვი და თემურის გვერდით დავჯექი.

— ჩემი ბიძაშვილი აბარებს დღეს გამოცდას გერმანულზე, — მითხრა თემურმა.

— სად არის? — ვკითხე.

— აქ იყო სადღაც. შენ როგორ გაქვს საქმე?

ცუდად-მეთქი, გადავაქნიე თავი.

— ნუ გეშინია, — მანუგეშა თემურმა და მხარზე დამადო ხელი, — ხუთიანს მიიღებ.

ისე დარწმუნებით თქვა, მართლა დაიჯერებდა კაცი.

— რა იცი?

— ვიცი.

მერე კაცს მიუბრუნდა:

— მამამისი ცნობილი ქირურგია, ალექსი იაშვილი, თუ გაგიგონია. სამედიცინო ინსტიტუტში კაცი არ არის, მას არ იცნობდეს. ან სად არ იცნობენ!

კაცმა შემომხედა და ჩაილაპარაკა:

— ცხადია, ხუთიანს მიიღებ.

ისე ჩაიცინა, მაშინვე შემჯავრდა ის კაცი.

— მართლა, — მითხრა თემურმა და ჩემკენ მოტრიალდა, — გუშინ შენი ძმაკაცების წერილი მივიღე, მოკითხვას გითვლიან.

— ჩემი ძმაკაცების?

— სულთანი მწერს.

— წამაკითხებ?

— ვერ წაგაკითხებ. მისამართს კი მოგცემ, წერილი გაუგზავნე, გაუხარდებათ. მე მაინც არ ვაპირებ პასუხის გაგზავნას.

— კარგი, მისამართი მომეცი.

თემურმა ჯიბიდან კონვერტი ამოიღო, მისამართიანი გვერდი მოხია და მომცა.

— ის ადგილი წამაკითხე, სადაც მე მახსენებს.

— მოკითხვას გითვლიან, მეტი არაფერი წერია შენზე.

— წამაკითხე, ხომ არ შევჭამ წერილს!

— მეტი არაფერი არ წერია-მეთქი, ხომ გითხარი? რა მნიშვნელობა აქვს, შენი თვალით წაიკითხავ თუ არა.

— არ მინდა, თუ ასე გეშინია.

— ბოლოსდაბოლოს ჩემი წერილია თუ შენი? — გაცხარდა თემური. — ხომ იცი, რომ სხვისი წერილის წაკითხვა უზრდელობაა?

ხმა არ ამომიღია. თემურმა შემატყო, რომ მართლა ძალიან ვიყავი ნაწყენი. გამიღიმა.

— აჰა, წაიკითხე, რახან ასე გინდა, — წერილი ამოიღო და მომაწოდა, — ოღონდ ერთი სიტყვაც არ დაიჯერო, თავიდან ბოლომდე ცილისწამებაა. ამიტომ არ ვწერ პასუხს.

ასეთი ხასიათი აქვს, ძალიან ნანობს ხოლმე, თუ ვინმეს აწყენინა. ანდა რას შევუჩნდი. ეტყობა, წერილში მისი ლანძღვის მეტი არაფერი ეწერა.

— არ მინდა.

— რა ვიცი, კი გეწყინა და.

— არ მწყენია.

უცებ ერთი პატარა, ლამაზი გოგო დავინახე. პირდაპირ ჩვენკენ მოდიოდა და იღიმებოდა. ისეთი ლამაზი და კოხტა გოგო იყო, გული გადამიქანდა. მივიხედ-მოვიხედე, ნეტა ვის უღიმის-მეთქი. ამასობაში მოვიდა კიდეც ჩვენთან. თემურის წინ გაჩერდა. ასეთი ლამაზი გოგო ჩემს დღეში არ მენახა.

— დაჯექი, ნონა, — უთხრა თემურმა და თავისი ბიძისკენ მიიწია. გოგო მაინც თემურსა და მამამისის შუა ჩაჯდა. ხელში გერმანული ენის სახელმძღვანელო ეჭირა.

— რომელი საათია? — ვკითხე თემურს. საათი მეც მქონდა, მაგრამ მინდოდა ჩემი თავი შემეხსენებინა.

თემურმა საათზე დაიხედა.

— თხუთმეტი წუთი დარჩა. არ დაგაგვიანდეს.

— არა, ჯერ ბევრი დრო მაქვს, — მერე გოგოს მივუბრუნდი, — თქვენ გერმანულზე აბარებთ?

— დიახ, — ნონამ ლოყაზე მიიდო ხელი და შიშით თქვა, — რა მეშვლება, ხუთიანი რომ ვერ მივიღო?

— მიიღებთ, როგორ არა, — ვუთხარი მე, — ერთი ჩემი თანაკლასელიც აბარებს გერმანულზე, მედალოსანია.

— ძალიან ბევრია მედალოსანი, — თქვა ნონამ.

— ესეც მედალოსანია, — მითხრა თემურმა გოგოზე.

ბიძამისი ადგა.

— წავიდეთ. დროა, შესასვლელთან გავჩერდეთ.

მეორე კორპუსისაკენ გავწიეთ. ქუჩაში რომ გამოვედით, ნატო დავინახე — ტროლეიბუსიდან ჩამოხტა. იმ დღის შემდეგ, ბაღში რომ ვიჩხუბეთ, ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. ერთხელ კი დავურეკე, მაგრამ მიხვდა თუ არა, ვინც ვიყავი, ხელად დადო ყურმილი. ჯაბა დამპირდა, შეგარიგებო, მაგრამ მე მაინცადამაინც არ ვცდილვარ. თუმცა გული კი მწყდებოდა, რომ მემდუროდა.

ნატომ დამინახა თუ არა, გამიცინა, მოვიდა და ხელი გამომიწოდა.

— გამარჯობა.

დაბნეული და გაოცებული ვიყავი.

— შენც დღეს გაქვს გამოცდა? — მკითხა.

— ჰო.

— მეც.

— ვიცი.

— ძალიან მეშინია... ხუთიანი უნდა მივიღო. თუ ვერ მივიღე, ვერ მოვხვდები.

— რატომ?

— მერე კონკურსში მომიწევს მონაწილეობა. ძალიან დიდი კონკურსია.

იქით ვიხედებოდი, საითაც თემური და მისი ბიძაშვილი წავიდნენ. არ მინდოდა თვალიდან დამეკარგა ისინი. აჰა, დავინახე — მეორე კორპუსის კიბეზე ადიოდნენ. იქაურობა ხალხით იყო სავსე, ძლივს მოვკარი თვალი.

— ეძებ ვინმეს? — მკითხა ნატომ.

— არა, ისე მოვედი.

მიმზერდა და იღიმებოდა. თითქოს რაღაც შეეტყო და უნდოდა ჩემთვისაც ეამბნა.

— მაშინ მართლა მთვრალი იყავი?

— როდის?

— მაშინ.

— ვიყავი...

„ჯაბა ეტყოდა".

— მე კი მეგონა, გულით ლაპარაკობდი.

არაფერი მითქვამს.

— რომ მცოდნოდა, მთვრალი იყავი, არ გაგარტყამდი.

თუ ჰგონია, სილა რომ გამაწნა, იმიტომ ვარ ნაწყენი. სულაც არა. მე ის მეწყინა, რომ დავურეკე და ყურმილი დამიკიდა.

— ახლა მივდივარ. მერე გამოიარე, იცოდე, კარგი?..

— მოვალ, — ვუთხარი მე.

ამ დროს ვიღაცამ თვალებზე ხელი ამაფარა. მაშინვე მივხვდი, ვინც იყო.

— ზური ხარ!

მთიდან რაც ჩამოვედი, ზური არ მინახავს. ძალიან მენატრებოდა, მაგრამ ჯაბამ მითხრა, ტყუილად არ მიხვიდე, დედამისი კართან ზის და არ შეგიშვებსო. ჩხირივით გამხდარიყო, მოეკლა თავი მეცადინეობით.

— ამ ერთ თვეს არაფერი გიჭამია?— ვკითხე.

ზურიმ გაიცინა. ამ დროს დედამისიც დავინახე.

— წამოდი, ცხრა სრულდება, — უთხრა ბიჭს.

— ახლავე.

ქალი მომესალმა და ისევ ზურის მიუბრუნდა:

— წამოდი, წამოდი! — ხელი მოჰკიდა.

ზური გაჯიუტდა.

— არსადაც არ წამოვალ, — თქვა და ზურგით ჭადარს მიეყრდნო.

— რაო? ქალს ფერი ეცვალა, — რა თქვი?

— არ წამოვალ, იცოდე. სანამ შინ არ წახვალ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

დედა გაოცებული უმზერდა. ხმის ამოღებაც ვერ მოეხერხებინა.

— ხომ გითხარი, სანამ შინ არ წახ-

ვალ, გამოცდაზე არ შევალ. რატომ უნდა იდგე მთელი დღე ამ სიცხეში. სახლს ვერ მოვაგნებ, თუ რა გგონია?

— აქ მირჩევნია... აქ უფრო ადვილია ჩემთვის, — მუდარით უთხრა ქალმა.

კარგად ვიცნობ ზურის. ჯიუტი არაა, მაგრამ თუ გაოჩნდა, ვერაფრით ვერ გადაათქმევინებ.

ქალმა საათზე დაიხედა. ცხრა იყო.

— კარგი, წავალ.

ქუჩა გადაჭრა. ზურის თვალი არ მოუცილებია, სანამ დედამისი ავტობუსში არ ავიდა.

3

გამოცდა ზუსტად თორმეტზე დავამთავრე. გარეთ გამოვედი და ქუჩაში მივიხედ-მოვიხედე. „ნეტა მოვიდა თუ არა მამაჩემი?". ამ დროს მანქანაც დავინახე. მივირბინე. მამაჩემი შორიახლოს იდგა. დამინახა და ჩემთან მოვიდა.

— როგორაა საქმე?

საგამოცდო ვაჩვენე.

ნიშანს დახედა. მერე გამომცდელის ხელწერას დააკვირდა.

— ასე, — ჩაილაპარაკა კმაყოფილმა. საგამოცდო ფურცელი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო, — შენი ამბავი რომ ვიცი, ამასაც ვერ მოუვლი.

გულგრილად გავიხედე გვერდზე.

მამაჩემს ეგონა, მეწყინა და ფურცელი ისევ მომაწოდა:

— გამომართვი.

გამოვართვი და ჯიბეში ჩავიდე. მამაჩემი მანქანაში ჩაჯდა.

— წამოდი, — მითხრა, — ბარემ შინ მიგიყვან.

შინ არ მივდივარ, უნივერსიტეტში უნდა გავიარო-მეთქი, ვუთხარი.

— ახლა ბევრი ხეტიალი არ დაიწყო!

— არა.

უნივერსიტეტისაკენ გავუყევი. გაზეთის კიოსკთან რომ მივედი, ჯაბა დავინახე, იდგა და გამვლელებს ათვალიერებდა, ზეგ აქვს გამოცდა ისტორიაში. ჩემი არ იყოს, მეცადინეობით არც ის იკლავს თავს.

— რა მიიღე? — მკითხა.

საგამოცდო ვუჩვენე.

— ხუთიანი! — მეცა და გადამკოცნა, — გილოცავ.

— გმადლობთ.

— რატომ მოდი? — თვალი ჩამიკრა და დაუმატა, — ნატოს ელოდები? ჯერ არ გამოსულა.

— ზურის ველოდები.

— არც ის გამოსულა... შენ ნატოს ელოდები. შეგირიგდა? ვუთხარი, მთვრალი რომ იყავი. ხომ ხედავ, როგორ ვზრუნავ შენთვის. აპატიე, თუ რამე გაწყენინა-მეთქი. რა შენი საქმეაო, წაიმეტიჩრა. მაგრამ სახეზე შევატყვე, ყველაფერი გაპატია. ფსიქოლოგი ვარ. ნახე დღეს?

— ვნახე.

— წამოდი, მეორე კორპუსის წინ გავჩერდეთ. ზური და ნატოც იქიდან გამოვლენ.

წავედით. საშინლად ცხელოდა. ხალხი არ ეპუებოდა სიცხეს. მეორე კორპუსის წინ იდგნენ და იმ პაპანაქებაში მონუსხულებივით შეჰყურებდნენ კარს. იშოვიდნენ თუ არა დროს, მაშინვე კიბეზე არბოდნენ და კარს აწყდებოდნენ. ზევით ხომ ყველანი ვერ ეტეოდნენ, ძირს დარჩენილები ბრაზობდნენ და ილანძღებოდნენ. ჩამოდითო, ეძახდნენ ზევით ასულებს. დროდადრო კართან მილიციელი გამოჩნდებოდა და აზარტში შესულ გულშემატკივრებს დაბლა ერეკებოდა. სული გვეხუთებოდა, ისე ცხელოდა.

— დღეს ლამაზი გოგო გავიცანი, — ვუთხარი ჯაბას, — თავბრუ დამეხვა, რომ შევხედე.

— კარგი ერთი. ასეთი ლამაზი იყო?

— მართალს გეუბნები .გამოცდაზეა შესული, ნატოსთან აბარებს. გამოვა და დაგანახვებ.

— გამაცნობ?

შევყოყმანდი.

— შეიძლება...

— რა გენანება, შენ ხომ მაინც არ გცალია მისთვის.

— ვითომ რატომ არ მცალია?

— შენ ნატო არ გიყვარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი გადავაქნიე.

— ნატო კარგი გოგოა, — მითხრა ჯაბამ, — ტყუილად წუნობ. მასაც უყვარხარ.

„მართლაც და რატომ ვიწუნებ ნატოს? კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის თემურის ბიძაშვილზე ნაკლები გოგო. თვალი მაქვს შეჩვეული და ამიტომ არ ვაფასებ...“

ჯაბა კიბეზე მომავალ აბითურიენტებს თვალს ადევნებდა და გაიძახოდა.

— ხუთიანი!

— ეს ოთხიანი იქნება!

— სამიანი. ნიძლავს ჩამოვალ, თუ სამიანი არ ექნება იმ გოგოს მიღებული.

— ორიანი... საწყალი. ნამდვილი ორიანია! — ჯაბას უცებ ხმა ჩაუწყდა.— ბიჭოს... ეს... ეს ზური არაა?

მართლაც ზური იყო. ცოცხალ-მკვდარმა ჩამოიარა კიბე. ხალხის წრე გავარღვიეთ და მასთან მივცვივდით.

— რა მიიღე?

ზურიმ სახე მიიბრუნა და ხელი ჩაიქნია. თვალებში ცრემლი დავუნახე.

მივიხედ-მოვიხედე. ხალხი გვეხვეოდა. რა მიიღოო, წარამარა გვეკითხებოდნენ. ზოგი თანაგრძნობით შეჰყურებდა, ზოგსაც ცუდად დაფარულ სიხარულს შეატყობდით.

ზურის ხელი მოვკიდეთ და სწრაფად გავიყვანეთ იქიდან.

— რა მიიღე? — გაუმეორა კითხვა ჯაბამ.

— სამიანი, — ძლივს ამოიღო ხმა ზურიმ. მერე ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე.

— კარგი, რა მოგივიდა? — უთხრა ჯაბამ და მხარზე ხელი გადახვია, — დაწყნარდი.

ზურიმ ძალად გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

— გათავდა ჩემი საქმე. ახლა როგორ მივიდე შინ?

თვალებში შევყურებდით. ძალიან გვეცოდებოდა. ჯანდაბას ჩვენი თავი, არ მოვხვდებით და ამით ორი ზარმაცი სტუდენტით ნაკლები იქნება თბილისში. ზური კი...

— დედაჩემს რა ვუთხრა, კიდევ კარგი, რომ გავუშვი.

— შენ მაინც მოხვდები! — იყვირა ჯაბამ, — უყურე თუ არა!

გაკვირვებულმა შევხედე, რა აყვირებს-მეთქი. ზურიმაც შეხედა და მწარედ გაიღიმა.

— არ გჯერათ? ახლავე დაგენიძლავებით ორივეს. დანარჩენ საგნებში სულ ხუთიანებს მიიღებ.

— დღეს სამიანი რომ მივიღე?

ეს ისეთი ხმით იკითხა, აშკარად იგრძნობდი, ჩვენგან გამხნევებას ელოდა.

— შემთხვევით მოხდა რაღაც... ჯერ გამოცდები წინაა.

ზური დუმდა და ძირს იხედებოდა.

— დამენიძლავეთ! — იქაჩებოდა ჯაბა.

გამეცინა. ზურისაც გაეცინა. მერე ნაღვლიანად თქვა:

— მედლის იმედი მქონდა. სხვა საგნები არ გამიმეორებია.

— მოასწრებ... მე ვიცი... მე ვიკითხო, ცარიელი თავი რომ მაქვს, თორემ შენ რა გიჭირს.

ისევ გაგვეცინა მე და ზურის.

— კარგი, გენიძლავები, — უთხრა ზურიმ და ხელი დაჰკრეს.

ერთხანს ნატოს ვუცადეთ. მერე ზურიმ თქვა, უნდა წავიდეო. ჯაბა უნივერსიტეტთან დარჩა. მე ზურის გავყევი. არ ვიცი, ჯაბას ნიძლავმა იმოქმედა თუ რამ, ზური გზადაგზა დამშვიდდა. ახლა თვითონ ინუგეშებდა თავს.

— იქნებ მთლად არ წამხდარა საქმე. იცი, რამდენი ჩაიჭრა? შეიძლება მართლა მოვხვდე, არა?

— როგორ არა, — ვანუგეშე, — ოღონდ დღედაღამ უნდა იმეცადინო.

ზურის მეცადინეობას ვერ ვასწავლიდი.

— ვიმეცადინებ, — მითხრა ზურიმ,— ჰო, მართლა, ახლა გამახსენდა. შენ რა ჰქენი? რა მიიღე?

ახლა უკვე ვინანე, რომ წამოვყევი.

გიორგი კეჟალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

არ უნდა წამოვყოლოდი. რა აუცილებელი იყო? ვერ მიაგნებდა სახლს თუ რა?

— ხუთიანი...

— გილოცავ.

— გმადლობთ.

ახლა დავემშვიდობები და წავალ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ უნებურად მაინც შევყევი ეზოში.

კიბეზე ძლივს მოვასწარით ასვლა, აივანზე დედამისი გამოვიდა. ზურის რომ შეხედა, ფერი დაეკარგა. ხმის კანკალით თქვა:

— ოთხიანი?

ზურიმ თავი გააქნია.

— სამიანი? — ქალს ხმა გაუწყდა.

— ჰო...

ქალი იქვე, ტახტზე დაეშვა და ისეთი ქვითინი ამოუშვა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ზური მივარდა.

— დაწყნარდი. რა მოხდა ასეთი... სირცხვილია... დაწყნარდი!

მართლაც, რა მოხდა ასეთი? რატომ იხეთქავს გულს? ამ ხალხის არაფერი მესმის. ნუთუ ღირს ამდენ ტანჯვა-წვალებად სტუდენტის ბილეთი? ინსტიტუტის წინ რა ვაიუშველებელი იყო, უნივერსიტეტთან კიდევ უარესი. თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა.

— ნუ გეშინია, მაინც მოვხვდები, — ამშვიდებდა ზური, — იცი, რამდენი ჩაიჭრა?

— შენ რა მიიღე? — მკითხა უცებ ქალმა.

გავშრი. ახლა მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი, ის მერჩივნა.

წავუყრუე. ვითომ არ გამეგონოს. თან ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. იმაზელა ვფიქრობდი, უცებ რა მოვიმიზეზო, რომ აქედან მოვკურცხლო-მეთქი.

— რა მიიღო? — ახლა ზურის ჰკითხა ქალმა.

ზურიმ შემომხედა. თვალით ვანიშნე, არ თქვა-მეთქი. ვერ მიმიხვდა.

— ხუთიანი.

— შენ კი სამიანი დაგიწერეს!

ქალმა ისევ მიიფარა სახეზე ხელი და აქვითინდა.

კიბეზე დავეშვი.

— დაწყნარდი, — მესმოდა ზურის ხმა, — რას იფიქრებს, სირცხვილი არაა!

ქუჩაში გავვარდი. მალე ზურიც დამეწია.

— არ გეწყინოს... ხომ იცი ქალების ამბავი.

ადვილი სათქმელია: „არ გეწყინოს...“

— გეწყინა?

ხომ შეეძლო, არ ეთქვა. აკი ვანიშნე, არ უთხრა-მეთქი.

— დედაჩემს ჰგონია, წელს თუ ვერ მოვხვდი უმაღლესში, წასულია ჩემი საქმე... რა მისი ბრალია.

ისევ უნივერსიტეტთან ამოვყავით თავი. მაშინვე დავინახე ჯაბა. მეორე კორპუსის წინ იდგა და კარს მიშტერებოდა. წამდაუწუმ გაიძახოდა: „ხუთიანი... ოთხიანია... ნამდვილად სამიანი იქნება... ორიანია. ვაი, საწყალი. გაისად მობრძანდი, ლამაზო, უნივერსიტეტს არსად წაიღებენ...“

რომ დაგვინახა, დროებით შეწყვიტა თავისი საქმიანობა.

— მე ფსიქოლოგიურზე უნდა შევეტანა განცხადება, — გვითხრა, — წადით და შეამოწმეთ, თუ ერთხელ მაინც მოვტყუვდები. შეამოწმეთ.

— არა გრცხვენია? — უთხრა ზურიმ, — ამ ხალხს თავისი გაჭირვება ეყოფა, შენ კი თავს ირთობ.

— ყველა თავის საქმეს აკეთებს, — დინჯად მიუგო ჯაბამ.

— ნატო არ გამოსულა? — ჰკითხა ზურიმ.

— ჯერ არა. მე ისეთი შორსმჭვრეტელი ვარ, ნატოს ნიშანს თუ გინდა, ახლავე გამოვიცნობ.

— აბა, — უთხრა ზურიმ, — თქვი!

— ხუთიანს მიიღებს.

— როგორ გამოიცანი? — ვკითხე.

— ბიძამისი კომისიის თავმჯდომარეა.

თვალით თემური და მისი ბიძა მოვძებნე. ვერსად დავინახე. ხალხში გავძვერი და მეორე მხარეზე გავედი. თემური არსად იყო.

— ვის ეძებ? — მკითხა ჯაბამ, უკან რომ დავბრუნდი.

— ვიღაცას.

— შენი მზეთუნახავის ნახვა თუ გინდა, მგონი გამოვიდა წელან. პატარა, შავთვალა გოგო ხომ არ იყო?

— ჰო... რა ნიშანი ექნებოდა?

— ისე ბღაოდა საწყალი, შეიძლება ორიანიც კი ჰქონდეს მიღებული.

— საით წავიდა?

— რა ვიცი.

— წამოდი, მოვძებნოთ.

ჯაბას ეზარებოდა თავისი დაკვირვებების შეწყვეტა. მაინც წამომყვა. ნონა, ნონას მამა და თემური ბაღში ისხდნენ. შევხედე თუ არა, მაშინვე შევატყვე, საქმე ცუდად იყო. მივედი, თემურს ვკითხე, რა მიიღო-მეთქი. ნონას თვალები აწითლებოდა. ცხვირსახოცი პირზე მიეფარებინა და დროდადრო ისევ სლუკუნებდა.

— ოთხიანი, — მიპასუხა თემურმა. ნონას მამამ შემომხედა, არაფერი უთქვამს.

— შენ? — მკითხა მერე.

ჯაბამ ხუთივე თითი დაანახვა. სიამოვნებით მივამტვრევდი იმ თითებს.

— გილოცავ, — მითხრა თემურმა.

კაცმა ჯიბეში პაპიროსს დაუწყო ძებნა. გოგომ მზერა შემავლო. თვალები შურითა და სიძულვილით ჰქონდა სავსე. სულაც არ მწყენია, მგონი კიდეც ველოდი ამას, როგორც მაშინ, ნატომ ბაღში სილა რომ გამაწნა. უცებ ჯაბამ დაინახა:

— ნატო!... ნატო, აქ მოდი!

ნატო კი არ მოდიოდა, მოფრინავდა.

— გითხარი თუ არა, — მითხრა ჯაბამ, — ხუთიანია... — გაიქცა და შეეგება, ნატოს ლოყაზე აკოცა. აბა ხელსაყრელ შემთხვევას როგორ გაუშვებს, გოგოს რომ არ აკოცოს. ნატომ ახლა მე მომიშვირა ლოყა.

— ხუთიანი მიიღეთ? — ჰკითხა ნონამ და, ზურის დედის არ იყოს, გული ამოუჯდა.

— დაწყნარდი, გოგო! — გაუჯავრდა მამამისი, — გეყოფა ახლა ღრიალი. არ გააჭირა საქმე?

ნატო გაკვირვებული უყურებდა ამ უცნაურ გოგოს. მერე ჩვენ შემოგვხედა, თითქოს გვეუბნებოდა, ამიხსენით, რა ხდებაო. მერე ყველაფერს მიხვდა, გაბრაზდა, შეტრიალდა და წავიდა. ზური და ჯაბაც გაყვნენ.

— რა მოხდა? — ეკითხებოდა თემური ნონას.

— ის გოგო მე მეხვეწებოდა, მითხარი გერმანულად გლეხი როგორ არისო. ხუთიანი კი დაუწერიათ.

მეტი აღარ დამიცდია. წამოვედი. ზურის, ჯაბას და ნატოს ტროლეიბუსის გაჩერებასთან წამოვეწიე.

— რა შურიანი ყოფილა ის გოგო, — ამბობდა ნატო, — როგორ აღრიალდა სიმწრისაგან, ხუთიანი მივიღე-მეთქი, რომ ვთქვი.

— სულაც არ არის შურიანი, — ვუთხარი მე.

ნატომ შემომხედა.

— გამოუჩნდა დამცველი...

— მის ადგილას შენ უარესს იზამდი.

— რატომ?

— შენ თვალებს ამოკორტნიდი.

— უყურე ამას, როგორ მელაპარაკება! — ნატომ ბრაზით სავსე თვალები შემომანათა. ისე დაიძაბა, თითქოს ესესაა, საცემრად მომვარდებაო.

— ვითომ რაო? — ვკითხე.

— აბა, აბა, — შუაში ჩადგა ჯაბა, — დღეს შერიგდით და ისევ უნდა იჩხუბოთ?

ზური შორიახლოს იდგა.

— ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, ლამაზი გოგო კი იყო, — თქვა ჯაბამ, — ღირს გამოსარჩლება.

— ლამაზი გოგო! — გაჯავრდა ნატო, — მერე საიდან იცი, რომ იმ გოგოს ხუთიანი ეკუთვნოდა, იცი?

— მაგას არ ვამბობ. შენ კი გეკუთვნოდა ნამდვილად?

— რატომაც არა. ან ვთქვათ, არ მე-

გიორგი კეჭალმაძე
ჩემი პატარა ლანდი

კუთვნოდა, მაგრამ მოტყუვდნენ და დამიწერეს. რა ვქნა, წავიდე და ვთქვა, არ მეკუთვნის-მეთქი?

ჯაბამ გაიცინა:

— რა სეირი იქნებოდა!

— ეგ ხომ არ მითქვამს? — ვუთხარი მე.

— აბა რა გინდა ჩემგან?

გავჩუმდი. დამავიწყდა, რაზე დავიწყეთ ჩხუბი. მე ხომ სულაც არ მწყენია, ნატომ ხუთიანი რომ მიიღო, პირიქით. ოღონდ ნონა მეცოდებოდა და ვიცავდი. ეს იყო და ეს...

— ძალიან კარგად მეკუთვნოდა! — წამოიძახა უცებ ნატომ, — შენ თვითონ ინჩიბინჩი არ იცი არც ერთ საგანში.

— აბა მითხარი, — ვკითხე, — გლეხი როგორ არის გერმანულად?

— ბაუერ! — წამოიძახა ნატომ.

— სწორია? — ვკითხე ზურის.

ზურიმ თავი დამიქნია.

— დაბრძანდით?

— ზეცენ ზი ზიჰ.

ეს მეც ვიცოდი, რომ სწორი იყო. ცხადია, ასეთი ფრაზა ნატოს არ შეეშლებოდა.

— ახლა შენ ჰკითხა რამე, — ვთხოვე ზურის.

— თავი დამანებე, — გაბრაზდა ზური, — რა დროს ეგაა.

— მკითხეთ, — გვეუბნებოდა ნატო გამარჯვებული სახით. მერე უცებ იფეთქა, — შენ? შენ რა მიიღე?

ჯაბამ გადაიხარხარა.

— ჰო, აბა მითხარი? — არ იშლიდა ნატო.

— რა თქმა უნდა, ხუთიანი, — უთხრა ჯაბამ.

— ხედავ? — თქვა ნატომ, — მე თუ ხუთიანი დამიწერეს, ოთხიანი ხომ მაინც მეკუთვნოდა. მაგრამ შენ? შენ რა იცი ქიმიაში? აბა, მითხარი წყლის ფორმულა.

ცუდად შემოაბრუნა საქმე.

— რაო ვითომ, — ვუთხარი დაბნეულად, — ესეც არ ვიცი? — და, მე სულელმა, მართლა ვთქვი წყლის ფორმულა.

მაშინვე ისეთი ხარხარი ატეხა, ვიფიქრე, შემეშალა-მეთქი, მაგრად გამაბა ნატომ. მაგრამ იმაზე სულაც არ ვდაობდი, ვის რა ეკუთვნოდა. მე ნონას ვიცავდი, არ მინდოდა, შურიანობა დაეწამებინათ მისთვის.

ახლა სამივენი ხარხარებდნენ. ნამდვილად შემეშალა წყლის ფორმულა.

სახეზე რომ შემხედა, ზურიმ მაშინვე შეწყვიტა სიცილი. მალე ჯაბამაც ჩაიწყვიტა ხმა. ალბათ ცუდი ფერი მედო. ნატო კი იცინოდა და იცინოდა. თავს ძალას ატანდა.

— აი, წყლის ფორმულა, — ვუთხარი ნატოს და გაშლილი ხელის გული ვუჩვენე. — იცინე, რამდენიც გინდა.

ხელის გულზე ქაღალდის ნაკუწები მეყარა.

ნატოს სახე გაეყინა. მაშინვე იცნო საგამოცდო ფურცელი.

— სულელო! — მომვარდა და დაჭმუჭნილ ნაკუწებს სწორება დაუწყო.

ახლა მარტო მე ვიცინოდი.

ხელი მოვიქნიე და ნაკუწები ჰაერში ავაფრიალე.

გაგრძელება იქნება

ზოთა არაბული

ბერდიშვილების სტუმარი

დოკუმენტური მოთხრობა

— არხვატის თემში, სოფელ ამღაში, ცხოვრობდნენ ბერდიშვილები, სამოთხი კომლი.

სახელოვანი წინაპრის ბერდიას შთამომავლები დღესაც ბერდიშვილებს უწოდებენ თავიანთ თავს, გვარად კი წიკლაურები არიან.

ბეწიკა და ხირჩლა წიკლაურები თავის დროზე ტოლს არავის უდებდნენ ქისტეთსა თუ არხვატში.

შვილებიც ღირსეული წამოეზარდათ სახელოვან ვაჟკაცებს; ხირჩლას ვაჟები — ბერდია, გიგი, ბეწინა, და ბეწიკას ორი ვაჟი — წვრილა და ბაია არხვატის თემის იმედად ჰყავდათ ხევსურებს მიჩნეული.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათი ობოლი ბიძაშვილი ბაბუტა, რომელიც ხირჩლასა და ბეწიკას სახლში იზრდებოდა.

— ქისტეთის კარს ბერდიშვილები დარაჯობენო, იტყოდენ ხევსურები და დღეობებზე საკარგყმოს მიართმევდნენ ხირჩლასა და ბეწიკას სახელოვანი ვაჟკაცების გაზრდისთვის.

ეს იყო ოქტომბრის გარიჟრაჟზე...

●

ზაფხულის ერთ დღეს, ქისტეთისაკენ გადასასვლელ მთებში, ბაბუტა წიკლაურმა იმ დილით მოკლული ხარ-ჯიხვი უმცროს ბიძაშვილს ბეწინას ამღაში გაატანა, თვითონ კი მწვერვალზე აღმართულ სადარაჯო კოშკს მიაშურა.

ივლისის მზიანი დღე იდგა.

გრილი ნიავი უბერავდა საჯიხვეებიდან.

დროდადრო შურთხების სტვენა არღვევდა ჭიუხების მყუდროებას.

სიპი ქვებით შემოღობილი სანგრიდან ბაბუტა დურბინდით ათვალიერებდა ქისტეთის მხარეს, გულში ღილღოს თავკაცის ელიმარძის შვილის — მექანჯირის გამოჩენას ნატრობდა, რომ „სახელი ექნა“, ძველი მოსისხლისა და განთქმული ვაჟკაცის სისხლი დაეღვარა.

ბაბუტა წიკლაურმა ისიც იცოდა, რომ ელიმარძის შვილი ასე იოლად მოსისხლეს არ შეეჩეხებოდა.

უცებ ქვიშის ჩხრიალი მოესმა.

ბაბუტამ თოფი ჩახმახზე შეაყენა და ეხში ჩასაფრდა.

ღელეში ორი კაცი გამოჩნდა. ბაბუ-

ტამ იცნო წინ მომავალი მექანჯირი. მას ახოვანი, გრუზათმიანი, შავულვაშა ვაჟკაცი მოჰყვებოდა, რომელსაც ჯარისკაცის ფარაჯა აეკვალთა და მაუზერი ეკიდა.

„ახლა კი ვეღარსად წამიხვალ," — გაიფიქრა ხევსურმა და გულდამშვიდებით მომავალ ქისტს ლულის ტუჩი ზედ გულის კოვზზე დაუმიზნა.

ის იყო, სასხლეტისთვის თითი უნდა გამოეკრა, რომ ქისტი შებრუნდა:

— აქედან კი მარტო უნდა წახვიდე, — უთხრა უკან მიმყოლს, — თუ ვინმე მონადირე შეგხვდა, ეტყვი: ბერდიშვილებთან მივდივარ, ბეწიკას სტუმარი ვარო და თვითონ მიგასწავლიან გზას.

ბაბუტამ გასროლა დააყოვნა. სულგანაბული უსმენდა. თავის გვარს რომ მოჰკრა ყური, უფრო დაინტერესდა.

— ჩაგყვებოდი სოფლამდე, — თქვა ქისტმა, — მაგრამ ბაბუტა არ დამინდობს, ფიცი აქვს დადებული ჩემს მოკვლაზე, ის ისეთია, ფიცს არ გასტეხს.

შავულვაშა მგზავრი მშვიდად უსმენდა ქისტს, თან დიდრონი, მოღიმარი თვალებით ხევსურეთის ხეობებს ჩაჰყურებდა.

— შენ, შენ რას იზამდი, მექანჯირ, დაინდობდი იმ შენს მოსისხლე ბაბუტას, რომ შეგხვედროდა?

— რა ვიცი, მოსისხლეთა ადათი ასეთია, თორემ ის მოსაკლავად გასამეტები ვაჟკაცი არაა, — თქვა ქისტმა.

საფარში მჯდომ ხევსურს თითქოს გული მოულბო ქისტის სიტყვებმა, მაგრამ თოფის ნიშანი მაინც არ მოუცილებია.

— მერედა, ეგ ადათი თქვენს ხელთ არაა? — ჰკითხა კვლავ შავულვაშამ და იქვე, ქვაზე ჩამოჯდა.

ქისტმა პასუხი დააყოვნა. მხრიდან თოფი წინ ჯოხივით ჩამოიყუდა და ზედ დაეყრდნო.

— ეეჰ, ჩემო კარგო, ახლა ბერდიშვილებს ჰკითხე, შეგარჩენენ სისხლს?! — თქვა ნაღვლიანად.

— პირადად შენ ვინმე მოგიკლავს?

— არა.

— მთიელებში გამიგონია: სისხლი სისხლით არ მოიბანებაო, შენ და ბაბუტა რაღას ერჩით ერთიმეორეს?

— ერთი ბაბუტას ჰკითხე ეგ, არხვატში რომ ჩახვალ, რას გეტყვის!.. — უპასუხა მექანჯირმა და ცალყბად ჩაიქირქილა.

— თუ ბაბუტა ნამდვილი ვაჟკაცია, ისიც იმას იტყვის, რასაც შენ ამბობ.

— იტყვის კი? — თქვა ყრუ ხმით ქისტმა.

ბაბუტას გულმა აღარ მოუთმინა, თოფს ხელი წამოავლო და საფარიდან გამოვიდა.

მექანჯირი და უცნობი მგზავრი მისკენ შემობრუნდნენ.

— ბაბუტა?! — წამოიძახა გაოცებულმა ქისტმა.

— ჰო, მე ვარ, მექანჯირ! მაგრამ არ იფიქრო, სიტყვა გამეტეხოს! ბიძაჩემის სტუმრის მეგზურს ტყვიას ვერ ვესვრი, ამჯერად...

ქისტმა ულვაშებში ჩაიცინა:

— მე რომ ვმჯდარიყავი იმ საფარში, იქნება ეგ თავი გამეხვრიტა შენთვის, ბაბუტ!

— კი, თუ შენსავით სამიზნედ ჩამოგიდგებოდი! — უპასუხა დინჯად ხევსურმა.

ქისტმა გულიანად გადაიხარხარა. შავულვაშა ვაჟკაცი აღტაცებული შეჰყურებდა თავზეხელაღებული ამ ორი მთიელის უცნაურ შეხვედრას. მის მახვილ მზერას არ გამოპარვია მოსისხლეთა თვალებში ჩამდგარი თბილი ღიმილის გაელვება.

ბაბუტა შავულვაშას მიუახლოვდა.

— გამარჯვება, სტუმარო!

— გაგიმარჯოს, წიკლაურო, — გაუწოდა ხელი სტუმარმა, — მომწონს შენი ვაჟკაცური საქციელი, ხევსური ვაჟკაცი ვერც წარმომედგინა სხვანაირი. სისხლის დაღვრა ადვილია, ჩემო ბაბუტა, საქმე ძმობის ჩამოგდება და სიყვარულია, თორემ მტრობაზე იოლი არაფერია... ახლა შენი ყურით მოისმინე, რასაც ამბობდა შენზე მექანჯირი...

— უკეთესს იზამს, უკან თუ გაბრუნ-

დება, — თქვა ბაბუტამ, — ვინმე მონადირემ რომ თვალი შეგვასწროს, თავსლაფი დაგვესხმება...

— ეცადე, ხმა მოაწვდინო, — მიუბრუნდა იგი ქისტს, — შენ იცი, ახლა ნახვამდის. მამაშენი და ბიჭები მოიკითხე.

წასასვლელად გაბრუნებული მექანჯირი შემობრუნდა:

— რომ გაიგებ, ვისი გულისთვის არ გამიმეტე, აღარ ინანებ, ბაბუტ!..

ხელი ასწია და ქვიშიან გორას ჩაუყვა.

ბაბუტამ მგზავრი შეათვალიერა, მერე ქისტს გახედა.

მგზავრმა ხევსურის თვალებში კვლავ თბილი ღიმილი შენიშნა.

— ხედავ, ბაბუტა, გენდობა მოსისხლე... უკან არც კი მოუხედავს...

— გინდაც არ მენდობოდეს, მექანჯირი უკან მოხედვას არ იკადრებს, — ჩაილაპარაკა ბაბუტამ და მგზავრს არხვატისაკენ გაუძღვა.

●

შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა ბეწიკამ და ხირჩლამ სერგოს ძილი ნებისა უსურვეს და ჭერხოს მეორე ოთახში გამოვიდნენ.

— ვინ არის, რისთვის მოსულა? — დაასწრო სხვებს ბეწიკას უმცროსმა ვაჟმა წვრილამ.

მოხუცებმა ოთახი მოათვალიერეს, როცა დარწმუნდნენ, ყველა თავისიანი იყო, ბეწიკამ თქვა:

— იცოდეთ, სტუმარს ისე უნდა გაუფრთხილდეთ, როგორც საკუთარ თავს. შეიძლება მტერი კვალზე მიჰყვეს, ასი თვალი და ყური იქონიეთ!..

— სანამ ჩვენი სტუმარი თავის გზას არ დაადგება, — თქვა ხირჩლამ, — მაგის სიცოცხლეზე თქვენა ხართ პასუხისმგებელი, ვაჟებო.

ახალგაზრდები დარწმუნდნენ, რომ მათ ჭერქვეშ ვიღაც დიდი კაცი აფარებდა თავს, მაგრამ ვინ — ეს კი არ იცოდნენ.

იმ დღიდან სერგო (ასე ეძახდნენ სტუმარს) ბერდიშვილების დიდი ოჯახის საპატიო წევრი გახდა.

სტუმარი ხან ბერდიას ჩოხაში, ხან გიგიას ჭრელ პერანგსა და ტყაპუჭში გამოწყობილი მიდიოდა ჯიხვებზე სანადიროდ ბერდიშვილებთან ერთად. მარტოკას არამც და არამც არ უშვებდნენ სადმე, მუდამ თან ახლდნენ.

საღამოობით, ბეწიკას სახლში ახალგაზრდები შემოუსხდებოდნენ სერგოს და უსმენდნენ დიდ ბრძოლებზე, „იმ მზეკაც“ ლენინზე მონაყოლ ამბებს, ნატრობდნენ რევოლუციის დიდი ბელადის ნახვას და მისი ხმის გაგონებას...

...ერთ პირქუშ, წვიმიან საღამოს ბეწიკას ციხის გალავანს შავნაბადწამოსხმული ცხენოსანი მოადგა და ბერდიშვილების სტუმარი იკითხა.

ბერდიშვილებმა ეჭვის თვალით შეხედეს მოსულს, არც მისი ქისტური იერი ეჭაშნიკათ.

ბაბუტას გარდა მექანჯირს არავინ იცნობდა ბერდიშვილებიდან.

— ზედგამოჭრილი ელიმარძია! — ჩაიბუბუნა თავისთვის მოხუცმა ხირჩლამ, — მაგრამ იმის შვილს აქ რა მოიყვანდა.

ამასობაში ჭერხოს დერეფანში ბაბუტა და სერგოც გამოჩნდნენ.

მართალია, ბეწიკას და სერგოს საუბარი ჰქონდათ მექანჯირზე, მათს მოსისხლეობაზე, იმაზე, რომ მექანჯირი სერგოს აკავშირებდა ერთ რევოლუციონერ მეგობართან, რომელიც ღილღოში აფარებდა თავს, მაგრამ ბერდიშვილებისთვის ჯერ ეს არ ჰქონდა გამხელილი.

ამიტომ მექანჯირის მოულოდნელმა გამოჩენამ სერგოც და ბაბუტაც შეაკრთო.

— ბაბუტა! — ამოსძახა ეზოდან დაეჭვებულმა ხირჩლამ ძმისწულს, — შენ იცნობ ელიმარძის შვილს! ვინაა ეს კაცი, ან რა უნდა ჩვენ სტუმართან?!

ქისტი მომღიმარი თვალებით შეჰყუ-

ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ
ᲑᲔᲠᲓᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

რებდა გაოცებისაგან ენადაბმულ ბაბუტას.

— ელიმარძის შვილს აქ რა უნდა, — თქვა ბოლოს ნაძალადევი ღიმილით ბაბუტამ, — როგორ გაბედავდა აქ მოსვლას; ეგ ჩვენი სტუმრის კაცია, ხომ ასეა, სტუმარო? — მიუბრუნდა იგი სერგოს.

— დიახ, დიახ, ძია ხირჩლა, ეგ სამტროდ მოსული არაა. რაიმე ახალ ამბავს მოგვიტანდა.

როცა მოსულს ბაბუტამაც მეგობრულად ჩამოართვა ხელი და შინ შეიპატიჟა, ბერდიშვილები დამშვიდნენ.

ბეწიკას კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოსისხლეს გაუღეს კარი, მაგრამ სერგოს ხათრით თვალი დახუჭა და ყური დაიყრუა. ასე იმიტომაც მოიქცა, რომ მისი ძმისწული, მექანჯირის დაუძინებელი მტერი ბაბუტა, ძვირფასი სტუმრის გულისთვის მტერს მოყვრულად ეპყრობოდა და მზად იყო, მისთვის ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო...

●

არხვატის მთებში გამომწყვდეული ლომისთვის ერთი თვე ერთ საუკუნედ იქცა.

სერგოს თანდათან მოუსვენრობა ეტყობოდა, — დანაღვლიანდა, გახდა და საშინლად მოიწყინა.

ერთ საღამოს ახალგაზრდებმა მისი გამხიარულება გადაწყვიტეს.

ბერდიამ და გიგიმ საარყე ქვაბს ცეცხლი შეუკეთეს. წვრილამ და ბეწინამ ბაკიდან მსუქანი ნაბერწალი გამოიყვანეს და ყელში დანა გაუყარეს, — ჯიხვებზე სანადიროდ წასული ბაბუტა იქნებ ხელცარიელი დაბრუნდესო.

ბეწიკამ ლუდიანი საწდე მოჭიჭა. ქალები ქადა-პურების დაცხობას შეუდგნენ.

მშვიდი საღამო იდგა, ბინდი ნელ-ნელად წვებოდა არხვატის ხეობაში, არხვატის მაღალზე კი საავდრო ღრუბლები დაბორიალებდნენ.

ის იყო სუფრას უნდა შემოსხდომოდნენ ბეწიკას სახლში, რომ სოფლის მარაზე ძაღლები აყეფდნენ.

სერგომ ველარ მოითმინა, ჭერხოს კარი გამოაღო და ბანზე გამოვიდა.

ბინდში ბაბუტა და მექანჯირი იცნო, რომელთაც საკაცეზე დაწვენილი კაცი მოჰყავდათ.

კიბეზე ჩაირბინა და მოსულებს შეეგება.

საკაცესთან დაიხარა თუ არა, ადგილზე გაქვავდა.

— ბუტირინ, მეგობარო, რა დაგემართა?! — წამოიძახა სერგომ. საკაცეზე მწოლარემ თვალი გაახილა, მისკენ დახრილ სერგოს ხელი მოხვია და მისუსტებული ხმით უთხრა:

— ნუღარ დააყოვნებ... კვალზე მომყვებოდნენ ის ნაძირალები... მთებს შემოაფარეს თავი... გაეშურე კავკავში, მოუთმენლად გელოდებიან... კიროვი...

დაჭრილს ხმა ჩაუწყდა.

ათრთოლებული ხელით გულის ჯიბე გაიხსნა და რაღაც ქაღალდების შეკვრა გაუწოდა სერგოს.

სერგომ საკაცესთან ჩაიჩოქა.

— რაშია საქმე, გამაგებინე, რა მოხდა?! — მხარში დაჭრილს ხმის ამოღების თავი აღარ ჰქონდა, ქაღალდების შეკვრა სერგოს ხელში ჩაუდო, „მშვიდობითო“, — ამოიჩურჩულა და თვალები დახუჭა.

— ბუტირინ, ძმაო!.. — ამოიკვნესა მწუხარებისაგან სასოწარკვეთილმა სერგომ და მეგობრის მკერდზე დაემხო.

თვალცრემლიანი შეჰყურებდნენ ამაყი ბერდიშვილები მათი სტუმრის მწუხარებას. ახალგაზრდები ხანჯლის ტარებს ბღუჯავდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, ვისზე ეძიათ შური.

შავი ღამე ჩამოწვა.

მეორე დღეს ახიელაში მიაბარეს მიწას ბუტირინი.

მთელი არხვატის თემი მოსულიყო უცხო ვაჟკაცის დაკრძალვაზე. ყველას ენანებოდა უცხო მხარეში მტრის ხელით დაღუპული ვაჟკაცი.

კუბოსთან დაჩოქილი სერგო ორჯო-

ნიკიძე ცხარე ცრემლით დასტიროდა რუს მეგობარს...

●

საღამოს წვიმამ უმატა.

მეხის ხმა აზანზარებდა არხვატის მთებს.

ელვის ხანჯლები ფატრავდნენ დაბერილ ღრუბლებს.

ბეწიკა წიკლაურთან შეიკრიბნენ სამგზავროდ გამზადებული ბერდიშვილები. მათთან იყო ქისტი მექანჯირიც.

მოხუცმა ხირჩლამ ღამე გამგზავრება ურჩია ახალგაზრდებს: მთებში საეჭვო ხალხი უნახავთო მწყემსებს.

ნავახშმევს ნაბადწამოსხმული შვიდი ცხენოსანი გავიდა ამღიდან.

მათ ბეწიკა წიკლაური მიუძღოდა წინ.

მთელი ღამე შეუსვენებლად მიდიოდნენ.

გარიჟრაჟისას არხვატის მაღალზე შეაჩერა ცხენი სერგომ, დანარჩენებიც დაქვეითდნენ.

ჭიუხებიდან მონაქროლი ნიავი ლეკურ ნაბდებს მხრებიდან სტაცებდა მხედრებს და ჰაერში აჭრილი დროშებივით აფრიალებდა.

ბერდიშვილებით გარშემორტყმული სერგო მგზნებარედ ლაპარაკობდა, მის სიტყვებს კლდეების ეხო ჭიუხებისკენ მიათამაშებდა.

ლაჟვარდში არწივები ბოინობდნენ.

ემშვიდობებოდა არხვატს ლენინის დიდი თანამებრძოლი, რათა ისევ გადაშვებულიყო ჯერ კიდევ მოგიზგიზე რევოლუციის ქარცეცხლში.

სათითაოდ იხუტებდა მკერდში სტუმართმოყვარე მთიელებს.

გადაკოცნა მექანჯირი და ბაბუტა, რომელნიც ახლა გვერდიგვერდ იდგნენ ძმებივით, და სულაც აღარ ახსოვდათ თავიანთი მოსისხლეობა.

ბოლოს, მოხუც ბეწიკასთან მივიდა.

— გამარჯვების გზებით გევლოს, ვაჟკაცო! — უთხრა ბეწიკამ და ხელები გაშალა.

ერთმანეთს გადაჭდობილი სტუმარ-მასპინძელი წუთით უძრავ ქანდაკებასავით აღიმართა არხვატის მაღალზე...

მექანჯირის ქისტურ ჩოხაში გამოწყობილი სერგო ბეწიკას ნაჩუქარ ლურჯას მოახტა და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

● ...

უკან გამობრუნებული ბერდიშვილები არხვატის ტყით დაბურულ ხეობაში ჩამოდიოდნენ.

— კარგი ჰქენი, რომ ჩოხა გაუცვალე, — უთხრა ბაბუტამ მექანჯირს, — ამ ფარაჯაში შეიძლება ეცნო ვინმეს, ან ეჭვი აეღო.

— სახსოვრად შევინახავ, — თქვა ღიმილით ქისტმა.

უცებ, ტყიდან თოფმა იგრიალა და მექანჯირი ცხენიდან გადავარდა. შეშფოთებული ბერდიშვილები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ულრან ტყეში ვეღარავინ იპოვეს.

შემდეგ ხმა დაირხა არხვატის თემში: ბერდიშვილების სტუმრის მოსაკლავად მიგზავნილ მკვლელს შემთხვევით ელიმარძის შვილი შემოაკვდა, ტანისამოსმა შეაცდინაო...

ეძებდა და ეძებდა ბაბუტა წიკლაური სერგოს მტერსა და მექანჯარის მკვლელს.

იპოვა თუ არა, არავინ იცის.

ნიკა აგიაშვილი

ოქტომბრის თანატოლები

ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა ზეიმობს ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავს. 50 წელი ძალზე დიდი ხანია, — რამდენი რამ მოხდა ამ წლებში, რამდენი რამაა მოსაგონარი, სამახსოვრო და გასახსენებელი, განსაკუთრებით იმ თაობის პოეტებისა და პროზაიკოსებისთვის, სწორედ ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბრის ტოლნი და კბილანი რომ არიან, ანდა ამ სახელოვანი დღეების ორიოდე წლით ადრე ან გვიან რომ დაიბადნენ...

თუ ჩვენი საუკუნის ოციანი წლების ახალგაზრდა მწერლები და მათი გმირები გაბედულად იდგნენ იქ, სადაც თავდადებით იბრძოდნენ გოლიათები ინდუსტრიული ხუთწლედებისათვის, დიდ გალაკტიონთან ერთად მგზნებარედ უმღეროდნენ რევოლუციის პირველი წლების ელვარე დღეებს, ქმნიდნენ ახალგაზრდა კაცის — თავმდაბალი ენთუზიასტის, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის შესანიშნავ, ლამაზ სახეს, ხოტბას ასხამდნენ უამრავ მშენებლობათა დღისითა და ღამით განუწყვეტელ ჩირაღდნებად ანთებულ ხარაჩოებს, შემოჰყავდათ სოფლად პირველი ტრაქტორი, ეწეოდნენ ანტირელიგიურ კამპანიას და იყვნენ ჩვენი ქვეყნის კულტურული და სამეურნეო ფრონტის მშენებლები, — ოცდაათიან წლებში მოსულმა ახალგაზრდა მწერლებმა დიდი გეგმებითა და ფართო გულით შემოდგეს ფეხი მწერლობაში და თანატოლებივით მხარში ამოუდგნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს.

მძაფრი წყალვარდნილივით გიჟმაჟური და მჩქეფარენი, კახური მრავალჟამიერივით სულ აღმამსვლელნი და წინმსრბოლნი, ახალგაზრდულად მოხეთქილი და აფეთქებული ტემპერამენტით, თავბრუდამხვევი ჟრუანტელით, გულში „ჩანჩქერებად მოზღვავებული სიმღერებითა და ლექსთამრავლობით“, ისინი ჩვენი ახალი ლიტერატურის თვალსაჩინო და საიმედო ძალები გახდნენ.

მათი ნაწარმოებები უმთავრესად იბეჭდებოდა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე. ამ ჟურნალის რედაქციაში ეუფლებოდნენ ლიტერატურული ოსტატობის რთულ ტექნიკას, იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ ნომრიდან ნომერში და ახალი მხატვრული ძლიერებითა და დამაჯერებლობით ცდილობდნენ სოციალისტური სინამდვილის ასახვას, როცა ლირიკის, ეპოსის, დრამატურგიისა და კრიტიკის განვითარებისათვის ხელშეწყობით მწერლობას, თანამედროვე ამოცანების სიმაღლეზე აყვანით, უნდა აესახა ჩვენს ქვეყანაში მომხდარი გრანდიოზული ამბები.

ფიქრმა და დარდმა სულ დამადუნა,
ადრე დამაჭკნო, დამაძაბუნა,
ორმოცდაათმა წელმა გამღუნა,
კისერში მაგრა ჩამიკაკუნა,

ასე ჩივის და გოდებს გასული საუკუნის საქართველოს ბედითა და უბედობით გულდადაგული ერთი ჩვენი ბრწყინვალე მომღერალი. და რამდენი მისი თანატოლი და თანამებრძოლი პოეტი მღეროდა მაშინ ასე გულმდუღარედ — მარტოობის ჟამს, მწარე უნუგეშობის წუთებში!..

მაგრამ, როგორც ერთი ცნობილი მწერალი ამბობს: იმ თაობის ადამიანებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის დროს 10-12 წლისანი იყვნენ, ცხოვრებამ განუმზადა და წილად ხვდათ იმდენი მწუხარება, მასთან იმდენი შვება და სასიხარულო დღეებიც ერთსა და იმავე დროს, რომ ყველაფერი ეს ჩვენი წინაპრების რამდენიმე მოდგმას გაწვდებოდა. იქნებ ეს იყოს კიდეც ჩვენი დიდი ბედნიერება და სიხარული, ამ ხნის მანძილზე ესოდენ დიდი ამბების მოწმენი და მონაწილენი რომ გავხდით!

მართლაც, ჩვენმა მწერლებმა, რომლებიც ახლა უკვე ორმოცდაათი წლისა და უფრო მეტი ხნის ჭარმაგები არიან, ნახეს ბევრი სიხარული, განიცადეს საშინელი ომიანობისა და სხვა მძიმე წელთა მსახვრელი ხელი, მაგრამ, მიუხედავად ყოვლისა, არასოდეს უფიქრიათ, და არ დაუწერიათ, ძალიან სწრაფად, უმოქმედოდ, უსაგნოდ და უშედეგოდ განვლო ჩვენმა მჩქეფარე და მოელვარე ცხოვრებამ. მათთვის მუდამ ჟამს უცხო იყო და არის უიმედობა და სასოწარკვეთა, „ადრე დაჭკნობა“ და „დაძაბუნება“.

გრიგოლ აბაშიძე, ლადო ავალიანი, შალვა ამისულაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ანდრო თევზაძე, გრიგოლ იმედაძე, სევერიან ისიანი, გიორგი კალანდაძე, რევაზ მარგიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, იოსებ ნონეშვილი, დავით პატატიშვილი, ალექსანდრე საჯაია, ლადო სულაბერიძე, ლადო უბილავა, ვაჟიკა ფხოველი, ალეკო შენგელია, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე, გაბრიელ ჯაბუშანური და სხვები — მეტ-ნაკლებად, ოქტომბრის კბილა და თანატოლი ჩვენი მწერლები — იყვნენ და არიან იმ თაობის ზრახვათა და გულისთქმათა მომღერალნი, რომლის წარმომადგენლები აშენებენ ხუთმილიონკილოვატიან ენგურჰესს, ამთავრებენ სოფლის მთლიან ელექტროფიკაციას, ლექციებს კითხულობენ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში, თავდავიწყებით სერავენ ცარგვალს რეაქტიული თვითმფრინავებით; მათ გადაიტანეს მრავალი მძიმე ბრძოლა და მძაფრი შეტაკებები, დიდ სამამულო ომში დაიცვეს სტალინგრადი და შეანგრიეს ბერლინის კარიბჭეები...

ისინი არასოდეს დარჩენილან გულგრილი და გულცივი ადამიანების მიმართ, მათთვის არასოდეს ყოფილა მოსაწყენი ეს ცხოვრება, ორმოცდაათი წლისანი უდროოდ არ დამჭკნარან ფიქრითა და დარდით, რადგან დღენიადაგ სასარგებლო და საქებური საქმით იყვნენ მოუცლელნი და იზიარებდნენ ქვეყნისა და ხალხის ჭმუნვასა და სიხარულს.

ზოგი მათგანი ადრე წავიდა ამქვეყნიდან: ერთნი სამამულო ომის ფრონტებზე დაიღუპნენ, მათ „საფლავი შორს გაუთხარეს“ და „დედის ცრემლიც არ დასცემიათ“, სხვები უდროოდ მოსწყდნენ წუთისოფელს.

თავიანთი ცხოვრების ადრიან გაზაფხულზე წავიდნენ ჩვენგან ჩვენი დაუვიწყარი, საყვარელი მეგობრები და ჩვენს ხსოვნაში ჭაბუკები დარჩნენ მარად. მათი ლექსებიდან ახლაც გვესმის მოზღვავებული გულისძგერა და შეუწყვეტელი სიმღერა — ვაჟკაცური და ომახიანი.

თვალი დახუჭეს მათ მეომრებად,
ცეცხლს სძინავს მიწაწაყრილ გუგებში,
გამარჯვებაა მათი ნუგეში
და გაზაფხულის განმეორება...

ეს დიდებული და სახელოვანი ორმოცდაათი წელი პირადად მათი საკუთარი დაბადების 50 წლის იუბილეცაა, და ამ სამახსოვრო დღეს ყოველ მათ-

განს შეუძლია გაიმეოროს თანატოლი პოეტის სიტყვები:

ასე რომ ვხვდებით მზის ყოველ მოსვლას,
ასე ნათელი სახის იერით, —
ვადიდოთ დიდი ოქტომბრის დროშა,
ვადიდოთ ჩვენი ხალხი ძლიერი!

დღეს, ამ საზეიმო წუთებში, გვინდა მკითხველს კიდევ ერთხელ მოვაგონოთ მართალი და ომახიანი სტრიქონები, რომლებიც ჯარისკაცებივით იბრძოდნენ და იბრძვიან დიადი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

გრიგოლ აბაშიძე

* * *

დღემდის ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი:
ქვისგან ნაკვეთი ნაცნობი სახე,
მაშინ პირველად ვნახე ლენინი,
მაშინ თბილისიც პირველად ვნახე.

პირველად ვნახე სინათლით სავსე,
ჩემი სამშობლოს გული ნამდვილი,
იდგა ლენინი კაშხალის თავზე
და გაჰყურებდა მტკვარს ხელგაწვდილი.

ზაჰესის შუქი ცად აფრენილი,
ეწერებოდა ჩემს გულის ფიცარს:
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.

იმ დღიდან შუქის გამომსახველად,
ბავშვის ოცნებას, როგორც აჩრდილი,
ყველგან თან გაჰყვა, ვით ცისარტყელა,
ლენინის ხელი მტკვარზე გაწვდილი.

და ყველგან, სადაც ძლიერი დენით
სინათლემ თავზე გადამიარა,
ხრამზეც, რიონზეც ვხედავდი ლენინს —
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

დღესაც, სამგორის დათხრილი მიწის
როცა ცოცხლდება გოჯი ყოველი,
წინ ისევ მისი აჩრდილი მიძღვის,
ვით ჩირაღდანი გაუქრობელი.

ვგრძნობ ოცნების ფრთებს ჩუმად რომ
მასხამს,
მდინარის პირს რომ გადამატარებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორზე ვხედავ უთვალავ კაშხალს,
წისქვილებივით პატარ-პატარებს.

ოცნებით ვხედავ: უდაბნო ველი
როგორ შეჰხარის თვალის ახელას,
მტკვარზე გაწვდილი ლენინის ხელი
იორზეც მოჩანს, ვით ცისარტყელა.

მას აქაც ვხედავ, დგას ამართული,
მის ფეხქვეშ ტყდება ივრის ფაფარი,
ტალღას ძლიერი ტალღა გადუვლის
და კაშკაშს იწყებს ირგვლივ მთა-ბარი.

და თრთოლვით მისდევს მავთულებს დენი,
ბნელი რომ შუქით გაამზიანა...
ოცნებით ვხედავ იორზეც ლენინს —
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

ლადო ასათიანი

ლენინის ტომი

ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,
ბევრჯერ მიგრძვნია აღფრთოვანება,
ზოგში მომწონდა იგავ-არაკი,
ზოგში — მარტოდენ ხატოვანება.
ბევრი მათგანი სულ არ გაჭრილა,
გაჰყვა საყვარელ ქალს თუ მეგობარს,
ბევრი კი შერჩა ჩემს შავ განჯინას,
ვით მტვერწაყრილი უიმედობა.
ბევრი გახუნდა ბედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავ სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყდიანი
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.
მან მოარჩინა ჩუმი წუხილი
ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,
მის ფურცლებიდან შუბლშეჭმუხვნილი
მესაუბრება მამა ლენინი.
ის ლაჟვარდივით ფურცელგაშლილი
ჩემი მზე გახდა, ჩემი მშვენება,
მან შემასწავლა მე კომკავშირით
განახლებული ქვეყნის შენება.
ასე გულდაგულ ვერ ვიბრძოლებდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ გვიძღოდეს მისი ცისკარი,
იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების,
ყოველდღიურად წასაკითხავი.
ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,
ბევრჯერ მიგრძვნია აღფრთოვანება,
ზოგს შემოაცვდა ყდა და ვარაყი,
ძველი ვერ შერჩა ხატოვანება,
ზოგიც გახუნდა ბედის ტრიალში,
და ნელ-ნელ მიდის შავ სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყდიანი
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

მირზა გელოვანი

სამშოგლოს

ცა რომ მთის წვერზე გადიღუნება
და სიხარული გულში იელვებს,
ათრთოლებული მივყვები წადილს,
ვწერ, სტრიქონებში მზე იყურება,
შენზე სიმღერას მითვალიერებს
და ნელა ჩადის.

როს ბრძოლის ველი დაიჯანჯება,
ცაში აისვრის ცეცხლიან რგოლებს,
არის წადილი პირდაპირ მისვლის,
ტალღა რომ ნაპირს დაეჯახება,
ან ქარიშხალი გამოიქროლებს,
შენი ხმა ისმის.

შენი ხმა მესმის და გრძნობებს ნეტარს
ბევრი სიმღერა დამეზიარა,
ბევრი თვალები ღიმილის მჩენი,
და ღამღამობით კრემლზე რომ რეკავს,
ზარი კი არა, ზარი კი არა, —
გულია ჩვენი.

მაგრამ, თუ მტერმა მართლაც გაბედა,
ყველა, ვით ერთი, დაძახილს ველით:
შენგან გაშვებულ გრიგალებს ვეძმოთ,
ავდგებით ჩვენ და ზღვაც კი ადგება,
რომ ჩვენში სამტროდ მოსული გემი
მილეწ-მოლეწოს...

ეს რიჟრაჟები შენით ანთია
და ლაჟვარდები, დაფერილები,
ბნელში აბნევენ სხივების არილს.
ეს ვარსკვლავებიც შენი ხალხია,
ცის დასაპყრობლად აფრენილები
დევგმირულ ძალით.

დღეები ოქროს ჩანჩქერებია
და სიხარული ისევ იელვებს...
ათრთოლებული მივყვები წადილს,
ვწერ, მზე სტრიქონებს დასჩერებია,
შენზე სიმღერას მითვალიერებს
და ნელა ჩადის.

რევაზ მარგიანი

ჩემი სიმღერა

მსურს, რომ ყოველთვის ვუმღერდე ახალს
და არც ვაკლებდე სტრიქონებს მარილს,
თუ ჩემს სიმღერას ნექტარიც ახლავს,
მეც ფუტკარივით მოვტაცე ყვავილს.

ან თუ შეამჩნევთ სტრიქონში ელვას
და გაიგონებთ ხანდახან ქუხილს,
ჩემს თვალწინ მაშინ ყანები ღელავს,
ჩემს თვალწინ ბრწყინავს ხრამჰესის შუქი.

ხან კი ქვასავით მაგარი სიტყვა
განსაცოცხლებლად მიპყრია ხელთა,
მე ვაკვირდები, ვოცნებობ დიდხანს,
ვაზით მოხატულ ჩუქურთმებს ვხედავ.

ვიდრე არ გავხდი ლბილსა და მორჩილს,
სულს არ შთავბერავ, ავავსებ მადლით,
რომ ისე, როგორც ჩემს სამშობლოში,
ღექსშიც ზეცამდე ამაღლდეს სახლი.

ხან კი სხვა ჰანგი, თოვლივით სუფთა,
ჩაიღიღინებს სტრიქონში წყნარად,
ის კოლმეურნეს ყანაში უთქვამს,
მე სიმღერაში შემომეპარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ბედნიერი ვიქნები, თუკი
ჩემი სიმღერაც გზას გაიკაფავს,
შეემატება ვით მცირე შუქი
გამარჯვებათა მღელვარე ნაკადს.

მამულზე ვამბობ პოეტი სიტყვას,
მზით მიშუქდება ყოველი პწკარი,
მე თუ რამ კარგი სიმღერა მითქვამს,
პარტიისაგან ნასწავლი არი.

იოსებ ნონეშვილი

* * *

ასე რომ ვხვდებით მზის ყოველ მოსვლას,
ასე ნათელი სახის იერით,
ვადიდოთ დიდი ოქტომბრის დროშა,
ვადიდოთ ჩვენი ხალხი ძლიერი.
გაზაფხული რომ დაგვიხვდა, ყმაწვილთ,
როცა პირველად თვალებს ვახელდით,
ვადიდოთ ჩვენი მამების ღვაწლი,
ვადიდოთ მათი წმინდა სახელი.
ეწირებოდნენ დროშებს ნატყვიარს,
ერთი მიზნით და სულისკვეთებით,
ჩახედეთ არაგვს, ახლაც ატყვიათ
კალმახებს მათი სისხლის წვეთები.
ღამე იყო თუ დილა სისხამი,
მტერს ეცემოდნენ ანაზდეულად,
დღეს მათი სისხლის თითო მისხალი
ზღვა სიხარულად გადაქცეულა.
ბაღებში, სადაც ღელვა გვეგულვის
იასამანთა ლურჯი ზვირთების,
ყვავილები კი არვის გეგონოთ, —
აყვავებულან მათი ფიქრები.
და თუ მტრის მახვილს მონატრებია
მიწას ხელახლა სისხლით ღებავდეს,
გმირთა ძვლებიც კი გაცოცხლდებიან
კასპიის ზღვიდან კარპატებამდე.
ოქტომბრის დროშით კრემლის ძახილზე
მოვა გმირების რაზმი მრავალი,
ამ მთებზე უფრო გოლიათები,
ამ ვარსკვლავებზე უფრო მაღალი.

ნახვამდის

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო,
ხშირ-ხშირად მომწერეთ ქაღალდი,
ნუ ტირით, პატარა დებო!
მამები გიცავდათ აქამდი,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ,
ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო!

ვინ იცის, განახავთ თუ აღარა,
წინ გზაა შორი და მკაცრი,
ალვის ხემ თავი ძირს დახარა,
ცრემლებს ღვრის მოხუცი ნაძვი.
მშობლების ძვირფასი ჭაღარა
ღამეს მინათებენ თვალწინ!..
ვინ იცის, მოვალ თუ აღარა, —
წინ გზა დევს უნდო და მკაცრი.

სულ კუშტად მიცქერდი, ლამაზო,
ახლა გამიღიმე ერთი,
მე მივალ, მე მივალ, არასდროს
აღარ ჩამოგივლი გვერდით.
მე შენი ღიმილი არ მახსოვს,
არ მქონდა, არ მქონდა ბედი,
სულ მწყრალად მიცქერდი, ლამაზო,
ახლა გამიღიმე ერთი.

სურათი მქონოდა ნეტავი,
ტყვია რას მიზამდა მაშინ?
რა მხდალი, რა გაუბედავი,
რა მწარე ბედისა დავრჩი,
ისევ შენ, მშობელო დედაო,
იმედად მიმყვები ჯარში.
სურათი მოგეცა ნეტავი,
ტყვია რას მიზამდა მაშინ?

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის.
მშვიდობით, ლამაზო ჩემო.
დედა, შენ მომწერე ქაღალდი,
ნუ ტირით, ძვირფასო დებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამები გიცავდათ აქამდი,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ, ნახვამდის,
მშვიდობით ლამაზო ჩემო!

ალექსანდრე საჯაია

სამშობლო ჩვენია

დაეცი, შენი ცა დაგნათის...
ნამიც ხომ იარებს გისველებს;
სისხლიან მაჯაზე საათი
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
განა ჩვენ გაქცევა გვჩვევია, —
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ,
კაპიტან, სიცოცხლე ჩვენია,
ჩვენია სამშობლო, კაპიტან!
ასეთი სიცოცხლე სად თქმულა,
ბრძოლაში ენთო და იწვოდა,
სიჩუმე ვით შესძლოს ამ გულმა,
იმგვარი ხმაური იცოდა.
დაღამდა. ძნელია ატანა;
იტირო — ვარსკვლავნი გისმენენ.
დაღამდა. ისარი პატარა
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
რა იყო, დღეს წამმა თითომა
იფეთქა და ხანძარს ვინ მოსთვლის...
დღეს იგრძნო პაწია ლითონმაც
გენია სამშობლოს სიცოცხლის,
რომ ჟამი გმირობის დღისთანა
არ არის სხვა, ენით უთქმელი...
რომ ბევრი წუთები ითვალა
და არსად ასეთი წუთები;
რომ მარად, დღეა თუ ღამეა,
წამი წამს გაბმული არ იცდის,
რომ ერთი ძვირფასი წამია
სიკვდილი სამშობლო მხარისთვის.
ჩვენ განა გაქცევა გვჩვევია,
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ.
კაპიტან, სამშობლო ჩვენია,
ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან!

დიდება ძმობას!

გალაკტიონ ტაბიძე

კავშირი გულთა შორის

დიდო არმია! არის შენი მედგარი მხარი
ჩვენი სამშობლო მხარის მარჯვე ხმალი და ფარი.

მღერალმა ჩვენი ველის, ჩვენი მთისა და გორის,
ჩვენ რუსთაველმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!

იყოს ერთისთვის ყველა და ყველასათვის ერთი,
რომ მიარღვევდეს ბურუსს გაკაჟებული მკერდი.

ვერავინ დაამარცხოს მგრძნობი მიზანის სწორის.
მარადჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!

კავშირი გულთა შორის! როცა გულს იცნობს გული,
რაა ამაზე უფრო მშვენიერი და სრული.

გზა გვქონდეს გამარჯვების არა ერთის და ორის,
ყველაფერს გადალახავს კავშირი გულთა შორის!

ძველო ასპინძის ველო, ძველო ციხეო გორის,
მკერდით გიცავდათ მარად კავშირი გულთა შორის!

მარად სიცოცხლეს უდგა და ისტორიის მდორის
ამფეთქებელი იყო კავშირი გულთა შორის!

უძლეველია ციხე, ბუდე ორბის და ქორის,
რაიც ააგო დიდმა კავშირმა გულთა შორის!

დიდო არმია! მძლეა ფიცი ტოლის და სწორის!
კავშირი გულთა შორის! კავშირი გულთა შორის!

ნიკოლოზ ჯიხონოვი

ცისარტყელა საგურამოში

ის ცისარტყელა ღრუბელთ ბორცვებზე
იდგა სულ ახლოს, გაშლილი ფრთებად,
ისე, ვით ხიდი ზღაპრულ ბოძებზე,
ძმა-მეგობრების შემაერთებლად.

ოქროსფერ წვიმის წვეთები თბილი
სჩქეფდნენ ფოთლებზე, ანამღერები.
თვითეულ ფოთოლს ათრობდა ლხინი,
აფრქვევდა ცრემლებს ბედნიერებით.

ღრუბლებს სიამე სწვეოდათ მწველი,
მიჰკროდნენ მკერდით მთების მწვერვალებს.
შორით არაგვი ნათელი ხელით
თითქოს უხმობდა ადამიანებს.

ჭექა-ქუხილი გორს სცილდებოდა, —
იქ ცა მოლურჯო ზღვასავით იწვა.
და ხოხბის ყელის ფერი ხდებოდა
ჩვენს ირგვლივ სივრცე და დედამიწა.

და შუქი ცისა, შუქი ზვიადი
ცისარტყელების ფრთებს აჟღერებდა,
იგი ჩვენს გულთა შორის დიადი
და მტკიცე ძმობის ხიდს აშენებდა.

პავლო ჯიჩინა

მაღალი გრძნობა ძმური ოჯახის

შენთვის უცხოა ბოღმა და შური,
ლაფი და წუმპე, ჭაობი მტრობის —
გამღერებს ხალხთა ოჯახი ძმური
და ცისარტყელა თავს გადგას ძმობის.

წასულა ძმობის მწვერვალი ცაში,
„დიდება ძმობას!“ — ერთი რომ ვჭექოთ,

პასუხად ვაშა იქუხებს წამში,
გადიგრუხუნებს სივრცეებს ექოდ.

გაჰკიდებია ძახილი ძახილს,
მზე დასდგომია მამულის ტატნობს,
გახარებს დიდი სიმაღლე ხალხის
და ხალხთა ძმობის სიმღერა გათრობს.

და თითქოს კაცი იქეც ძახილად,
შემოგენთება ცეცხლი თაკარა,
თითქოს იელვე ელვის მახვილად,
ან ხვატში წყაროს შეხვდი ანკარას.

შესვი წყარო და ეძლევი ლხენას,
ისევ და ისევ წყალს ეწაფები
და მოძმე ხალხის სულსა და ენას
უკავშირდები გულის ძაფებით.

ო, ენა ძმისა ძმამ შეგვაყვარა,
გვეტკბილა მოძმის მშობელი ენა;
თუმც ნათქვამია სიტყვა სხვაგვარად,
აზრი ყოველთვის გვიგრძვნია ჩვენად.

არა, არ არის ის მარტო ენა,
არ არის მარტო ბგერა და სიტყვა;
შიგ ისმის შრომის სიტკბო და ლხენა,
შიგ ხალხთა ძმობის დიდება ითქვა.

შიგ ისმის მინდვრის ყვავილთა ფშვენა,
ღაღანი ყანის, შრიალი ტყეთა,
დღეის ოცნება და აღმაფრენა,
სევდა-ნაღველი გარდასულ დღეთა.

წასულა ძმობის მწვერვალი ცაში,
„დიდება ძმობას!“ — ერთი რომ ვჭექოთ,
პასუხად ვაშა იქუხებს წამსვე —
გადიგრუხუნებს სივრცეებს ექოდ.

შენად ქცეულა საუნჯე სხვისი,
მდიდრდები მოძმის მშობელი ენით...
აი, ეს არის დიდების ღირსი
და გამარჯვებაც ეს არის ჩვენი!

ხ ე ლ ე ბ ი

გინახავთ მუხა, გრიგალი რომ ცაში აიტანს? —
თითქოს მიცურავს, ატივტივებს ტოტებს ტივებად,
მიუშვერია ქარიშხლისთვის მწვანე ტანი და
მკლავებით ზეცას ეპოტინება.

ღვართქაფი ათრობს,
არ ასვენებს წვიმა წამითაც,
მოედინება ტოტებიდან
ანკარა ღელე, —
ასე ღვარივით გასდის ოფლი
დასაბამიდან
დაღლილ, დამაშვრალ,
დაძარღვულ ხელებს.

დაკოჟრებულა, დაბზარულა ტანი მუხისა,
განუწყვეტელად მეხი ჰქუხს და ელვა ანათებს,
მაგრამ ხემ იცის, ვერვინ ჩასთვლის ქვეყნად უღირსად,
სანამდე შრომობს —
ცხოვრობს მანამდე.

ხე ფრთებს ისწორებს და მიფრინავს დაუყოვნებლივ,
შავი ღრუბლების იფანტება ფარდა მაშინვე,
ვეღარ ფარავენ კაშკაშა მზეს შავი ყორნები
და ელვა ვერვის ვეღარ აშინებს.

გინახავთ მუხა?
მე მუხასთან ბევრჯერ მივედი,
შევმართავ მუშტებს —
არ ვამაყობ სხვა რაიმეთი, —
აი ეს ორი მაშვრალი და თავისუფალი
ხელი, მე ვცოცხლობ, სანამ ვცოცხლობ,
მათი იმედით.

თავისუფლები
აფასებენ ყველაზე მეტად
დახვნის, დათესვის, მორწყვის, მომკის
თავისუფლებას,
პურის ნატეხი
ოქროსავით უპყრიათ ხელთა,
მათი ლაჟვარდი არასოდეს დაიღრუბლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე, მოფრინდნენ და ჩემს ხელზე დასხდნენ ჩიტები,
ვერას დააკლებთ წვიმისა და ქარის თარეში,
მე მათ ანკარა აისს ვპირდები,
მე მათ ვპირდები თავშესაფარს მრუმე ღამეში.

ჩემი ხელები —
წვეთებია ოკეანეში,
მაგრამ დღედაღამ მუშაობენ შეუსვენებლივ,
და არ კეთდება არაფერი იმათ გარეშე,
ყოველ საქმეში ურევია ჩემი ხელები.

არ დარჩენიათ მათ მინდორი დაუთესავი,
დაუტვირთავი მათ ხომალდი
არ დარჩენიათ,
მათი სიმტკიცე აკავშირებს,
ანათესავებს
ყველა მეგობარს, ყველა მოძმეს, ყველა ჩვენიანს.

ჩემს მძიმე ხელებს შეუძლიათ
შესძრან სამყარო,
მართალ საქმეში გაუწოდონ ყველას ხელი და
ბარიკადებზე
ალისფერი დროშა ატარონ,
გამოიყვანონ დაჭრილები ბრძოლის ველიდან;

პური მოზიდონ,
ყვავილები მორწყონ ყოველდღე,
შავი ასფალტი წააფარონ გზებს და მოედნებს,
ზუსტად ისროლონ,
შენობები ააგონ მყარი,
ჩიტებს გაუღონ გალიის კარი.

ხელი მჭირდება,
მე მჭირდება ხელი მოყვასის,
რომ დავუბრუნო თავისუფალ ზეცას მერცხლები
და აცრემლებულ ბიჭს მოვწმინდო
ცრემლი ლოყაზე...
არა,
უხელოდ მე ამ ქვეყნად არ გამეძლება.

ხელი მჭირდება,
თუ მტარვალი გადამეღობა,
რომ შევაჩერო
სისხლიანი
ხელები მკვლელის,
და რომ ამაყად ჩამოვართვა
ხელი მეგობარს,
აი ამისთვის მჭირდება ხელი.

ამჟამად ოქრო იაფდება, აღარ მალავენ
ოქროებს, დროა მათი ფასის განახევრების,
მაგრამ ფასდება დაუღალავი
დიდი ხელები,
ოქროს ხელები.

ორი ხელი მაქვს,
და მომავალს მივცემ ორთავეს,
რათა ორთავე გახდეს დიდი საქმის მოთავე, —
რათა ბაღებით,
ქარხნებით და გზებით დაფარონ
მშობელი მიწა —
უსაზღვრო და დაუსაბამო.

ჯამბული

ხალხთა ძმობა

სადაც მიწაა გადაბამბული,
სადაც სიმღერებს მღერის ჯამბული,
განახლებული დროის სიმღერებს, —
ბედნიერია მისი სიბერე, —
იქ მდინარეში ბევრია თევზი,
მდინარის პირას — საზამთრო, ნესვი,
ცხენების რემა სტეპებზე მიჰქრის
და კვალში მისდევს აკინის ფიქრი.
იქ წვიმას ხარბად სვამენ ხნულები
მზითა და გვალვით ნამარხულევი,
და რომ მოვუღოთ ბოლო მტარვალებს,
ელავს მარტენი, რკინა ვარვარებს.
რომ მოვუგრიხოთ ჰიტლერს კისერი
წუთით არ ცხრება შრომა ფიცხელი,
გუგუნებს ბრძმედი, გრაგანებს დაზგა,
ხვავდება ტყვია, ხიშტი და ვაზნა.
ეს არი მხარე გმირთა მშობელი,
გამარჯვებათა დღეთა მწრთობელი,
ო ყაზახეთო, მხარევ მზიანო,

ოქტომბრის ცეცხლის თანაზიარო,
შენა ხარ წევრი დიდი ოჯახის
და შენაც ამბობ ძლევის მოძახილს
თხუთმეტი ძმა ხართ — მტერს ეომებით,
უძლეველნი ხართ, როგორც ლომები.
მახარებს თქვენი ძმობა ალალი,
დღე დღევანდელი და მომავალი.
მთელი წელია, ფრონტზე ვაცილებ
მოხალისეთა გმირულ ნაწილებს.
ჩემო შვილებო, შვილიშვილებო,
მტერზე საომრად წამოშლილებო,
მე გზას გილოცავთ, მოხუცი პაპა,
მე თქვენზე შევთხზავ საგმირო ზღაპარს;
თქვენ შთამაგონეთ ძლევის ჰანგები,
არ ხართ ქარქაშში ხმალთა ჩამგები.
მეამაყება, როცა ყაზახი
იერიშის დროს რუს ძმას გასძახის,
მეამაყება, როცა პანფილოვს
ყაზახიც მიჰყავს მტრის ბუნაგისკენ,
მედგრად იდექი, ვოლგის ნაპირო,
და გამარჯვების წუთი გვაღირსე!
გავიგე, სადღაც, უკრაინაში,
მეხისტეხაში, ცეცხლის წვიმაში
ვიღაც დაჭრილი ყაზახი ნახეს, —
გაფითრებოდა ბავშვური სახე.
ის თურმე პურის ყანაში იწვა,
თვალებში ედგა წყვდიადი მრუმე,
და უკრაინის დახეთქილ მიწას
მამის ხელივით ჰკოცნიდა თურმე.
ო, ეს ამბავი რომ გაიგონა,
ჯამბულმა ბევრი ცრემლი დაღვარა,
აიღო, დომბრი გულს ჩაიკონა
და ააყივლა, როგორც ნაღარა.
მამულო ჩემო, შენ გადარჩები,
მალე დადგება დღე გამარჯვების!
სამშობლოს მივცეთ მეტი დოვლათი
და სული ვაწრთოთ, როგორც ფოლადი.
ჰა, გამარჯვების მარშიც გრიალებს,
ჯამბულიც თქვენთან დგება სიმღერით.
შურისძიების მოდის გრიგალი
და წინ მიუძღვის დროშა მზისფერი!

რა დედამ შობა ისეთი შვილი, როგორიც დიდი ლენინი არის

ჩვენ, ყირგიზებმა, ოდითგან დღემდე
ტანჯვა, წამება ვნახეთ მრავალი,
დღეს ჩემი სიტყვა უფრო ელვარებს,
ვიდრე ვარსკვლავი ამომავალი:
ცხრაასჩვიდმეტში დაემხო მეფე,
მისი ტახტი და კვერთხი უკლებლად,
ლენინმა შექმნა საბჭოები და
ღარიბებს მისცა ხელისუფლება.

გაქრნენ ბაები და მანაპები,
ხალხს რომ ახრჩობდნენ სისხლის ღვარებით,
ტანჯვის ცრემლები შეაშრა თვალზე
ყველას, ვისაც კი ერქვა ღარიბი,
ხოლო ის, ვინც კი მეფის პურს სჭამდა,
იხრჩობა ბოღმით და მწუხარებით.
მზედ ამობრწყინდა თავისუფლება,
ფართოდ გაიღო სიცოცხლის კარი.
რა დედამ შობა ისეთი შვილი,
როგორიც დიდი ლენინი არის!

ცხრაასჩვიდმეტში ხალხს გაუთენდა
ოქტომბრის დილა შუქით მმოსავი,
ნათელსახიან ბოლშევიკებმა
თან მოიყვანეს დრო საოცარი.
ცხოვრების დიდი გზები გაუხსნეს
უსახლკაროებს, ობლებს, ღარიბებს,
მშრომელთ ქოხებში შუქად შევიდნენ
და სიხარული ჩამოარიგეს.

ჯოჯოხეთური ცეცხლიდან გვიხსნა
ლენინმა, ხალხთა გმირად შობილმა,
ღარიბნი ფეხზე წამოგვაყენა
და ურჩხულს სული გააფრთხობინა:
ჩვენს ხელში ლაღად შრიალებს დროშა,
მშობლიურ მთებს რომ შუქი მოჰფინა.

ღარიბო კაცო, იყო დრო, როცა
საჯიჯგნად ჰყავდი ბაებს, მანაპებს,
სულსა ღაფავდი საკუთარ სისხლში,
გული იმედით ვერ გაანათე.
ნუთუ ოდესმე წარმოიდგენდი
ასეთ დროს, ტანჯვის დღე რომ ალაგმა,

ბედნიერება მოსულა შენთან,
კამარა შეჰკრა ვით არგამაკმა.[1]

იყო დრო, ცხარე ცრემლებსა ვღვრიდი,
ვიტანჯებოდი შორს განდევნილი,
მე ტყვეობაში ვუმღერდი მამულს,
მასზე ნაღვლობდა სული ღელვილი.
სწუხდა, ბორგავდა და ბობოქრობდა
ჩემი სიმღერა სისხლდაფერილი,
თვალზე შემაშრო ცრემლი მდუღარე,
მეც მომევლინა მხსნელი ლენინი.

მან ხალხისათვის შრომას და ბრძოლას
მიუძღვნა თვისი ცხოვრება მთელი,
მან აღამაღლა ქვეყნად ღარიბი
და მოეფერა მამური ხელით.
ბავშვობიდანვე მან დადო ფიცი,
რომ იქნებოდა ღარიბთა მცველი!

თუმც მოხუცი ვარ, ჩემთან, ტანჯულთან,
მინდა სიკვდილი მოვიდეს გვიან,
შევწირე ჩემი ახალგაზრდობა
ცრემლებს, ჯურღმულებს ცივსა და ქვიანს.
ჩემი ტანჯვისთვის ქერიმბაიზე[2],
ვის წინაც თავი არ მომიხრია,
უკვე სასტიკად იძიეთ შური
თქვენ, ღარიბებმა, ძმები რომ გვქიათ.

დიდება ლენინს! მან წაგვიყვანა
ბედნიერების დიადი გზებით!
ახლა, როს დადგა დრო დიდებული.
გავმართე მხრები, გავშალე ფრთები,
დაიმსხვრა რკინის ბორკილი, ჩემს ხალხს
ხელზე რომ ედო ცივად და მძიმედ.
დიდი სიცოცხლე ვუსურვოთ ლენინს,
ჩვენს მომფერებელ მამას და იმედს!

დავასამარეთ, ვეღარ აღსდგება
ყორანი, თავზე რომ დაგვჩხაოდა,
გახსოვდეს, ვეღარ გტანჯავს ტირანი,
ჩვენ რომ გვტანჯავდა, ახალთაობავ!..
შენ ყველა ღარიბს და ყველა ჩაგრულს
ბედნიერება აჩუქე, ლენინ!
ვით შეუძლია ტოქტოგულს ახლა,
ამ დღეზე რომ არ იმღეროს ლხენით?!

---

[1] არგამაკი — დოღის ცხენი.

[2] ქერიმბაი — თემის მმართველი, რომლის დაბეზღებითაც ტოქტოგული გადაასახლეს ციმბირში, კატორღაში.

წყვდიადში იყო ყირგიზი ხალხი,
ლენინ, მზის შუქზე გავსულვართ შენით.
მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ
თავისუფლება — სიცოცხლის ფრთენი.

წელში გასწორდნენ და გაიმართნენ
ობლები ჩვენი, ქვრივები ჩვენი.
შენ მრავალტანჯულ ხალხთ სასიკეთოდ,
საბედნიეროდ შობილხარ, ლენინ,
შენ მათ, შევარდნებს, მიეცი ფრთები,
არც დაეღლებათ არასდროს ფრენით.

გამდიდრდა ჩემი ყირგიზი ხალხი,
სულ შენ უბოძე ეს განძეული,
ღარიბს მიეცი მიწა და პური,
ჩაჰკალ წყვდიადი ათასწლეული.
ჩემს ხალხს ჩაუდგი ძალა ზღაპრული,
შენ აგვიმაღლე მამულის ბჭენი,
ყველა სიკეთე, რითაც ვამაყობთ,
შენი მარჯვენით მივიღეთ, ლენინ!

გეორგ ემინი

მე ყველა ხალხის ენა მიყვარს!..

ყველა ქვეყნის და ყველა ერის მე მიყვარს ენა, —
სადაც კი სწვდება მზის შუქი და მთვარის ნათელი!..
ფეხქვეშ გამისკდეს დედამიწა, გამიწყრეს ზენა,
ძმად თუ არ მწამდეს გინდა ფრანგი, გინდა ქართველი!

სულში ჩავისვამ, კარგი კაცი ვინც კია ქვეყნად,
ვეთაყვანები, ვინც მოყვასთა გატანა იცის;
ღმერთმა იმდენი მეგობარი, რამდენიც მე მყავს,
სუყველას მისცეს შინ და გარეთ, უცხოც და თვისიც!..

მაგრამ ერთ წუხილს, მეგობრებო, მაინც ვერ ვმალავ,
(მიკვირს, აქამდე ასე მძაფრად რად არ ვიგრძენი):
რომელმა უღვთომ ან რომელმა ბოროტმა ძალამ
დაჰყო ჯგუფ-ჯგუფად ქვეყანაზე ადამის ძენი!

უხსოვარ დროში, თქმულებით ვიცი,
ხალხს მხოლოდ ერთი ჰქონია ენა,
არ არსებულა „ჩემი“ და „სხვისი“,
ერთი ყოფილა ყველასთვის რწმენაც...

ერთიან ძალით ააგეს ერთი
ბედნიერების ტაძარი დიდი
და ცათა შინა განრისხდა ღმერთი,
არივ-დარია ცხოვრება მშვიდი.
უცებ აქცია, წყევით თუ სახვრით,
ის ბაბილონის გოდოლი ნაცრად,
დაანაწილა ჯგუფ-ჯგუფად ხალხი,
და ერთი ენაც აქცია ასად!..

ასე ამბობენ, ასეთია ძველი თქმულება!
ახლაც სუყველას ნეტა გვქონდეს ტაძარი ერთი, —
ერთიან რიტმით რომ დაიწყონ ფეთქვა გულებმა —
რა შავ ქვად გვინდა მოწყალება მაღალი ღმერთის!..

დღესაც გრძელდება ენათა და რწმენათა ბრძოლა, —
სურთ დაარღვიონ მსოფლიოში კავშირი გულთა,
მძარცველს და მხვეჭელს
ხელს არ აძლევს — ცა იყოს ბროლის,
ცა იყოს ერთ დიდ დროშასავით გაშლილი, სუფთა!..

მე ენა მიყვარს ყველა ქვეყნის და ყველა ხალხის,
მე ვუსმენ გულთა ღაღადისს და სამოყვრო ძახილს!..
მინდა ვუმზერდე რაფაელის სურათთა ბრწყინვას
და ყურს ვუგდებდე კეთილშობილ ოტელოს გმინვას!
შოტლანდიაში რობერტ ბერნსის კვალდაკვალ ვვლიდე,
ნიუ-იორკში დიდ უიტმენს მეგობრად ვთვლიდე!..
როცა ჩემს სახლში ფაშისტებმა შემოჰყვეს დინგი —
მე მათ ვებრძოდი ხიშტითა და გოეთეს წიგნით!
მე გულით მინდა ყველა ხალხის ვიცოდე ენა, —
მათს სიმღერაში მათივ სულის მესმოდეს ჟღერა!
მელოდიები — ანკარიდან რომ ისმის მოთქმად —
მატკბობს, მაღელვებს და მახსენებს გარდასულ შფოთვას!..

მე, — კაცს, რომელიც ყოველ სიტყვას მზის ცეცხლში ვფერავ,
მესროფ მაშტოცი რომელსაც მყავს სულიერ მამად, —
მსურს ვისწავლო და შევიყვარო ყოველი ენა,
რათა თავს ვგრძნობდე შინაურად, — სადაც კი წავალ!..
მე ენა მიყვარს ყველა ქვეყნის და ყველა ხალხის, —
ვუსმენ გულების ღაღადისს და სამოყვრო ძახილს.
ადამიანში მხოლოდ სულის სიწმინდეს ვეძებ,
ყველასთვის მინდა სიკეთის ქმნა, — ვიდრემდე შევძლებ.
ყველა ენაზე მინდა ჩემი სათქმელი მეც ვთქვა, —
ყველა დაჩაგრულს მივეშველო ბრძოლაში მტერთან!
მე, სხვათაშორის, ძლივს-ძლივობით ინგლისურს ვამტვრევ,—
ვკითხულობ შექსპირს, მასთან ერთად მეც ვებრძვი მაკბეტს!
მინდა სერვანტესს ესპანურად ვესიტყვებოდე,
გარსია ლორკას დიდებული ლექსით ვტკბებოდე!

ჟამთა სიავეს მსურს ვებრძოლო ჰიქმეთთან ერთად,
მსურს ყველამ, ყველამ შეაერთოს გულების ფეთქვა!
დაე, მზე გვწამდეს სიცოცხლის და სიკეთის ღმერთად, —
ყველა ენაზე გამარჯვების სიმღერა გვეთქვას!

მაქსიმ ზანკი

მეგობროგის სადღეგრძელო

ჩვენ რომ ხელები ერთად ავღმართოთ,
მოწმე ვიქნებით საკვირველების —
მზეს ავიტაცებთ, ავამაღლებთ ზეცის კაბადონს
თეთრი ხელებით,
ყვითელი და შავი ხელებით.

ჩვენ რომ ხელები ერთურთს ჩავჭიდოთ,
მოწმე ვიქნებით საკვირველების —
მთელ დედამიწას გვირგვინივით შემოვევლებით
თეთრი ხელებით,
ყვითელი და შავი ხელებით.

ჩვენ რომ ხელები მუშტებად შევკრათ,
მოწმე ვიქნებით საკვირველების —
მონობის ბორკილს დავლეწავთ ყველგან
თეთრი ხელებით,
ყვითელი და შავი ხელებით.

ახლა კი, ძმებო, სასმისები შევავსოთ ღვინით
და მეგობრობის ვთქვათ სიმღერები,
ვთქვათ სადღეგრძელო მშვიდობის, ლხინის,
თეთრი ხელების,
ყვითელი და შავი ხელების.

ემელიან ბუკოვი

ჩვენი მეგობრობა

ვინ თქვა, ენათა სხვადასხვაობა
ადამიანებს აშორებს თითქოს.
გვმატებს ძალას და გამბედაობას
ამ საუკუნის ცეცხლი და სითბო.

ჩვენს გულში ერთი აზრი ტრიალებს,
წინ მიგვაქანებს მიზანი ერთი,
სხვადასხვა ერის ადამიანებს
დღეს ერთნაირად გვიღელავს მკერდი.

ჩვენ მეგობრობას ველტვოდით ძველად,
მაგრამ დღეს სხვაა ცეცხლი ამ გრძნობის,
ჩვენ შეგვაერთა საბჭოთა ენამ,
ენამ სიმართლის და ხალხთა ძმობის.

სადაც ვარ, ყველგან, შიგნით თუ გარეთ,
სულ სიყვარულის ვარ სიტყვის მთქმელი
და თავს დამნათის მარად ელვარე
ჩვენი დიადი მოსკოვი, კრემლი.

სხვადასხვა ერთა ტკბილი სიმღერა
მომავალ დღეთა გზაა და ხიდი,
ეს მეგობრობა არ დაირღვევა,
ვიდრე მზედ ბრწყინავს ლენინი დიდი.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია მადლობას მოახსენებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ამ ლექსების მოწოდებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან მიმინოშვილი
იგორ ბოგომოლოვი

საქართველო მოძმე ხალხთა ლიტერატურაში

მხატვრული ლიტერატურა ხალხის წმიდათაწმიდა მისწრაფების უტყუარი გამომხატველია, იგი მგრძნობიარე სიმია, იგი სარკეა, რომელიც აირეკლავს ფერთა და ბგერათა გამას, მთელი ერის განწყობილებისა და მდგომარეობის შესაფერისს.

არსად ისე მკაფიო და სრულად არ შეიძლება გამოიხატოს ხალხთა მისწრაფება ძმობისა და მეგობრობისაკენ, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში. იგი ერთსა და იმავე დროს არის საბუთიც ამ მისწრაფებისა და სტიმულიც დაახლოებისა.

ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, გამოჩენილმა რუსმა საბჭოთა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა ერთხელ მოსწრებულად შენიშნა: „არის ქვეყნები, რომელთაც სხვა ქვეყნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ეს გამოიხატება არა ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, არა, ისინი, განსაკუთრებული პოეტები, შარავანდედით არიან მოსილნი მრავალი თაობისათვის... ამ ქვეყნების ბუნება, ხელოვნება, კულტურა იწვევს განსაკუთრებულ მღელვარებას არა მხოლოდ მცოდნეთა შორის. ეს ქვეყნები გავლენას ახდენენ მხატვრებზე, მწერლებზე, მეცნიერებზე... ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა ევროპაში, რომელიც ევროპული ცნობიერებისათვის სავსეა განსაკუთრებული აზრით, ჩემი ფიქრით, არის იტალია. ყველა ევროპელი პოეტი-კლასიკოსი იყო იქ, ყველამ მისცა იტალიას გულის განსაკუთრებული ძღვენი. რუსი პოეტებისათვის ჩვენი იტალია უეჭველად არის საქართველო“. ასეთი გრძნობით არიან საქართველოსადმი გამსჭვალულნი მოძმე ხალხთა ლიტერატურის წარმომადგენლები. ლატვიური საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწე ვილის ლაცისიც აღნიშნავს: „საქართველოში უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან სადმე მე შევნიშნე, თუ როგორ ეხამება საუკუნეთა სიბრძნე ახალი ცხოვრების შენების ჭაბუკურ აღტყინებას... ძნელია განსაღვრო, რა უფრო აღგაფრთოვანებს — ბუნების სიუხვე, თუ ადამიანის ხელოვნება?“ ვილის ლაცისი მოგვითხრობს თავის ოცნებაზე, რომელიც ყრმობიდან მოსდევდა თურმე. მისთვის რაღაც გამოუცნობი შარავანდედით ყოფილა მოსი-

ლი ორი ქვეყანა — იტალია და საქართველო. როდესაც დიდმა ლატვიელმა მწერალმა იხილა ჩვენი ქვეყანა, დარწმუნდა, რომ სინამდვილე სჭარბობდა ოცნებით წარმოსახულს: „რეალურად დანახულმა უფრო ძლიერად იმოქმედა ჩემს წარმოსახვაზე, ვიდრე ზღაპრულმა და ყრმობის წლებში წაკითხულმა“.

ჩვენი მიზანი არ არის, რა თქმა უნდა, ამ ერთ ნარკვევში სრულად აღვნუსხოთ, თუ როგორ აისახა საქართველო მოძმე რესპუბლიკათა ლიტერატურაში. მარტო მწერლებისა და პოეტების ჩამოთვლასაც კი, რომელთაც საქართველოზე უწერიათ, არ ეყოფოდა ერთი საჟურნალო სტატია. ლიტვური ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწემ ედუარდას მეჟელაიტისმა სამართლიანად თქვა: მე რომ ჩამოვთვალო ლიტველი პოეტები, რომელთაც საქართველოზე უწერიათ, კარგა მოზრდილი გრაგნილი დამჭირდებაო. მით უმეტეს, რაღა ითქმის ყველა მოძმე ხალხის მწერლებსა და პოეტებზე!

დამახასიათებელია ის დედაშვილური სიყვარული, რომელსაც იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი მოძმე ხალხთა ლიტერატურის მოღვაწენი, ისინი გამოხატავენ არა მარტო აღტაცებას ჩვენი სამშობლოს სახელოვანი წარსულით, არამედ სიამაყეს ჩვენი დიდებული ისტორიით. გამოჩენილი უზბეკი პოეტი გაფურ გულიამი წერდა: „ქართველი ხალხის კულტურის ისტორია უძველესი დროიდან მოდის. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვამაყობთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი დამწერლობა შეიქმნა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე...“

მოძმე ხალხთა ლიტერატურაში ფართოდ შეიჭრა საქართველოს ისტორიის თემა. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ ანა ანტონოვსკაიას რომანი „დიდი მოურავი“, რომელშიც ასახულია XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ამბები, გიორგი სააკაძის ცხოვრება და ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. აქვე უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი ბელორუსი მწერლის ედუარდ სამუილიონოკის რომანი „მერმისი“, რომელიც განზრახული იყო ტრილოგიად, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა ხელი შეუშალა ავტორს, განეხორციელებინა ჩანაფიქრი. მან მხოლოდ პირველი წიგნის დაწერა მოასწრო და შესანიშნავად ასახა ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. საწოლზე მიჯაჭვული ავადმყოფი მწერალი კვლავ რომანის მეორე წიგნზე ფიქრობდა: „ოღონდ წამომაყენეთ ლოგინიდან, — ამბობდა იგი, — თუმცა, რაღა ლოგინიდან, ოდნავ მაინც აღვიდგინო ძალა, მე საწოლშიც დავწერ! მე ვაჩვენებ, თუ რა გაუკეთა ადამიანმა, საბჭოთა ადამიანმა კოლხიდის ჭაობიან ველებს. ეს ველები კვლავ, ახლა უკვე სამარადისოდ, იქცა „ოქროს საწმისად...“ მწერალ მ. კლიმკოვიჩის სამართლიანი სიტყვით რომანი „მერმისი“, რომელიც „დაწერა ბელორუსმა ქართველი ხალხის შესახებ, ხალხთა მეგობრობის მკაფიო გამოვლინებაა, პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგია. ეს ნაწარმოები აცნობს ბელორუს და მთელს საბჭოთა ხალხს მოძმე ქართველი ერის ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის ხალხების კიდევ უფრო დაახლოებას, მათი მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას“.

აქვე არ შეიძლება არ დავასახელოთ ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსის ანტანას ვენუოლის-ჟუკაუსკასის შესანიშნავი „კავკასიური ლეგენდები“. ვენუოლისი დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში, შესანიშნავად იცნობდა საქართველოს ისტორიას, ქართულ ლიტერატურას და ხალხურ სიტყვიერებას. იშვიათად აუწერია ვინმეს ისე პოეტურად მაღალ მთიანეთში შეფარებული ქართული მონასტერი, როგორც ეს

ლიტველმა მწერალმა მოახერხა. ამიტომაც შევიდა ეს ლეგენდა ლიტვური ლიტერატურის ოქროს ფონდში. მას ასწავლიან სკოლაში. ლიტვური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი პიატრას ცვირკა ამბობს: „მრავალი წელი გავიდა ამ მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში ლიტველი ყმაწვილები, როგორც უკვდავების წყაროს, ისე ეწაფებიან ქართული ლეგენდის ხალხურ სიბრძნეს. მრავალი მწერალი აღიზარდა ვენუოლისის ნაწარმოებებზე“.

ჩვენი ხალხის ძნელი წარსულის გამო გულისტკივილი იგრძნობა ვენუოლისის სიტყვებში — „ქართველთ მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ შებმოდნენ მტერს ან გმირულად დაცემულიყვნენ ბრძოლის ველზე. ისინი ხომ ასეთ ვარსკვლავზე იყვნენ დაბადებულნი“.

გამოჩენილმა სომეხმა პოეტმა გეღამ სარიანმა აღფრთოვანებით უმღერა ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, უკვდავ სულს, რომელმაც გაუძლო ჟამთა სიავეს. მრავალი გმირი დაეცა ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში, უხვად დაიღვარა წმინდა სისხლი, მაგრამ ხალხის უკვდავმა სულმა კვლავ განაახლა იგი:

ახლა სიმღერა დარდგამოცლილი
გულს ეფონება და იკოცნება,
როგორც სიცილი ცადატყორცნილი,
როგორც ქორწილი,
როგორც ოცნება,
როგორც მსუბუქი სუნთქვა ველების,
როგორც გრიგალი, ცას რომ ეღირსა,
ისმის სიმღერა მძლე ქართველების
ხიხარულის და გამარჯვებისა!

სომხური პოეზიის თვალსაჩინო ოსტატი ეღიშე ჩარენცი შთაგონებით უმღერის ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ წარსულს, საქართველოს კომკავშირის ფუძემდებელს ბორის ძნელაძეს, ადარებს მას ძველი ბერძნული ეპოსის გმირებს და მიაჩნია, რომ ამ ახალი დროის აქილევსის შესაფერისი ჰომეროსი ჯერ არ შობილა:

სად ხარ, პატროკლევ, მძლე მებრძოლო,
ბრძენო ულისე,
სად ხარ, ფეხმარდო აქილევსო
კვთილშობილო?
აგერ — აქილევს ჩვენი დროის, მწვერვალს
უმიზნებს,
აქილევს, ვისი ჰომეროსიც ჯერ არ შობილა!

ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი მირზა იბრაჰიმოვი იხსენებს ქართველი ხალხისათვის მძიმე განსაცდელს — აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას თბილისში, მის მიერ გადამწვარ ქალაქს, ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას, რომელსაც ასე თანაუგრძნობდა მოძმე აზერბაიჯანელი ხალხი. იგი წერს: „სისხლისმსმელებმა ნაცარტუტად აქციეს ათასი სახლი. დამპყრობლებმა თბილისელები ცის ქვეშ დატოვეს, მაგრამ თბილისის განადგურება ვერ შეძლეს.“ „ბალა თბილისი“ — „პატარა თბილისი“ ეწოდება ერთ-ერთ ულამაზეს, უძველეს აზერბაიჯანულ ქალაქს — შუშას. გამძვინვარებული შაჰ კაჯარი ამ პატარა ქალაქში მოჰკლეს“.

მოძმე ხალხთა ლიტერატურაში ფართოდ აისახა ქართველ ხალხთან მეგობრობის თემა, მეგობრობისა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთობლივ ბრძოლაში. მაგალითად, ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის მეხტი ჰუსეინის რომანში „დაშგინი“ აღწერილია ქართველი სულავას და აზერბაიჯანელი ამრახის მეგობრობა. ისინი ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნის დროს დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და შემდეგ მხარდამხარ იბრძოდნენ ხალხთა ბედნიერებისათვის.

ქართველი ხალხის ერთგულ შვილს, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მედგარ მებრძოლს, ციმბირელი პარტიზანების მეთაურს ნესტორ კალანდარიშვილს, როგორც მშობლიური ხალხის გმირს, უმღერის აზერბაიჯანელი პოეტი ჰუსეინ ჰუსეინზადე ლექსში „კავკასიის შვილი“.

მოძმე ხალხთა ლიტერატურის წარმომადგენლებს დიდი მეგობრობა აკავშირებს ქართული კულტურის მოღვაწე-

ებთან. ამ მხრივ დამახასიათებელია გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთარგმნელის მამედ რაგიმის ლექსი „გამარჯობა, წიწამურო!“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახალხო პოეტს გიორგი ლეონიძეს. აზერბაიჯანელი პოეტი გამოხატავს უანგარო სიყვარულს ჩვენი ქვეყნისადმი და ქართველი ხალხის საყვარელი შვილისადმი, იგი ოსტატურად აგვიწერს შემოღამებას წიწამურში, მეგობრულ კოცონს, რომლის „ალი მაღლა ადიოდა და ლოკავდა ქართულ მიწას“.

უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ყოფილა გამოჩენილი ტაჯიკი პოეტი მირზო ტურსუნ-ზადე. მშფოთვარე პოეტურმა ბილიკმა იგი ჩაიყვანა ინდოეთშიც. მისი ერთ-ერთი თანამეგზური აღმოჩნდა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი. ქართველ მეცნიერთან მოგზაურობამ შთააგონა ტაჯიკ პოეტს მშვენიერი ლექსი „პროფესორ ახვლედიანის ქუდი“. ამ ლექსში იგრძნობა დიდი სიყვარული საქართველოსადმი, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურისადმი, ქართული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეებისადმი. ღვაწლმოსილ მეცნიერს მოუჯადოვებია ტაჯიკი პოეტი:

ბევრი ენის მფლობელი, ბევრი სიბრძნის
მიმგნები,
წამკითხველი და მცოდნე სანსკრიტული
წიგნების...
ისევ გვაჯადოებდა კაცი ენამზიანი,
ჩვენი ტკბილი მოხუცი, ჩვენი ახვლედიანი.

ქართული ლიტერატურის შედევრები საბჭოთა კავშირის ხალხთა კუთვნილებად იქცა ისეთი შესანიშნავი მთარგმნელების წყალობით, როგორნიც არიან ნიკოლოზ ტიხონოვი, მიკოლა ბაჟანი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, სამედ ვურღუნი და სხვები. ა. ტოლსტოი სამართლიანად წერდა: „ჩვენ, რუსი მწერლები და პოეტები, ჩვენთან ერთად მთელი რუსი ხალხი, ვგრძნობთ, რა დიდია მოძმე ხალხთა სულიერი შესაძლებლობანი... ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ მშვენიერ საქართველოს და ქართული კულტურის საგანძურს“.

ქართული პოეტური სიტყვის უკვდავებას შესანიშნავი სტრიქონები მიუძღვნა უკრაინული პოეზიის შესანიშნავმა ოსტატმა მიკოლა ბაჟანმა. ვაჟა-ფშაველას პოეზიის სიყვარული უკრაინელ მეგობარს წარმოათქმევინებს:

ის ჩვენთან იყო, ვინც გმირობა საკუთარ
მხრებით
გაშლილ სივრცეში გაიტანა ღარტაფებიდან...

ცნობილი ლიტველი პოეტი ალექსის ხურგინასი, რომელსაც არაერთი გულთბილი ლექსი დაუწერია საქართველოზე („საღამო მთაწმინდაზე“, „თბილისი“ და სხვა), განცვიფრებულია ძველი ქართული ხელოვნებით და გული სიამაყით ევსება მოძმე ხალხის მიღწევებით:

შემობურულა ბურუსის კედლით,
თვლემს მცხეთა. ღამეს ჩქამი არა ვნებს...
ვინ შეხებია მჭრელი საჭრეთლით
შენს გასაოცარ ციხე-გალავნებს?
ვინ გამოგძერწათ სამკაულებად,
ოქროს მხედრებო, თვალშეუვლებო?
ო, უბადლოო მემკვიდრეობავ,
ო, ხელოვანთა სასწაულებო!

რაოდენი გულწრფელი სიყვარული, ქართველი ხალხისადმი ჭეშმარიტად ძმური გრძნობა ჩააქსოვა გამოჩენილმა თურქმენმა პოეტმა ყარა სეითლიევმა თავის შესანიშნავ ლექსში „დიდ პოეტს“! ეს არის შთაგონებული სიმღერა მოძმე ხალხის ლიტერატურის სიამაყეზე, შოთა რუსთაველზე. თურქმენი პოეტი რუსთაველს თვლის თვალისმომჭრელ ალმასად, რომელსაც ვერაფერი დააკლო ჟამთა დინებამ, მისი უკვდავი სტრიქონები „ათასწლეულებს გადასცდება და გაიხმიანებს“. ყარა სეითლიევი მოწიწებით მოუხმობს რუსთაველის აჩრდილს, რომ ეწვიოს თავისუფალ ქვეყანას, იხილოს თავისუფლება სიყვარულისა, ზეიმი სიკეთისა, რო-

რ. მიმინოშვილი, ი. გოგოგოლოვი
საქართველო მოძმე ხალხთა ლიტერატურაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც შეჰხაროდა და ნატრობდა დიდი მგოსანი.

ქართველი ხალხის გენია საკაცობრიო საკუთრება გამხდარა, ამიტომ ეუბნება თურქმენი პოეტი რუსთაველს: „ნახე, შენს ლექსებს როგორ მოჰყვება ქვეყნიერების ბანი დიადი". რუსთაველი თურქმენ პოეტს მიაჩნია „პოეზიის შაჰინ-შაჰად", რომელიც საუკუნეებს გადასწვდომია ჩანგით, იგი მუდამ ახალი და მუდამ მაღალია, „ხალხთა დიდების შარავანდედია". ყარა სეითლიევი აღფრთოვანებულია ჩვენი სამშობლოს დღევანდელობით, სიკეთისა და ნათელის ზეიმით. აქ უნდა იყოს დღეს რუსთაველი და ხედავდეს სიკეთის უბადლო მომღერალი მისი ოცნების ზეიმს:

შენ ხომ სიკეთის მამა ხარ ბრძენი,
მტერი ბოროტის, ვერაგულისა...
ნახე ნათელი სამშობლო შენი,
თავისუფალი ძგერა გულისა!

საქართველოს დიდ მეგობარს, ტაჯიკური პოეზიის ბრწყინვალე მოღვაწეს აბულყასემ ლაჰუთის ეკუთვნის შესანიშნავი ლექსი „ბედნიერი რუსთაველი", რომელიც პოეტმა მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის" 750 წლის იუბილეს. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები, რომელიც ოდესმე შექმნილა ქართველი და ტაჯიკი ხალხების მეგობრობაზე.

გამოჩენილი ლატვიელი პოეტი იან პლაუდისი, რომელსაც ლექსების მთელი ციკლი აქვს დაწერილი საქართველოზე, სიყვარულით უმღერის ქართველი ხალხის სიამაყეს შოთა რუსთაველს:

შუბლზე ველების სუნთქვა ფარული,
თმებში სიგრილე ჩაწვნია ღამის...
„აგვამაღლებსო, — თქვა, — სიყვარული",
ტრფობა ჩაადნო ლექსებს უამესს.

ლატვიის სახალხო პოეტი იან სუდრაბკალნი ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „ჩვენ მივესალმებით საქართველოს, ქართველ ხალხს, რომელსაც უძვირფასეს საუნჯედ შემოუნახავს „ვეფხისტყაოსანი"... ჩვენ ვუფრთხილდებით ტრადიციის ოქროს ძაფებს და ძალიან, ძალიან კარგია, რომ დღეს ჩვენ ვგრძნობთ მხურვალე, მამაცურ ხელს რუსთაველისა და მაგრად ვუჭერთ მას ხელს. პოეზია უნდა იყოს წმინდა და ვნებიანი, გონივრული და მხიარული, რეალისტური და ფანტასტიკური... და აი, ისმის ხმა რვა საუკუნის სიღრმიდან შესანიშნავი ჰუმანისტისა, ჩვენ მივიღეთ კაცთმოყვარეობისა და ძმობის ესტაფეტა. სალამი შენდა, ჩვენო დიდო ძმაო!"

ჩვენი ქვეყნის მეგობრებმა შესანიშნავად იციან, თუ რას ნიშნავს ქართველი ხალხისათვის რუსთაველის პოეზია. საუკუნეთა მანძილზე ქართველი ახალგაზრდობა იზრდებოდა მისი უკვდავი ტაეპებით, რომელნიც უნერგავდნენ მას სამშობლოსათვის, მეგობრისათვის თავდადების გრძნობას, მაღალ საკაცობრიო იდეალებს. „ვეფხისტყაოსნის" იდეებით აღზრდილი ქართველი მეომრები გმირობის სასწაულებს ახდენდნენ. ლიტვური ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწე ედუარდას მეჟელაიტისი სამართლიანად წერს: „ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ურთიერთერთგულების გმირული მაგალითებით ჭეშმარიტ კვარცხლბეკზე აიყვანეს მეგობრობა, მიანიჭეს მას თავგანწირული სიყვარულის წმინდა შარავანდედი. ჩემდა უნებურად ვიგონებ იმ ქართველ მეომრებს, რომელთაც სამამულო ომის ბრძოლაში სიცოცხლე შესწირეს ჩემს ლიტვას. ისინიც, უთუოდ, ხშირად კითხულობდნენ რუსთაველს, რომლის პოემაშიც აგრე მკაფიოდ გამოისახა სამშობლოს სიყვარული, ხოლო მეგობრობის გრძნობამ ეროვნების საზღვარი გადალახა".

ე. მეჟელაიტისმა შესანიშნავი წერილი მიუძღვნა რუსთაველის შემოქმედებას. შემთხვევითი არ არის, რომ მან თავის ნარკვევს ეპიგრაფად წარუმძღვარა აკაკის ცნობილი სიტყვები: „სულმნათო, მადლი შენს გამჩენს..." მართლაც, ლიტველი მწერლის სტატიის პათოსი მდგომარეობს რუსთაველისა და მისი მშობელი ერის განდიდებაში. ამ უალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესად გულთბილ სტატიას ე. მეჟელაიტისი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „...მე მსგავსი მოვლენა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში სხვა არ ვიცი. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩემში პირმზიანი შოთას ჭეშმარიტი სიდიადისა და მშვენიერების რწმენას, ჩემი ძვირფასი ქართველი ხალხის უდიდესი მომღერლისადმი რწმენას“.

რუსთაველის პოემის გაცნობასთან დაკავშირებით საინტერესო ამბავს მოგვითხრობს გამოჩენილი მოლდაველი პოეტი ემელიან ბუკოვი. ახალგაზრდობაში მას ბურჟუაზიულ ბუქარესტში მოუსმენია აკრძალული რადიოგადაცემა მოსკოვიდან. კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანს. ახალგაზრდა რევოლუციონერზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მოსმენილს და მას უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს, უსათუოდ უნდა შევხვდე რუსთაველსო. მალე იგი დააპატიმრეს და ჟანდარმი შეუდგა იმის გამორკვევას, თუ ვინ იყო რუსთაველი და რა კავშირი უნდა ჰქონოდა ბუკოვს მასთან. როდესაც საქმე წამებაზე მიდგა, ახალგაზრდა პოეტი გამოტყდა, რომ აქ პირადი ნაცნობობა არ იგულისხმებოდა. „განა ღირს ელაპარაკო ასეთ გამოთაყვანებულს გენიოსის წმინდა სახელზე?“ — ამთავრებს თავის მოგონებას ე. ბუკოვი.

რუსთაველის პოემა ყველა საბჭოთა ხალხის საკუთრება გახდა. მოლდავური ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწე პეტრია დარიენკო მოსწრებულად შენიშნავს: „ამ დღეებში ჩვენ სიყვარულით ვდღესასწაულობთ შოთა რუსთაველის უკვდავებას ჩვენს მიწა-წყალზე, არა როგორც სტუმრისას, რომელიც ერთი-ორი დღით ჩამოვიდა შორიდან, არამედ ადამიანისას, რომელსაც არასოდეს არ მიუტოვებია მოლდაველის სახლ-კარი“.

ემელიან ბუკოვის ლექსი „ხმა მარადისი“, რომელიც მიეძღვნა რუსთაველის გენიას, გამთბარია ჩვენი სამშობლოსადმი გულწრფელი სიყვარულით. პოეტს სურს შეიცნოს იდუმალი ბგერები, რომელნიც სამყაროში საუკუნეთა მანძილზე გაფანტულა... პოეტი ხედავს ფოთლების საოცარ სამკაულებს. იქნებ იმიტომ აქვთ მათ ეს ხვეულები, რომ თავიანთ ფორებში „საუკუნენი შეუწოვიათ?“ სადღაც იქვე ახლოს გრძნობს მოლდაველი პოეტი მომღერლის სულს, რომელიც „სუნთქავს სიტყვათა ელერით“. პოეტის უკვდავი ბგერა — „ფხიზლად თვლემს კლდეების ზემოთ“, მისი ხმა „დროს განფენია“, მისი სიმღერა ისე საოცრად თრთის, თითქოს თაღებში მომწყვდეულაო. დიდი მგოსანი „ესაუბრება თავის ავთანდილს“. მოლდაველ პოეტს გულს უამებს სიბრძნე, რომელიც

> მადლით არის ნაფერები,
> მღერის სიმი, დრო და სივრცე
> ცისარტყელას ზღვა ფერებით...

რუსთაველის მარადიული ბგერა ამშვენებს თვით ბუნებას, იგი მუდამ თავს დასტრიალებს კლდეებსა და ქარაფებს, ჩაწვნია დროის ქსოვილს. მგზნებარე სიყვარულს გამოხატავს ჩვენი ქვეყნისადმი გამოჩენილი მოლდაველი პოეტი, როცა ამბობს:

> საქართველოს გულში შესულს
> საქართველო გულში მიძევს!

ფასდაუდებელია ქართულ-უკრაინული ლიტერატურული თანამეგობრობის საქმეში მიკოლა ბაჟანის ღვაწლი. თავისი მადლიერება ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობრისადმი, რუსთაველის, გურამიშვილისა და ჩვენი ლიტერატურის სხვა შედევრების შესანიშნავი მთარგმელისადმი, ქართველმა ხალხმა იმით გამოხატა, რომ უკრაინელ პოეტს მიანიჭა რუსთაველის პრემიის ლაურეატის სასახელო წოდება. მიკოლა ბაჟანს უანგაროდ უყვარს ჩვენი ქვეყანა. მის ლექსში — „თმოგვის გზაზე“ ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის დიდებულ ისტორიაზე, ქართველი ხალხის მედგარ სულზე, რუსთაველის გენიაზე:

მაშ, ვაქოთ, ძმებო, ჩვენ იმ ხალხის მედგარი
სული,
ვის ცხოვრებასაც ჰეშმარიტი სიცოცხლე
ჰქვია,
ვინც უკვდავებას ეზიარა მგზნებარე გულით,
ვინც გადაურჩა ხანძრების და ხანჯლების
ბრიალს...
... მოდის მზესავით „ვინმე მესხად“ ცნობილი
კაცი,
გადადის შუქი მთიდან მთაზე გაუთავებლივ:
დიდ მესხს დიდება! ვინც დათრგუნა
სიკვდილი მკაცრი, —
ქამთა წინაშე ქედუხრელად დგას
რუსთაველი!

მოძმე ხალხთა ლიტერატურაში სათანადოდ აისახა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა დიდ სამამულო ომში. ლეგენდარული კოვპაკი თავის წიგნში „პუტივლიდან კარპატამდე“ დიდი სიყვარულით იგონებს თავის უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის გმირს დავით ბაქრაძეს: „ჩვენს მებრძოლებს მაშინვე შეუყვარდათ იგი. ყველასათვის დიდად სასიამოვნო იყო, რომ ჩვენ შორის, სახალხო შურისმაძიებელთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, რუსთა შორის, გამოჩნდა მამაცი მეომარი ქართველთა მოდგმისა“.

ორი მოძმე ხალხის ურღვევ ერთობას მიუძღვნა მოთხრობა „ძმობა“ გამოჩენილმა უკრაინელმა მწერალმა ნათან რიბაკმა. მტრის ბანაკში ერთმანეთს ხვდებიან სიმონ კალინჩენკო და ნიკოლოზ დუმბაძე. ისინი გმირულად უძლებენ საბედისწერო გამოცდას, მტერმა ხელთ იგდო დაჭრილი მებრძოლები, მაგრამ მათი სულიერი ძალა ვერ გატეხა, გერმანელებმა სცადეს, რომ დუმბაძეს თავისი ხელით დაეხვრიტა უკრაინელი კალინჩენკო, მაგრამ მოკლე და მკაფიო იყო ქართველი მებრძოლის პასუხი: „ჩვენ ძმები ვართ, — მტკიცედ თქვა ნიკოლოზმა, — ძმები...“

მოძმე ბელორუსიის მიწაწყალზეც თავდადებით იბრძოდნენ ქართველი მეომრები. ჩვენს ხალხს არ დაავიწყდება ბრესტის ლეგენდარული დაცვა, რომელსაც ასობით ქართველი გმირი შეეწირა. ბელორუსიის მიწაზე გმირული სიკვდილით დაეცა ნიჭიერი ქართველი პოეტი მირზა გელოვანი... თავისებურად და საინტერესოდ გამოხატა ქართველი მებრძოლების თავდადება მოძმე ხალხის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის ბელორუსმა პოეტმა პიმენ პანჩენკამ. ომის დროს პოეტი ირანში მოხვედრილა და იქ ბაზარში შემთხვევით წასწყდომია ერთ ბოთლ ღვინოს „წინანდალს“. ქართულმა ღვინომ მას მოაგონა გლეხის მადლიანი მარჯვენა, ვინც ეს სასმელი დაწურა, გული გაუთბა პოეტს. მან წარმოთქვა სადღეგრძელო ჩვენი სამშობლოს მამაცი შვილებისა, მშობლიური ბელორუსიის გათავისუფლებისათვის რომ სიცოცხლეს არ იშურებდნენ. პოეტმა თავის ლექსს „ერთი ბოთლი „წინანდალი“ უწოდა:

მო, „წინანდალი“ შევსვათ თასითა
და სადღეგრძელო ვთქვათ მეომართა,
ვინც მტრის ჭანგები ბრძოლით დაცვითა
ბელორუსული ქალაქის კართან!

ჩვენი ქვეყნის ხალხები მხარდამხარ იბრძვიან მშვიდობის დასაცავად. ყაზახური ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწე საკენ სეიფულინი სიყვარულით ლაპარაკობს კავკასიონის ამაყ მწვერვალებზე, მისი აზრით, ალტაი და კავკასია მკერდით აღმართულა უძლეველ ფარად, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდეს ხალხთა მშვიდობას:

ალტაი და კავკასია მოზღუდულა ისე,
რომ დაიცვას თვალუწვდენი ჩვენი ქვეყნის
სივრცე, —
ორი გული მძლე, ჭაღარა,
ვით დარაჯი, ისე მდგარა,
ამართულა ურყევ ფარად,
რომ მშვიდობის დასარღვევად ძალა არვის
მისცეს.

დიდი სამამულო ომის წლებში, როცა საქართველოს საბედისწერო განსაცდელი ადგა, როცა მტრის ურდოებმა შეუტიეს კავკასიას, ჩვენი ქვეყნის ათასწლოვან საზღვართან სიცოცხლეს არ იშურებდნენ ყირგიზი მებრძოლებიც. ერთ-ერთ ლექსში, რომელიც ყირგიზმა პოეტმა თემირყულ უმეტალიევმა დაწერა 1942 წელს, ნათქვამია:

იხარე, მიწავ, ბაღნარებად კვლავაც ქცეული,
ვით ჯიქი, ოთხ თვეს გულადობას ვიყავ
ჩვეული,
მე შენს სინათლეს ვდარაჯობდი, შენს ფერს
და ფარჩას,
თერგის ნაკადი კვლავ წმინდა და კამკამა
დარჩა,
მტერს არ ვაღირსეთ ტურფა ქვეყნის რბევა,
თარეში...
ო, მთებო, ახლა ბრძოლა მმართებს სულ
სხვა მხარეში.

ამ ლექსში ნათლად ჩანს ყირგიზი პოეტის სიყვარული ჩვენი მხარისადმი. ყირგიზისათვის ყაზბეგის მწვერვალი ისევე საყვარელია, როგორც მშობლიური მთების ქედები, ამიტომაც იცავს იგი ასე თავგანწირვით საქართველოს, თითქოს მშობლიური ყირგიზეთისათვის იბრძოდეს. დიდ სამამულო ომში ნათლად გამოვლინდა ორი მოძმე ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, მეგობრული წმინდა კავშირის შეურყევლობა.

დღეს ტაჯიკეთის ველებს მარტო ბამბა და ხორბალი კი არ ამშვენებს, ქართული ლიმონიც „ტაჯიკეთის მოქალაქე გახდა". მან გადაიარა უღელტეხილები, მდინარეები, „სანაპიროთა შორეთი", ეწვია ტაჯიკეთს და აქ „აღარ აშინებს ქარიშხალი, არც ხორშაკი". ტაჯიკმა ხალხმა მადლობითა და სიყვარულით მიიღო სასურველი სტუმარი:

ამ კავკასიელს ჩვენი მხარე შეყვარებია,
ტაჯიკურ ბამბას დაემოყვროს მაშ ლიმონები!

ეს ლექსი ჩვენთვის საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც, შეუძლებელია, აქ არ ვიგრძნოთ შემოქმედებითი კავშირი იოსებ გრიშაშვილის ცნობილ ლექსთან, რომელიც ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობას მიეძღვნა. ლექსში „ქართული ციტრუსები უკრაინაში" ქართველი პოეტი შეჰხარის ნერგებს, რომელთაც ჩვენი ხალხი უკრაინელ მოძმეებს უგზავნის: „ქართულო ნერგებო! სიტყვა გაქვთ მართალი, ათასად გიმრავლოთ ყოველი მარცვალი". ისევე, როგორც მ. ტურსუნ-ზადე, აღფრთოვანებულია იმით, რომ ქართული ლიმონი „ტაჯიკეთის მოქალაქე" გახდა, ი. გრიშაშვილიც თვლის, რომ ახალ სამშობლოში ქართული ციტრუსები თავს ობლად არ იგრძნობენ: „განა უკრაინაც სამშობლო არ არი?"

ასეთი თანხვედრა არა მარტო იდეისა, არამედ ფორმისაც, რომლითაც ეს ძმობის იდეა გამოიხატა, არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ეს არის იშვიათი შემოქმედებითი პარალელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალური შეწყობა ორი მომღერლის ხმისა და ეს პოეტური მოძახილი ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ურთიერთკავშირს და ურთიერთზემოქმედებას, ცხოველმყოფელობას ამ დიდი ლიტერატურული თანამშრომლობისა.

ბელორუსიის სახალხო პოეტმა იანკა კუპალამ ნაზი ლირიკული ლექსით უმღერა საქართველოს და მის მშვენიერ ასულს — ელიკოს, რომელმაც პოეტის გულში გააღვიძა ჭაბუკური ოცნებები. წყალტუბოში ჩასული პოეტისათვის საუკეთესო წამალი ამ ლამაზი ქართველი ქალიშვილის ღიმილი ყოფილა. ამიტომაც ბელორუსმა პოეტმა თავის ლექსს სათაურად მისცა ქართული სიტყვა — „გენაცვალე":

წამლად მომხვდა ღიმი შენი,
თვალთა სხივს ვერ დავემალე...
ყრმის სიზმარიც მივიჩემე,
ო, ელიკო, გენაცვალე!
სიზმრად ვნახავ საქართველოს,
თუმც მის სივრცეს გავეცალე...
დე ვარსკვლავად დამათენოს,
შენმა შუქმა, გენაცვალე!..

ლატვიური ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა შესანიშნავი პოეტი ქალის მირძა კემპეს ლექსების ციკლი საქართველოზე — „საქართველო", „მწყემსი მღერის მთაში", „ალაზნის ვენახებში", „მზე გაგრაში", „ბზიფის ნაპირთან" და სხვა. მისი ლექსი „ალაზ-

ნის ვენახებში“ ენათესავება ლატვიური ლიტერატურის მეორე გამოჩენილი მოღვაწის იან პლაუდისის ლექსს „რთველი კახეთში“. ლატვიელი პოეტები აღფრთოვანებულნი არიან ქართველ მევენახეთა შრომით, მათი მშვენიერი სიმღერებით.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი წერდა: „კავკასია თითქოს მოწოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად და გამომბრძმედელად, მათს პოეტურ სამშობლოდ“. საქართველოს ბუნებამ, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე სულმა არა ერთი პოეტური ჩანგის სიმი აათრთოლა. საქართველოში ყოფილან და უცხოვრიათ მოძმე ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს — პუშკინს თუ გრიბოედოვს, გულაკს თუ ლესია უკრაინკას, თუმანიანს თუ ახუნდოვს, გორკის თუ მაიაკოვსკის, ანტანას ვენუოლისს თუ ბირზნიეკ-უპიტს და კიდევ ვინ მოსთვლის!

თავისი დიდი სიყვარული მშობლიური საქართველოსადმი ვლადიმერ მაიაკოვსკიმ შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

როგორც კი
დავადგი
ფეხი კავკასიას,
მყისვე მომაგონდა,
რომ მე
ქართველი ვარ!

და მართლაც, ქართველს თუ შეეძლო ასე ძლიერად გამოეხატა თავისი გრძნობა საქართველოსადმი, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის მეგობარმა შეძლო:

მე ვიცი:
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ
ლექსავდნენ ოცნებით,
ალბათ
საქართველო
ედემად გამოჰყვეს,
მასზე თუ
გალობდნენ მგოსნები!

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკიც თავის დიდ წარმატებას საქართველოს უმადლოდა: „მე არასდროს არ დამავიწყდება, — წერდა იგი, — რომ სწორედ თბილისში გადავდგი პირველი მორიდებული ნაბიჯი იმ გზაზე, რომელსაც უკვე ოთხი ათეული წელი მივყვები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ დიადი ბუნება ამ ქვეყნისა, რომანტიკული სირბილე მისი ხალხისა, აი, ეს ორი ძალა მაძლევდა მე ბიძგს, რომელმაც მოხეტიალე ბოგანო, ლიტერატორად მაქცია“.

ჩვენი ქვეყნის დიად ბუნებას და ქართველი ხალხის „რომანტიკულ სირბილეს“, რომელზედაც მ. გორკი ლაპარაკობდა, მხურვალედ უმღერიან მოძმე ხალხთა მგოსნები.

გამოჩენილმა ყაზახმა პოეტმა ისა ბაიზაკოვმა დაწერა საინტერესო პოემა „კავკასია“, რომელსაც საფუძვლად დაედო მთაში გავრცელებული ერთი ლეგენდა. ავტორმა არა მარტო კარგად შეისწავლა ჩვენი მხარე, არამედ გაეცნო ძველ ქართულ კულტურასაც, თვითმყოფად ხალხურ სიტყვიერებას, მთიელთა ლეგენდებს, თქმულებებს, ლექსებს. ისა ბაიზაკოვის პოემაში იგრძნობა ქართული ლიტერატურის კარგი ცოდნაც, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გავლენა. ამან შეუწყო ხელი ყაზახ პოეტს შეექმნა მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც გამთბარია სიყვარულით ჩვენი ქვეყნისადმი...

მოძმე ხალხები მშობლიურ ენაზე კითხულობენ და სწავლობენ ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების შედევრებს, ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებს. სამართლიანად წერს ლატვიელი პოეტი ოიარ ვაციეტისი: „დაე, ათასობით კილომეტრი აშორებდეს ლატვიას საქართველოსაგან, ერთმანეთთან სულ ახლოს ძგერს თბილისისა და რიგის მგზნებარე გული... ისიც კი, ვისაც არასოდეს არ გაუვლია რუსთაველის პროსპექტზე, უკვე სასკოლო მერხზე ეცნობა ქართველი ხალხის ამ სახელოვანი შვილის უკვდავ ქმნილე-

ბას. ეს კი მხოლოდ დასაწყისია, მხოლოდ პირველი ჭავლია თქვენი ამაყი ქვეყნისადმი სიყვარულისა და პატივისცემის წყალუხვ მდინარეში... ეს არის ქართული სიმღერა ჩვენს სუფრაზე... ჩვენს შუა მანძილი არ არის"!

მართლაც, განა ნიშანდობლივი არ არის, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე საშუალო სკოლაში ისევე ასწავლიან „ვეფხისტყაოსანს", როგორც საქართველოში?!

ლატვიელი პოეტი იან პლაუდისი უმღერის საქართველოს სილამაზეს, მის „ოქროს სკას" თბილისს, ჩაის პლანტაციებს, ვენახებს, ჭაღარა ყაზბეგს, მას უჭირს, სიტყვით გამოთქვას სიხარული, რადგან სუნთქავს „ქართული მიწის მშვენებით". დიდებულია მისი ლექსის — „საქართველოს" უკანასკნელი აკორდები:

> მაღლა მზიანი შენი მთებია,
> ზღვარი სადღაა წელთა ლელოსი?!
> სიცოცხლე ჩემი შენივთებია
> დიდებას ახალ საქართველოსი!

თბილისის საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ ერთხელ იოსებ გრიშაშვილის საღამოზე დიდმა სომეხმა პოეტმა ოვანეს თუმანიანმა წაიკითხა ლექსი „საქართველოს პოეტებს", რომელიც გაისმა როგორც ჰიმნი ორი მოძმე ხალხის მეგობრობისა. ამჟამად ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ამ ლექსს ი. გრიშაშვილის შესანიშნავი თარგმანით:

> დღეს ხალხი სისხლით თუმც იწურება, —
> ეს დაგრჩეს მაინც ძველ გაკვეთილად:
> რომ ერთი ერის უბედურება
> ვერ გადიქცევა სხვისთვის კეთილად.
> ვის შეუძლიან, რომ გადაგვთელოს,
> ჩვენს სულში ღმერთი არ იწვის განა?
> დე, იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო
> არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა!

აზერბაიჯანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთმა შესანიშნავმა მთარგმნელმა სულეიმან რუსტამმა ასე უმღერა საქართველოს დედაქალაქს:

> ბედნიერების მგოსანს ახარებს,
> რომ არ ჩაკვდება ჰანგი ამგვარი,
> რომ გამარჯვებას არ აქვს საზღვარი,
> როს გულებს ერთი ხმა აქვთ, თბილისო!

ეს საერთო ხმა გულისა არის ქართული ლიტერატურის თანამშრომლობისა და მეგობრობის საფუძველი სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურასთან, საწინდარი ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებისა.

შეიძლება მოგწონდეს მეზობელი ხალხის პოეტი, შეიძლება გაგაოცოს უცხო ქვეყნის ბუნებამ, მოწიწებაც იგრძნო ძველი ტაძრებისა და აკლდამების დანახვაზე, მაგრამ თუ არ გიყვარს თვით ის ხალხი, რომელიც ამ მშვენიერ მიწაზე ცხოვრობს, რომელსაც შეუქმნია ეს სიმდიდრე და სილამაზე, შეუძლებელია ისეთი გრძნობა ჩააქსოვო ლექსში, რომ მკითხველმა იგრძნოს თრთოლვა მოსიყვარულე გულისა. განა მხოლოდ ბუნების ოსტატურ აღწერას ვხედავთ, მაგალითად, ანტანას ვენცლოვას, იან პლაუდისის, ისა ბაიზაკოვის, ყარა სეითლიევის, ემელიან ბუკოვის, იანკა კუპალას, მიკოლა ბაჟანის, ნიკოლოზ ტიხონოვისა და სხვათა ლექსებში, თუ მათ ჩვენი ქვეყნის ბუნების დიდებულება იმისათვის წარმოუჩენიათ, რომ ამ ფონზე უფრო ნათელი გახადონ სიმძლავრე ხალხისა, რომელიც ამ ზვიადი მთის კალთებზე გაზრდილა? ჩვენს მეგობრებს მყინვარი კი არ აინტერესებს, არამედ ის სითბო, ის ძალა, რომელიც ამ ბუნებას მიუცია ხალხისათვის.

ლიტერატურული ურთიერთობა საწინდარია მოძმე ხალხთა კულტურის გამდიდრებისა ახალი იდეებითა და მხატვრული სახებით. და თუ ლიტერატურა ხალხის სულის სარკეა, დაე, გვიმრავლოს ეს სიმდიდრე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ წერეთელი

ოქტომგერს უმღერიდნენ

(ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი)

მეოცე საუკუნის ათიან წლებში სიმბოლიზმი საქართველოშიც შემოიჭრა. ეს იყო ფართო სოციალური ძვრებისა და მჩაგვრელ-ჩაგრულთა შეგნებული შეჯახების წლები. ეს იყო ღირსსახსოვარი პერიოდი, როცა მშრომელი ხალხი აღსდგა უსამართლობის წინააღმდეგ. ახალმა სიომ დაჰბერა და ხალხს ახალი ცსოვრების დაწყების იმედი მიეცა.

ყოველივე ეს ქართულ მწერლობაშიც აისახა: დიდი აკაკის ლექსებში, იროდიონ ევდოშვილის რევოლუციურ პოეზიაში და სხვათა ქმნილებებში; მაგრამ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. რევოლუციის ერთგული ჯარისკაცები იატაკქვეშეთში გადავიდნენ. ინტელიგენციაში და რევოლუციასთან შემთხვევით მოსულ ადამიანებში გამეფდა უიმედობა და დაბნეულობა. რეაქციამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს.

ამ რთულ მდგომარეობას კარგად ახასიათებს მ. წულუკიძე წერილში „ხელოვნება და კრიტიკა“, რომელიც გამოქვეყნდა 1913 წელს ქ. ქუთაისში გამოსულ ჟურნალ „ოქროს ვერძის“ მესამე ნომერში: „იყო დრო, როდესაც ხელოვნებაში საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციის მიხედვით გამეფებული იყო პრინციპი: ხელოვნება ცხოვრებისათვის. ქართული ხელოვნების ისტორიაში ეს შეხედულება ნაყოფი იყო განსაკუთრებით სამოციან და ორმოცდაათიან წლებისა — წლების, რომელთა დამახასიათებელ თვისებას შავი საზოგადოებრივი მუშაობა შეადგენდა.

გამოიცვალა დრო. შავი, შინაგანი ხალხოსნური მუშაობა დიდებულ სოციალურ განცდათ გაიშალა და დამარცხდა იგი განცდა, ვერ იქცა სინამდვილედ, შეუძლებელი შეიქნა მისი ფორმებში ჩამოსხმა... გაწყდა ხალხის გულის სიმი, გონება ბურუსმა მოიცვა... გამოსავალი არსად ჩანდა... ცხოვრება დასმულ კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა... პიროვნება მოსცილდა სინამდვილეს და ოცნებაში ცხოვრება აირჩია... — ხელოვნებაში გამეფდა პრინციპი: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქუთაისში გამოსულ „სალიტერატურო-საპოლიტიკო“ ჟურნალ „ოქროს ვერძს“ რედაქტორობდა სრულიად ახალგაზრდა პოეტი, 18 წლის პაოლო იაშვილი.

იმ დროისათვის ქუთაისში თავმოყრილი იყო ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვი-

ლი, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე და მრავალი სხვა. ქუთაისის მთვარიან ღამეებს მიჰქონდა მათი ოხვრა და ფიქრები. „ქუთაისის პერიოდი“ „ცისფერყანწელებში“ დარჩება როგორც თვითონ პოეზია... სობორო, მის გალავანში იღებდნენ სიცოცხლეს ვერლენის, ბოდლერის, რემბოს და მალარმეს ლექსები. პაოლო იაშვილი გადმოიღებდა სტროქონებს დაწყევლილი პოეტების სონეტებიდან და კრძალვით გადასცემდა მათ ვალერიან გაფრინდაშვილს, ქალდეის ფრესკოებიდან გამოსულ ტიციან ტაბიძეს და კოლაუ ნადირაძეს“.

1916 წლის გაზაფხულზე ამ მწერალთა ძალებით ქუთაისში გამოვიდა სიმბოლისტურ-დეკადენტური ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო საფრანგეთიდან ახლადდაბრუნებული პაოლო იაშვილი.

„ცისფერყანწელები“ გამოდიოდნენ დასავლეთ ევროპის თუ რუსეთის სიმბოლისტური სკოლის იდეების გამგრძელებლებად და გამავრცელებლად, მიჰყვებოდნენ მათ მიერ შექმნილ ტრადიციას, ქართულ ლიტერატურაში ნერგავდნენ ბოჰემის, ეროტიზმის, თვითმკვლელობის კულტს, სინამდვილის უარყოფისა და სიმახინჯის ესთეტიკას. ქართველი სიმბოლისტები ცდილობდნენ, უკუეგდოთ მდიდარი მემკვიდრეობა, დაემსხვრიათ ლიტერატურული ტრადიციები, ექადაგათ ხელოვნების თვითმიზნურობა, უშინაარსობა, ეზრუნათ მხოლოდ ლექსის ფორმისა და გარეგნობის დახვეწისათვის, მათი სწრაფვა მეტისმეტად ჰგავდა ფრანგი სიმბოლისტების ადრეულ აზრებს.

„ცისფერყანწელები“ არც უარყოფდნენ ამას, პირიქით, თავს აცხადებდნენ კიდეც მათ ძმებად და მემკვიდრეებად.

პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი, „ცისფერყანწელთა“ სკოლის თეორეტიკოსები, საფუძვლის ჩამყრელნი და მამამთავრები, სიმბოლიზმის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ.

მაგრამ ქართულ ნიადაგზე დამყნობილ სიმბოლიზმს მაინც არ ჰქონდა მყარი საფუძველი. ქართველი კაცის უშუალო და ხალისიანი ბუნება ვერ იტანდა ბუნდოვანებას, სიყალბესა და ნიღაბს. ამიტომ მათ ადრეულ შემოქმედებაშიც ხშირად იჩენდა თავს ნათელი და მისაღები მოტივი, ცხოვრებაში მომხდარ სიახლეთა შეგრძნება, ადამიანისა და ერების უკეთეს მომავალზე ფიქრი, მისწრაფება პატრიოტიზმისა და მეგობრობისაკენ. ფრანგი სიმბოლისტების მიერ გათელილ გზასთან ერთად სავალად საკუთარი ბილიკებიც ჰქონდათ.

საინტერესოა ამ მხრივ ტიციან ტაბიძის „პეტერბურგი“. ლექსის დაწერის ადგილი და თარიღი: „29 ოქტომბრის ღამე, ქუთაისი, 1917“. აქ, მართალია, შეინიშნება სიმბოლისტური სახეებით აზროვნება, მაგრამ ლექსი მაინც კარგად გვიჩვენებს რევოლუციის პერიოდის პეტერბურგსა და იქ დასადგურებულ განწყობილებას.

„კუნძულებიდან მოჰქრის ქარი დაუდეგარი,
აწვება ქუჩებს, ყუმბარების ცეცხლით
გადამწვარს“...

პოეტი ხედავს ულმობელ ბრძოლაში ჩაბმული ქალაქის სურათებს და გრძნობს, რომ „ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი“... ადამიანებს დიდი გაჭირვება ადგათ, იბრძვიან თავისუფლების მოსაპოვებლად, „სიმწრის ოფლი გამოდის მკლავებს“ და ასეთ კრიტიკულ მომენტში ისინი „მოიგონებენ მხოლოდ მარტო ლენინის სახელს“. ტ. ტაბიძის ეს ადრეული ლექსი საინტერესოა იმითაც, რომ, ჩვენი აზრით, ქართულ პოეზიაში პირველად აქ არის ნახსენები რევოლუციის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი.

თუმცა, ტიპიური ქართველი სიმბოლისტი ვალერიან გაფრინდაშვილი, იმქამად „საღამოს მასკების“, „ხელის

ნუგზარ წერეთელი
ოქტომბერს უმღერიდნენ

ორეულის“, „დაისების“, „ოფელიას დღესასწაულის თუ „ნაფტალინის დედოფალის“ სიმბოლისტური სახეების შექმნით იყო გართული, მან მაინც შეძლო თბილი სტრიქონები დაეწერა მეგობრობაზე და ეოცნება განუმეორებელ წარსულ დღეებზე, სადაც იწყებოდა მისი შთაგონება:

ძვირფასო ალი! შენ უთუოდ გემახსოვრება,
ზამთრის ქუჩებში ხეტიალი, ვიწრო ბინები,
ვებრძოდით ყინვას, მარტოობას, უცნობ
ცხოვრებას,
მაგრამ ვიყავით შთაგონებით ნაგვირგვინები.

ლექსი დაწერილია 1917-18 წლებში და ეძღვნება კრიტიკოს ალი არსენიშვილს.

ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის დიადი გრძნობით გამოირჩევა პაოლო იაშვილის მიერ 1917 წელს დაწერილი „უეცარი ლექსი — პოლონეთს“. ეს არის მაღალი ადამიანური განცდებით შექმნილი ოპტიმისტური ნაწარმოები, რომელშიაც ნათლადაა გადმოცემული ფიქრი საყვარელი სამშობლოს მომავალზე, თავისუფლებაზე, ახალი მზითა და სიცოცხლით ავსებულ მამულზე:

...ჩვენ გვაწვალებდა ოცნება ერთი
და ჩვენ მოველით ერთნაირ მზესა,
ჩვენ ერთად ველით და მალე გვინდა
ახალით მორთვა მზით მთა-ველისა!
ამაყო ძმებო! სალამი წმინდა!
სალამი გრძნეულ რუსთაველისა.

თავისუფლებისა და საყვარელი სამშობლოს უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილმა გამარჯვებამ დააგვირგვინა.

ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი დიდად განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ და ღრმად სწამდათ, რომ მენშევიკების უდღეური ბატონობა დაღუპვის პირამდე მიიყვანდა საქართველოს.

ურთულესი მდგომარეობა მძიმე დაღს ასვამდა მათ მგრძნობიარე ბუნებას და პოეტების შემოქმედებითს იმპულსებს ახალ-ახალი სუსხით ზაფრავდა. გადაჭრით შეიძლება ითქვას — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სიცხადე და უზარმაზარი (როგორც თვითონ ამბობდნენ — ატმოსფერული) გავლენა რომ არ ყოფილიყო, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები ვერასოდეს ვერ გამოვიდოდნენ შემოქმედებითი ჩიხიდან, ვერასოდეს ვერ გახდებოდნენ მოწინავე შემოქმედნი.

„ცისფერყანწელთა“ სკოლის ბელადები დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ რევოლუციის ტრიუმფალურ გამარჯვებებს. დიდი რუსი ხალხის რევოლუციური წინსვლა და გააფთრებული ინტერვენციის ყოველგვარი მუქარის მოგერიება მათაც იმედით ავსებდა. მეგობრები ოცნებით ელოდნენ საყვარელი მამულის გადარჩენას, დამამცირებელი ბორკილების დამსხვრევას, ქართული დიდების აღდგენას, სავალალო აწმყოს გამოსწორებას, მოდუნებული ცხოვრების აღმავლობას, მშობელი ხალხის წინსვლასა და ბედნიერებას.

შეთვისებული ბუნდოვანებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ამ სანუკვარი ოცნების ახდენას ისინი მაინც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში ხედავდნენ. ამიტომ იყო, რომ პატრიოტული გრძნობებით ავსილი პაოლო იაშვილი გულწრფელი სიხარულით შეეგება ძველი სამყაროს ნგრევას, ახალი ეპოქის დაწყებას და მშობლიურ, ახალ საქართველოს 1921 წელსვე შესანიშნავი სტრიქონებით მიმართა:

შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული,
მაშ ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით
ძველი ქვეყანა დახავსებული.
მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!
მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით,
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთთან დაძმობილებით.

„ცისფერყანწელებმა“ შეიგრძნეს ცხოვრებაში მომხდარი განახლება, ისინი მიხვდნენ, რომ ეს გარდატეხა აუცი-

ლებელი იყო საქართველოსთვის. მართალია, სიმბოლიზმმა მძიმე დაღი დასვა მათ შემოქმედებას და ისინი ინერციით ჯერ კიდევ მიაბიჯებდნენ ლიტერატურული ჟონგლიორობის ჭაობში, მაგრამ შეგნებით რევოლუციის მხარეზე იდგნენ.

1922 წელს, თავიანთი კვირეული გაზეთის „ბარრიკადის" მე-4 ნომერში „ცისფერყანწელები" აცხადებდნენ: „ჩვენ აგრეთვე აშკარად ვამბობთ, რომ ჩვენ ვიყავით და ვიქნებით რევოლუციის მხარეზე, ამ შემთხვევაშიც აქვს ამას ეროვნული გამართლება, რადგან ქართველი ხალხი ბუნებით არის რევოლუციის მხარეზე... ხერხემალმაგარი პროლეტარიატი ბრძოლას არ წააგებს..." („დეკლარაცია „ცისფერი ყანწების").

ისევე როგორც საქართველოს ყველა კუნჭულში, „ცისფერყანწელთა" ცხოვრებაშიც განახლების ქარიშხალი შეიჭრა. მათ ცხადად იხილეს, რომ ყველაფერი ამოძრავდა, დაიწყო რევოლუციური გარდაქმნები, მყარი საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის სოციალურ თუ პოლიტიკურ აღორძინებას, თავის ადგილს მიაგნო ლიტერატურამ და ხელოვნებამ. „საქართველოში პოლიტიკურ აღორძინებასთან ერთად დაიწყება ხელოვნების აღორძინებაც, ახალი საქართველო და ახალი საქართველოს სახელით მომქმედი პროლეტარიატი, რომელმაც თავისი მაგარი ხერხემლით გამოიტანა საქართველოს თავისუფლება, შეჰქმნის ახალ პერიოდს ქართულ ხელოვნებასა და პოეზიაში". — მართებულად წერდა ტ. ტაბიძე ჯერ კიდევ 1921 წლის მაისში („რუბიკონი"). „ცისფერყანწელები" უკვე დარწმუნდნენ, რომ ცალკეული დეკადენტური ჯგუფები თუ მიმართულებები პოეზიის შინაგანი განვითარების კანონს ვერ შეაფერხებენ, რომ პოეზია დაბრკოლებათა მიუხედავად თავის ნამდვილ დანიშნულებას მიაგნებს. ვერავითარი ძალა ვერ გაუძლებს „იმ ატმოსფერულ გავლენას, რომელსაც ახდენს რევოლუცია"... „პოეზიასაც აქვს თავისი შინაგანი დიალექტიკა და ის თვითონ მონახავს თავის ბუნებრივ სახეს" („დეკლარაცია „ცისფერი ყანწების", „ბარრიკადი").

პოეზიამ მართლაც უჩვეულო აღორძინება დაიწყო. მას ახალი, მაღალი, საპატიო მიზნები დაესახა, რაც მშრომელი ხალხისა და სოციალისტური კულტურის სამსახურით გამოიხატა. ფართო ასპარეზი გადაეშალა ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის დიდ პოეტურ ნიჭსაც. მართალია, პირველ ხანებში ისინი მთელი შთაგონებით ვერ ასახავდნენ მომხდარ თვალსაჩინო ცვლილებებს, სამაგიეროდ გამჭრიახი თვალით აკვირდებოდნენ ოქტომბრის რევოლუციის, საბჭოთა ხალხის წარმატებებს და თითქოს ემზადებოდნენ მთელი ხმით ამღერებისათვის.

პირველ ხანებში ძალზე ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა წარსულის გავლენა. ამიტომ იყო, რომ რევოლუციის პირველ წლებში ისინი ჯერ კიდევ მერყევ პოზიციებზე იდგნენ და ზოგიერთი შესანიშნავი, რეალისტური თვალთახედვით შექმნილი ნაწარმოების გვერდით მდარე, არაფრისმთქმელ ნაწარმოებებსაც აქვეყნებდნენ.

მაგრამ დრო მიდიოდა. მათ თვალთა წინ ფრთებს მძლავრად შლიდა სოციალისტური მშენებლობა. ფაბრიკებით, ქარხნებით, არხებით, ელექტროსადგურებით დაიფარა წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა. ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა სოციალისტური ცხოვრების შემოქმედი ახალი ადამიანი, და ამ პერიოდში ტიციან ტაბიძის ვაჟკაცური განცხადება — „საბჭოთა მიწა! გიკოცნი ფესვებს, ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი", — მოასწავებდა იმას, რომ ის და მისი მეგობრები შეგნებულად და საბოლოოდ გადავიდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით მოპოვებული წყობილების მხარეზე. ტიციანმა მოუწოდა ყველა შემოქმედს, რომ ჰქონო-

---

ნუგზარ წერეთელი
ოქტომბერს უმღერდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ „თანამედროვე ცხოვრების ათვისების, ახალი რიტმისა და ყოფის გაგების ალღო“.

წლების მანძილზე სიმბოლიზმის ტყვეობაში მყოფმა პოეტებმა დიდი ოქტომბრის რევოლუცია სისხლხორცეულად შეიგრძნეს, რადგან მათ შეუძლებლად მიაჩნდათ კაცობრიობის მთელ ისტორიაში ასეთი არნახული ძვრისაგან განზე გადგომა. ჯერ კიდევ 1921 წლით დათარიღებულ შესანიშნავ ლექსში „პოეტი და ადამიანი“ პაოლო იაშვილი მოუწოდებდა თავის ამხანაგებსა და თანამოკალმეებს შეექმნათ ეპოქისათვის შესაფერისი ნაწარმოებები, მხრებიდან გადაეგდოთ წარსულის ტვირთი და მძიმე მემკვიდრეობა:

ამხანაგებო, ნუ გეზარებათ
ჩამოცილება ძველი ფესვების,
დროა გადიქცნენ ოქროს ზარებად
აცრემლებული ჩვენი ლექსები.

ვალერიან გაფრინდაშვილი კმაყოფილებით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „დიად ოქტომბრის პირველ გრიგალთან“ და პირველ აღმშენებლობით ეტაპებთან პოეზიამ უკვე მოასწრო საკუთარი სიტყვის თქმა. თავისი მეხოტბეები გაუჩნდა პროლეტარიატს. „ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა პირველი ცდა ხდება სოციალური გარდაქმნის... შეიქმნა სრულიად ახალი — „პროლეტარული პოეზია“ (ტ. ტაბიძე), ამიტომ ვალერიან გაფრინდაშვილი დარწმუნებით აცხადებს, რომ ყველა უნდა იდგეს მოწინავეთა რიგებში, ემსახუროს სამშობლოს, ემსახუროს პირველ სოციალისტურ „ხუთწლედს დამკვრელად“, თორემ ვინც ჩამორჩება აღმავალი ცხოვრების ბობოქარ დღეებს, სინამდვილიდან გარიყული აღმოჩნდება:

ჩვენი სამშობლო სწრაფად შენდება.
ვიყოთ ლაშქარნი ახალ დროების.
„სიმღერა“

განწირულია ყველა, ვინც დარჩა
ამ ქარიშხლიან დღეთა გარეშე.
„ოქტომბრის სტრიქონები“.

სოციალისტურმა აღმშენებლობამ ძალა და მრავალფეროვნება შემატა ყოფილ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას. ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობენ ამ დიადი მშენებლობის სასიცოცხლო რიტმსა და მიმდინარეობას. ყველაფერი ეს მაღალმხატვრულად აისახა მათ ლექსებში, პოემებში, წერილებსა თუ მხატვრულ ნარკვევებში.

1928 წელს ლევ ტოლსტოის საიუბილეო დღეებში ტიციან ტაბიძე მოსკოვს ჩავიდა. „ძველი მოსკოვი ვეღარ ვიცანი, ყველაფერი შეცვლილია. სადღა არიან ძველი, ზანტი მოსკოველები, ახლა აქ ცხოვრების ამერიკული ტემპია, გეშინია, არ გადაგიაროს მატარებელმა, ან ტრამვაი არ დაგეჯახოს; ძველი მოსკოვის ფლანერები არ ჩანან, ახალი, პორტფელიანი ხალხი საქმეზე იჩქარის, ყველას, დიდიდან პატარამდე, პასუხისმგებლობა ეტყობა, ყველა გრძნობს, რომ ჩაბმულია გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობაში. და ეს რიტმი თავისთავად იტაცებს ყველაფერს და თავის ბეჭედს ასვამს“.

1927 წლითაა დათარიღებული ტ. ტაბიძის ნარკვევი „ახალი მცხეთა“. პოეტი მძაფრად გრძნობს უდიდესი გარდაქმნების სასიცოცხლო მნიშვნელობას, საღი თვალით უპირისპირებს ერთმანეთს წარსულსა და სასურველ აწმყოს. საქართველოს სახალხო მეურნეობის აღმავლობამ, საქართველოს ელექტროფიკაციის წინსვლამ გამოიწვია ამ პატრიოტული წერილის დაწერა, სადაც პოეტი დიდებას უძღვნის რევოლუციას, რევოლუციის მიერ მოტანილ ყველა სიახლეს და ამ სიახლეთა შემოქმედს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

1918 წელს რევოლუციურ რუსეთში იმოგზაურა ჰერბერტ უელსმა, რომელმაც თავისი წიგნით „რუსეთი წყვდიადში“ აღწერა იმდროინდელი რუსეთი. იმპერიალისტური, სამოქალაქო ომის შედეგად დიდი რუსეთი გაპარტახებული და განადგურებული იყო. ქვეყნად შიმშილი და ავადმყოფობა სუფევდა. მოსკოვის ყინულიანი ქარი დათარეშობდა ქუჩებში, გათბობა კი არსად ჩანდა. პირველი სოციალისტური რევოლუციის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედი ადამიანები სულით მაინც არ ეცემოდნენ, ქმნიდნენ და იბრძოდნენ, ნათელი მომავლის იმედი ასულდგმულებდათ.

ტ. ტაბიძე შესანიშნავად გვიხატავს დიდი ლენინისა და უელსის შეხვედრას, გვიხატავს ლენინის სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას.

„ამ დროს უელსმა ინახულა კრემლში ლენინი და დარბაზობის შემდეგ მან დახატა ლენინის იშვიათი სურათი.

პატარა ტანის ადამიანი, რომელიც იჯდა არც ისე მაღალ სკამზე, ერთიანად წასული იყო ინტელექტის დაძაბვაში, მას თითქოს მხრებზე აწვა დანგრეული რუსეთი და მოითხოვდა გადარჩენას.

ასეთ დროს ლენინი მთელი საათი ელაპარაკა უელსს რუსეთის ელექტროფიკაციაზე. ლენინში იყო რაღაც დაუმონავებელი აზრი, რომ რუსეთი უნდა იხსნას ელექტროფიკაციამ, უელსს კი, როგორც გაუსწორებელ ფილისტერს, სასაცილოდ მიაჩნდა ლენინის ოცნება ელექტროფიკაციაზე...

სულ რამდენიმე წელი გავიდა ამის შემდეგ და ის, რაზეც იმ დროს მარტო ლენინი ოცნებობდა, დღეს დიდმელი გლეხისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა— დღეს არ უნდა დიდი ფანტაზია და დიდი რწმენა იმის დაჯერებას, რომ ელექტროფიკაცია უკვე მომხდარი ფაქტია“.

დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილ სტრიქონებში ვალერიან გაფრინდაშვილი გამოხატავს სოციალისტური აღმშენებლობით გამოწვეულ გულწრფელ აღტაცებას. ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია იქცა ხალხისათვის ნაცნობ და უაღრესად ორგანულ მცნებად. პოეტი ხედავს, რომ დამკვრელები, შრომის გმირები, ნოვატორები დაუღალავად იბრძვიან, თავდადებით შრომობენ, რომ გამოსჭედონ თავის ხელებით სოციალიზმი და მომავალი“. სოციალისტური აღმშენებლობა დღითიდღე ახალ სიმაღლეებს აღწევს, რაშიც, პოეტის აზრით, გამოხატულებასა და განხორციელებას პოულობს დიდი ლენინის ანდერძი, მისი უკვდავი მემკვიდრეობა:

> აღმშენებლობის დავალებას
> ახლა ზეიმობს ჩვენი დღეობა,
> და მისცემია მეტ აღტაცებას
> ლენინის ნორჩი მემკვიდრეობა.

საერთოდ, ყოფილი „ცისფერყანწელების“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მთელი არსებით შეიგრძნეს პროლეტარული რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიდიადე და გენიალურობა.

ქართულ პოეზიაში დიდი ლენინისადმი მიძღვნილ ლექსებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა პაოლო იაშვილის 1927 წელს დაწერილი ლექსი „თივის ურმული“. პოეტი იგონებს რევოლუციის დაწყების დღეებს, დროებითი მთავრობის უნიათობას და უთავბოლობას, ქარიშხლიან ამინდებსა და სახალხო შურისძიებისათვის მზადებას. დამპალი ქვეყანა დანგრევას ელოდა. ეს დღეც დადგა. რევოლუციის დიდი წინამორბედის დაწყებული საქმე რეალობად იქცა და მძიმე უღლის ქვეშ დატანჯულმა მშრომელმა ხალხმა სანუკვარი თავისუფლება მოიპოვა:

> ამ ჩახმახს სწვევდა ლენინის ხელი,
> ლესავდა მკერდებს ცხრაასი წლიდან,
> და მისი სიტყვა, ბასრი და ცხელი,
> მეამბოხეებს შურისთვის ზრდიდა.
> და როცა თმენა საზღვარს მივიდა,
> როცა შეხუთეს სული ჩარჩებმა,
> ის გამოვიდა ოქროს თივიდან
> და ჩაბარა ხალხს გამარჯვება.

პოეტებისათვის განუყოფელია ლენინი და რევოლუცია. საბჭოთა კავშირის ხალხების ძმურ ოჯახში საქართველომ რომ არნახულ აყვავებას მიაღწია, ეს სწორედ მათი დამსახურებაა. კოლხეთის დაბლობზე ჭაობები გაქრა, ადამიანი გადარჩა „მყრალ გუბეში“ ცხოვრებასა და მწვავე მალარიით სიკვდილს, პლანტაციებითა და ბაღებით დაიფარა უნაყოფო ველ-მინდვრები, ოქროს ფასი დაედო შრომას, გიგანტური შენო-

ნუგზარ წერეთელი
ოქტომბერს უმღერიდნენ

ბები და ხარაჩოები ტყესავით მოედო რესპუბლიკას, საყვირების გუგუნი გაისმა ქარხნებიდან, რკინის ხიდებმა შეცვალეს ბორნები, სოფლად კოლექტივიზაციის სიკეთე დასადგურდა, გლეხკაცი გამოვიდა მიწურებიდან, ფართო და ნათელ ოდებში გადასახლდა, თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდა. საყვარელი მამულის ასეთი წინსვლით აღტაცებული ტიციან ტაბიძე ხმამაღლა აცხადებს 1928 წელს დაწერილ პოემაში „რიონი-პორტი“:

> და თუ ამ დღეებს ჩვენ შევესწარით,
> მიზეზი არი — ლენინის საბჭო.

რევოლუციამ მძლავრი დასაბამი მისცა ხალხთა მეგობრობას, ინტერნაციონალიზმსა და პროლეტარულ სოლიდარობას. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა — ყველა ხალხის თვითმყოფადი სახე.

ძველი სამყარო ფართო ასპარეზი იყო შუღლისა და ომებისა. ძმა ძმას ებრძოდა, მეზობელი — მეზობელს. სიბნელით ძოცული ერები ერთმანეთს არ ინდობდნენ. დიდი ოქტომბერი რომ არა, საშველი არსაით ჩანდა. ამ დაძაბულ ვითარებაში კარგად ერკვევა ტ. ტაბიძე და მოძმე სომხეთისადმი მიძღვნილ ინტერნაციონალური სულისკვეთებით გაჟღენთილ ლექსების ციკლში წერს:

> და კაცს ეგონა, ეს სისხლის წარღვნა
> მაღლიდან იყო გადმოვლენილი,
> მაგრამ სხვა კაცი მაშინ გამოჩნდა,
> და ეს სხვა კაცი იყო ლენინი.

ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა. მტრულად განწყობილი ერები ერთ ძმურ ოჯახად შედუღაბდნენ. მათ მსოფლიოს მრავალ ქვეყანასაც შეაშველეს სამეგობრო ხელი, განამტკიცეს პროლეტარული სოლიდარობა. ინტერნაციონალიზმის საპატიო თემაზე მაღალმხატვრული და მაღალიდეური ლექსები შექმნეს ახალი ცხოვრების ავანგარდში მდგარმა პოეტებმა. ასეთებია: პაოლო იაშვილის „უკრაინელი ქალის სიმღერა“, „წინ, ესპანეთის გმირულო ხალხო“, „თბომავალი საქართველო“, „ოვანეს თუმანიანი“, „უეცარი ლექსი — პოლონეთს“, ტიციან ტაბიძის: „ალექსანდრე პუშკინს“, „ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები“, „დაღესტნის გაზაფხული“, „დაო, დოლორეს, ძმებო, ბასკებო“... „და ბელადობას, ტელმან, გავალებს!“, „სომხეთში“, „შეხვედრა კონსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“, ვალერიან გაფრინდაშვილის: „მაქსიმილიან რობესპიერ“, „ჟან პოლ მარატ“, „ჟელიაბოვი და პეროვსკაია“, „დიმიტროვს“, „პუშკინს“, „ტარას შევჩენკო“ და მრავალი სხვა.

სოციალიზმის ძლევამოსილმა წინსვლამ ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, ვალერიან გაფრინდაშვილს კიდევ უფრო განუმტკიცა პატრიოტიზმის დიდი გრძნობა, რომელიც მათ ბუნებისგან უხვად ჰქონდათ მომადლებული. საბჭოთა პატრიოტიზმი ახალი ძალით აელვარდა მათ ნაწარმოებებში და სიკვდილის უკანასკნელ დღეებამდე ნათელ ხაზად გაჰყვა მათ მადლიან შემოქმედებას. „საბჭოთა მიწის დაილოცოს ყველა მტკაველი“, წერდა ტიციან ტაბიძე და ეს არ იყო ლიტონი გამოთქმა. მას და მის მეგობრებს უსაზღვროდ უყვარდათ საქართველო, მთელი საბჭოთა კავშირი. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი და დღეს, როცა საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ახალგაზრდობა საყოველთაო ზეიმით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, როცა ჯამდება ნახევარი საუკუნის მანძილზე მიღწეული, როცა თვალს ვავლებთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებს, ჩვენ სიყვარულის, პატივისცემისა და მადლიერების უსაზღვრო გრძნობით ვიგონებთ ამ შესანიშნავ პოეტებს, შესანიშნავ ვაჟკაცებსა და ადამიანებს, რომელთაც ძალზე ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის წინსვლისა და კეთილდღეობისათვის.

რევოლუციის ჯვრისცაცები

ლუარსაბ ეგოროვი

ვასილ მასლოვსკი

ცხოვრებაში ბევრი გზა არსებობს. ეს გზები ერთმანეთს არა ჰგავს, რადგან ერთმანეთს არ ჰგვანან ადამიანები, რომლებიც ამ გზებს მიჰყვებიან: ერთნი იოლ გზას დაადგებიან, მეორენი კი მხოლოდ გაუთელავი, რთული გზით მიდიან.

ადამიანთა ამ მეორე ჯგუფის წარმომადგენელი გახლავთ ვასილ ნიკოლოზის ძე მასლოვსკი, თბილისის მკვიდრი, ლეგენდარული კრეისერის — „ავროორას“ — მემანქანე.

ვასილ მასლოვსკის ცხოვრების გზა, მართლაც, არ ყოფილა იოლი. განა შეიძლებოდა, ადვილი ყოფილიყო ბრძოლა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის, განა დიადი მიზნისაკენ მიმავალი გზა ოდესმე ია-ვარდით ყოფილა მოფენილი? ბევრი სიხარული და სინანული, გამარჯვება და წარუმატებლობა ახსოვს ვასილ მასლოვსკის ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე!..

უკანასკნელ დრომდე ვასილ მასლოვსკის შესახებ არათუ ფართო საზოგადოებრიობამ, ახლობლებმაც კი ცოტა რამ იცოდნენ. მაგრამ ძველმა მეგობრებმა, რომლებიც რევოლუციის ვეტერანის მხარდამხარ ათეული წლების მანძილზე იბრძოდნენ და შრომობდნენ, იგი მოძებნეს...

ვასილ მასლოვსკის სახლში ვესტუმრე. როცა ჩემი მისვლის მიზეზი გაიგო, ცოტა არ იყოს, უხერხულად იგრძნო თავი: „აბა, რა საჭიროა... განა ერთმა და ორმა ადამიანმა განვლო გაცილებით საინტერესო და მდიდარი ცხოვრების გზა?“

ვასილ მასლოვსკი საშუალოზე ოდნავ მაღალია, აქვს გულღია და წრფელი ღიმილი. თოვლივით თეთრი თმა საოცრად უხდება მის კეთილშობილ სახეს. და მხოლოდ ღრმა ნაოჭები, რომლებსაც ეს სახე დაუღარავს, მიგვანიშნებს, რომ ამ ადამიანის ცხოვრებაში ბევრი მძიმე წუთიც ყოფილა.

ვათვალიერებ ყამთასვლისაგან გაყვითლებულ ფოტოსურათებს, ჩანაწერებს, ბარათებსა და გაზეთებს. ამ საგულდაგულოდ შენახულ საბუთებში მთელი მისი ცხოვრებაა თავმოყრილი. დინჯი, ხალისიანი ხმით მიყვება ვასილი თავისი ცხოვრების ამბავს. ჩემს წარმოდგენაში ცოცხლდება გარდასული წლები, ადამიანები, მოვლენები. ამ ძალდაუტანებელ, გულითად საუბარს ალამაზებს განუმეორებელი რომანტიკა, რევოლუციის ქურაში გამოვლილ მოვლენათა მომხიბვლელობა...

...იყო მრისხანე 1914 წელი. გასაწვევ პუნქტებთან ახალწვეულები ირეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მეფე პირველი მსოფლიო ომის ჯოჯოხეთში აგზავნიდა ქვეყნის საუკეთესო შვილებს. ომმა ვასილ მასლოვსკიც ჩამოაშორა საყვარელ საქმეს. იგი აშენებდა სახლებს, გზებს, იმპერიალისტური ომი კი პატიოსანი მშენებლისაგან ნგრევას მოითხოვდა. მშენებელი მასლოვსკი ბალტიის ფლოტის მეზღვაური გახდა. მემანქანეთა სასწავლებელი დაამთავრა. ამიერიდან კრეისერი „ავრორა“ მის მშობლიურ სახლად იქცა. მალე მეგობრებიც გაიჩინა: ალექსანდრე კრასნოვი, ნიკოლოზ ბრაგინი და სხვები. თავისუფალ დროს ხშირად საუბრობდნენ ჩაგრული ადამიანების გაუხარელ ბედზე, იმპერიალისტური ომის ოროომტრიალში ჩათრეულ უბრალო ხალხზე.

ასე ჩაება ვასილ მასლოვსკი რევოლუციურ ბრძოლაში. მალე იგი ბოლშევიკური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი გახდა.

1917 წლის ივნისი... აქტიური რევოლუციური საქმიანობისათვის მასლოვსკის აპატიმრებენ.

ბოლშევიკურ ორგანიზაციაში მისი მუშაობის დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთი „ოხრანკას“ არ ჰქონდა. დიდხანს აწვალეს... აინტერესებდათ, თუ როგორ მიემხრო ბოლშევიკებს უპარტიო ადამიანი. ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და იძულებული გახდნენ, გაეთავისუფლებინათ.

დრო უმოწყალოდ შლის ადამიანის ცხოვრებაში მომხდარ ბევრ ამბავს, მაგრამ არის დღეები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. რამ დაავიწყოს მასლოვსკის შეხვედრა რევოლუციის დიდ ბელადთან ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან! ზღვა ხალხში მასლოვსკიც იდგა და აღფრთოვანებული ესალმებოდა დედამიწის ზურგზე „ყველაზე ადამიანურ ადამიანს“...

დაუვიწყარი 1917 წლის ოქტომბერი, მსოფლიოში ყველაზე დიდი და სამართლიანი რევოლუციის სახელოვანი მაცნე! 25 ოქტომბერი — დღე, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერა რევოლუციის ისტორიაში!...

აი, როგორ აღიქვა ეს მოვლენა ვასილ მასლოვსკიმ:

— ხშირად ამბობენ, გაზეთებიც წერენ — „ავრორას“ გასროლამ მსოფლიოს აუწყა ახალი სამყაროს შექმნაო. ეს, რასაკვირველია, სრული სიმართლეა. მაგრამ მაშინ, იმ დაუვიწყარ წუთებში, მეზღვაურები არ ვფიქრობდით, თუ ჩვენი ექვსდუიმიანი ქვემეხის გასროლით ისტორიის ახალი ერა დაიწყებოდა. მახსოვს, ისტორიული ზალპის შემდეგ, ჩემს მეგობარ ალექსანდრე კრასნოვთან ერთად ზამთრის სასახლისაკენ გავემართე. სასახლის მახლობლად განუწყვეტელი სროლის ხმა ისმოდა. განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა ქალთა ბატალიონი, — კოხტად ჰქონდათ მორგებული ჯარისკაცის ფორმა, ახალი შაშხანები ეჭირათ. მაშინ ბევრი აჯანყებული დაიღუპა...

შემდეგ, სამოქალაქო ომის მძიმე წლები!.. მასლოვსკიმ ბევრი იბრძოლა საბჭოთა ქვეყნის მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, ვიდრე ლეგენდარული მე-11 არმიის შემადგენლობაში მენშევიკური უღლის ქვეშ მგმინავი ქართველი ხალხის გასათავისუფლებლად საქართველოსაკენ გამოემართებოდა. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მხარდამხარ მან თბილისის თავზე თავისუფლების წითელი დროშა ააფრიალა.

ვ. მასლოვსკი საბჭოთა საქართველოში დარჩა. შაშხანა მშენებლის საჭრეთელმა შეცვალა. იგი აშენებდა საცხოვრებელ სახლებსა და საავადმყოფოებს, აგებდა ხიდებს, მიუვალ მთებში გაჰყავდა გზები...

დაუღალავ შრომაში განვლო წლებმა. არ ეგონა მასლოვსკის, ისევ თუ მოუწევდა შაშხანის ხელში აღება. ომი, რომელიც ფაშისტებმა მუხანათურად დაატეხეს თავს ჩვენს სამშობლოს, ისევე მოულოდნელი იყო ვასილისათვის, როგორც ყველა საბჭოთა მშრომელისათ-

ვის. უმნიშვნელოვანეს სამხედრო დანიშნულების მშენებლობებზე მუშაობდა, მაგრამ გული ფრონტისაკენ მიუწევდა. 52 წლის მასლოვსკი ფრონტზე მოხალისედ წავიდა.

ლეგენდარული კრეისერის „ავროორას“ სახელოვანი მემანქანე კიევთან და ვარშავასთან იბრძოდა საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისათვის. სიხარულის ცრემლები უსველებდა თვალებს, როცა შეჰყურებდა რაიხსტაგის თავზე ამაყად აფრიალებულ წითელ დროშას. იმ წუთებში იგი იგონებდა აჯანყებულ პეტროგრადს, ზამთრის სასახლის იერიშს, „ავროორას“ ძლევამოსილ ქუხილს...

ომის დამთავრების შემდეგ ვასილ მასლოვსკი კვლავ მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა. მის მკერდს ამშვენებდა სამამულო ომისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები, მედლები. კვლავ მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება ადამიანი, რომელმაც განვლო გზა ზამთრის სასახლიდან რაიხსტაგამდე...

მყუდრო ოთახში დაბალ მაგიდას ვუზივართ თავაზიანი მასპინძელი და მე: საუბრის ძაფი არ წყდება. მოგონებები, მოგონებები... უცებ ვასილ მასლოვსკის სახეს კმაყოფილების ღიმილი გადაეფინა. იგი სათუთად იღებს ხელში წერილს: „სულითა და გულით მინდა, — წერს თავის ძველ მეგობარს კრეისერ „ავროორას“ კომისარი ალექსანდრე ვიქტორის ძე ბელიშევი, — რომ ოქტომბრის რევოლუციის დიადი იუბილეს დღეებში ჩვენ, ყოფილი ავროორელები, ერთმანეთს შევხვდეთ მშობლიური კრეისერის გემბანზე“.

ისინი, მართლაც, შეხვდნენ ერთმანეთს დიდი იუბილეს დღეებში, გაიხსენეს განვლილი წლები, რომელთა მოგონება მათთვის არის და ყოველთვის იქნება სიამაყისა და სიხარულის უშრეტი წყარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარგიზა მგელაძე

ერთი აგაშელი გიჟი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გამოვიდა ირინე ნიკოლოზის ასულ ლევჩენკოს დოკუმენტური მოთხრობების კრებული „ვაშლის ხეები რომ ჰყვაოდნენ“.

ვფიქრობთ, მწერალ ქალს, საბჭოთა კავშირის გმირს, თადარიგის პოდპოლკოვნიკს, ტანკისტს, ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის წევრს, რამდენიმე შესანიშნავი წიგნის ავტორს ირინე ლევჩენკოს ჩვენს მკითხველებთან ვრცელი წარდგინება არ სჭირდება, მას კარგად იცნობენ. ამჯერად მხოლოდ მის წიგნზე—„ვაშლის ხეები რომ ჰყვაოდნენ“—გეტყვით ორიოდე სიტყვას.

ეს გახლავთ მოთხრობა იმ გმირულ გზაზე, რომელიც ბერლინში აღმართვამდე განვლო მოსკოვის კომკავშირის დროშამ.

„...მედროშენი მწკრივის ცენტრამდე მივიდნენ, — წერს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში, — მათ შორის გამოჩნდა შუატანის, გამხდარი ოფიცერი. მას კარგად იცნობდნენ ვეტერანებიცა და ახალბედა მეომრებიც. ეს იყო სატანკო ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი კოჟანოვი, რომელმაც სიტყვით მიმართა მებრძოლებს:

— ჯარისკაცებო, ამხანაგებო! თქვენ წილად გხვდათ დიდი პატივი. რამდენიმე დღეში ბრძოლაში ჩაებმებით და წინ წაგიძღვებათ დროშა, რომელიც ბრძოლებში სიმტკიცისა და მამაცობის გამოჩენისათვის მოსკოვმა, მოსკოველმა კომკავშირელებმა ჩვენ, ტანკისტებს გადმოგვცეს... კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დროშა“...

იმ დღეს მწვანე ტყენაკაფში პოლიტხელები მებრძოლებს უკითხავდნენ მოსკოველ კომკავშირელთა განაწესს:

„გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გაამართლეთ ლენინელის მაღალი სახელი“.

მოსკოველმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მიიღეს 22-ე სატანკო ბრიგადის პასუხი:

„მტერი ნაბიჯსაც ვერ გადმოდგამს იქ, სადაც დგანან კომკავშირელი ტანკისტები, სანამ ძგერს ახალგაზრდა პატრიოტთა მგზნებარე გული, სანამ მათი თვალი მტერს ხედავს. მოსკოვის კომკავშირის დროშა მრავალი გმირობის მოწმე იქნება“.

მართლაც, დროშამ სატანკო ბრიგადასთან ერთად განვლო გმირული გზა მოსკოვიდან ბერლინამდე. იგი ტანკების კოშკურებზე ფრიალებდა. ბოლოს, ეს ტყვიით დაცხრილული წმიდათა წმიდა დროშა აღმოჩნდა ქართველი ჭაბუკის ხელში.

ავტორი გვაუწყებს, რომ 28 აპრილს, ბერლინის ქუჩებში გაჩაღებული ბრძო-

ლების დროს, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი გიორგი გოგიშვილი ავიდა ვილჰელმშტრასეზე მდებარე უმაღლესი სასახლის სახურავზე და ააფრიალა მოსკოვის კომკავშირის დროშა. როგორც მალე გამოირკვა, ეს იყო ჰიტლერული გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა.

იქვე წავაწყდით ასეთ სტრიქონებს.

„— მაინც საწყენია, რომ ჩვენი დროშა არაა აღმართული რაიხსტაგზე, — ამოიოხრა ნოვენკიმ.

— სამაგიეროდ, იგი რამდენიმე დღით ადრე ფრიალებდა ბერლინის თავზე.

— მაგრამ არა რაიხსტაგზე“.

ამგვარად, ფრიად სარწმუნო ცნობით, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვამდე რამდენიმე დღით ადრე, ბერლინში მოსკოვის კომკავშირის წითელი დროშის აფრიალება წილად რგებია ქართველ ჯარისკაცს გიორგი გოგიშვილს.

გამარჯვების შემდეგ ეს დროშა მოსკოველ კომკავშირელებს დაუბრუნეს გვარდიელმა ტანკისტებმა — კომკავშირელებმა: გუმანიმ, ეფიმოვმა, კუზნეცოვმა, სადარიონოვმა და ფროლოვმა.

სად არის გიორგი გოგიშვილი ახლა? იქნებ უკანასკნელ გააფთრებულ ბრძოლებში დაეცა ბერლინის ქუჩებში. ან იქნებ დაზოგა ტყვიის წვიმამ და მოესწრო ბედნიერ დღეს — 9 მაისს? მაშინ რატომ თავად არ დააბრუნა დროშა მოსკოვში?

სადა ხარ, გიორგი გოგიშვილო, რომელი კუთხის ხარ, ვინ გაგზარდა ასეთი და სად მიგიყვანა ბედმა შენმა?

ყველა ეს კითხვა ალბათ უპასუხოდ დამრჩებოდა, რომ ჟურნალისტის მოუსვენარ პროფესიას სოხუმში არ ჩავეყვანე ამ წიგნის წაკითხვიდან ორიოდე კვირის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, სრულიად სხვა საქმეზე.

სასტუმროს შოვნა მთელი პრობლემა იყო.

მაინც ვცადე.

„რიწადან“ დავიწყე.

„ნომრები არ არის“ — იუწყებოდა ნაცრისფერი მუეაოს განცხადება.

— არც გვექნება ამ კვირაში — სიტყვიერად დაამატა ამ „სანუგეშო“ განცხადებას მორიგემ.

— ერთი წუთით, მივლინებით ვარ, რედაქციიდან გახლავართ, ეს ვარ, ის ვარ — აპა-პა-პა, არაფერი არ ჭრის.

— მიმიყვანეთ დირექტორთან.

დირექტორი არ იყო და მოადგილესთან შევედი.

— გიორგი გოგიშვილი! რითი გემსახუროთ?

წუთით სულ დამავიწყდა ნომერი რომ მინდოდა.

— როგორ თქვით?

— გიორგი გოგიშვილი, — გამიმეორა და ცოტა გაკვირვებით შემომხედა.

ახლა ნომერი აღარ მაინტერესებდა. გულით და სულით მინდოდა, გაემართლებინა ჩემს ჟურნალისტურ იღბალს და ეს მზემოკიდებული, კუნთმაგარი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მხნე კაცი ბერლინის გმირი აღმოჩენილიყო.

— ბატონო გიორგი, მაპატიეთ, მაგრამ... ომში თუ იყავით?

— კი, ვიყავი, მაგრამ... — გაიოცა გიორგიმ.

მართლაცდა, ფრონტელ ნაცნობად ჩემი ჩათვლა არამც და არამც არ შეიძლებოდა, თანაც აშკარა იყო, მე მხოლოდ სასტუმროს ნომერი მჭირდებოდა. მაშ, რაში დამჭირდა ფრონტის გახსენება?

— ბერლინამდე მიხვედით? — დავაზუსტე მე. რა ვიცი, რამდენი გოგიშვილი შეიძლებოდა ყოფილიყო ომში, მე კი ის გოგიშვილი მინდოდა, ვინც წიგნში იყო მოხსენიებული.

— დიახ, — მომიგო გიორგიმ.

ერთი სიტყვით, ავუხსენი რაშიც იყო საქმე.

ჩემს წინ იჯდა ბერლინის გმირი...

ნარგიზა მგელაძე
ერთი აბაშელი ბიჭი

* * *

პაპიროსს პაპიროსი ცვლის. გიორგი დინჯად ლაპარაკობს, და თვალწინ დოკუმენტური კინოს შენელებული კადრებივით იშლება არა მარტო გიორგის, არამედ მთელი მისი თაობის ბიოგრაფია, იმ თაობის ბედი, რომელიც ჩვენსავით ტურისტული მატარებლით როდი ჩასულა ბერლინში.

ამ თაობამ თქვა: „უკან დახევა შეუძლებელია, ჩვენს უკან მოსკოვია“!

ეს თაობა იბრძოდა რწმენით: „ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“... და გაიმარჯვა.

* * *

სოფლელ ბიჭს მატარებელი სულ რამდენჯერმე ენახა, მაგრამ მაინც მემანქანეობაზე ოცნებობდა და სამტრედიის რკინიგზის ტექნიკუმში შევიდა. ტექნიკუმი აბაშიდან არც ისე შორს იყო. ცოტა ხნით შინ ჩასულ ბიჭს დედა სტუმარივით თავს ევლებოდა.

იმ დღესაც გოგის ჩასვლა და ჭრელი ვარიის დაჭერა ერთი იყო. დედამ კარდალა შუაცეცხლზე ჩამოკიდა, შავტარიანი ალესილი დანითა და იღლიაში ამოჩრილი ვარიით გოგიას დაადგა თავზე.

— ა, შვილო, პატარა აღარ ხარ, დამიკალი ქათამი.

— ვალიკოს დააკვლევინე, დედი, მე წყალს მოგიტან ჭიდან, — წამოხტა გოგია.

— ვის ვუთხრა, ამხელა ბიჭი ქათამს ვერ კლავს-მეთქი, — თავი გაიქნია დედამ და სწორედ ამ დროს ჭიშკართან მომდგარი კაცისაკენ გაემართა: მეზობელი იქნება, დამიკლავსო.

ის კაცი ფოსტალიონი აღმოჩნდა, ფერნაცვალი ჩანდა.

ჭასთან გოგია რომ დაინახა, ხმადაბლა დაუძახა...

საშინელი ამბის თქმა არავის არ სიამოვნებს.

გადარჩენილი ვარია კრიახით გაიქცა სოხანეზე აქოთქოთებული ქათმებისაკენ.

...ასე შემოვიდა ომი გოგიშვილების ოჯახში და გიორგი ომში წავიდა.

* * *

რა მოხდა ამის შემდეგ იმ დღემდე, როცა კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსი სოკოლოვი, კორპუსის მეთაური ბაბაჯანიანი, მეთაურები—ივანოვი და სმირნოვი დაწერდნენ: „ბერლინისათვის ბრძოლაში სიმამაცისა და გამბედაობის გამოჩენისათვის ამხანაგი გოგიშვილი ღირსია საბჭოთა კავშირის გმირობისა“ — ამის ერთ ნარკვევში ჩატევა შეუძლებელია და არც ჩვენ ვეცდებით.

დავჯერდეთ მხოლოდ იმის თქმას, რომ ეს ხუთი წელი იყო მთელი ცხოვრება და ცხრამეტი წლის ჭაბუკის ამ ცხოვრებაში იყო დიდი შიში, ამ შიშის დაძლევის ჩუმი სიხარული, მამაკაცური საბრძოლო მეგობრობის ფასის შეცნობა და მეგობრის დაკარგვით გამოწვეული, მოუნელებელი წუხილი, გაბოროტება და გაოცება („სად მოდიან, რას გვემართლებიან, ნუთუ არ იციან, რომ ჩვენს მიწას არ მივცემთ, ჩვენს სახლში არ ვაპარპაშებთ. მაინც რამდენი ხალხი იხოცება! მე თვითონ გადავრჩები? ეჰ, რა გადამარჩენს ამ ქარცეცხლში...“)

იყო კმაყოფილების წუთებიც, შეგრძნება იმისა, რომ სამშობლო ხედავს შენს თავგანწირვას და აფასებს ისე, როგორც შეიძლებოდა ამის გამოხატვა იმ დღეებში.

გიორგის მოგონებები თანმიმდევრული, კრიალოსანივით ასხმული როდია. ხან რომელი ეპიზოდი ამოტივტივდება, ხან რომელი.

ფრაგმენტები, მხოლოდ ფრაგმენტები.

აი, ისინიც:

ტყის განაპირას სადილობენ. ერთი ტანკის ეკიპაჟი — სამი განუყრელი, მხიარული მეგობარი.

— კარგი ვქენით, სურათი რომ გადავიღეთ, რა იცი, იქნებ ისეთ რელიქვიად

ქცეს, მუზეუმისთვის გვთხოვონ, მოგვეცითო, — იხუმრა სერგიმ.

— წინასწარ რომ გაგზავნო, არ მიიღებენ? — სიცილით უპასუხა გიორგიმ და გადაიხარა, პური მიაწოდა ამხანაგს. მან პურის გამოსართმევად ხელი გამოუწოდა და... მოცელილი დაეცა.

ვერავინ გაიგო, საიდან მოვიდა ეს ბრმა ტყვია. გიორგის რომ წამით ადრე ან გვიან მიეწოდებინა პურის ნაჭერი, თვითონ გახდებოდა ამ ტყვიის მსხვერპლი. მაგრამ მეგობრის ცხედართან ამაზე არ ფიქრობენ.

ეს იყო სიკვდილთან პირველი შეხვედრა, ამაზრზენი, დაუჯერებელი, მოულოდნელი...

...მტერი ტამანს ბომბავს, იწვის ცა და მიწა. გიორგის ციება შეჰყრია. მაგრამ ვის სცალია ციებისათვის! ვერც გიორგი ამხელს. დიდი ძალის აფეთქებამ მიწა, რომელზედაც ჭაბუკი იდგა, ზღვაში ჩაანგრია... არ ახსოვს, როდის და როგორ გამოვიდა ზღვიდან, არ დავიწყებია მხოლოდ ის, რომ ამ „ბანაობამ“ თუ შიშმა სამუდამოდ განკურნა ციებისაგან.

...ერთი მთის წვერზე ჩვენი ნაწილია გამაგრებული, მეორეზე — მტრისა.

კოკისპირულად წვიმს. არაფრის დანახვა არ შეიძლება. მაინც ისვრიან. ბოლოს, გადაიღო.

— რუს, რუს, — გარკვევით ისმის მოპირდაპირე მთის წვერიდან, — მოდით, შევწყვიტოთ სროლა, გაშრობა არ გინდათ?

...პოლონეთი.

ებრაელ ტყვეთა 14-ათასიანი ბანაკი.

როცა ჩვენებმა კარები შელეწეს, მხოლოდ 10 ბავშვი იდგა ფეხზე. სხვებს, აყროლებულ თივაზე დაყრილ ცოცხალ ჩონჩხებს, მხოლოდ ტუჩების ცმაცუნი შეეძლოთ:

„პური, მოგვეცით, ცოტა პური!“

„მოგვეცით ცოტა პური!“

...ბერლინამდე დარჩა 80 კილომეტრი.

ყვითელ ქაღალდზე დაბეჭდილი ცნობა:

„გვარდიის უმცროს ლეიტენანტ გიორგი თეოფანეს ძე გოგიშვილს ქალაქების — ლოძისა და გნეზიხის — გათავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილეს, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, ეცხადება მადლობა“.

...გააფთრებული ბრძოლები.

ჩვენებმა უაღრესად რთულ პირობებში უნდა გადალახონ მდინარე. მეორე ნაპირზე მტერია გამაგრებული.

— ვინ გადავა პირველად?

— ნება მომეცით, — წამოდგა კომორგი გიორგი გოგიშვილი.

— იმოქმედეთ!

თუ როგორ შესრულდა ეს ოპერაცია, ამაზე მეტყველებს გიორგის სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი.

...ბერლინამდე დარჩა 40 კილომეტრი.

...მეგობრები — გაპედულზე გაბედული ბიჭები. სანდომირის პლაცდარმი.

ჰიტლერელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ჩვენები უკუაგდონ მდინარე ვისლაზე.

დაზვერვაზე გაგზავნილი ერთ-ერთი ჩვენი ტანკი უკან არ დაბრუნდა. მტრის ჭურვმა დააზიანა. ეკიპაჟი ტყვიის წვიმაში ცდილობდა მის შეკეთებას. ყველა დაიხოცა.

ღამით ბატალიონის სამმა კომკავშირელმა (მათ შორის იყო გიორგი) „ნეიტრალურ მიწაზე“ მდგომი ტანკის შეკეთების ნებართვა ითხოვა. შეკეთებას ამთავრებდნენ, როცა მათკენ მიმავალი ფაშისტები დაინახეს. „მკვდარი“ ტანკი გაცოცხლდა და მტრებს კუდით ქვა ასროლინა.

...ბერლინამდე დარჩა 5 კილომეტრი.

საარტილერიო მომზადების ჯოჯოხეთურ ხმაურსა და ცეცხლში ტანკისტები საზეიმო მიტინგზე შეიკრიბნენ.

დაიწყო ბერლინისათვის ბრძოლა.

და სულ ბოლო მოგონება, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდილი:

რიბენტროპის უზარმაზარ სამუშაო კაბინეტში დგებული იყო მოლისფერი

ნარგიზა მგელაძე
ერთი აბაშელი ბიჭი

ვეება ხალიჩა. ხალიჩის ფაფუკ ბეწვში ჩექმა ეფლობოდა.

გიორგის საშინლად მოუნდა აბაშაში თავის კოინდრიან ეზოში ფეხშიშველა გავლა.

მერე გაბრაზებით წამოიძახა:

— არ ერჩია რიბენტორპს, თავის ტყავში დატეულიყო და ევლო ამ ძვირფას ხალიჩაზე?

რას წარმოიდგენდა რიბენტროპი, რომ საგანგებოდ მისი კაბინეტისათვის დამზადებულ ხალიჩაზე ასე უცერემონიოდ გაივლიდა ერთი აბაშელი ბიჭი, ისევე როგორც ვერავინ წარმოიდგენდა გერმანიის რეიხში, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გოთური სტილით ნაგები მაღალი შენობის ფლაგშტოკზე იფრიალებდა ქართველი ბიჭის ხელით ატანილი კომკავშირული დროშა.

ახლა მინდა დავუბრუნდე ადრე ნათქვამს — ცნობას გიორგი გოგიშვილის საბჭოთა კავშირის გმირობაზე წარდგენის შესახებ.

ამ დოკუმენტის ასლი სამხედრო კომისარიატში, გიორგის პირად საქმეში, ინახება.

„გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში, — წერია მასში, — ამხანაგმა გ. გოგიშვილმა გამოიჩინა განსაკუთრებული სიმამაცე და გმირობა. ყოველთვის მოწინავე რაზმში მყოფი, თავისი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა ბატალიონის მებრძოლებს. სოფელ ეგრესდორფისათვის ბრძოლაში, რომელიც ბერლინისაკენ მიმავალ გზას იცავდა, გოგიშვილმა შენიშნა 2 სატყვიამფრქვევო წერტი, ერთი ხელყუმბარით ააფეთქა, მეორე კი ავტომატით ჩააჩუმა და, სანამ გერმანელები გონს მოვიდოდნენ, თავის მებრძოლებთან ერთად, პირველი შევიდა სოფელში, გაბედული მოქმედებით დაიკავა სოფელი. გაანადგურა 30 ფაშისტი.

ეგრესდორფისათვის გააფთრებულ ბრძოლაში იგი მუდამ წინ იყო და როცა ჩვენი ორი ასეულის მეთაურთა შემადგენლობა მწყობრიდან გამოვიდა, მან იკისრა ხელმძღვანელობა, შეკრიბა და გაიყოლია ხალხი, ხელთ იგდო 10 ტყვიამფრქვევი, 2 თვითმავალი ქვემეხი, დაატყვევა 22 და მოსპო 27 ჯარისკაცი.

ბერლინში ბრძოლების დროსაც გოგიშვილი იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ.

მიუხედავად მტრის ინტენსიური ცეცხლისა, მიაღწია სახლამდე, სადაც ფაუსტნაღმებითა და ავტომატებით შეიარაღებული გერმანელები იყვნენ გამაგრებული. მოხსნა გუშაგი, აიჭრა ზემოსართულზე, ჩააჩუმა გერმანელი მეავტომატე და იმავე ავტომატიდან სროლა აუტეხა მოპირდაპირე სახლში ჩასანგრებულ ფაშისტებს.

ამ ფრიად გაბედული მოქმედების შედეგად კვარტალი გაწმენდილ იქნა მტრისაგან. 35 ჯარისკაცი ტყვედ ჩაიგდეს, ხოლო 37 გაანადგურეს. საბჭოთა ტანკისტებისათვის გზა ხსნილი იყო ბერლინის ცენტრისაკენ.

ამ ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისა და გამბედაობისათვის გოგიშვილი ღირსია საბჭოთა კავშირის გმირის წოდებისა“...

* * *

პაპიროსი რა ხანია ჩაუქრა.

გიორგიმ მშვიდად თქვა:

— ოცდაერთი წელი გავატარე სამხედრო სამსახურში. ომის დამთავრების შემდეგ ოფიცერთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სკოლაში მიმავლინეს. ერთერთი არდადეგების დროს, როგორც იქნა, ნატვრა შევისრულე და ჩემი სოფლის მოლზე ფეხშიშველა გავიარე...

თინა მელოდებოდა და ქორწილი აღარ გადაგვიდვია. ომმა მასწავლა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სწრაფად მიღება.

არც მინანია...

ამ სამი დღის წინ ჩემმა ბიჭმა, გიამ ვიღაც კაცის სურათი ამიფრიალა თვალწინ, აბა თუ იცი, ვინ არისო. შევხედე, ოდნავ ნაცნობად კი მომეჩვენა, მაგრამ მაინც ვერ გავიხსენე... — მაშინ იქნებ,

ამან მაინც მოგაგონოს რამეო, — და ქალიშვილმა მანანამ გაზეთი მომაჩეჩა ხელში! იქ დაბეჭდილ მცირე ზომის სურათზე მიმითითა. ვერც ის ვიცანი.

ბავშვებს გაეცინათ. მამაჩემმა თავისი მეგობარი და საკუთარი თავი ვერ იცნოო.

თურმე ოცი წლის შემდეგ ვალოდია ეფიმოვს, ერთ-ერთ მათგანს, ვინც ის ჩვენი კომკავშირული დროშა მოსკოვში დააბრუნა, გაეხსენებია ჩვენი ბატალიონის ამბავი. მიგზავნიდა ამონაჭერს გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცი“-დან, რომელსაც დაებეჭდა მისი მოგონება — „მოსკოვის კომკავშირის დროშის ისტორია“ და ჩემი სურათი. ცალკე მიგზავნიდა თავის სურათსა და წერილს.

ეკრემლი მოწერია და, ბავშვებს რომ არ შეეშინიათ, მეორე ოთახში გავედი.

კითხვაზე, რომელიც საუბრის დაწყებიდანვე ენაზე მადგა: რატომ თქვენვე არ დააბრუნეთ დროშა მოსკოვში-მეთქი, გიორგიმ შეუკითხავად გამცა პასუხი.

— გამარჯვების პარადზე მონაწილეობის მისაღებად საუკეთესო გარეგნობის ვაჟკაცებს არჩევდნენ. მე კი იმ დროს წარმოუდგენლად გამხდარი და გალეული ვიყავი, პარადზე ვალოდია გამოვიდა და მერე დაწვრილებით გვიამბო, რა დიდი ამბით შეხვდნენ ქარცეცხლში გამოტარებულ ჩვენს დროშას.

* * *

ჩემი და გიორგის საუბარი გიორგის სახლში გაგრძელდა.

ორსართულიანი, ღიაიენიანი სახლი თითქმის დამთავრებულია. ამდენ ხანსაც ვავამთავრებდი, მაგრამ ყველაფერს ჩემი ხელით ვაკეთებო.

სამზარეულოდან ჯერ დანაყილი ნიგვზის და ნივრის სუნი გამოვიდა, მერე დიასახლისი გამოჩნდა ქათმით ხელში და გიას დაუძახა:

— გაიქეცი მეზობელთან, ქათამი დაკვლევინე.

— ამხელა კაცი ვარ და ქათამი არ დამიკლავს, შეჩვევა უნდა ყველაფერს. ეს ბიჭიც მე დამემსგავსა, — ეღიმება გიორგის.

ეზოში ვაშლისა და ალუბლის ახლადჩაყრილ ნერგებს ტანი აუყრიათ.

— საუკეთესო ჯიშისა კი არ არის, მაგრამ ვაშლის ყვავილობა მიყვარს. თუ დაკვირვებიხართ, სულ სხვაგვარი ლამაზი ყვავილი იცის ვაშლმა... მოწყობით კი ახლა ვეწყობით, თუმცა ჩემი მანანა უკვე მეორე კურსის სტუდენტია, ბიჭიც აღარაა პატარა, მეხუთე კლასში სწავლობს... ცოტა დამიგვიანდა ცხოვრების დაწყება.

* * *

დიახ, გიორგი გოგიშვილი წარდგენილი იყო საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, წარდგინებამ ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილზე და მის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დამშვენებულ მკერდზე არ ბრწყინავს გმირის ოქროს ვარსკვლავი. ეს სულაც არ გვიშლის ხელს, გიორგი უმამაცეს გმირად მოვიხსენიოთ და ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენს შორის ცხოვრობს ერთი თავმდაბალი, უაღრესად მშვიდობიანი პროფესიის კაცი, რომელიც ისევ მტრის რისხვად იქცევა, თუკი მისი მეგობრების სისხლით მორწყულ წმინდა მიწას ვინმე შეგვეცილება.

ამ დღეებში, მე-11 სატანკო გვარდიის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით, სოხუმში გიორგის სახელზე მოვიდა თხოვნა: მოგონებები და სურათი გაეგზავნა მოსკოვში მუზეუმისათვის.

დაე, ათასობით დამთვალიერებელი შეჩერდეს ამ ვაჟკაცურ, კეთილადმოღიმარე სახესთან. და თუ ვინმეს დაებადება კითხვა: მაინც რამ აქცია ასე დაუმარცხებელ გმირად ერთი აბაშელი ბიჭი? — პასუხი იქნება: სამშობლოს სიყვარულმა!

სიმონ წვერავა

იმ ბოგოქარ დღეებში...*

ოცდაათიან წლებში კოლექტივიზაციის დროს დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა, კოლექტივებში გლეხების ძალდატანებით შერეკვამ, კომუნებზე გადასვლამ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა კულაკებისა და მენშევიკების აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

სწორედ მაშინ, იმ დაძაბულ დღეებში, 1930 წლის 22 მარტს, მდგომარეობის გასაცნობად კახეთის ოლქში გაემგზავრა საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ჯგუფი, რომელსაც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე მეთაურობდა. დელეგაციაში შედიოდნენ: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მიხეილ კახიანი, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი გიორგი მამალაძე, მისი მოადგილე შამშე ლეჟავა, რესპუბლიკის პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკი ნოე ზამბახიძე და სხვები; მწერლები: კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ამ სტრიქონების ავტორი. ფილიპე მახარაძის პირადი მდივანი იყო დავით გიორგაძე, რომელიც ამჟამად საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარეა.

ფილიპე მახარაძემ კახეთში ჩასვლისთანავე პირად თანაშემწედ მე ამიყვანა, ხოლო დავით გიორგაძეს ამ მოგზაურობასთან დაკავშირებული სამეურნეო-ტექნიკური ხასიათის საქმეების ხელმძღვანელობა დაავალა.

თბილისიდან 22 მარტს, ღამით გავედით. ყველანი ფილიპე მახარაძის ვაგონში მოვთავსდით. ფილიპეს უგუნებობა ეტყობოდა. მუდამ მომღიმარსა და ცოცხალი სახის მიხეილ კახიანსაც დაძაბულობა ემჩნეოდა, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, ხანდახან ისე წაისუმრებდა, სიცილს ვეღარ ვიკავებდით. შეიძლება მისეული ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ცოტათი მაინც გაენელებინა დაძაბული განწყობილება, რასაც გარკვეული მიზეზი ჰქონდა. წინა დღით კახეთიდან დაბრუნდნენ ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შალვა ელიავა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ლევან ღოღობერიძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ბაგრატ მაჩაიძე და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. მათ მეტად არასასიამოვნო ამბები ჩამოიტანეს.

იმ ღამეს ხეირიანად არც ერთს არ გვეძინა.

დილით წითელწყაროში ვიყავით. მთავრობის ხელმძღვანელებს სადგურში კახეთის ოლქის მეთაურები: ვალერიან ბაქრაძე, დავით აფციაური და სხვები დახვდნენ. მაშინვე წითელწყაროს თემკომისკენ გავემართეთ.

23 მარტი

ჯაფარიძეში ჯერ კიდევ 1926 წელს დაარსდა სამიწათმოქმედო კოოპერატიული ამხანაგობა. შემდეგ იგი არტელად გადაკეთდა. და აი, ამ ძველი კოლმეურნეობის დასაშლელად ამხედრდნენ კულაკები. მათ ზოგიერთი საშუალო გლეხიც აიყოლიეს. ჩვენ სწორედ ამ დროს ჩავედით წითელწყაროში;

ჩვეულებრივ მიტინგს კი არა, აღელვებულ ზღვას ჰგავდა თემკომის წინ გაშლილ მინდორში თავშეყრილი ხალხი. იგი ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ერთმანეთს გადამთიელებივით უყურებდნენ, თვალებს უბრიალებდნენ და მუშტებს უღერდნენ. იყო ერთი ჯგუფიც, რომელიც არც ერთს ეკუთვნოდა და არც მეორეს, — განცალკევებით იდგნენ და არ იცოდნენ, რომელს მიმხრობოდნენ. იმ ორ ბანაკს შორის დიდი უნდობლობა იგრძნობოდა, მაგრამ გასაკვირი სხვა გახლდათ: დაინახეს თუ არა მთავრობის ხელმძღვანელები, ერთმანეთს მოჩვენებითი, ვითომდა მეზობლური სიამტკბილობით გახედეს. ეს თვალთმაქცობა დიდხანს არ გაგრძელებულა: როგორც კი დაიწყო მსჯელობა, თუ ვინ აღმართა კე-

* ნაწყვეტი წიგნიდან „ქარტეხილი“.

ტი კოლექტივის წინააღმდეგ და რატომ, კულაკებმა და მათ ფეხის ხმას აყოლილებმა თავი ვერ შეიკავეს და ნიღაბი მოიგლიჯეს; ყველაფერში კომუნისტებს და კომკავშირელებს ამტყუნებდნენ, საკუთარი თავი კი მამა აბრამის ბატკნებად მოჰქონდათ.

ლანძღვა-გინებასა და გაწევ-გამოწევას ბოლო არ უჩანდა, — მეზობელი მეზობელს არ ინდობდა, ნათესავი — ნათესავს, ძმა—ძმას და შვილი — მამას...

ფილიპე მახარაძემ ნერვიულად კიდევ ერთხელ ჩამოისვა ხელი წვერზე, ბრაზმორეულმა გადახედა აბობოქრებულ ხალხს, ხელები ფართოდ გაშალა და მთელი ხმით განაცხადა:

— რას ჰგავს ეს? რა ამბავია? რა მოხდა? სად ხართ, საბჭოთა ქვეყანაში, თუ?

— კარგად ვიცით, სადა ვართ, მაგრამ... — გაუწყვეტინა ვიღაცამ.

— თუ იცით, მერე ასეთი ამბის დატრიალება შეიძლება?

— არ შეიძლება, მაგრამ...

— მაშ, რატომ ილაშქრებთ კოლექტივის წინააღმდეგ?

— კულაკები არიან, ბატონო ფილიპე, კულაკები, — კვნესასავით აღმოხდა ერთ ხანშიშესულ ქალს და ზემოთ აპყრობილი ხელები დაუშვა, — ჩვენი მტრები არიან!

— ვინაა, შე ოხერო, შენი მტერი, მეე?

— შენ ხარ, შენ, ღვინიაშვილო! შენ გადარიე ეს ხალხი, შენ აამხედრე ჩვენს წინააღმდეგ...

— სიმართლე თქვი, თორემა!..

— თორემ რაო!.. ხო იცი...

— მემუქრები კიდეც, შე მათხოვარო? ღატაკები ვართო, მოჯამაგირეებიო, რომ იძახით, ღატაკი და გლახა რომ ხართ, ეს ყველამ იცის, მაგრამ ერთი ეს მიბრძანე, გამდიდრება თუ გინდათ, რატომ ჩვენსავით არ მუშაობთ? ჩვენი ნაოფლარი მუქთად გინდათ, არა? ვერ მოგართვით!

— ხალხნო, ვინ არის ეს ნაძირალა? — წამოიძახა ერთმა მოხუცმა გლეხმა.

— ვინ არის და მუქთახორა. აქ კი მთავრობას ატყუებს, ვითომ დიდი მშრომელი იყოს და ქონებას ვართშევდეთ. მაგან დაგვაქცია, ძმა ძმას გადაამტერა!

— მეე?

— მიხოო, ხმა ჩაიწყვიტე, თორემა! — გაისმა ვაბმული ხმები ყოველი მხრიდან. ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა ასე, მოთმინებიდან გამოსულ ფილიპეს რომ არ მიემართა მათთვის:

— ხალხნო, დაწყნარდით! მთავრობის თვალწინ ასე რომ იქცევით, სხვაგან რაღას იზამთ?

— რა დაგვაწყნარებს, ბატონო ფილიპე? ჩემს სიცოცხლეში მუშაობის მეტი არაფერი მინახავს და როგორ მოვითმინო, რომ პატიოსან გლეხებს თავი მოგვჭრა!

— თქვენ რა შუაში ხართ, მოქალაქევ? კახელ გლეხებს კარგად ვიცნობთ, პატიოსანი მშრომელები არიან! მაგრამ ვინაა ეგ კაცი?

— ვინაა და მენშევიკების ნაძირალა! კაი კაცი რომ იყო, მიხო ღვინიაშვილო, გვარდიელის მაზარას ჩაიცვამდი? რას მიბღვერი, ტყუილს ვამბობ? შენ არ იყავი, ახლად დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობას რომ ებრძოდი? შენ არ იყავი 1926 წელს სოლომონ ბოსტაღანაშვილმა და შაქრო ბენაშვილმა სამიწათმოქმედო ამხანაგობა რომ დააარსეს, იმას რომ ებრძოდი? შენ არ იყავი, ეს ამხანაგობა არტელად რომ გადაკეთდა და სოფელმა მის თავმჯდომარედ ფორე კიკილაშვილი აირჩია, იმასაც რომ ებრძოდი? აი, ვინა ხარ, შენ! აი ვინ არის, ბატონო ფილიპე, ეს კაცი!

— მართალს ამბობს, ბატონო ფილიპე, ჩვენი გიორგა. მაგისთანებმა აგვრიეს და დაგვრიეს. თქვენი თქმისა არ იყოს, მთავრობის დასანახად რომ ასე იქცევიან, თქვენ რომ წაბრძანდებით, მერე რა იქნება?

— არ გვინდა კოლექტივი, მოგვაშორეთ თავიდან! — დაიძახა ვიღაცამ.

— მიხოს ნაშიერო, იქნებ შენ საბჭოთა ხელისუფლებაც არ გინდა? — ბატონო კულაკო, მალე დადგება შენი აღსასრულის დღე! — მიახალა მიხო ღვინიაშვილს ერთმა ჩოფურამ.

— მემუქრები, არა?! — და ფორე კიკილაშვილი, კოლმეურნეობის ეს უმწიკვლო თავკაცი რომ არ ჩამდგარიყო შუაში, ალბათ სისხლი დაიღვრებოდა, რადგან ორთავემ იშიშვლა ხანჯალი. ფილიპესთან ერთად ღელავდა მიხეილ კახიანიც:

— რას ჰგავს ეს, ამხანაგო ფილიპე? ასეთი რამ სხვაგან გინახავს? როდემდე უნდა ვიცადოთ, თქვით რაიმე, ჩაერიეთ!

— ნახვით, მართლაც, ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ასეთი კი არა! — მერე ფილიპემ ხელი გაშალა, ხალხს მიმართა, — ხალხნო, მითხარით ერთი, სად ვართ, რა ხდება ეს?..

— სად და, კახეთში! — აღარ დაიცალა მთავრობის თავმჯდომარეს სიტყვის თქმა ყოფილმა გვარდიელმა.

— კახეთში რომ ვართ, უთქვენოდაც კარგად ვიცი, მაგრამ, შენ ვინა ხარ?

— მეე?

— ღიას, შენ!

— მე ისა ვარ, ვისაც უყურებ, არ მოგწონვარ? ერთი მითხარი, შენ ვინა ხარ?

ამ უტიფარ საქციელზე მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობა აღელდა, შეიქნა გაწევ-გამოწევა, მაგრამ ისევ ფილიპემ დააშშმინა ხალხი:

— მე ვინცა ვარ, ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ შენ ვინა ხარ, შენ, ასე თავგასულად რომ იქცევი?

— მაგას რაღა კითხვა უნდა, ბატონო ფილიპე, ჩვენი მტერია!..

— მტერია და მტრულად უნდა დავუხვდეთ! — ძალიან აღშფოთებული იყო ფილიპე, მაგრამ, როგორც საერთოდ სჩვეოდა, დინჯად დაიწყო:

— გასაოცარია პირდაპირ! კოლექტივები დაარ-

სიმონ ფვერავა

იმ ბოგოქარ დღეებში...

სეთ, ახლა კი დაგიშლიათ. შეცდომები იყო! მერე რა, რომ იყო? ამას არავინ არ უარყოფს. საჭიროა, დაუყოვნებლივ გამოსწორდეს თქვენივე დახმარებით. უნდა იცოდეთ, რომ უკვე დაარსებული და აშენებული კოლმეურნეობის წინააღმდეგ ბრძოლას მთავრობა არავის აპატიებს. ეს უნდა დაიმახსოვროს ყველამ და, განსაკუთრებით, ღვინიაშვილის ამყოლმა ადამიანებმა, აქაც რომ თავისას არ იშლიან! მითხარით ერთი, რაღაც ხუთი კვირაა კოლექტივები დაარსდა და ჯერ რომ არაფერი მოგცათ, ამიტომ ჩავარდით, თქვე დალოცვილებო, საგონებელში?

— მაგიტომ არა! — წამოიძახეს ბოლო რიგებიდან.

— მაშ, რისთვის?

— იმიტომ რომ კოლექტივი არ გვინდა, არა!

— მაგას არ უნდა, მაგრამ ჩვენ ხომ გვინდა! ნუ აქცევთ ყურადღებას, ბატონო ფილიპე, ესეც მიხოს კაცია!

— დიახ, დაიწყო ფილიპემ, — შეცდომები და გაუგებრობანი შეიძლება მომხდარიყო და კიდევაც მომხდარა, მაგრამ კოლმეურნეობა ამიტომ უნდა დავანგრიოთ? პირიქით, შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, აქ კი ზოგი ამ შეცდომებს საპროვოკაციოდ იყენებს. ამის უფლებას ჩვენ არავის მივცემთ. პირდაპირ უნდა გითხრათ: აქ, თქვენთან, ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ბევრი აშკარად ბამოდის კოლექტივის წინააღმდეგ. შორს წასვლა არ არის საჭირო, ამას დღევანდელი კრება ადასტურებს, მაგრამ კოლექტივის წინააღმდეგ გამოსვლას შეიწყნარებს მთავრობა? არამც და არამც, ძირშივე აღვკეთავთ ასეთ მოქმედებას! ძველი კოლექტივები უნდა დარჩეს და განაგრძოს მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ მუშაობა, გესმის, შენ, ღვინიაშვილო? გესმით თქვენ, მის ფეხის ხმას აყოლილო ადამიანებო? დროა, გონზე მოხვიდეთ. ისე კი, პირდაპირ საოცარი მდგომარეობაა, პირდაპირ დეზორგანიზაციაა! სად იყო საბჭო, რას აკეთებდა? აქამდე რატომ მიიყვანეთ ეგ საქმე, გეძინათ? ვერ ხვდებოდით, რომ თქვენს წინააღმდეგ მტრები ირაზმებოდნენ? მე ვაცხადებ და ყველას ვთხოვ, იცოდეს: მთავრობა არ დატოვებს კოლექტივებს ასეთ მდგომარეობაში. აქ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედება აღკვეთილი იქნება ძირფესვიანად. მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს კოლექტივების გასამაგრებლად, ყოველმხრივ დავეხმარებით მათ, დავეხმარებით კულაკების მიერ გაბრიყვებულ გლეხებს, გამოასწორონ შეცდომები, ჩამოცილდნენ მათ, ჩადგნენ პატიოსან მშრომელთა რიგებში, კულაკების წინაშე კი არავითარ დათმობაზე არ წავალთ. დეე, კარგად იცოდეთ ეს! ისიც იცოდეს ყველამ, რომ შემოტანილი განცხადებები სასწრაფოდ იქნება განხილული.

— მტრების გულს არ გავახარებთ, ბატონო ფილიპე, არა! — გაისმა ყოველი მხრიდან.

მიტინგი დამთავრდა. ხალხი არ იშლებოდა, უმრავლესობას სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა, ხოლო უმცირესობა დაბნეული და შეშფოთებული იყო. აქა-იქ ღვარძლიანი სიტყვებიც გაისმოდა.

იმ საღამოს, როდესაც რკინიგზის ერთ-ერთ სადგურში დავბრუნდით და მთელი დღის დაღლილ-დაქანცულები მთავრობის თავმჯდომარის სპეციალურ ვაგონში ვისვენებდით, ფილიპე მახარაძემ საგანგებო სხდომა გამართა, გლეხობისაგან შემოსული განცხადებებისა და საჩივრების შესასწავლად გამოყო მთავრობის განსაკუთრებული კომისია შამშე ლეჟავას, გიორგი მამალაძისა და ნოე ზამბახიძის შემადგენლობით.

24 მარტი

მანქანებით შირაქისაკენ მივდივართ. ვრცელ მინდორში, ქვაბივით ჩავარდნილ ადგილას, ირგვლივ შემაღლებული ფერდობები რომ ერტყა, ზემო და ქვემოქედის მოსახლეობის მიტინგი გაიმართა. ადამიანებს პირქუში, შეწუხებული გამოხედვა ჰქონდათ. რაღაც კარგი პირი არ უჩანდა საქმეს.

პირველი სიტყვა მიხეილ კახიანმა წარმოთქვა. უმალვე გამომჟღავნდა ზოგიერთი გაბოროტებული ადამიანის ზრახვა. ცეკას მდივანს სიტყვის თქმას არ აცლიდნენ. წამოძახილებს ბოლო არ უჩანდა, სრული არევ-დარევა იყო. ერთი, შავ ჩოხა-ახალუხში გამოჭიმული, ქამარხანჯლიანი, მაღალ-მაღალი ახალგაზრდა, რომელსაც მწყემსის შავი ბეწვებიანი ფაფახი ქეჩოზე მოეგდო და ხელში მათრახი ეჭირა, განსაკუთრებით აქტიურობდა, დაწრიალებდა, ვერ ისვენებდა, გლეხებს აქეზებდა, იყვირეთ, იხმაურეთ, რას უყურებთ, ხომ იცით, მთავრობა არ არსებობსო.

ის თავხედი ჩოხოსანი უცებ ტრიბუნასთან მივარდა და მიხეილ კახიანს უყვირა:

— ძირს, ძირს ჩამოდი ახლავე, თორემ!..

ამ დაძახილს ზოგიერთებიც აყვნენ და შეიქნა ერთი აურზაური, ჩოჩქოლი, გაისმა ლაწანი — ვიღაცას სილა გააწნეს.

თუ მიხეილ კახიანს, პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ვაჟკაცსა და შეუდრეკელი გულის პატრონს ასე მოექცნენ, სხვას რაღას უზამდნენ ეს ნაძირალები!

თურმე ხმები გაევრცელებინათ, საბჭოთა ხელისუფლება ფამფალობს, ჰა და ჰა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც წაიქცევაო. ის თავხედი ახალგაზრდა არც ჩაცმულობით, არც იერით და არც მიხრა-მოხრით არ ჰგავდა გლეხს. ლეკვერთხებით შემოჭრილი ისეთი საცვეთები ეცვა, გეგონებოდათ, შეკაზმულ ცხენზე შეჯდომას და გაქცევას აპირებსო. მერე გავიგეთ, თურმე ჩოლოყაშვილი ყოფილა.

დიახ, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, მიხეილ კახიანს სიტყვის ხეირიანად დასრულება აღარ აცალეს, ხეირიანად კი არა, ძირს ჩამოგდებას უპირებდნენ.

მიხეილის შემდეგ ტრიბუნაზე აღშფოთებული ფილიპე მახარაძე ავიდა. დიდხანს ათვალიერებდა აღელვებულ მოსახლეობას, მერე გაბრაზებულმა მოისრისა წვერი...

წამოძახილები მიწყდა. ყველა სმენად იქცა. მე იმ ჩოხოსანისკენ ვიყურები, მაგრამ სადღაა? აღარ ჩანს.

გავიფიქრე, ალბათ გაიპარა-მეთქი. ზევით ავიხედე: ფერდზე შემდგარიყო და გაბოროტებული თვალებით იყურებოდა ფილიპესკენ, თან უკან-უკან იხევდა, მერე სულ გადაიკარგა.

ფილიპე გულმოსული ლაპარაკობდა:

— ჩვენ გუშინ ვფიქრობდით წითელწყაროდან ამოსვლას, გავიგეთ, რაღაც გაუგებრობა, არასასიამოვნო ამბავი მომხდარა აქ. ალბათ ვინმე რაღაც ჭორებს ავრცელებს... მთელი სოფელი გადაუყვანიათ კომუნაზე... აქ ზოგიერთები თურმე ამბობდნენ, მთავრობა აღარ არსებობსო. მაშ ვინ ვართ ჩვენ? აგერ, ჩემს გვერდით მიხეილ კახიანი რომ დგას, ვინ არის? მთავრობა არ ვართ? კეტებით რომ გამოდიხართ კომუნებისა და კოლექტივების წინააღმდეგ, იცოდეთ, ეს იგივე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლაა... როგორ ფიქრობთ, კოლექტივების ჩამოყალიბებას მოვეშვებით? ან ვინ არის ის თავხედი, ახლა რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელს „ძირს, ძირსო", უძახდა? რას ჰგავს ეს? ვინ უბედავს ასეთ რამეს? — მერე ცოტა ხმა შეარბილა, — აქ ყველა შესულა კომუნაში და ყველას ერთბაშად მოუთხოვია: ჩამაცვით, მაჭამეთ, მასვით, ჯამაგირი დამინიშნეთ და სხვაო... თავის მოტყუება იქნება, იფიქროთ, რაკი კომუნაში შევედით, ყველაფერი მზამზარეულად უნდა მოგვცენო. ზეციდან არაფერი ჩამოვარდება. ერთბაშად არაფერი გაკეთებულა. თუ ეს ხელმძღვანელები არ გამოდგნენ, სხვას ავირჩევთ... ჩვენ ყველაფერს მივაქცევთ ყურადღებას, კოოპერატივის საქმესაც მოვაწესრიგებთ. რაც შეეხება წყლის გამოყვანას, ზომები მიღებულია. ფართალს, რამდენსაც მოვახერხებთ, იმდენს მოგცემთ. ასეთ მდგომარეობაში სხვებიც არიან და სხვებსაც უნდა ყურადღების მიექცევა. ახლა გთხოვთ, დამშვიდდეთ და შეუდგეთ მშვიდობიან მუშაობას...

ფილიპეს ამ სიტყვამ გლეხების მღელვარება დააცხრო. საერთოდ, ფილიპემ მომხიბვლელი, დამამშვიდებელი და დინჯი ლაპარაკი იცოდა. თუ ძალიან გაბოროტებული არ იყო ადამიანი, არ შეიძლებოდა ფილიპეს მართალ სიტყვას მასზე გავლენა არ მოეხდინა და არ დაეშოშმინებინა. მას გლეხებთან გლეხურ ენაზე საუბარი ეხერხებოდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ზემო და ქვემოქედელები იმ კრებიდან უკმაყოფილონი არ წასულან.

კრებიდან ქედის ძველ კომუნაში შევიარეთ. სწორედ მაშინ გავიცანი ამ კომუნის დამაარსებელი—კობა ჩოხელი, რომელმაც თავისი ბრგე, ვაჟკაცური შესახედაობით, შინაგანი სულიერი თვისებებით ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს აზრი უფრო განმიმტკიცა კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ახალმა გლეხებმა" და ილო მოსაშვილის პოემამ კობა ჩოხელზე.

25 მარტი

ზემო მაჩხაანისაკენ გავემართეთ. იქ მისვლისას ფილიპე მახარაძე სულ გამოიცვალა, თითქოს გუშინდელი ამბავი დავიწყებოდა. ძალზე მხიარული ჩანდა. ალბათ იმის გახსენება ახარებდა და სიამოვნებდა, ოდესღაც ზემო მაჩხაანში რომ მოღვაწეობდა.

კარგად მახსოვს, სასოფლო საბჭოს ორსართულიანი სახლის აივანზე გაიარ-გამოიარა, მიდამოს მოავლო თვალი, დიმიტრი მაჩხანელი მოიგონა, მაჩხაანში თავისი მუშაობაც შეგვახსენა. ამიტომაც იყო, კრებაზე სიტყვა აქედან დაიწყო:

— თქვენ იცით, რომ აქ, ზემო მაჩხაანში დაარსდა პირველად სამომხმარებლო ამხანაგობა, სადაც ერთ დროს მეც ვმუშაობდი. ეს იყო ძველი წესწყობილების დროს და კოოპერაციის საშუალებით დიდ ვერაფერს გავაკეთებდით. იმ კოოპერატივებში მაშინ სულ მდიდრები იყვნენ, მაგრამ ასეთ კოოპერაციაზე, როგორიც ახლა არის, მაშინ წარმოდგენაც არ შეიძლებოდა. — და შემდეგ, როგორც ეს სჩვეოდა ფილიპეს, პირდაპირ საჭირბოროტო საკითხებს შეეხო: — აქ ისეთი შეცდომებია ჩადენილი, რომელთა თავიდან აშორება შეიძლებოდა. გაფუჭებული ბევრი რამაა, რადგან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა ასე დაჩქარებით მოხდა, მაგრამ როგორ გგონიათ, აქედან რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, კოლექტივი არ ვარგა? რაც იყო, ისიც უნდა დავანგრიოთ?.. აქ უსათუოდ ვიღაცის ბოროტი ხელი მუშაობს. კომუნები და არტელები ხელსაყრელი არ არის კულაკობისათვის! — და შემდეგ ფილიპე მახარაძემ ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა განაცხადა,— კულაკები ყველგან გამოდიან კოლექტივების წინააღმდეგ, ტერორს მიმართავენ. გუშინ ქედში ვიყავით. იძახდნენ, კომუნებმა დაგვღუპეს და დაგვაქციესო. მერე გამოირკვა, კომუნას აუშენებია სკოლა, საბავშვო ბაღი, საავადმყოფო... ბავშვებს ასწავლიან. წარმოიდგინეთ, ასეთი კომუნის დასანგრევად გამოსულა თითქმის მთელი სოფელი. ვინ მისცემს მათ ამის უფლებას? ნუკრიანში ყაჩაღები გამოსულან და დაუხოციათ ხალხი, ვინ აპატიებს მათ ასეთ დანაშაულს? გაგვაგებინეთ, აგვიხსენით, რაშია საქმე? — შემდეგ უფრო რბილად თქვა, — თუ რაიმე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ეს უცოდინარობითა და შეუგნებლობით იყო გამოწვეული. მე ადგილობრივ ამხანაგებს არ ვიცნობ. თუ რამე შეცდომებს სჩადიოდნენ, დავსჯით. ჩვენ ორი საბჭოს თავმჯდომარე დავიჭირეთ. შეცდომისაგან არავინ არის დაზღვეული... მაშასადამე, ამხანაგებო, გთხოვთ დამშვიდდეთ, რაც ქონება შეგიტანიათ კოლექტივში, თქვენ მიერ ამორჩეული კომისია უკანვე დაგიბრუნებთ...

ფილიპე ბევრ საჭირბოროტო საკითხს შეეხო, გლეხების შეკითხვებს პასუხი გასცა, თვითონაც აძლევდა შეკითხვებს...

იმ დღეს, ზემო მაჩხაანიდან დაბრუნებულებმა, ფილიპე მახარაძის ვაგონში ვისადილეთ, ვაგონი კი, როგორც მახსოვს, გურჯაანის რკინიგზის სადგურში იდგა.

შამშე ლეჟავამ ჩვენი ვაგონის წინ, სასადილოს

სიმონ ფვერავა

იმ გოგოჭარ დღეებში...

ვიტრინაში შამფურებზე წამოგებულ მწვადს და ღორის ჯიგრის კუპატებს მოჰკრა თვალი. შამშემ დერეფანში გაიარ-გამოიარა, მერე გიორგი მამალაძე ვაგონიდან ჩაიყვანა. უცებ ისევ მარდად ამოხტა ზევით და ჩუმად გვითხრა, ჩამოდითო.

ნოე ზამბახიძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე მაშინვე ჩაყვნენ. მე მივიხედ-მოვიხედე და რაკი დავინახე, ფილიპე მახარაძე მიხეილ კახიანთან გატაცებით საუბრობდა, ვიფიქრე, ალბათ ჯერჯერობით საჭირო არა ვარ მეთქი და მეც ჩავედი ვაგონიდან.

შამშემ სასადილოში შეგვიყვანა. იქვე, სახელდახელოდ მოატანინა კახური ღვინო, მწვადი და კუპატები, ჩაის ჭიქები აგვივსო, თვითონაც დაისხა. იცოცხლეთ და გაგიმარჯოთო, სულმოუთქმელად დაცალა.

ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე და სულ გადაავიწყდა, რომ უფროსები აგერ, ვაგონში იყვნენ. შეყვა და შეყვა, უმატა და უმატა სადღეგრძელოებს. სასადილოს მუშაკებმა ჯერ ვერ გვიცნეს, მერე, როცა გაიგეს, ვინც ვიყ ვით, აღარ მოგვეშვნენ, სუფრასთან დაბრძანდითო.

შამშემ იუარა. განა მშიერი ვარ ან ღვინო მწყურია. ახალგაზრდობაში რომ ვიცოდით ფეხდგომელა გადაკვრა, მწვადებს და კუპატებს რომ მოვკარი თვალი, ის მომაგონდა, თორემ ვიცი, არც თქვენა გშიათო, თან აქეთ-იქით იყურებოდა. ბოლოს, ულვაშებში ჩაიცინა და გვითხრა, ფილიპესთან არ გამამხილოთო. ამისი თქმა იყო და, დავით გიორგაძე შემოვიდა, ფილიპე გეძახითო. ვაი ჩვენს დღესო, ერთი კი წამოიძახა შამშემ, დანახარჯი უცებ გადაიხადა და ნელა გამოგვიძღვა სასადილოდან, თან სულ ვაიმე, ვაიმეს იძახდა.

შევწუხდით. შამშემ გაგვამხნევა, ნუ გეშინიათ, ყველაფერს მოვაკვარახჭინებო. სასადილოდან გამოვედით თუ არა, რას ვხედავთ: ფილიპე და მიხეილი ფანჯრებიდან გვიყურებენ. უნდა გენახათ, როგორ იცინოდა მიხეილ კახიანი, ფილიპე კი წვერს ისრესდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ გაგვთათხავდა.

ვაგონში პირველი შამშე ავიდა. კარგად გავიგონეთ ფილიპეს ბრაზიანი ხმა:

— თქვენ ოჯახქორებო, თუ შიმშილით კვდებოდით, ვერ თქვით, აგერ არ გვქონდა ყველაფერი? რა ღაგემართათ, ახლა არ ავდექით სუფრიდან? რას ჰგავს ეს!

შამშემ ისე ჩაურიო და ჩამოურთო სახუმარო სიტყვები, რომ ფილიპე მალე მოლბა, მაგრამ ეს კი თქვა, აწი მე ვიციო.

და, მართლაც, ამის შემდეგ, როგორც კი დავსხდებოდით ვაგონში დასანაყრებლად, პირველი გვეტყოდა, აბა, ჭამეთ, სვით, არ მოგერიდოთო. მერე ზეზე წამოდგებოდა, გადმოგვხედავდა და სათითაოდ მოგვართმევდა ლამბაქზე დახვავებულ შემწვარ ხორცსა და სხვა გემრიელ საჭმელს.

უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით, რა გვექნა, აღარ ვიცოდით, არადა, აღარ გვეშვებოდა, ისე ჭამეთ და სვით, სასადილოში ჩასვლა აღარ დაგჭირდეთო. სირცხვილი გვწვავდა: მოხუცი ადამიანი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, როგორ გავტანჯეთ, როგორ წუხდა ჩვენთვის!

26 მარტი

ლაგოდეხში მეტად უცნაური რამ მოხდა: ხალხის უმრავლესობამ იქ კი არ მოიყარა თავი, სადაც გამოაცხადეს, არამედ ეკლესიის ეზოში, საყდრის გალავანთან. ეს უმრავლესობა თურმე კულაკები, შეძლებული გლეხები და კოლექტივიდან გამოსულები იყვნენ. უმცირესობა — კოლექტივში დარჩენილი ღარიბ-ღატაკები, მოჯამაგირეები და ზოგიერთი საშუალო გლეხი, კლუბის წინ, ტრიალ მინდორში იდგა.

ფილიპე მახარაძემ და მიხეილ კახიანმა განაცხადეს, ეკლესიის ეზოში რა გვინდაო და კლუბის წინ მდგარ გლეხებთან საუბრობდნენ; ელოდნენ, როდის მოვიდოდნენ მათთან ეკლესიის გალავანში შეკრებილნი.

რამდენჯერმე გაგზავნეს მათთან რაიკომის მუშაკები, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, უარზე იდგნენ, არ მოვალთ, კეთილი ინებეთ და თქვენ მობრძანდითო.

მთავრობის ხელმძღვანელები კი ისევ ცივ უარზე იყვნენ, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ. კოლექტივებში დარჩენილებს უხაროდათ მთავრობის ხელმძღვანელთა სიმტკიცე და მათთან საუბარი.

კიდევ გაგზავნეს მოციქულად პასუხისმგებელი მუშაკი, ამჯერად ლაგოდეხის რაიკომის მდივანი მელიქოვი, მაგრამ ისევ უარით გამოისტუმრეს რაიონის ხელმძღვანელი.

დიდხანს გაგრძელდა დელეგატების მიგზავნ-მოგზავნა. საოცრად დაძაბულმა მდგომარეობამ ორ საათს გასტანა.

უზომოდ შეწუხებულმა მელიქოვმა ვედრებით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს:

— ამხანაგო ფილიპე, მე ვიცი მათი ხასიათი, აქ არ მოვლენ!

— მერე? მერე, ჩვენ რა ვქნათ?

— წავიდეთ მათთან, — სიტყვა ყელში გაეჩხირა რაიკომის მდივანს.

— არამც და არამც!

— მაშინ კრება ჩაიშლება!

— ჩაიშალოს! — მოაძახა ზურგიდან მიხეილ კახიანმა.

— ჩაიშლება? — გაკვირვებით იკითხა ფილიპემ, მერე რაიკომის მდივანს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა, — მართლა ჩაიშლება?

— უეჭველად!

ფილიპე ჩაფიქრდა. უცებ თავი მაღლა ასწია და კახიანს რაღაც ანიშნა თვალით, გვერდზე გაიხმო. იქ რაზე ლაპარაკობდნენ, არ ვიცი, მაგრამ იმას კი ვხედავდით, რომ მიხეილ კახიანს სიბრაზისაგან თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა.

ფილიპემ წვერზე ხელი ჩამოისვა და ჩვენკენ წამოვიდა. მელიქოვს რაღაც უთხრა. მელიქოვი ერთხელ კიდევ მივიდა ეკლესიის ეზოში მყოფ ხალხთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამჯერად მარტო უარით კი არა, ლანძღვა-გინებით გამოისტუმრეს.

რადგან ვერაფრით დაიყოლიეს ის ხალხი, მთავრობის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ, ეკლესიის ეზოში, ხატებითა და ჯვრებით მოჭედილ გალავანში შესულიყვნენ კულაკებთან და მათ მიერ გაბრიყვებულ გლეხებთან.

აქაც ისეთი ამბავი დატრიალდა, როგორც სხვაგან: კინკლაობა, უხამსი, მოურიდებელი წამოძახილები, გაწევ-გამოწევა, კულაკების გამოხდომები და სხვა...

27 მარტი

წნორისწყლის სადგურში დავბრუნდით, — იქ იდგა ფილიპე მახარაძის სპეციალური ვაგონი. ტელეფონზე დარეკეს, აკურაში დიდი უბედურებაა და მოგვეშველეთო. მოსასვენებლად წამოწოლილი ფილიპე ზეზე წამოვარდა. სულ რაღაც ათ წუთში ყველანი მანქანებში ვისხედით. მე, როგორც პირადი მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, ხშირად ფილიპეს მანქანაში ვიჯექი. ნერვიულობის დროს ფილიპე სულ დადუმდებოდა და მთელ ჯავრს წვერზე იყრიდა, ახლაც სულ ისრესდა და ისრესდა წვერს, ხანდახან კი მიხეილ კახიანს მიუბრუნდებოდა ხოლმე:

— მიხა, ვითომ რა უნდა მომხდარიყო? რა უნდა გაეკეთებინათ მაგ ოჯახჭორებს?

სიტყვა „ოჯახჭორებს“ მაშინ ამბობდა, როცა მთლად გაცეცხლებული იყო სიბრაზისაგან.

მძღოლს ფილიპეს მანქანა ყოველთვის საშუალო სიჩქარით დაჰყავდა. მთავრობის თავმჯდომარეს ყველაფერში სიდინჯე და აუჩქარებლობა უყვარდა. ამჯერად კი მძღოლს აჩქარებდა, რაც შეიძლება სწრაფად იარეო...

აი, შევედით კიდეც სოფელში და ჩვენს თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა: ერთი შენობა ცეცხლში იყო გახვეული, ხოლო მისგან მოშორებით ორი თუ სამი კაცი სისხლში ცურავდა.

ფილიპე მახარაძე ჯერ ქანდაკებასავით გაქვავდა ერთ ადგილას, მერე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იხმო და მათგან გაიგო: თურმე როცა მთელი სოფელი მთლიანად კოლექტივიზაციაზე გადაუყვანიათ, ყველაფერი გაუერთიანებიათ. ცეცხლში გახვეული ეს შენობაც კოლექტივს საერთო ძალით აუშენებია, შიგ სასოფლო საბჭო, კოლექტივის კანტორა და სხვა დაწესებულება მოუთავსებიათ, მაგრამ, კულაკების წაქეზებით, კოლექტივი დაუშლიათ და... კოლმეურნეობაში ძალიან ცოტა ხალხი დარჩენილა. კოლექტივიდან გამოსულებს მოუთხოვიათ — უმრავლესობა ჩვენ ვართ, ეს შენობა ჩვენი აშენებულია, ჩვენია და სასწრაფოდ დაცალეთო. კოლექტივში დარჩენილებს უთქვამთ, ჩვენი აშენებულიც არისო. ამტყდარა დავა, დავას შეტაკება მოჰყოლია, — ერთს წამოუძახია, რაკი ჩვენი აშენებულია და არ გვანებებენ, არც ჩვენია და არც მაგათო. მერე ვიღაცას ნავთი შეუსხამს შენობისათვის და ცეცხლი წაუკიდებია. შიგ საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი, ერთი მილიციელი გამოუმწყვდევიათ და გარედან დაუკეტიათ კარი. გამომწყვდეულები კარს მოსწოლიან გამოსამტვრევად, მაგრამ გარეთ გაშოსვლის საშუალება არ მიუციათ. მაშინ, რაკი სხვა გზა არ იყო, შიგნიდან სროლა აუტეხიათ, რამდენიმე კაცი მოუკლავთ. მერე არეულობით უსარგებლიათ, ფანჯრები გამოუმტვრევიათ და გარეთ გამოვარდნილან.

სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ კი მთავრობის ხელმძღვანელები შეჰყურებდნენ ამ საშინელ სურათს. კახეთის ოლქის ხელისუფალნიც აქ იყვნენ.

შემაძრწუნებელი რამ იყო: აგერ ჩაფერფლილი შენობა, სისხლში მცურავი ადამიანები, ცოტა მოშორებით თავჩაღუნული, გაშეშებული, ენაჩავარდნილი ხალხი, ხოლო მათ წინ — ფერდაკარგული, შეწუხებული მთავრობის ხელმძღვანელები.

ფილიპემ დუმილადქცეულ, გახევებულ გლეხკაცებისკენ გადადგა ნაბიჯი. მიდიოდა მათკენ ნელა, ფიქრებით დამძიმებული. მას დანარჩენებიც მდუმარედ მიყვებოდნენ.

ფილიპეს ჩვეულებად ჰქონდა, რაგინდ დაძაბული მდგომარეობაც არ უნდა ყოფილიყო სოფელში, ჯერ შორიდან დაიწყებდა ლაპარაკს — გზების, ხიდების, სკოლების, საავადმყოფოს მშენებლობაზე, ყურადღებას მიიპყრობდა და მერე გადავიდოდა მტკივნეულ საკითხზე. ამჯერად კატეგორიულად უარყო ეს ნაცადი ხერხი და მთელი ხმით მიმართა შეკრებილთ:

— მითხარით, რა მოხდა, რა ამბავია ეს?! ჯერ მითხარით, რა მოხდა აქ. და მერე მოგახსენებთ ჩემს სათქმელს! — თქვა ეს და ერთხელ კიდევ მიიხედა ჩაფერფლილი შენობისკენ.

ხალხი ხმას არ იღებდა.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა. უცებ, ერთი გამოხუნებულ მაზარაში გახვეული მოხუცი ქედმოხრილი წამოვიდა წინ, მძიმედ მოარღვევდა ხალხს. გლეხები ასევე ნელა უთმობდნენ გზას, ზოგი შვებით გაჰყურებდა, ზოგი კი მგელივით უტრიალებდა თვალს. იგი ფილიპე მახარაძეს მოუახლოვდა. ფილიპე გაოცებული უყურებდა მისკენ ძლივძლივობით მომავალ ბერიკაცს. სმენად გადავიქეცით, აბა, რას იტყვის ეს ბერიკაციო. გლეხი მთავრობის ხელმძღვანელისკენ შემობრუნდა, კახური ნაბდის ქუდი მოიხადა, ხელები აღაპყრო და ფილიპე მახარაძეს მიმართა:

— გვაპატიეთ, უფროსო, ჩვენო მთავრობავ, შევცდით. შეუგნებელი ხალხი ვართ, მოვტყუვდით. ხალხნო, ხომ მართალი ვარ! თქვით რამე, რას გაჩუმებულხართ? ხელისუფლება ფამფალობსო, რომ გვეუბნებოდნენ, ჩვენი მთავრობა აგერ არ არის?

— მართალი ხარ, მართალი, ძია კაცო! — გაისმა აქეთ-იქიდან. ბერიკაცს უნდოდა ფილიპეს ფეხებში ჩავარდნოდა, მაგრამ ფილიპემ არ დაანება.

— ეგ როგორ შეიძლება, მოხუცო? ხომ იცით, ჩვენ ვინ ვართ?

— ვიცი მაა! რომ ვიცი, მიტომა გთხოვთ, გვაპატიოთ!

სიმონ ფვერავა

იმ ბოგოჟარ დღეებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ გამოვიდა რამდენიმე გლეხი მოკრძალებით, მთავრობისადმი **პატივისცემის გამომხატველი** სიტყვებით. შემდეგ კი ფილიპე მახარაძემ, თითქოს სული მოითქვაო, მშვიდად და აუღელვებლად დაიწყო:

— ბევრი რამ გავიგონე აქ, რა თქმა უნდა, გაუგებრობას და შეცდომებს ჰქონია ადგილი. ამ სოფელში სულ სამი პარტიული ყოფილა. გლეხებისათვის წაურთმევიათ ქალამანი, ტყავი, ჩურჩხელა, ჭიქები და, რა ვიცი, რა არა. ეს არის კოლექტივიზაციის მიზნის დამახინჯება... ასეთი დამახინჯება არ შეიძლება.

ხალხი ფილიპეს ღმერთივით მისჩერებოდა. ისინი ხომ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მაუწყებელ სიტყვებს მოელოდნენ: მან კი...

ხალხს სიმხნევე მოემატა.

ფილიპე, რაკი მის წინ მდგარი გლეხების სულს და გულს ღრმად ჩასწვდა, მათი გულისნადები კარგად ამოიცნო, კიდევ უფრო მოლბა:

— მთელი უბედურება ის არის, რომ კოლექტივზე ცუდი წარმოდგენა გქონიათ... სახლებს, ოჯახებს, წვრილფეხა საქონელს, ბოსტანს, პატარა ვენახს და ხეხილს კოლექტივები არ უნდა აერთიანებდნენ. ამ მხრივ მთელი რიგი დამახინჯებებია... სოფლის თავკაცებს დაუწყიათ ჩხრეკა, დაპატიმრებანი. ააღელვებდა ეს ხალხს, აბა რას იზამდა? ნუთუ არ იცოდით, რომ საქართველოს მთავრობა კახეთში იმყოფებოდა? ერთი კაცი გამოგეგზავნათ და შეგეტყობინებინათ თქვენი მდგომარეობა, მაშინ ხომ ასცდებოდით ამ უბედურებას? ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, რომ თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. კოლექტივმა, გარდა სიკეთისა, ცუდი არაფერი არ უნდა გაგიკეთოთ. რაც შეეხება იმას, რომ კოლექტივში ძალით შეგიყვანეს, ეს არ ვარგა. ვისაც არ უნდა კოლექტივში შესვლა, თავისთვის, კერძოდ იმუშაოს.

— კარგია!

— შენ აგაშენა ღმერთმა!

— აი, იცოცხლე.

— მაა, აბა რა გეგონათ!

კრება დამთავრდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა — ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. მთავრობის ხელმძღვანელთა გულისხმიერებით გაბრუებული გლეხები ჯერ კიდევ ვერ მოსულიყვნენ გონს და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ.

მთავრობის ხელმძღვანელები მანქანებისკენ გაეშურნენ. ფილიპემ მანქანიდან ერთხელ კიდევ გახედა დამწვარ შენობას. მას შემდეგ ეს შემაძრწუნებელი ამბავი მისი გულიდან არ ამოსულა.

28 მარტი

შილდის კოლმეურნეობაში ათას ხუთასი კომლიდან ათას სამასი კოლექტივიდან გასულიყო. შეიტყვეს თუ არა კულაკებმა, მთავრობა მოდისო, მაშინვე თავისი ხალხი მიმოფანტეს სოფლებში — ჩვენი მოწვევით ფილიპე მახარაძე მოდის და უნდა დავარწმუნოთ, რომ კოლმეურნეობა არ გვინდაო. თავი მოვიყაროთ არა სახალხო სახლის წინ, სადაც კოლექტივებში დარჩენილები უნდა მოვიდნენ, არამედ სკოლის ეზოში, საბჭოს წინო. მარტო აძას როდი დასჯერდნენ. კულაკებმა და შეძლებულმა გლეხებმა დაგლეჯილი ქალამნები, დახეული ახალუხები, ჭუჭყიანი პერანგები, გაქუცული ქულაჯები და გახუნებული, მენშევიკებისდროინდელი თექა-შინელები ჩაიცვეს. ისე საცოდავად გამოიყურებოდნენ, თითქოს შინ მეტი არაფერი ჰქონდათ.

სწორედ ამ დროს ამოიარეს მთავრობის ხელმძღვანელებმა. ფილიპე მახარაძემ ამ დაგლეჯილტანსაცმელიან გლეხებს რომ მოჰკრა თვალი, მაშინვე გააჩერებინა მანქანა.

— როგორ ხართ, რა გაგჭირვებიათ, ხალხნო? — მიმართა იქ მდგომთ გულისტკივილით.

— ჰმ, გაგვჭირვებიაო? გაჭირვებული და შეწუხებული ვართ. მაგრამ... ისაა რომა, პირი წყლითა ბვაქვს სავსე...

— ძია კაცო, თქვი რაღა! — წამოიძახა ვიღაცამ.

— ვთქვაა? რომ ვთქვა, მერე ვანუა ლომიძე დამიჭერს ან კოოპერატივიდან საქონელს არ მომცემს. ჰა, რა ვქნა, გლეხებო, ვთქვაა?

— ახლა რისა გეშინია, თქვი! — გაამხნევა ფილიპემ.

— კოლექტივი არავის არ გვინდა, აქაური კომუნისტები ძალით გვერეკებიან შიგა, — მერე ხელი ასწია და განაგრძო — აჰა, შეხედეთ ამ ტყაპუჭებსა, ამით შეიძლება კოლექტივის აშენება? შინ ლუკმაპური ენატრება ჩემს ცოლშვილს, ესენი კი...

— ტყუილია, ამხანაგო ფილიპე, ტყუის, არ დაუჯეროთ, ეგ სოფლის ბობოლა გლეხია, ბეღლები გამოტენილი აქვს ხორბლითა და სიმინდით! — წამოიძახა ერთმა ფეროვანმა ვაჟკაცმა.

— შენ თავად ვინ ბრძანდები? — მწყრალად გახედა მას ფილიპე მახარაძემ.

— სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარე, კომუჯრედის მდივანი, ვანო ლომიძე!—ამაყად განაცხადა მან და შეკრებილთ აბრიალებული თვალებით გადახედა.

— სწორედ მაგან დააქცია ქვეყანა. მოგვაშორეთ აქედან! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მეე? მე დავაქციე ქვეყანა და თქვენ ააშენეთ?

— დიახ, შენ, შენ! — წამოიძახა ისევ იმ დაგლეჯილტანსაცმელიანმა.

— ყველა ეს მღელვარება და გაუგებრობანი სულ თქვენი უხეირო მუშაობის ბრალია! — გაბრაზებით უთხრა ფილიპემ და ახლა სკოლის ეზოსკენ გაეშურა, სადაც დიდძალი ხალხი ელოდა.

— თქვენ ტყუვდებით, ამხანაგო ფილიპე, დაგვიჯერეთ, ესენი კულაკები არიან! — ვეღარ მოითმინა და შეჰკადრა ვანო ლომიძემ.

ამ დროს, კლუბის წინ რომ თავშეყრილი კოლმეურნეობის წევრები, ღარიბ-ღატაკები, მოჯამაგირეები და ზოგიერთი საშუალო გლეხი იყო კომუნისტებთან და კომკავშირელებთან ერთად, ისინი გამოჩნდნენ. გზაში მათ კულაკები დახვდნენ და ქვები დაუშინეს, არ უნდოდათ მთავრობის ხელმძღვანელებამდე მიეღწიათ. მათ კი კულაკების რკალი ბრძოლით გამოარღვიეს და ზედ აივნის წინ, მთავრობის ხელმძღ-

ვანელების პირისპირ დადგნენ. ერთი იმათგანი აივანზე შევარდა და დაიქუხა:

— ამხანაგებო, კულაკები ღარიბების ტანსაცმელში გამოწყობილან და მთავრობა მოუტყუებიათ, გაჭირვებულები ვართო!

— ძირს, ძირს! — დაიყვირეს კულაკებმა.

— როგორ თუ ძირსა, მიეცით სიტყვა! — წამოიძახეს კოლმეურნეობის წევრებმა.

— დიახ, ჩვენო მთავრობავ, მოგატყუეს კულაკებმა!

— ჩვენ კი არა, თქვენ ატყუებთ მთავრობას. ჩამოაგდეთ ძირს!

შეიქნა ჩოჩქოლი, ვიღაც თავხედმა აივნისაკენ გაიწია. უნდოდა, ის გლეხი ძირს ჩამოეგდო. ფილიპემ ხალხს წესრიგისკენ მოუწოდა. კულაკები მაინც არ ცხრებოდნენ. არც ღარიბები უდებდნენ ტოლს. ერთმა აივნიდან განაცხადა:

— ამხანაგო მთავრობის ხელმძღვანელებო, ხომ გაიგონეთ, ჯერ ამბობდნენ, კოლექტივის წინააღმდეგი არა ვართო, მერე კი განაცხადეს, კოლექტივები არ გვინდაო, მერე — კომუნისტები არ გვინდაო! უფროსებო, მათ რომ ჰკითხოთ, არც საბჭოთა ხელისუფლება უნდათ, მაგრამ დავეთანხმოთ?

კიდევ ატყდა ჩოჩქოლი. ხალხი ბობოქრობდა.

ამას დიდი მიწევ-მოწევა მოჰყვა.

ბოლოს, ძალზე შეშფოთებული ფილიპე მახარაძე გამოვიდა და განაცხადა:

— აქ მართლაც ბევრ გაუგებრობას ჰქონია ადგილი. დაწყნარდით, დამშვიდდით. კულაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ვერ შეგვიყვანენ შეცდომაში. ვის ატყუებთ თქვენ: კოლექტივები არ გინდათ, კომუნისტები არ გინდათ და საბჭოთა ხელისუფლება კი გინდათ? ეს არ გამოგივათ. ტანსაცმელი გამოგიცვლიათ, მაგრამ გული და რწმენა რომ ვერ გამოიცვალეთ?

29 მარტი

გურჯაანში, რკინიგზის კლუბში, საქართველოს კომპარტიის კახეთის საოლქო კომიტეტის საგანგებო პლენუმი გაიმართა.

მოხსენება, კახეთში კოლექტივიზაციის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ გააკეთა საოლქო კომიტეტის მდივანმა ვალერიან ბაქრაძემ.

კამათში გამოსულები ძალზე მწვავედ აყენებდნენ მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს.

ფილიპე მახარაძე ყველაზე ბოლოს უნდა გამოსულიყო, მაგრამ ვეღარ მოითმინა და ტრიბუნაზე ავიდა:

— მთავარი ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ სერიოზული გართულებანი, ჩავაქროთ მღელვარება, დავაშოშმინოთ აბობოქრებული გლეხობა. ასე არა სჯობია, ამხანაგებო? ცოტაც და ხალხი კვლავ დაიძვრება კოლმეურნეობისაკენ, ჩვენი პარტიის მიზანიც ეს არის...

შემდეგ მიხა კახიანმა ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობას, ილაპარაკა ნაკლზე, დასახა შეცდომების გამოსასწორებლად კონკრეტული ღონისძიებები.

შილდაში მიღებული უსიამოვნო გრძნობები, რომელიც მთავრობის ყველა წევრს გასჯდომოდა გულში, აქ თითქოს ნაწილობრივ განელებულიყო.

წამოსვლისას ფილიპე მახაძარემ გაღიმებული სახით გახედა მიხა კახიანს. ჩვენც ღიმილი აგვითამაშდა სახეზე. რაც ჩვენს უფროსებს აწუხებდათ, ის ჩვენს სულშიაც იყო გამჯდარი და გულს გვიღრღნიდა. აბა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა? ჩვენ ყველანი, დიდი და პატარა, ერთნაირად განვიცდიდით უსიამოვნო შემთხვევებს.

30 მარტი

რომ იტყვიან, ბოლო კეთილიაო, სწორედ ისე მოხდა კახეთის ოლქში ყოფნის დასასრულს. სოფელ აფენის მოსახლეობას კახეთში მთავრობის ხელმძღვანელების ყოფნა გაეგოთ და ეთხოვათ, ჩვენც გვინახულეთო. მთავრობის ხელმძღვანელებმაც ბევრი აღარ დააყოვნეს და იმავე დღეს აფენში ჩავიდნენ. კრება, რომელსაც მთელი მოსახლეობა ესწრებოდა, დიდ ბაღში გაიმართა.

ხალხი საოცრად აღფრთოვანებული შეხვდა მთავრობის ხელმძღვანელებს. გამოდიოდნენ გლეხები სიტყვებით, ამხელდნენ შეცდომებს, მაგრამ მათს სიტყვებში დიდი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა ხელისუფლებისადმი. შეცდომებს აქაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ გლეხებს იმდენი შეგნება და წინდახედულობა გამოეჩინათ, რომ ეს შეცდომები საპროვოკაციოდ კი არ გამოეყენებინათ, არამედ მისი გამოსწორებისათვის ეზრუნათ, ხოლო იმათთვის, ვისაც ამ შეცდომების ბოროტად გამოყენება უცდია, როგორც იტყვიან, შავი დღე დაეყარათ.

ამიტომაც იყო, რომ ფილიპე მახარაძის სიტყვაში დიდი კმაყოფილება იგრძნობოდა აფენელების საქმიანობის გამო.

ყოველივე ზემოთქმული, მოგონება თუ გახსენება, წარსულს ეკუთვნის. მას შემდეგ ოცდაჩვიდმეტმა წელმა განვლო.

რა დრო გასულა! დღეს კახეთის მადლიანი მიწა-

სიმონ წვერავა
იმ გოგოჭარ დღეებში...

წყალი კოლმეურნე გლეხკაცების სიცოცხლის მოჩუხჩუხე წყაროა. ახლა ზემოთდასახელებულ და ყველა სხვა სოფელში ხვავისა და ბარაქის მთები დგას.

კახეთის მკერდგადაშლილ ველებში ადამიანის მარჯვენას დოვლათი დაუხვავებია და მისი ბარაქიანი ნაყოფით არა მარტო შრომას დაწაფებული კახელი გლეხები, არამედ მტრისგან ათასჯერ ნაოხრალი მიწაც ხარობს; გაზაფხულის სურნელი ეფინება არემარეს და ვაზის მწიფე მტევნებივით ატკბობს ადამიანის სულსა და გულს.

ამის მაგალითად მარტო სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა კმარა: ნახავთ, გაეცნობით ამ სოფლის ხალხს, გაესაუბრებით ნიკო ყოჩიაშვილს, რომელმაც ეს კოლმეურნეობა ეკონომიური სიძლიერით საქვეყნოდ ცნობილი გახადა, და იტყვით: ნუთუ ეს ის კოლმეურნეობაა, რომელსაც 1930 წლის მარტის თვეში ხელკეტებით დაერივნენ მტრები და კინაღამ ხანძრით გადაბუგესო.

მაგრამ ყველაფერი ეს ხომ უბრძოლველად არ შექმნილა? ჩემს მიერ ძუნწად, ფრაგმენტების სახით გადმოცემული ამბავი იმ ძველის, იმ ბობოქარი წლების ერთი პატარა სურათია, ერთი ამოსუნთქვაა...

ის სურათი და ის ერთი ამოსუნთქვა წარსულს ეკუთვნის, მაგრამ დღევანდელობის სრულყოფილად შეფასებისათვის, იმ წარსულის, თუნდაც არასასიამოვნო წარსულის გახსენება, ვიმეორებ, დღევანდელს არათუ რაიმეთი ჩრდილავს, არამედ უფრო ასხივოსნებს.

დიახ, დღევანდელობა ციდან არ ჩამოვარდნილა, არც მზამზარეულად მოურთმევია ვინმეს, — იგი წვითა და დაგვით, ბრძოლითა და შრომით არის შობილი; იგი სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვითაა ახლა წელგამართული და მხერბგაშლილი, იმ მარცვლის ნაყოფია, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრების დაფუძნებით ჯერ კიდევ ამ ოცდაჩვიდმეტი წლის წინ ჩაითესა ოქტომბრის რევოლუციის მადლით განოყიერებულ მიწაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

წარწერა ხეზე

ვანო ქისტაური დინჯი ნაბიჯით აჰყვა საბადურის მთის ბილიკს. ტანაშოლტილი ხეები ტოტების რხევით მიაცილებდნენ მოხუცს. მისთვის ახლობელი იყო ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყოველი ბილიკი. ხის დამსკდარ ქერქს მზრუნველად გადაუსვა ხელი. დიდხანს დასცქეროდა დანით ამოკვეთილ წარწერას. წელთა დინებას ამოევსო ხის ჭრილობა, ფორმა დაეკარგა ასოებისათვის:

„1921 წელი, 25 თებერვალი. გავიმარჯვეთ. ვანო ქისტაური“.

ბერიკაცი ფიქრებში გაეხვია...

მზემ დავათის ტყეს ცეცხლოვანი ფარჩა მოხსნა და კავკასიონის ორწოხებში ჩაეშვა. მოსაღამოვდა. ტყის სიღრმეში შეკრებილი პარტიზანები რაზმებად დაიყვნენ, ღამის გასათევ ადგილებს მიაშურეს. კანტიკუნტად ისმოდა მათი სიტყვები:

„მთვარემ ჭიუხებისაკენ გადაიწია, სინათლე აკლდება“.

„სინათლე ცხოვრებამ დაკარგა და მთვარისა რაღა გიკვირს!“

„ნუ გეშინიათ, დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევს; ნათელი მთვარესაც დაუბრუნდება და ცხოვრებასაც“.

„შენს პირს შაქარი, კეთილმა კაცმა სიტყვაც კეთილი იცის...“

მებრძოლებს მეგობრული საუბარი გუშაგის შეძახილმა შეაწყვეტინა.

„შეჩერდით! გზა ჩაკეტილია!“

მეკავშირე საგუშაგოსკენ გაემართა.

იარაღშემართული გაბო მწითური ხუთიოდე ნაბიჯით დაწინაურდა. სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს გადაეხვივნენ და საქმიანი საუბარი გააბეს.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი დიდი გულისყურით უსმენდა ხევსურებს, რომლებმაც ჩრდილოეთის მხრიდან სასურველი ამბავი მოიტანეს — არაგველთა ხმლების ელვა დარიალის კლდეკართან მომდგარ თავისუფლების სხივს უნდა შეერთებოდა...

გაბოს ბევრი აღარ უფიქრია, რაზმის ხელმძღვანელებს გამოუძახა და საქმის ვითარება გააცნო. იმსჯელეს. გადაწყდა, თიანეთში სასწრაფოდ გაეგზავნათ კაცი და ერწოში აჯანყებულთათვის შეეტყობინებინათ სერგო ორჯონიკიძისა და სერგეი კიროვის გადაწყვეტილება. გაბო მწითურმა „თოლენჯის მფრინავი რაზმის“ მეთაურს შაქრო გელოვანს ასეთი წერილი მისწერა:

„საქართველოს ბოლშევიკები დახმარებას მოითხოვენ რუსეთის ბოლშევიკებისაგან, რათა დაამხონ მენშევიკური მთავრობა. თერგის ოლქში დგას ბოლშევიკების არმია, რომელსაც ორჯონიკიძე და კიროვი მეთაურობენ. ისინი უნდა შემოვიდნენ დარიალიდან, მაგრამ დარიალის კარი მენშევიკების გვარდი-

ამ შეკრა. ჩვენთან მოვიდნენ სერგო ორჯონიკიძისაგან გამოგზავნილი ხევსურები. გვატყობინებენ, სოფლებში მოვაწყოთ აჯანყებები, შევუტიოთ დუშეთისა და თიანეთის სამაზრო ცენტრებს, ჩვენი რაზმები შევაერთოთ, თავს დავესხათ დარიალში დაბანაკებულ მენშევიკების გვარდიას და ბოლშევიკებს გზა გავუხსნათ საქართველოსაკენ. დავათის ტყეში ვდგავართ. შენ და ვანო ქისტაური თქვენი რაზმებით აქეთ წამოდით, გორანის თავზე ჩვენი კაცი დაგხვდებათ და გზას გასწავლით. აქ ვითათბიროთ და დავთქვათ აჯანყების დღე".

მეკავშირემ დავათის ქედს გადაუარა და ერწოს მიწაზე შედგა ფეხი. წერილმა, რომელიც იმავე დღეს ზარის ხმასავით მოედო თოლენჯისა და ღულელების მთაგორებს, ძალა და ენერგია შემატა ბრძოლისათვის ფრთაგაშლილ ფშავლებსა და ხევსურებს.

მართლაც რომ მფრინავი რაზმი იყო შაქრო გელოვანის რაზმი — გათენებამდე ყველა მებრძოლმა დავათის ტყეში დასცა კარავი. არც ვანო ქისტაურის „ხევსურთა პარტიზანული რაზმის" წევრებს დაუგვიანიათ. ზაფხულის მზიან დილას დავათის ტყეში დუშეთისა და თიანეთის მაზრების აჯანყებულთა გაერთიანებული თათბირი დაიწყო.

გაბო მწითური სიყვარულით შესცქეროდა მამაც ვაჟკაცებს, შავი თვალები, ოდნავ კეხიანი ცხვირი, არწივისებრი გამოხედვა უდრეკ, უშიშარ გამომეტყველებას აძლევდა. გაბო დინჯად ესაუბრებოდა მოძმეებს:

„დროა, ბოლო მოეღოს უსამართლობას, იარაღს უნდა მოვკიდოთ ხელი!

„იარაღმა უნდა გადაჭრას დავა", — პასუხობდნენ მეგობრები.

მცირე თათბირის შემდეგ ერთხმად დაადგინეს, შეტევა 1918 წლის 14 ივნისს დაეწყოთ. რაზმები მიჩენილ ობიექტებს დაუბრუნდნენ...

ღამეა. ბაზალეთის ტბის მიდამოებს საავდრო ნისლი დასწოლია. ირგვლივ ყველაფერი გარინდულა. სოფელშიც სიწყნარე სუფევს, მაგრამ ბევრს არ სძინავს. ქარიშხლიანი დღეების მოლოდინში რა დააძინებთ ბაზალეთელებს!

მყუდროება უცებ ცხენების თქარათქურმა დაარღვია. მენშევიკების შეიარაღებული ლაშქარი ბაზალეთში შემოიჭრა. ყველა ეჭვმიტანილის ბინა გაჩხრიკეს, იარაღს ეძებდნენ, მაგრამ ამაოდ. იარაღი საიმედო ადგილას, სანდრო და ვანო ლალიაშვილების სარდაფში იყო გადამალული.

ბოლშევიკებმა მტრის ვარაუდი შეიტყვეს თუ არა, საქმე მოხერხებულად წარმართეს — რამდენიმე გლეხი საბოდიშო სიტყვებით გამოცხადდა მაზრის უფროსთან და დაჟანგულ-დამტვრეული თოფები ჩააბარა. მოთარეშენი გამარჯვებული იერით გაემართნენ სოფელ წილკნისაკენ, რომ ახლა წილკნელებისათვისაც აეყარათ იარაღი. მაგრამ მენშევიკებისათვის იქ ბოდიში აღარავის მოუხდია. აჯანყებულები არასასურველ სტუმრებს ტყვიებით შეეგებნენ. ბრძოლის პირველი დღე გლეხთა გამარჯვებით დამთავრდა.

ბაზალეთლები კი ამ დროს სამაზრო ცენტრს, ქალაქ დუშეთს არტყამდნენ ალყას და მენშევიკური მთავრობის მოხელეებს აპატიმრებდნენ. მათ მამაცური დარტყმით აიღეს დუშეთი და 19 ივნისს საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყების უშუალო ხელმძღვანელებმა — გაბო მწითურმა, თედო შუშიაშვილმა და ვიქტორ ცინცაძემ მეზობელ რაიონებში საჩქაროდ დაგზავნეს მიმართვები. ისინი აჯანყებულებს ატყობინებდნენ:

„უნდა მოვიწვიოთ გლეხთა დეპუტატების სახალხო საბჭო. თვითეული რაიონული საბჭო გზავნის თითო დელეგატს, რომლებიც შეადგენენ დუშეთის მაზრის მთავრობას. არჩევნები უნდა ჩატარდეს საჩქაროდ".

გლეხთა დეპუტატების სახალხო საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია თედო შუშიაშვილი, ხოლო პოლიტიკურ კომისრად — გაბო მწითური. გამარჯვებულნი ზეიმობდნენ. შორსმჭვრეტელობასაც არ კარგავდნენ. იცოდნენ, რომ კვლავ დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მკაცრი ბრძოლები იყო მოსალოდნელი. ხმალი ქარქაშს ვერ დაუბრუნდებოდა. ასეც მოხდა...

წილკნელმა მაცნემ დუშეთში გაოფლილი ცხენი მოაგდო. თედო შუშიაშვილს მოახსენა:

„მცხეთის მხრიდან ჯარი მოემართება. ჩვენებმა ბებრის ციხის მისადგომები შეკრეს. თქვენს დახმარებას ელიან“.

„მარჯვედ იყავით, საღამომდე თქვენთან ვიქნებით“, — მიუგო თედომ და აჯანყებულთა თავმოყრას შეუდგა.

ერთი საათის შემდეგ მებრძოლებმა ბაზალეთის ქედი გადალახეს და არაგვის ჭალაზე გაიშალნენ.

ბრძოლა უთანასწორო და მკაცრი იყო. მენშევიკების ბრბოს ძვირად დაუჯდა თავისუფლების წინააღმდეგ მახვილის აღმართვა. ბრძოლამ ბებრის ციხიდან ნატახტარში გადაინაცვლა, ნატახტარიდან — მისაქციელში, მისაქციელიდან — დუშეთში.

მენშევიკების ჯარმა აჯანყებულები ალყაში მოამწყვდია, დარიალის გზა გადაუკეტა. მებრძოლთა ერთმა ნაწილმა ალყა გაარღვია და ანანურისაკენ დაიხია. მეორე ნაწილი კი მტერს ჩაუვარდა ხელში. ტყვიამ თავისუფლებისათვის ანთებული ბევრი გული ჩააქრო.

თუმცა, რა ძალა დააშრობდა არაგველთა სიცოცხლეს. ისინი მტერს სამაგიეროს უხდიდნენ ანანურთან, ფასანაურთან, მლეთასთან და ბრძოლით მიიწევდნენ დარიალისკენ.

დუშეთის მაზრის აჯანყებულებმა ტყვიის ნიაღვრით გახსნეს თერგის კლდე-კარი და ყაზბეგთან მიხა პაპუნაშვილის რაზმს შეუერთდნენ. მამაცთა მიზანი ნათელი იყო: სასწრაფოდ უნდა გაენადგურებინათ დარიალში გამაგრებული მტერი და გზა გაეხსნათ წითლებისათვის, ჩრდილოეთიდან რომ მოდიოდნენ.

უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა თამარის ციხესთან გაჩაღდა. თერგის საბჭოთა ხელისუფლებიდან აჯანყებულებს მიეშველა საშა გეგეჭკორის რაზმი. რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლა. ქვემეხების გრიალმა და ტყვიამფრქვევების კაკანმა გააყრუა კლდეთა ორწოხები. მენშევიკების ლაშქარმა სიმრავლით გაიმარჯვა. ჩრდილოეთის გზა კვლავ ჩაიკეტა.

მტარვალებმა მიხა პაპუნაშვილი და მისი ამხანაგები ცოცხლად შეიპყრეს და 1918 წლის 15 ივლისს გველეთის ხიდთან დახვრიტეს.

გაბო მწითური უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ვინ იცის, მისი სხეული თერგის ცივმა ტალღებმა მიიბარეს და საჯიჯგნად არ დაუტოვეს ყვავ-ყორნებს...

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მთიელებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. შეიქმნა პარტიზანული რაზმები, რომლებსაც გამოცდილი ვაჟკაცები ჩაუდგნენ სათავეში. ივანე იორდანიშვილის მებრძოლები არაგვის ხეობაში დაჰქროდნენ. შაქრო გელოვანი კი კვლავ ერწოს ტყეებს ეწვია და თავისი „მფრინავი რაზმით“ მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკებს. აქვე იბრძოდნენ ვანო ქისტაურის ხევსური პარტიზანები. ისინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას იარაღასხმულნი შეხვდნენ. ვანომ ის სიტყვებიც ამ სასიხარულო წუთებში წააწერა ხეზე.

ვანო ქისტაური ახლა პენსიონერია. ცხოვრობს მშობლიურ სოფელ ღულელებში. მას 70 წელი აწევს მხრებზე და თავს მაინც მხნედ გრძნობს. განთქმული მეფუტკრე და მებაღე დღესაც ნაყოფიერად შრომობს, იგი ცნობილი სახალხო მთქმელიცაა და გულწრფელი სტრიქონებით უმღერის ახალ ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ჯიქია

კავკასიელი არწივი

1918 წელი.

ოცდახუთი წლის ევსევი ჩიქვანაია პეტროგრადში გამოიძახეს და მესამე არმიის სარდლად დანიშნეს...

სარდალი ფრონტზე მეორე დილით ჩავიდა. შეტევითი ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობდა. თეთრგვარდიელთა ბანდებს წითელი არმია გააფთრებით ებრძოდა.

ცარიცინისკენ ატამან კრასნოვის კაზაკთა არმია მიიწევდა. გერმანიის იმპერიალიზმს უნდოდა პურის რაიონებისგან მოეწყვიტა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა და მოსკოვისათვის შეეტია. ამ კრიტიკულ მომენტში ევსევი ჩიქვანაია ცარიცინის რკინიგზის სამხედრო კომისრად დანიშნეს. ევსევი ენერგიულად შეუდგა ტრანსპორტის მოწესრიგებას. ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ჩიქვანაია წერდა: „ვღებულობთ ყველა ზომებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სასწრაფოდ საჭიროა ჯავშნოსანი მატარებლები და ჯავშნოსნები. ეს უკანასკნელი ჯერ არ მიგვიღია. დაგვიანება დაღუპვას ნიშნავს“.

სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისრის ს. ორჯონიკიძის განკარგულებითა და მთავარი ბანაკის თანხმობით 1918 წლის 17 ივლისს, სპეციალური მატარებლით, ჩიქვანაია ცარიცინიდან ფილონოვოში მიემგზავრება. ს. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „სადგურების გავლისას მე დავრწმუნდი, რომ სამხედრო ნაწილების დიდ უმრავლესობას არ უკავია გარკვეული პოზიცია, გზა ცარიცინიდან სადგურ ფილონოვომდე საიმედოდ არ არის დაცული“.

ფილონოვოში ჩიქვანაიას ჩასვლისთანავე ხუტორ ბერიოზოვსკის გასათავისუფლებლად სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. მტრის უკუქცევით ისარგებლა ცარიცინის რკინიგზის სამხედრო კომისარმა და სპეციალური რაზმი ფილონოვო-ალექსიკოვის რკინიგზის ხაზის შესაკეთებლად გაგზავნა.

ერთ-ერთ ხუტორში დრაგუნთა გვარდიულმა პოლკებმა წითელი არმიის ნაწილები ალყაში მოიმწყვდიეს. ჩიქვანაია სასწრაფოდ გაეშურა ფრონტის წინა ხაზზე, შეაჩერა უკანდახეული ნაწილები, ისინი პირადი მამაცობით აღაფრთოვანა... და როცა ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, ევსევიმ თავის უბის წიგნაკში ჩაწერა: „ჩვენი ლომები ყოველთვის გაიმარჯვებენ, ოღონდ საჭიროა მათი სწორი ხელმძღვანელობა“.

ცარიცინთან მტერს ხერხემალი გადაუტყდა. ახლა ზღვისპირეთი გაეხვია ყომრალ ღრუბლებში. ყირიმს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა.

1919 წელი. დენიკინი წინ ცეცხლითა და მახვილით მოიწევს...

ჩიქვანაია კრემლში გამოიძახეს და

ჭაბუკ სარდალს ახლა ოდესის დაცვის რთული ამოცანა დააკისრეს.

* * *

ზღვის პირას ჯარისკაცები მზეს ეფიცხებოდნენ.

ტყიდან მხედარმა გამოაჭენა ცხენი. ქარივით სწრაფად მოჰქროდა ახალგახედნილი კვიცი.

ჯარისკაცები თვალს არ აცილებდნენ გალაღებულ მხედარს. შორიდან თეთრგვარდიელთა დესპანი ეგონათ, მაგრამ ზღვის ნაპირამდე რომ მოაღწია, სახტად დარჩნენ: შავ ნაბადსა და თეთრ ჩაბალახში ოდესის დაცვის უფროსი ევსევი ჩიქვანაია შეიცნეს.

ჯარისკაცები წამოიშალნენ, მხიარული ყიჟინით შეეგებნენ... ევსევი ცხენიდან გადმოიხარა და მეთაურს ხელი ჩამოართვა. მერე გარსშემოხვეულ ჯარისკაცებს მიუბრუნდა, — დენიკინი მოდის, უნდა, ოდესა წამოაჩოქოს, კისერზე ისევ უღელი დაგვადგას...

— გაუმარჯოს ლენინს! — იხუვლა ჯარმა, დიდი ბელადის სახელის ხსენება ნიშნავდა, რომ ეს ლომებივით ბიჭები არავის დაუთმობდნენ იმას, რაც სისხლით მოეპოვებინათ. ამ ბრძოლაში მათ მტკიცე ლენინელი მიუძღოდათ წინ. მარტვილში გაზრდილი ვაჟკაცი, შორეული სამეგრელოს შვილი იცავდა რუსეთის მიწას. კავკასიონის კლდის ნატეხივით მტკიცე იყო ევსევი ჩიქვანაია.

ლუკმა-ლუკმა რომ დაჭრა, მაინც თავისას გაიტანსო, ამბობდნენ მასზე.

ყოველი დღე ახალი ძალითა და გამარჯვების რწმენით ავსებდა სარდალს. მაგრამ მოხუცი დედის სახე რომ იელვებდა ოცნებაში, გულზე სევდა შემოაწვებოდა...

დედაზე, მარტვილზე ფიქრი უყვარდა. იცოდა, რომ ოდესაში მარტვილის ალვებს იცავდა, დედულეთს იფარავდა ავი მტრის ხელისგან.

გვიან ღამემდე გაგრძელდა შტაბში თათბირი. ევსევი მეთაურებს სიტყვას არ აწყვეტინებდა, მაგიდაზე იდაყვით დაყრდნობილი, გაშლილ რუკას უხმოდ დასცქეროდა. რუკა წითელი და თეთრი ხაზებით იყო აჭრელებული. ამ საბრძოლო გზებმა სად არ ატარა მარტვილელი ჭაბუკი...

გაძნელდა ოდესის დაცვა. ანტანტა დენიკინზე დიდ იმედს ამყარებდა. სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიაში მოკალათებულ ასი ათას კარგად შეიარაღებულ ჯარისკაცს ოდესა უკვე აღებულად მიაჩნდა...

„არა, ოდესა მტერს არ დანებდება!“— ფიქრებიდან გამოერკვა ევსევი და ფეხზე წამოიჭრა. შტაბის უფროსს უბრძანა:

— მე რომ დავატყვევე, ის ოფიცერი სასწრაფოდ მომგვარეთ...

* * *

„წითლები შეტევაზე გადმოვიდნენ!“ — ელდასავით დაუარა დენიკინის მეწინავე რაზმებს ამ შიშნარევმა ძახილმა. თითქოს მდუღარე წყალი გადაასხესო, ჯარმა პირი იბრუნა, უნაყოფო გამოდგა თეთრგვარდიელი გენერლის ყოველი ცდა, შეეჩერებინა ჩიქვანაიას მებრძოლთა შემოტევა. მტერმა უკან დაიხია.

ბრძოლა გარეუბნებში გრძელდებოდა...

სისხლით მოირწყო ქვაფენილები. ევსევი ჭოგრიტით გაჰყურებდა, თუ რა თავგანწირვით მოიწევდნენ თეთრგვარდიელთა ბატალიონები.

— წინ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის! — დასჭექა ქართველმა ვაჟკაცმა და თვითონ პირველი გაიჭრა...

დენიკინელებმა მოკურცხლეს. მაგრამ გამარჯვება არ ახარებდა ევსევის — არმია თითქმის განახევრდა... მან მაშველი ძალები ითხოვა. საბჭოთა რუსეთი ხანძარში იყო გახვეული და მაშველმა ძალებმა დაიგვიანეს...

* * *

მეორე დღეს თეთრები შეტევაზე გადმოვიდნენ. ოდესის ნავსადგურში

აკაკი ჯიჭია
კავკასიელი არწივი

საფრანგეთის სამხედრო გემები შემოვიდნენ. უთანასწორო, სისხლისმღვრელი ბრძოლა ჩიქვანაიას უკანდახევით დამთავრდა.

ბოლშევიკებმა მაინც არ დატოვეს ოდესა. შეიქმნა ოდესის იატაკქვეშეთის კომიტეტი. დენიკინი გაფაციცებით დაეძებდა ჩიქვანაიას. მას, ვინც ევსევის დაატყვევებდა, დიდ ჯილდოს პირდებოდა. ამიტომაც უფრთხილდებოდნენ მას, ურჩიეს, ოდესა დაეტოვებინა, მაგრამ ევსევის ამის გაგონებაც არ უნდოდა.

— არავითარი სხვა ფრონტი! მე აქ დავრჩები, თქვენთან. დენიკინს ბოლო უნდა მოვუღოთ.

ძილი და მოსვენება გადაავიწყდა ჩიქვანაიას, დღედაღამ ფეხზე იდგა და პარტიზანული რაზმების მოქმედებას ხელმძღვანელობდა, მოულოდნელი დარტყმით არევ-დარევა შეჰქონდათ მტრის რიგებში.

საფრანგეთის გემებზე აჯანყებამ იფეთქა. მატროსებმა უარი განაცხადეს კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაზე. გაფთრებული თეთრგვარდიელები პარტიზანებზე ნადირობდნენ... მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდებოდა.

მალე ცნობა მიიღეს უმაღლესი სარდლობისაგან, რომ წითელი არმიის ნაწილები ოდესაზე შეტევისათვის ემზადებოდნენ. ევსევის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. იგი ოცნებობდა გამარჯვებაზე, საქართველოზე, დედაზე...

მამის ქონებას ისლიანი ჯარგვალი და ერთი მეწველი ძროხა შეადგენდა. სხვისთვის შრომამ ადრე გატეხა ეგნატე, ვერ მოესწრო შვილის დავაჟკაცებას. უჭირდა კესარიას უკაცო ოჯახის შენახვა. მისი ვაჟი გამოჩენილი მხედართუფროსი გახდა, მაგრამ იგი შორსაა, მარტვილიდან ძალიან შორს, და შვილის მოლოდინში უღამდება და უთენდება დედას. შვილი კი მოუთმენლად მოელის წითელ ჯარს, ხშირად დადის ქალაქის ქუჩებში. დენიკინელებმა რომ ვერ იცნონ, პარიკს იკეთებს. ახლაც გამოვიდა ქალაქში, ქუჩას ფრთხილი ნაბიჯებით გაჰყვა. მოსახვევში თეთრგვარდიელები გამოჩნდნენ. ევსევის ცეცხლისმკვესავმა ჭროღა თვალებმა მიიპყრო მათი ყურადღება. ევსევი ხალხს შეერია, თეთრებიც უკან გაჰყვნენ. ჩიქვანაიამ იგრძნო, რომ მახეში გაება და მაღაზიაში შევიდა, უკანა კარიდან აპირებდა გაპარვას.

— იქნება სხვა არის, — თქვა ერთმა პატრულთაგანმა და ჯიბიდან სურათი ამოიღო, დახედა — არა, არა ჰგავს, მაგრამ თვალები...

— თუ ეს მართლა ის წყეული ქართველია, დიდი ჯილდო გველის, — დასძინა მეორემ და...

ევსევიმ რევოლვერზე იტაცა ხელი, მაგრამ დაინახა, მაღაზიაში ბავშვები ქალებთან ერთად იდგნენ პურის რიგში. საკმარისია, ერთხელ გაისროლოს, რომ გამხეცებული დენიკინელები ყველას დახოცავენ. ოღონდ ევსევი დააპატიმრონ და, ბავშვებსაც არ დაინდობენ... გამცემის მეშვეობით მტერმა ოდესის იატაკქვეშელთა კომიტეტის ადგილსამყოფელსაც მიაგნო. ევსევი ციხის საკანში შეხვდა თანამებრძოლებს.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, — გაამხნევა ამხანაგები, — მალე ჩვენები მოვლენ...

ბუდიონის ლეგენდარული ცხენოსანი არმია ოდესის გასათავისუფლებლად ემზადებოდა. დენიკინელთა დღეები დათვლილი იყო. გალიაში დამწყვდეული დაჭრილი ლომივით ღრიალებდა და ღორბლებს ყრიდა გენერალი. მისი არმია დღითიდღე კარგავდა ბრძოლისუნარიანობას. საფრანგეთის სამხედრო გემებზეც არ იყო ყველაფერი რიგზე. მატროსები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ემორჩილებოდნენ მეთაურთა ბრძანებას, ხელსაყრელ შემთხვევაში კი იარაღს ზღვაში ყრიდნენ.

პარტიზანებმა გასაქცევად გამზადებული თეთრგვარდიელი ოფიცრები მოისყიდეს და დიდი ქრთამის ფასად ათავისუფლებდნენ ტყვეებს. წითელი ჯარის კომიტეტმა უზარმაზარი თანხა შეაგროვა ჩიქვანაიას გამოსასყიდად, მა-

გრამ ყოველი ცდა ამაო იყო. მტერმა იცოდა წითელი სარდლის ფასი და ვერ გაბედა მისი გაშვება.

მეორე დილით სროლის ხმამ შეაზანზარა საპყრობილეს ფანჯრის მინები.

* * *

დედა კი ელოდა.

წლები გადიოდა.

„წერილი მაინც მოეწერა, — ხმაში ცრემლი ერეოდა კესარიას, — წერილი მაინც მიმეღო“...

...და, ფოსტალიონმა ერთ მზიან დღეს დედას, შვილის ბარათის ნაცვლად, გაზეთი „იზვესტია“ მოუტანა. გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „წითელი არმია, პირველი ორგანიზატორები და ბელადები“, ეწერა: „ევსევი ჩიქვანაია — ოდესიდან უკანდახევის შემდეგ მესამე არმიის შტაბის უფროსი, 1918 წლის აპრილიდან მესამე არმიის სარდალი, 1918 წლის გაზაფხულიდან — ცარიცინის დაცვის მონაწილე, 1919 წელს — ოდესის დაცვის ხელმძღვანელი, 1919 წლის შემოდგომაზე, ოდესის აღების შემდეგ, დენიკინელებმა შეიპყრეს და დახვრიტეს“ („იზვესტია“, 1922 წ. № 252).

„დაწვრილებით, კარგად მიამბეთ შვილის ამბავი“, — ითხოვდა დედა, მაგრამ საფლავში ისე ჩავიდა, ვერაფერი შეიტყო.

დავიწყება თითქოს თავიდანვე დაებედა რევოლუციის სახელოვან რაინდს, კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა პრესაში მისი სახელი, ისიც საქართველოს ფარგლებს გარეთ...

მხედართუფროსი ვ. ანტონოვ-ოვსეენკო სამოქალაქო ომის თემაზე თავისი ჩანაწერების მეორე ტომში, რომელიც 1928 წელს არის გამოცემული, მეათე თავს მთლიანად უთმობს ჩიქვანაიას საბრძოლო ეპიზოდების აღწერას. აღსანიშნავია ე. ბრაჟნევ-ტრიფონოვის წიგნი — „Каленая тропа“, რომელიც 1932 წელს გამოვიდა. წიგნის ავტორი ცარიცინის დაცვის პერიოდში ჩიქვანაიას მოადგილე ყოფილა. წიგნში კარგად არის დახატული ჩიქვანაიას, როგორც ნიჭიერი მეთაურის, სახე. თავის დროზე ჩიქვანაიას პიროვნებით დაინტერესებულა დიდი რუსი მწერალი ა. ტოლსტოი. მწერლის არქივში ინახება ოცგვერდიანი ხელნაწერი, სადაც აღწერილია ჩიქვანაიას მიერ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციები. მწერალი ისე მოხიბლულა ჩვენი თანამემამულის ვაჟკაცობით, რომ განუზრახავს მასზე მხატვრული ნაწარმოების შექმნა. სამწუხაროდ, ამ ოცნებას ხორცი ვერ შეასხა.

1929 წელს გაზეთი „წითელარმიელი“ იუწყებოდა: „ამხ. ჩიქვანაიას რევოლუციური დამსახურების აღსანიშნავად ქალაქ ოდესის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი“.

საქართველოში კი მხოლოდ ვიწრო წრემ თუ იცოდა წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორის სახელი.

„არის ოდესაში ასეთი ქუჩა?“—ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში გაზეთმა „კომუნისტმა“ 1964 წელს თავის მკითხველებს ფართოდ მოუთხრო მარტვილელ ჭაბუკზე...

ახლა თბილისშიც არის ჩიქვანაიას სახელობის ქუჩა.

ჩიქვანაიაზე ახალ საარქივო მასალებს რომ ვეცნობოდით, უნებლიეთ მოგვაგონდა რენეს საფლავის ქვაზე ბევრისმთქმელი წარწერა. „წმ. პავლეს კათედრალში განისვენებს თვით ამ შენობის არქიტექტორი რენე, თუ თქვენ მის ძეგლს ეძებთ, მიმოიხედეთ თქვენს გარშემო“. ევსევი ჩიქვანაიას ხელთუქმნელი ძეგლია დიდებული დღევანდელობა, რომლის მოპოვებისა და დამკვიდრებისათვის ასე თავგანწირვით იბრძოდა რევოლუციის სახელოვანი რაინდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ისინი ოქტომბრის მონაპოვარს იცავდნენ

ცხრაას ორმოცდაოთხის ზაფხული იყო.

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისზე გავლით ფრონტზე მივეშურებოდით. ეშელონის რამდენიმე ვაგონი ახალბედა ოფიცრებს გვქონდა გამოყოფილი. ეშელონი რამდენიმე საათით თბილისში შეჩერდა. რკინიგზის სადგურის კიოსკში ერთ წიგნს ჩააფრინდა თვალი. „დასავლეთის ფრონტზე“ — ასე ეწერა მოყვითალო, უხეში ქაღალდის ყდაზე. ფურცლებიც ასეთივე ჰქონდა.

მერე კასპიის ზღვისპირებთან გასულმა ეშელონმა დასავლეთისკენ ქნა პირი და ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობებიდან რუსეთის ტრამალებზე გაიდა. ომის ნაკვალევზე მივდიოდით და ეს ნაკვალევი ჩვენს გულში ტოვებდა ჭრილობას, რომელიც შურისძიებისაკენ გვეძახდა. ვაგონის კარიდან გავყურებდი ომის ნაფეხურებს — ყუბარებისაგან მოთხრილ ორმოებს, ნასახლარებს, ქვისა და აგურის ჩონჩხებს, ახალ საფლავებს. მერე ხის საწოლზე ავძვრებოდი და გონების თვალით კვლავ ომის ნაფეხურებზე მივაბიჯებდი — ვკითხულობდი თბილისში ნაყიდ წიგნს. ვხედავდი ჭვავის ძნაზე გაშლილ ლოგინს, მასზე მწოლ სამი წლის გოგონას, ჯარისკაცებმა ერთ-ერთ ქოხში რომ იპოვნეს დასავლეთის ფრონტზე.

— სად არის დედა, პატარავ? — ეკითხებოდა ჯარისკაცი ბავშვს. ტყვიადაკრული გოგონა სისხლისაგან იცლებოდა. არ ტიროდა, გაოგნებული იყო. ქოხის ფანჯარაში გადახრილი მზის სხივები შეიჭრნენ. სხივებმა ბნელ კუთხესაც მიაშუქეს. ბავშვი თითქოს გამოცოცხლდა, ნზით განათებულ კუთხისკენ გაიხედა და თქვა:

— აგერ დედა! — და მისუსტებული ხმით დაიწყო ძახილი, — დედა, დედაა!

...კუთხეში ქალის კაბა ეკიდა.

ვკითხულობდი წიგნს და ვხედავდი დასავლეთის ფრონტის მებრძოლებს, გულთან მიმქონდა მათი ტკივილები, მახარებდა მათი შემართება და გაუტეხლობა.

ეშელონი კი მიდიოდა. ეს პატარა წიგნი მეგზურივით მომყვებოდა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და იოსებ გრიშაშვილის ლექსების წიგნებთან ერთად. იმ ყვითელყდიანი წიგნის ავტორი იყო ჩემთვის კარგად ცნობილი კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი, რომელსაც ომმა დააწერინა პირველი მოთხრობები. და, საერთოდ, ეს წიგნი იყო პირველი წიგნი ქართულ ლი-

ტერატურაში, ომის უშუალო მონაწილე მწერალმა რომ შექმნა.

თან მიმყვებოდნენ ის ლექსებიც, გონებაში რომ მქონდა აღბეჭდილი. ერთ-ერთი მათგანიც ბავშვებზე იყო დაწერილი.

...გადამწვარ სოფელში მტრის მკვდარი ფოლადის სვავი ეგდო. ჯერ კიდევ ბოლავდა სახლების ნაშთები. მხოლოდ პატარა ბალღები, გუშინ ქუჩებსა და ჩიხებში რომ თამაშობდნენ, ახლა გარშემო შემორტყმოდნენ მკვდარ სვავს— ფოლადის თვითმფრინავს და ტირილით ურტყამდნენ პატარა მჯიღებს. ეს სურათი მოსკოვთან ენახა ირაკლი აბაშიძეს და ისე დაეწერა, რომ ვერაფერი დამავიწყებდა.

თან მიმდევდა მისივე „კაპიტანი ბუხაიძე", რომელიც ყოველ წუთში დამძახოდა:

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებთან ვწევარ,
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

სადღაც წამიკითხავს, სიტყვა ბრძოლაში ხშირად არმიის საქმეს აკეთებსო. სწორედ ასეთი იყო „კაპიტანი ბუხაიძე", რომელიც 1942 წელს კავკასიის მისადგომებთან სასტიკი ბრძოლების დროს შეიქმნა. და იგი მაშინვე, გამოქვეყნების პირველ დღეებშივე, ხალხმა აიტაცა, როგორც მამულის სიყვარულის და მისთვის თავდადების დროშა. მას ნღეროდნენ ბრძოლაში გასვლის წინ. იმეორებდნენ დაზგებთან და გუთნებთან.

არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ გველებს,
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს.
და ვუბარებ ყველა ქართველს,
მისი წმინდა ვალი არის,
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
დერბენტი და დარიალი.

და ეს სტრიქონები უმძლავრეს ძახილად მიგვყვებოდა.

ეშელონი კი მიდიოდა.

გვიან ღამემდე ღია იყო ვაგონის დარაბები. ქარს ვაგონში ზაფხულის ცხელ სუნთქვასთან ერთად ნედლი სიმინდისა და გათიბული ბალახის სურნელება შემოჰქონდა და ჭრილობებთან შებრძოლებული მიწის ღონიერი სუნთქვა გვაბრუებდა.

და იმ ღია დარაბიდან ხან რიგრიგობით, ხან ერთდროულად გაისმოდა რუსი ლიტვინოვის, სომეხი ბაღდასარიანის, ოსი აგუზაროვის, ქართველი გამსახურდიას, ებრაელი ტკაჩის ხმა. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ და ყველას თავისებურად ეხერხებოდა სიმღერა.

სხვადასხვა ენაზე მღეროდა ჩვენი ვაგონი.

სხვადასხვა ენაზე გაისმოდა საბრძოლო შემართებაც და ვაჟკაცური სევდაც, რომლებიც ერთნაირად გასაგები იყო ყველასათვის. მღეროდნენ სამამულო ომის დროს შექმნილ პოპულარულ სიმღერებსაც და უძველეს ხალხურ მელოდიებსაც.

ეშელონი კი მიჰქროდა და ომის ცეცხლთან გვაახლოვებდა.

ერთ დღეს ჩემს მეგობარს, გიორგი ჩაჩხუნაშვილს წავადექი თავზე — ვაგონის კუთხეში მიმჯდარიყო და წერდა. ვიფიქრე, ეს დედისერთა ბიჭი დედას თუ სწერს-მეთქი წერილს. ნაწერს ლექსის ფორმა ჰქონდა. ჭაბუკი ისეთ ღრმა ფიქრში იყო წასული, რომ დალაპარაკება ვერ შევბედე. თურმე მართლა ლექსს წერდა, თავის სიცოცხლეში რომ არ უფიქრია ლექსის წერაზე, ომში გასვლის წინ სწორედ ლექსად უნდოდა ეთქვა სიყვარული მამულისა.

თვეზე მეტი ხნის მგზავრობის შემდეგ გზა გათავდა. ერთ ყაზარმაში გამოვეთხოვეთ ერთმანეთს და უკრაინის

თეიმურაზ ჯანგულაშვილი
ისინი ოქტომბრის მონაპოვარს იცავდნენ

პირველი ფრონტის ვრცელ უბანზე დავიფანტენით. ორი დღის ძებნის შემდეგ ვისლაზე, სანდომირის პლაცდარმზე, როგორც იქნა, ვიპოვნე ჩემი სამხედრო ნაწილი და ოცეული ჩავიბარე.

ერთი განუყრელი ოჯახივით იყო სანაღმტყორცნო ასეული, სადაც ჩემი ოცეული შედიოდა.

მშვიდი იყო სექტემბრის ქარვისფერი საღამო, ჩემი საფრონტო ნათლობის პირველი საღამო. ტყეში კანტიკუნტად თუ ამოიყეფებდა ხოლმე ქვემეხი. ყველაზე მოზრდილ მიწურში ასეულის ოფიცრები — სულ ოთხი კაცი და ათმეთაურები შევიყარენით. მიწურში ღრუბელივით ტრიალებდა წეკოს კვამლი და ჩვენი სუნთქვა აკანკალებდა შინელის ნახევისგან გამოჭრილ და ქვენეხის მასრაში ჩადგმულ პატრუქს. თითქმის ყველა იქ მყოფი სტალინგრადიდან, დონისა და დნეპრის ნაპირებიდან მოდიოდნენ ბრძოლით. ახალბედა ფრონტელი მათ შორის ისე ვიჯექი, როგორც პირველ კლასში პირველ დღეს მიყვანილი მოწაფე.

იმ პირველ საღამოსვე ვნახე ასეულის ერთ-ერთი მთავარი განძეული.

ასეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა ლეონიდ სმირნოვმა, საველე ჩანთიდან რვეული ამოიღო. იგი სხვადასხვა ფერის და ზონის ქაღალდისგან იყო შეკერილი. მასში სხვადასხვა ხელით, ფანქრით თუ მელნით ჩაწერილი იყო ლექსები, რომელთა ავტორებიც იყვნენ გამოჩენილი საბჭოთა პოეტები თუ რიგითი ჯარისკაცები.

აღარავის ახსოვდა, ვინ მოკეცა პირველად რამდენიმე ფურცელი და ვინ ჩაწერა მასში პირველი სტრიქონები. რვეული ხელიდან ხელში, უბიდან უბეში გადადიოდა, იზრდებოდა, ივსებოდა.

პირველი სტრიქონები სტალინგრადისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში დაუწერიათ. ლექსს, ამ რვეულში შეტანის ღირსად რომ სთვლიდნენ, აწერინებდნენ იმას, ვისაც ასეულში ყველაზე კარგი ხელი ჰქონდა. თუ ხელი შეცვლილი იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი პატრონი ან დაიჭრა და ასეულიდან წავიდა, ანდა დაიღუპა. რვეულის ბოლო ფურცლები სერჟანტ უდოვიკის ჩაწერილი იყო. იგი ვისლაზე დაცემულა ბრძოლაში. ახლა რვეულს თვით ასეულის მეთაური ატარებდა. მასში ჩაწერილ ლექსებს მღეროდნენ ბრძოლაში გასვლის წინ თუ ბრძოლის შემდეგ.

ლეონიდ სმირნოვი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ლექსის ერთი სტრიქონიც კი არ დაეწერა და ბრძოლაში საშუალო სკოლის მერხიდან წამოსულიყო, შთაგონებით, კარგი პოეტივით კითხულობდა „ვასილ ტიორკინის“ ნაწყვეტებსა და სიმონოვის „მელოდეს“, სურკოვისა და ტიხონოვის სტრიქონებს. მას წაკითხვაც არ სჭირდებოდა, ზეპირად იცოდა თითქმის ყველაფერი.

ის რვეული გახდა ჩემი თანამგზავრიც. მას გზადაგზა კვლავ ემატებოდა სხვადასხვა ფერის ფურცლები და იმ ფურცლებზე იწერებოდა ახალი სტრიქონები. ეს იყო საბჭოთა პოეტების ლექსები, რომლებსაც გაზეთებში ანოვიკითხავდით. სმირნოვს თავისი ლამაზი ხელწერით ლექსები რვეულში გადაჰქონდა.

რვეულში იყო უსახელო ავტორების ლექსებიც — მებრძოლი ჯარისკაცების გულშიჩამწვდომი სტრიქონები. ერთხელ ერთი მათგანი გადმოვაქართულე და უბის წიგნაკში ჩავიწერე:

რა დავმალოთ, ჩვენ ბრძოლებში
ლამაზ გრძნობებს როდი ვკარგავთ,
გოგონების სიყვარულზე
ოცნებები მოგვიქარგავს.
მიწყნარდება ბრძოლა როცა
და სიჩუმე ითვლის წუთებს,
ბარათს ვატანთ ციურ კოცნას,
გულის თრთოლვას უსათუოესს.
ვწერთ, თუ როგორ ქუხდა ბრძოლა,
ბილწი მტერი ვჩეხეთ როგორ,
ვწერთ... (ო, იქნებ შეგაჟრჟოლა,
ცისფერთვალა ჩემო გოგო!..)
ვწერთ და თქვენ თუ დუმხართ, მაშინ
ო, მოწყენა იცის მძიმე,
მოხშირებით ვქაჩავ თუთუნს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში დარდი გვიციმციმებს.
და სასურველ პასუხს ველით,
და შეხვედრის წუთსაც ვნატრობთ...
სანგრის თავზე ქარი ნელი
დაშრიალებს მარტოდმარტო.

ლეონიდ სმირნოვმა შემამჩნია. მეტი გზა არ მქონდა და გამოვუტყდი: ლექსებს მეც ვწერ-მეთქი. გამოტეხვა აღარ მაკმარა, ლექსის წაკითხვაც მაიძულა. ჩემს ქართულს უსმენდნენ, უსმენდნენ ისე, თითქოს ყოველი სიტყვა გაეგებოდათ. აღარც ეს მაკმარეს — დამსვეს და წინ ის რვეული დამიდეს. რუსული და უკრაინული სტრიქონების გვერდით პირველად „დავბეჭდე“ ამ რვეულში ჩემი ლექსი „ბერლინისაკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები თბილისს“. მოკრძალებით და სიამაყის გრძნობით გამონყავდა ქართული ასოები.

მერე იქვე, სანდომირის პლაცდარმზევე, შუაღამით, სათვალთვალო პუნქტზე ყოფნისას გადმოვაქართულე იმ რვეულშივე ჩაწერილი „ღამეა ბნელი“. ეს სიმღერა მეტად პოპულარული იყო ომის წლებში. დღე არ გავიდოდა, რომ არ გამეგონა მისი სევდანარევი და ვაჟკაცური მელოდია.

იმ რვეულის ფურცლებს შერჩა ამ სიმღერის ქართული ტექსტიც.

სიყვარულისა და მრისხანების რვეული, როგორც საბრძოლო დროშა, სტალინგრადიდან დაუვიწყარი ცხრა მაისის გარიჟრაჟამდე ატარა ჩვენმა ასეულმა.

არ ვიცი, ომის დამთავრების შემდეგ ვის დარჩა იგი — კოსტრომელ სმირნოვს თუ ტულელ მაკაროვს, იაკუტელ პოპოვს თუ გორკელ მამაევს, მაგრამ ვიცი, რომ იგი რომელიმე ჩვენს თანამებრძოლთან ინახება, როგორც პოეტური მატიანე ომის დიდი გზისა, როგორც ბრძოლაგადახდილი სიმღერა, რომელიც ახლაც ადიდებს ჩვენს მამულს, ჩვენს სიცოცხლეს, რომელიც ახლაც იბრძვის ომების წინააღმდეგ.

ასე ვნახე ბრძოლის ველზე ლექსი — ხიშტი, ლექსი — ფარი, ლექსი — დროშა.

...მაშინ ჩვენ უკვე გერმანიაში ვიბრძოდით. რკინიგზის ახლოს, მიწაყრილთან, ხელისგულივით წინ რომ ედო მტრის სატყვიამფრქვევო ცეცხლს, ვიღაც ჩვენი დაჭრილი მეომარი იწვა. ვერა და ვერ გამოვიყვანეთ ცეცხლიდან. ვინც კი მისკენ გაჭრა სცადა, ყველა დაგვიჭრა მტერმა.

— ბიჭებო, ჩემი გულისათვის ნუ იხოცავთ თავს! — ყვიროდა დაჭრილი. ეტყობოდა, ძალიან უჭირდა, უკანასკნელ ძალას იკრებდა ამ სიტყვების სათქმელად. უმძიმესი იყო სასწორის ის მხარე, რომელზედაც იმ უცნობი მებრძოლის სიცოცხლე იდო.

უცებ იმ მხრიდან სიმღერა მოისმა. არასოდეს მომისმენია ისეთი სიმღერა. ჯერ ახლად დაბადებულ წყაროსავით წამოვიდა, მერე ძლიერ ნიაღვარად აჩანჩქერდა და მძლავრი ტალღებით გადმოთქერა ჩვენსა და მის შორის ჩაწოლილი სიკვდილის ველი. ეს იყო რისხვაც და ტკივილიც, ჟრჟოლაც და მოწოდებაც. ეს იყო რაღაც დიდი და უჩვეულო ,რომელსაც ჩვეულებრივ სახელს ვერ დაარქმევ.

იმ სიმღერამ დაგვძრა, გაგვიტაცა, ყველაფერი დაგვავიწყა, მტრის მოსპობის გარდა, და როცა უკვე მტერი ავყარეთ და იმ ჭაბუკის შველა შეგვეძლო, ის სიმღერაც მიწყდა.

გულაღმა იწვა, ღიად დარჩენილი თვალებით იმედიანად გაჰყურებდა სივრცეს, პირიც ღია დარჩენოდა. გეგონებოდა, საცაა ჩაისუნთქავს და ისევ წამოიწყებსო სიმღერას.

გული კი აღარ უცემდა სისხლისგან დაცლილს.

შემთხვევით როდი გამახსენდა ეს ეპიზოდები.

ვინმემ რომ მკითხოს, რით ებრძოდითო მტერს, ვეტყოდი — სიმღერითმეთქი. ეს იარაღი ყოველთვის თან ახლდა ჩვენს ხალხს და ამ იარაღს არც არასოდეს უმტყუნია ჩვენთვის. ეს ისე-

---

თეიმურაზ ჯანგულაშვილი
ისინი ოქტომბრის მონაპოვარს იცავდნენ

თი იარაღია, მუდამ თან რომ გახლავს, მუდამ თან რომ ატარებ გულით. იგი არც ჟანგდება და არც ჩლუნგდება.

ქართველი ხალხიც სამართლიანად ამაყობს ხიშტსგათანაბრებული კალმით — მძლავრი იარაღით, რომლითაც იგი მოძმე ხალხებთან ერთად იცავდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერებას, ოქტომბრის მზისფერ დროშებს, რევოლუციის დიად მონაპოვარს.

არ დარჩენილა არც ერთი ქართველი პოეტი, რომელიც ბრძოლის ველზე არ გასულიყო თავისი შემმართებელი სიტყვით, თავისი ომახიანი ხმით. ქართველმა პოეტებმა სამამულო ომის წლებში შექმნეს დიდი პოეზია, რომელნაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენს დიად გამარჯვებაში.

კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა! —
გადაივიწყე სხვა ყველაფერი!

სამამულო ომის პირველ დღეებშივე გაისმა ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე აბაშელის ეს მოწოდება და მთელი ომის მანძილზე ამ სიტყვების ერთგული დარჩა მთელი ქართული ლიტერატურა, ქართული პოეზია.

ომის პირველ დღეებშივე საბრძოლო დაძახილად გაისმა ირაკლი აბაშიძის „საქართველოს პოეტებს". პოეტი ამ ლექსში ამბობდა, ნამდვილი მგოსნისათვის უცხო არ არის მტერზე ხმალამოღებაო. ამ ხმალამოღებული მწერლობის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი, ირაკლი აბაშიძე, ხშირად იმყოფებოდა მოქმედ არმიაში, ჩრდილოეთ კავკასიასა თუ ყირიმში და ხმამაღლა რეკდა მისი მგზნებარე სიტყვა: „სამშობლო იყოს ჩვენი დიდება".

თუ ჩვენ სიყვარულს ვიყოფდით გუშინ
დღეს ვაჟკაცობა გავინაწილოთ!

ლომივით აბუხუნდა გიორგი ლეონიძე და ომის წლებში მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა. ქართველმა მეომრებმა ყირიმში ბრძოლის წინ მოისმინეს თვით ავტორის მიერვე წაკითხული ლექსი „ქართველ მეომრებს" და ეს ლექსი ხიშტთან ერთად წაიღეს ბრძოლის ველზე.

დიახ, მამულის მხედრები მარტო ჟურნალ-გაზეთებში როდი კითხულობდნენ საბრძოლო ლექსებს. ისინი თავიანთ პოეტებს პირადადაც უსმენდნენ ზედ ცეცხლის მოწინავე ხაზზე. ხშირად დადიოდნენ ფრონტებზე გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, სოლომონ თავაძე, გიორგი ქუჩიშვილი, კარლო კალაძე, რაჟდენ გვეტაძე, გიორგი კაჭახიძე, ანდრო თევზაძე, ბორის ჩხეიძე, როდიონ ქორქია, სიმონ მთვარაძე.

მწერლის მართალ და მგზნებარე სიტყვას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიჰყავდა ათასები, რაზმავდა მამულიშვილებს ჩვენი პარტიის ძლევამოსილი დროშის ირგვლივ. გავიხსენოთ თუნდაც გალაკტიონ ტაბიძის „ამ დღეებს ძეგლი უნდა აუგო" და იოსებ გრიშაშვილის „ორი სიტყვა", სიმონ ჩიქოვანის „მამულს ვუთხრათ გამარჯვება" და გრიგოლ აბაშიძის „ძლევის ქედი", ალიო მირცხულავას „მყინვარი" და ილო მოსაშვილის „მისი ბარათი", ლეო ქიაჩელის „მამა და შვილი" და კონსტანტინე გამსახურდიას მგზნებარე პოლიტიკური პამფლეტები, ვიქტორ გაბესკირიას თავისებური ლირიკული ლექსები და ლადო ასათიანის „ქართველ ცხენოსანს", სანდრო შანშიაშვილის „დედის ფიქრი" და კარლო კალაძის „საარტილერიო დუელი", ალექსანდრე საჯაიას „ოლეგ კოშევოი" და ალეკო შენგელიას „წერილი მამას", იოსებ ნონეშვილის „ჩვიდნეტნი" და რაჟდენ გვეტაძის „სიმღერა შალამბერიძეზე", შალვა აფხაიძის, დავით გაჩეჩილაძის, მაყვალა მრევლიშვილის, მარიკა ბარათაშვილის, ალიო ადამიას, ვასო გორგაძის, სანდრო ეულის, ბონდო კეშელავას, გიორგი კალანდაძის, მარიჯანის, მარიკა მიქელაძის, ვარლამ ჟურულის, ანდრია სინაურის, გიორგი შატბერაშვილის, ნიკოლოზ ჩაჩავას, გრიგოლ ცეცხლაძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, სამა-

მულო ომისდროინდელი მწერლობის უმრწემესი თაობის წარმომადგენლების ოთარ ჭელიძის და ხუტა ბერულავას ლექსები.

რომელ ერთს ჩამოთვლი!

საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის მოვალეობის აღსასრულებლად მოქმედი არმიის რიგებში ქართველი მწერლებიც ჩადგნენ.

ომის პირველ დღეს რიგითი ჯარისკაცის ფარაჯაში შეხვდა მირზა გელოვანი — მაღალი რწმენისა და სიყვარულის ადამიანი. ნას სჯეროდა სიცოცხლის, „ათასი წლობით სიცოცხლეც ეცოტავებოდა“, და აი ტყვიის წვიმის ქვეშ დაწერილ ლექსში მაინც წამოსცდა: „თქვენ მაპატიეთ, ო, მაპატიეთ დანაშაული არდაბრუნების!“ აუხდა კიდეც ეს კვიმატი სიტყვა, გმირული სიკვდილით დაეცა და ველარ დაბრუნდა.

მისი ბედი გაიზიარა სევერიან ისიანმა. ისიც ომის პირველ დღეებშივე გავიდა ბრძოლაში და ვაჟკაცურად თქვა სიკვდილის წინ:

რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება.

გაზაფხულს, ყვავილებს, შეუშფოთველ სიყვარულს, აკვანში მძინარე ჩვილს უმღეროდა სანდრო ჟღენტი. ყოველივე ეს მრისხანე გრიგალმა შეცვალა. პოეტმა ბრძოლით გაიარა გზა თერგიდან აზოვის ზღვამდე. ოფიცერ პოეტს თან კალამიც დაჰქონდა და დივიზიის გაზეთ „სამშობლოს დამცველში“ ბეჭდავდა ცეცხლოვან ლექსებს.

ჩემო სამშობლოვ, ჩემს სიჭაბუკეს
შენ შემოგწირავ, გწამდეს მარადის!

და ამ სტრიქონების დაწერიდან ორი დღის შემდეგ აღასრულა თავისი სიტყვა.

ომის წინა დღეებში ჩვენს ლიტერატურულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა ვლადიმერ უბილავას ლექსები. ომმა არდადეგებზე სოფელში მყოფს მოუსწრო; თქვა „ვერ გამითელონ ბაღში ვარდებიო“ და მოხალისედ წავიდა არმიაში. ფრონტზე ხიშტთან ერთად კალამიც მოიმარჯვა:

ძმებო, ჩვენს მამულს ვყავდეთ დარაჯად
ხიშტებისა და ხმლების კაშკაშში!

და ამ სადარაჯოზე, ქალაქ ვოროშილოვგრადის მისადგომებთან ვაჟკაცურად დაიღუპა.

სამარადისო ძილით განისვენებენ გიორგი ნაფეტვარიძე და დავით პიტალიშვილი, მაგრამ მათი ლექსები განაგრძობენ სიცოცხლეს. ომიდან აღარ დაბრუნებულან მწერალი ალექსანდრე სულავა, სრულიად ახალგაზრდა ბელეტრისტი ია ჩხაიძე. სადღაც ომის გზებზე ჩაიმუხლა ვაჟიკა ფხოველმა, ჭაბუკმა, რომელმაც სულ რამდენიმე ლექსი დატოვა ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე.

ჰიტლერ, ჩაძაღლდი!
დგება ღამე უკანასკნელი
უკანასკნელი რეაქციის, ვალპურგის ღამე!

ჯერ კიდევ 1933 წელს, გერმანიაში მომხდარი ფაშისტური გადატრიალების რამდენიმე დღის შემდეგ გაისმა ალექსანდრე გომიაშვილის ეს მრისხანე ხმა. ამ სიტყვებით მთავრდებოდა მისი პოემა „ისევ ეძახიან გერმანიას“ და აი რვა წლის შემდეგ, 1941 წელს ამ ხმას დაერთო საარტილერიო ცეცხლი, რომლითაც ყირიმის მიწაზე შემოჭრილ მტერს დახვდა ის სამხედრო ნაწილიც, რომლის უფროსი პოლიტხელიც ალექსანდრე გომიაშვილი იყო. ყირიმის ველებზე ბრძოლით მიმავალმა პოეტმა, კაპიტანმა, „სნაიპერის სიყვარულისა“ და სხვა მხედრული ლექსების ავტორმა, ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა სამამულო ომის თემაზე.

სამამულო ომისდროინდელ პოეზიაში თავისი შესანიშნავი სიტყვა თქვა რევაზ მარგიანმა, ყირიმის ბრძოლების მონაწილემ. იგი ქართულ დივიზიაში მსახურობდა და მისი მებრძოლი ლექსები დაწერის წუთებიდანვე ჩვენი მე-

---

თეიმურაზ ჯანგულაშვილი
ისინი ოქტომბრის მონაპოვარს იცავდნენ

ომრების სულიერ იარაღად იქცეოდა ხოლმე.

ჯარისკაცის უმძიმესი ბედი ხვდა წილად ლადო სულაბერიძეს. ყირიმში მძიმედ დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილი ომის სისხლიანმა მორევმა მავთულხლართებში შეიტაცა და სულის მოსაფონებლად პოეტური სტრიქონებიღა დაუტოვა.

ჯარისკაცის გრძელი გზა განვლო შალვა ამისულაშვილმა. ვორონეჟიდან უკრაინის ველებით გაიარა უნგრეთი და ავსტრია. სადღაც შორს, მადიარების მიწაზე არტილერიის შტაბთან საგუშაგოზე მდგომი პოეტი მშობლიურ საქართველოს წარმოიდგენდა და უფრო მეტი გააფთრებით ეკვეთებოდა მტერს. სახლში მიმავალმა ბუდაპეშტში აღმართულ ობელისკზე თავისი დაღუპული ძმის სახელი ამოიკითხა და ქვის სვეტად ქცეული ჯარისკაცის სუნთქვა სამშობლოში ჩამოიტანა.

მურმან ლებანიძე კავკასიის მისადგომებთან ჩაება ბრძოლაში და ომის ცეცხლში ნამუსის ქუდივით გამოატარა ჯარისკაცის ქუდი.

ეი,ეს ქუდი მფარავდა,
ეი, ეს ქუდი მეხურა,
კრასნოდართან და მარუხთან
მტერს რომ ვუტევდი ვეფხურად.

მზვერავმა ჯარისკაცმა ვახტანგ გორგანელმა სამშობლოში, ნაჭრილობევთან ერთად, ჯარისკაცის მართალი სიმღერებიც ჩამოიყოლა:

ო, მე მას შემდეგ სტალინგრადის
ცეცხლივით ვიწვი
და იმის შუქთა გვირგვინი მხურავს.

ომის დასაწყისში ონის რაიონულ გაზეთში იბეჭდებოდა ჭაბუკი პოეტის აკაკი გეწაძის ლექსები. და აი, ომის წლებში „მნათობის“ ფურცლებზე გამოჩნდა საბრძოლო ლექსები, რომლებსაც ხელს აწერდა ეფრეიტორი აკაკი გეწაძე. ჩვენი სახელგანთქმული „კატუშას“ მემიზნემ თავისი საბრძოლო გზა სტალინგრადიდან დაიწყო და გაჰყვა უკრაინის, რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ველებს.

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მებრძოლთა სიცოცხლის სადარაჯოზე დადგა ახალგაზრდა ექიმი თინა დონეაშვილი, საველე ჰოსპიტლის ქირურგის საბრძოლო გზა ყირიმიდან დაიწყო და პრუსიაში დამთავრდა. შემდეგ მედიცინის მაიორი თინა დონეაშვილი საველე ჰოსპიტალს იაპონიის ომშიც გაჰყვა.

მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლაში ჩაბმულმა ვანო ურჯუმელაშვილმა პრუსიამდე იარა და შემდეგ კორეის გათავისუფლებისათვის იბრძოდა.

ელიზბარ მაისურაძემ თავისი პირველი მოთხრობის პირველი სტრიქონები ყირიმში გათხრილ სანგრებში დაწერა.

ბელორუსიის ტყეებში ბელორუს, უკრაინელ და რუს პარტიზანებთან ერთად მტერს დაუნდობლად მუსრავდა დავით კვიცარიძე.

ომის თემაზე შექმნილ ლიტერატურას ერთ-ერთი საყურადღებო წიგნი „ჯარისკაცის ჩანაწერები“ შემატა გიორგი ქავთარაძემ, რომელიც დიდხანს იტანჯებოდა ფაშისტების ტყვეობაში.

არ შემიძლია, აქ არ მოვიხსენიო ალექსანდრე კალანდაძის მეტად საყურადღებო წიგნი „პიასტის ნამუხლარზე“. ეს ავტობიოგრაფიული რომანი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია, მართალი და ახალი წიგნია.

სამშობლოსათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უდიდეს როლს ასრულებდა ჩვენი პრესა, განსაკუთრებით, არმიული პრესა. ამ მრისხანე და საჭირო იარაღსაც ემსახურებოდნენ ქართველი მწერლები. მყუდრო და გაშლილ ოთახებში როდი იყო მოთავსებული ეს რედაქციები. ცეცხლსა და გრიგალში ისინი ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ თავიანთ სამხედრო ნაწილებს. მათ თავზე ჭურვები დაჰყეფდათ და ტყვია აწვიმდათ. მებრძოლი ჯარისკაცების მხარდამხარ იდგნენ ჩვენი საფრონტო პრესის მუშაკები: კონსტანტინე ლორთქი-

ფანიძე, დემნა შენგელაია, ვანიონ დარასელი, იოსებ ნონეშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, ელიზბარ ზედგინიძე, პოლიო აბრამია, ნიკა აგიაშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე, კალე ბობოხიძე.

სამამულო ომში მონაწილეობდნენ რევაზ ჯაფარიძე, ვლადიმერ თორდუა, გრიგოლ ბერძენიშვილი, ალექსანდრე შანიძე, ილია ხოშტარია, ვასილ გვეტაძე, კარპე მუმლაძე, ვასილ ბაიაძე, მიხეილ ზანგურაშვილი, შოთა ლომსაძე.

და ყოველმა მათგანმა ომის დღეებშივე თუ ომის შემდეგ თქვა თავისი მგზნებარე სიყვარულისა და სიძულვილის ხმამაღალი სიმღერა.

ქართველი მწერლები კვლავ განაგრძობენ ომის თემატიკაზე მუშაობას. მათ კიდევ ბევრი რამ აქვთ სათქმელი.

...გერმანიიდან სამშობლოში ფეხით დავბრუნდი.

რა საოცარმა გრძნობამ შემიპყრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარს მოვუახლოვდი. არ შემიძლია ამ გრძნობის გამოთქმა. ხიდზე, რომელზედაც საზღვრის ხაზი გადიოდა, მაღალი თაღი აღემართათ. მამულის დროშები მზესავით ენთო იმ თაღზე. სამწყობრო ნაბიჯით მოვუძღვოდი წინ ჩემს ოცეულს. ოცეული მღეროდა, მღეროდა ასეული, მღეროდა ბატალიონი, მღეროდა პოლკი. არც იმ სიმღერის დავიწყება შემიძლია. ომგადახდილი მხედრობა სიმღერით ხვდებოდა გამარჯვებულ მამულს, მშობლიურ მიწა-წყალს და მაშინ გამიელვა აზრმა:

„ვინც ბრძოლა იცის, სიმღერაც იცის. ვინც შრომა იცის, იმას სიმღერაც უხდება. ვინც სიყვარული იცის უსიმღეროდ ვერ გააჩერებ!“

ეს ბრძოლა, ეს შრომა, ეს სიყვარული ჩვენ გვასწავლა საბჭოთა სამშობლომ, ჩვენმა დიადმა დრომ, რომლის პირველი დღეც ცხრაასჩვიდმეტის ოქტომბერში გათენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასტას მიქოიანი

მეთერთმეტე არმია ბაქოში მიდის

1920 წლის აპრილში ამხანაგების ჯგუფთან ერთად მოსკოვიდან ბაქოში ვბრუნდებოდი, რათა მონაწილეობა მიმეღო ბაქოს მუშათა შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში აზერბაიჯანის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანას ინგლისელთა მხარდაჭერით განაგებდა. მივემგზავრებოდი ტაშკენტისა და კრასნოვოდსკის გავლით. ამ დროს კრასნოვოდსკი წითელი არმიის მიერ უკვე გათავისუფლებული იყო.

შუა აზიაში წითელ არმიას მ. ვ. ფრუნზე სარდლობდა. მას ვთხოვეთ, ბაქოში გასაგზავნად შაშხანები მოეცა. კომუნისტმა მეზღვაურმა სტოროჟუკმა მოტორიანი ბარკასით კასპიის ზღვა გადაცურა და ეს შაშხანები ბაქოში არალეგალურად ჩაიტანა. იქ იარაღი მუშებს დაურიგეს. მეორე ბარკასით კრასნოდონსკიდან ჩვენ გავემგზავრეთ. ზღვაში კომპასი გაგვიფუჭდა, გზა აგვებნა და დიდხანს ვერ გამოვარკვიეთ, სად ვიმყოფებოდით. მაგრამ, აი, ნაპირზე შუქი შევნიშნეთ. ზოგი ამბობდა, ეს ირანის ნავსადგურ ენზელის (ფეჰლევის) შუქურა უნდა იყოსო, ზოგს კი ეგონა, დაღესტანს მივადექითო. ჩვენ თან გვახლდა გამოცდილი მეზღვაური სემიონოვი. მან კლდეების მიხედვით დაადგინა, დერბენტის სანაპიროსთან ვართო, მაგრამ გვითხრა, აქ ნაპირზე გადასვლა შეუძლებელია, თანაც ასეთ ცუდ ამინდშიო.

გადავწყვიტეთ, პეტროვსკისკენ (ამჟამად მახაჩყალა) წავსულიყავით. ვიცოდით, რომ წითელი არმია დაღესტნისკენ მიემართებოდა, მაგრამ იმხანად სად იმყოფებოდა, არ ვუწყოდით. პეტროვსკს დილაადრიანად მივუახლოვდით. თან ვფიქრობდით, თუ ნავსადგურში გემები არ დგას, მაშ ქალაქი გათავისუფლებულია, თეთრები იქიდან წასულნი იქნებიანო. მალე დავინახეთ, რომ რეიდზე და ნავსადგურში არც ერთი გემი არ იდგა. მაშ გზა ხსნილია, მაგრამ მაინც შევფიქრიანდით, ვაითუ ნავსადგური დანაღმულიაო. ამიტომ ნავმისადგომს ნელა, ფრთხილად ვუახლოვდებოდით.

ნაპირს უხიფათოდ მივადექით. გარს წითელარმიელები შემოგვეხვივნენ და გვითხრეს, XI არმიის შტაბი აქვე, მატარებელშიაო. ჩვენ შტაბის ვაგონებს მივაშურეთ. იქ დაგვხვდნენ გ. კ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი, რომელთაც ადრევე ვიცნობდი. მათ გაგვაცნეს XI არმიის სარდალი კ. ლევანდოვსკი და სამ-

ხედრო საბჭოს წევრი მეხანოშინი. ეს იყო 1920 წლის აპრილის ბოლოს, როცა წითელმა არმიამ ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის ჯარები დაამარცხა (თეთრგვარდიელებმა ყირიმის ნახევარკუნძულზე გამაგრება მოახერხეს). XI არმიამ ჩრდილოეთ კავკასია გაათავისუფლა და აზერბაიჯანის ბურჟუაზიული სახელმწიფოს საზღვარს მიადგა. ლევანდოვსკიმ არმია შემდგომი ბრძოლებისთვის მოამზადა, მოწინავე ნაწილები მდინარე სამურის მარცხენა სანაპიროზე განალაგა და ჯავშნოსან მატარებლებს თავი ერთად მოუყარა.

ამ დროს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიურომ ორჯონიკიძესთან და XI არმიის შტაბთან კავშირი დაამყარა თავისი წარმომადგენლის ბესო ლომინაძის საშუალებით. იგი ბაქოდან არალეგალურად იყო ჩამოსული. 1919 წელს ლომინაძემ დიდი, აქტიური მუშაობა ჩაატარა ბაქოელ კომუნისტთა გაზეთის გამოსაშვებად. იგი პარტიის წევრებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ. მე და ლომინაძე კარგი მეგობრები ვიყავით, თუმცა ბაქოში მუშაობის ტაქტიკური საკითხების განხილვისას სხვადასხვა შეხედულებანი გვქონდა.

ბესო გულწრფელი, სამართლიანი კაცი იყო და როცა „სიტყვიერი შებრძოლების“ შემდეგ დარწმუნდებოდა, რომ ცდებოდა, ამას დაუფარავად აღიარებდა. ასეთ დავას ჩვენი ურთიერთობა არასოდეს გაუფუჭებია. ჩვენ განსაკუთრებით დავმეგობრდით 1919 წლის მაისის საყოველთაო გაფიცვის დროს. ორივე ვმონაწილეობდით ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის მუშაობაში, ორივე დაგვაპატიმრეს და ბაქოს საპატიმროშიც ერთად ვისხედით.

ლევანდოვსკიმ გაგვაცნო კავკასიის ფრონტის სარდლის ტუხაჩევსკის და ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის ორჯონიკიძის ბრძანება იმის შესახებ, რომ 27 აპრილს ჩვენს ჯარს უნდა გადაელახა აზერბაიჯანის საზღვარი და ბაქოელ მუშათა დასახმარებლად წასულიყო. ჩვენ ლომინაძეს დავავალეთ, ფრონტზე გადასულიყო და ბაქოში დაბრუნებულიყო, რათა ბაქოელი ამხანაგებისათვის წითელი არმიის შეტევის დაწყების დრო ეცნობებინა და ბაქოს მუშების მოქმედება ჩვენი არმიის მოქმედებასთან შეეთანხმებინა.

ლევანდოვსკიმ მდგომარეობა გაგვაცნო. დაზვერვის მონაცემების თანახმად აზერბაიჯანის მუსავატელთა მთავრობას 30-ათასიანი არმია ჰყავდა. ამათგან 20 ათასი ჯარისკაცი სომხეთის საზღვართან იდგა, 10 ათასი კი სხვადასხვა დასახლებული პუნქტების გარნიზონებში იყო განლაგებული. თვით ბაქოში იმყოფებოდა 2 ათასამდე ქვეითი ჯარისკაცი, იუნკერთა სასწავლებელი და არტილერია. უშუალოდ ჩვენი არმიის სიახლოვეს კი 3 ათას კაცზე ცოტა მეტი იდგა. ამგვარად, მუსავატელთა მთავრობას არ ჰყავდა ძალა, რომელიც ბაქოსაკენ მიმავალ XI არმიას სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა. ეს საშუალებას გვაძლევდა, ცხარე ბრძოლების გარეშე შეგვესრულებინა ბაქოელ მუშათა ნება, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში დავხმარებოდით. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანის მთლიანად გათავისუფლებისთვის წითელი არმიის შემდგომი წინსვლა შეიძლება შეეფერხებინა მუსავატელთა ჯარებს, რომლებიც ძირითადად სომხეთის საზღვართან იდგნენ. ეს მართლაც ასე მოხდა.

ჩვენთან ერთად ბაქოში ბრუნდებოდა სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროს წევრი ლევან ღოღობერიძე, კასპიის ზღვის იქით არალეგალურად რომ იმყოფებოდა. იგი XI არმიის სარდლობას შეუთანხმდა, ცხენოსანთა დივიზიის კომისრად დაენიშნათ.

მე და ღოღობერიძე კარგი მეგობრები ვიყავით და გვიხაროდა, რომ ბაქოს გასათავისუფლებლად ერთად მივდიოდით. ჩვენ ერთმანეთს 1918 წლიდან ვიცნობდით და ბაქოს პარტიულ ორგანიზაციაში რევოლუციური მუშაობისას

ანასტას მიქოიანი
მეთერთმეტე არმია ბაქოში მიდის

დავახლოვდით. ინგლისელთა მიერ ბაქოს ოკუპაციისას 1919 წელს ღოღობერიძე ბაქოს მუშათა მუდმივ კონფერენციას თავმჯდომარეობდა. ერთ ხანს ბაქოში მუსავატელთა საპატიმროს საკანში ერთად ვისხედით. იგი უბრალო გულისხმიერი, სიცოცხლით სავსე, დაუღალავი, უშიშარი კაცი იყო. მახსენდება ერთი ამბავი: 1919 წლის ზაფხულში მე და ლევანი თბილისში ვაპირებდით წასვლას პარტიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე დასასწრებლად. მაგრამ უეცრად შევიტყეთ, რომ აზერბაიჯანის პოლიციამ დააკავა ასტრახანიდან ჩამოსული ნავი, რომლითაც პარტიულ მუშაკთა ჯგუფი მოდიოდა და ლიტერატურა მოჰქონდა. ღოღობერიძე ერთი დღით დარჩა ბაქოში, რათა დაპატიმრებულთა გათავისუფლება როგორმე მოეხერხებინა. ეს საქმე უნდა მოეგვარებინა აზერბაიჯანის მთავრობის კონტრდაზვერვის იმჟამინდელი უფროსის მუსევის დახმარებით. მუსევი დიდი ხანია საიდუმლოდ იყო შესული კომუნისტური პარტიის რიგებში. ღოღობერიძემ და მუსევმა ამოცანა წარმატებით შეასრულეს, მაგრამ აზერბაიჯანის ხელისუფლებმა შეიტყვეს მუსევი ნამდვილად რას საქმიანობდა და ერთ ოფიცერს მისი მოკვლა დაავალეს. ეს ოფიცერი შევიდა სასადილოში, სადაც მუსევი და ღოღობერიძე ისხდნენ და მუსევს ხუთი ტყვია დაახალა. ამ დროს ლევანი ვეფხვივით ეცა ოფიცერს და რევოლვერზე ხელი უტაცა. ოფიცერმა სროლა შეწყვიტა, მაგრამ მალე ხელიდან გაუსხლტა და ორი ტყვია ახლა ლევანს ესროლა. ლევანი იატაკზე სისხლში ცურავდა, რევოლვერის ჩხაკუნი კიდევ შემოესმა, მაგრამ შიგ ტყვია აღარ იყო. ლევანი მძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ გადარჩა, რადგან გამოცდილმა ექიმმა ოკინშევიჩმა კარგად მოუარა. იგი თუმცა მენშევიკი იყო, მაგრამ ჩვენ კარგად გვეპყრობოდა.

მე მინდოდა, რაც შეიძლება მალე ჩავსულიყავი ბაქოში და ლევანდოვსკის ვთხოვე, ნება მოეცა, ქალაქში ჯარის პირველ ნაწილებთან ერთად შევსულიყავი. მან მითხრა, ბაქოში პირველად ჯავშნოსანი მატარებლების რაზმი შევაო. სწორედ ამ რაზმს ჰქონდა დავალებული, დანარჩენ ნაწილებს წინ გაძღოლოდა და ბაქოში შეჭრილიყო. ამიტომ, — მითხრა ლევანდოვსკიმ, — თუ ბაქოში ადრე გინდათ შეხვიდეთ, ამ რაზმს უნდა გაჰყვეთო. მე ვთხოვე XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს ს. მ. კიროვს, რომ ჯავშნოსან მატარებელთა რაზმის კომისრად დავენიშნე. ჩემი თხოვნა შეასრულეს.

ჩვენთან ერთად ბაქოში მოდიოდა ბაქოს მუშათა ორგანიზაციების აქტიური ხელმძღვანელი ოლგა შატუნოვსკაია. იგი აგამიროვთან და ბარხაშევთან ერთად ბაქოს მუშა-ახალგაზრდობის კავშირის შექმნის მოთავე იყო. მახსოვს, თებერვლის რევოლუციის შემდგომ პირველ დღეებში სტეფანე შაუმიანის რჩევით, ჩვენთან მოვიდა და მთხოვა, გვირჩიე, როგორ მოვაგვაროთ ამ კავშირის მუშაობაო.

მოსკოვიდან წამოსვლის წინ, გვეგონა, რომ ბაქოში წითელ არმიას ჩავასწრებდით. ელენე დიმიტრის ასულმა სტასოვამ მირჩია, როგორც კი ბაქოში ჩახვალ, დაზვერვის საქმე მოაგვარე და შეგროვებული ცნობები წითელი არმიის სარდლობას მიაწოდეო. სტასოვას რეკომენდაციით სადაზვერვო სამმართველოში მივედი. იქ მომცეს მითითებანი, როგორ მემოქმედა და მომამარაგეს სადაზვერვო საქმიანობისათვის აუცილებელი მასალით, შიფრით, ფულით და ძვირფასეულით. ახლა ყველაფერი ბაქოში მიმქონდა, მაგრამ ჩემთან ერთად მომავალმა არც ერთმა ამხანაგმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ასეთი ქონების წაღება ჯავშნოსანი მატარებლით, საბრძოლო ოპერაცია რომ უნდა ჩაეტარებინა, სარისკო იქნებოდა. ამიტომ მე და ორჯონიკიძემ გადავწყვიტეთ, ოლგა შატუნოვსკაიასთვის საქმის ვითარება გაგვეცნო და ამ ფასეულობის ბაქოში ჩატანა დაგვევალებინა. შატუნოვსკაიამ მოწყალების დის ტანსაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი გადაიცვა, გაიარა სამურის ტყე, სადგური იალომა, ფასეულობა ბაქოში მშვიდობით ჩაიტანა და პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხაზინადარს ი. ი. დოვლათოვს ჩააბარა.

XI არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ბაქოში მოდიოდნენ ამხანაგები კახიანი და ივანოვ-კავკაზსკი. აქამდე ისინი მოსკოვში ეწეოდნენ პარტიულ მუშაობას, ახლა კი საქართველოში არალეგალური მუშაობის ჩასატარებლად მიდიოდნენ. ამ რევოლუციონერ ამხანაგებს გზაში დავუმეგობრდი. ჩვენთან ერთად მოდიოდა აგრეთვე კომუნისტი ზავიალოვა. მას დავალებული ჰქონდა ბაქოში ქალთა შორის არალეგალური მუშაობის ჩატარება.

XI არმიასთან ერთად ასტრახანიდან მოდიოდნენ გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომუნისტები, ამხანაგები, მუსაბეკოვი და გ. ჯაბიევი. 1918 წელს ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ მათ ასტრახანს მიაშურეს, საბჭოთა რუსეთში პრაქტიკული მუშაობის სკოლა გაიარეს და ახლა გული სამშობლოსკენ მიუწევდათ. ისინი იყვნენ პარტიის ერთგული მუშაკები, ენთუზიასტები, უნარიანი პარტიული მოღვაწენი და როგორც კი ბაქოში ჩავიდნენ, მაშინვე საბჭოთა აზერბაიჯანის ხელმძღვანელი პოსტები დაიკავეს.

მათთან ერთად ასტრახანიდან ბაქოში მოდიოდა კომუნისტი მუსეიბ შახბაზოვი. შახბაზოვს თან ახლდა ცოლი, ლუბა, ისიც კომუნისტი. ისინი დერბენტში დავტოვეთ პარტიული საქმეების მოსაგვარებლად. შემდგომში შახბაზოვი აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი გახდა.

პეტროვსკიდან ჯავშნოსანი მატარებლების ადგილსამყოფელისაკენ გავეშურე და დერბენტის მახლობლად ჯავშნოსანთა ჯგუფის მეთაურს მიხეილ გრიგოლის ძე ეფრემოვს შევხვდი. ჯავშნოსანი მატარებელი „III ინტერნაციონალი", სადაც ეფრემოვის სამეთაურო პუნქტი იმყოფებოდა, აზერბაიჯანის სასაზღვრო მდინარე სამურის ხიდიდან ორას-სამას მეტრზე ტყეში მოფარებით იდგა. ამიტომ მდინარის გაღმა ნაპირიდან არ ჩანდა.

გაზაფხულის თბილი დღე იდგა, ხეები უკვე ფოთლით იმოსებოდა.

ეფრემოვმა წაიკითხა სარდლობის ბრძანება, რომელსაც ხელს აწერდა ლევანდოვსკი. ბრძანება იყო ძალზე მოკლე და უჩვეულო. ჯავშნოსან რაზმს ნაბრძანები ჰქონდა, 27 აპრილს საზღვარი გადაელახა, სწრაფად შეჭრილიყო ბაქოში, ნავთობის სარეწაოები დაეკავებინა და XI არმიის ძირითადი ძალების მოსვლამდე მუშათა რაზმების მხარდაჭერით დაეცვა სარეწაოები, თუ ვინმე ცეცხლის წაკიდებას დააპირებდა.

— რომელ საათზე დავიძვრებით? — ვკითხე ეფრემოვს.

— ბრძანებაში მხოლოდ იერიშის დაწყების დღეა მითითებული, — მიპასუხა მან, — საათი კი ნახსენები არ არის. რახან საათი არ მიგვითითეს, მაშ ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენ მოგვანდეს.

— მაშ როდის დავიძვრებით?

— ღამით, პირველის ხუთ-ათ წუთზე. რაც ადრე გავალთ, უკეთესია.

როგორ შესრულდა ლევანდოვსკის ბრძანება?

შევამოწმეთ ჯავშნოსანი მატარებლების მზადყოფნა, ვესაუბრეთ ჯარისკაცებს. დაზვერვამ გვაცნობა, მდინარის გაღმა ნაპირზე აზერბაიჯანის არმიის რაზმი დგას და შორიახლოს მიდი-მოდის დაბლინდაჟებული მატარებელი, რომელსაც ქართველი ოფიცერი მეთაურობსო.

მე და ეფრემოვმა გადავწყვიტეთ, ამ მატარებლის მეთაურთან მოლაპარაკება გვეცადა, შეგვემოწმებინა, ხიდი დანაღმული ხომ არ იყო, გაგვეგო, სად გადიოდა ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები, რომლებიც მოდარაჯე რაზმს მეზობელ სადგურთან აკავშირებდა.

ანასტას მიჭოიანი
მეთერთმეტე არმია ბაქოში მიდის

ხიდი არავის არ ეკუთვნოდა. ერთ ბოლოში ჩვენი დარაჯი იდგა, მეორეში — აზერბაიჯანელი. ჩვენ აზერბაიჯანელ დარაჯთან მივედით და ვთხოვეთ, დაბლინდაჟებული მატარებლის მეთაურისათვის გადაეცა ჩვენი თხოვნა — ხიდზე მოსულიყო მოსალაპარაკებლად. დარაჯმა მოდარაჯე რაზმის მეთაურს დაუძახა. მეთაურმა გვითხრა, მატარებელი სხვა სადგურისაკენ წავიდა და თქვენს თხოვნას ვერავის გადავცემთო. ჩვენ ვთხოვეთ, როცა მატარებელი დაბრუნდება, მაშინ გადაეცითო. შეგვპირდა, თხოვნას შეგისრულებთო.

მოდარაჯე რაზმის მეთაურს ეტყობოდა, ჩვენს მიმართ ცუდად არ უნდა ყოფილიყო განწყობილი. ამიტომ გადავწყვიტეთ, ხიდს იქით გადასვლას ვცდილიყავით.

ჩვენთან აზერბაიჯანელი ჯარისკაცები მოვიდნენ და მოგვესალმნენ. ჩვენი სტუმრობის მიზანი უკეთ რომ შეგვენიღბა და მათი სიფხიზლე მოგვედუნებინა, თავი ისე დავიჭირეთ, თითქოს სასმელს ვეძებდით და გულის მოსაგებად ასეთი საუბარი გავუბით:

— ჩვენ წითელი არმიის მეთაურები ვართ. თქვენთან სტუმრად მოვედით. არაყი კი არა გვაქვს, ჩვენთან აკრძალულია. კონიაკი ხომ არ გექნებათ?

— არა გვაქვს, მაგრამ ყიდვა შეიძლება. მხოლოდ, ფულია საჭირო, — გვითხრა რაზმის მეთაურმა.

— თუ ფულს მოგცემთ და ხვალ ამ დროს მოვალთ, კონიაკს მოგვიტანთ?

მე მათ ასეთი შემთხვევისთვის საგანგებოდ წამოღებული ფულის მთელი დასტა მივეცი (ფული მეფისა იყო და ჩვენთან არავითარი ღირებულება არ ჰქონდა, აზერბაიჯანში კი ადგილობრივ ფულზე უკეთ გადიოდა).

ჯარისკაცებს ვუთხარით, ომი არ იქნება, აზერბაიჯანის დელეგაცია პარლამენტის წევრის პეპინოვის მეთაურობით მოსკოვში მოსალაპარაკებლად წავიდა და სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელს მოაწერენო.

ვკითხეთ, როგორ ცხოვრობთო.

— თუ გსურთ, ნახეთ, — გვიპასუხეს ჯარისკაცებმა.

ხიდიდან რამდენიმე მეტრის იქით მდგარ საყარაულოსაკენ გავემართეთ. იქვე იდგა პატარა ყაზარმები 50-60 კაცისათვის.

გზადაგზა მე და ეფრემოვი ყველაფერს ვაკვირდებოდით და დავრწმუნდით, რომ ხიდი დანაღმული არ იყო და ზურგთან დამაკავშირებელი მავთულები რკინიგზის ყრილის გასწვრივ გადიოდა.

მივდივართ, აზერბაიჯანელ ჯარისკაცებს ვესაუბრებით, მეგობრულად ვექცევით. ისინიც მეგობრულად გვეპყრობიან. როგორც ჩანს, აზერბაიჯანის მხარეს სამშვიდობო განწყობილებაა.

უცებ დოლისა და ზურნის ხმა გაისმა. გამოჩნდნენ შემცვლელი გუშაგები.

„სითამამე იქნებ ძვირად დაგვიჯდეს, — გავიფიქრეთ ჩვენ, — კარგია, თუ შემცვლელ გუშაგთა მეთაურიც ამ ჯარისკაცებივით უბრალო კაცია. მაგრამ ვაითუ რეაქციული ოფიცერია და დაგვატყვევა?“ გუშაგები რომ არ დაგვეჭვებინა, ხუმრობა გავახშირეთ და რაკი მუსიკა უკრავდა, ცეკვაც კი დავიწყეთ. ცდამ ამაოდ არ ჩაგვიარა. ჯარისკაცები სულ უფრო გულღიად გვეპყრობოდნენ. საბედნიეროდ, შემცვლელ გუშაგთა მეთაური საუბრის მოყვარული, მიმნდობი კაცი გამოდგა. მაგრამ ჩვენ მაინც მალე გამოვბრუნდით უკან. გვეშინოდა, გონს არ მოეგონ და არ დაგვატყვევონო. გამომშვიდობებისას ვუთხარით, ხვალ ისევ გამოგივლით და კონიაკი დაგვახვედრეთო.

ხიდზე გადავედით და ახლა ისევ ჩვენს მხარესა ვართ. სახიფათო სტუმრობა სასიკეთოდ დამთავრდა. თანაც ბევრი რამ შევიტყეთ. თუმცა, ხომ შეიძლებოდა, რომ დავეტყვევებინეთ? რა მძიმე მდგომარეობა შეიქმნებოდა! იმ ღამეს, რამდენიმე საათის შემდეგ, ხომ შეტევაზე უნდა გადავსულიყავით, მაგრამ რაც კარგად მთავრდება, ყველაფერი კარგია.

ორი-სამი საათიც არ იყო გასული, როცა მოგვახსენეს, აზერბაიჯანელთა დაბლინდაჟებული მატარებლის მეთაური მოსალაპარაკებლად მოვიდაო.

ჩვენ შუა ხიდზე გავედით. იმათი მატარებლის მეთაურიც იქ მოვიდა. ტანმაღალი, ეფრემოვზე ხნიერი, ულვაშიანი კაცი იყო. სახეზე ღრმა ნაიარევი აჩნდა. სიმსუქნე შეპარვოდა, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა. თავდაჭერილად, ოფიციალურად იქცეოდა. ერთმანეთს გავეცანით. გვითხრა, მეფის არმიის შტაბს-კაპიტანი ლორთქიფანიძე ვარო. დაძაბულობა რომ შეგვენელებინა და მისი გული მოგვეგო, თანაც შეგვეტყო, რა კაცთან გვქონდა საქმე, ლაპარაკში ჩავურთეთ:

— ომი არ იქნება. თქვენ მეფის არმიის კაპიტანი, გამოცდილი მეთაური ხართ. ჩვენთან რომ გემსახურათ, დივიზიის მეთაურობას მოგცემდნენ, რადგანაც ოფიცრები ცოტა გვყავს. გადმოდით ჩვენთან, სიხარულით მიგიღებთ.

აქამდე ოფიცერი მშვიდად იყო, თავშეკავებით ლაპარაკობდა. მაგრამ როცა ჩვენს მხარეზე გადმოსვლა შევთავაზეთ, ხმას აუმაღლა:

— ამას როგორ მთავაზობთ? მე, ქუთაისის გუბერნიის აზნაური, რუსეთის არმიის ოფიცერი, ომში დაჭრილი, — მიგვითითა ნაიარევზე, — ბოლშევიკებს მივემხრო? ეს არასოდეს არ მოხდება!

— რამ აგაღელვათ, შტაბს-კაპიტანო? ჩვენ ბევრი გვყავს მეფის არმიაში ნამსახური ოფიცერი.

— არა და არა!

— თქვენი ნებაა...

მიზანს მივაღწიეთ: აზერბაიჯანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების სიფხიზლე მოვადუნეთ, არ ვაგრძნობინეთ, რომ შეტევის დაწყებას ვაპირებდით.

...დაღამდა. თბილი, წყნარი ამინდი იდგა. მთვარე უხვად აფრქვევდა სხივებს.

ეფრემოვი ჯავშნიანი მატარებლების მეთაურებს ესაუბრა, მითითებანი მისცა. თორმეტის ნახევარზე ჯავშნიანი მატარებლების ეკიპაჟისა და სადესანტო რაზმის მიტინგი ჩავატარეთ. მიტინგი ეფრემოვმა გახსნა. მან განმარტა არმიის სარდლობის მიერ ჯავშნოსანი მატარებლებისათვის მიცემული ოპერატიული ამოცანა. ხუთ-შვიდ წუთზე მეტი არ ულაპარაკია. მეც ასევე მოკლედ განვმარტე ჩვენი შეტევის პოლიტიკური მნიშვნელობა. ვილაპარაკე იმაზე, რომ აზერბაიჯანი არის აღმოსავლეთის კარი მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებისათვის. ისიც ვთქვი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქოს ნავთს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის. ჩვენ ყოველგვარი მსხვერპლი უნდა გავიღოთ, რათა შევასრულოთ ისტორიული ამოცანა; სწრაფად უნდა შევიჭრათ ბაქოში.

წითელარმიელები ვაგონებში ჩასხდნენ.

მე და ეფრემოვი ჯავშნოსანი მატარებლის საქვემეხო ბაქანზე ვიდექით. ვაგონს წინ მობმული ჰქონდა პლატფორმა. ზედ იდგა ორი წითელარმიელი, რომელთაც დავალება წინასწარ ჰქონდათ მიცემული.

ეფრემოვს ხელში საათი ეჭირა და ზუსტად ნოლ საათსა და ათ წუთზე ბრძანება გასცა, ადგილიდან დაგძრულიყავით.

მივდიოდით წყნარად, ფრთხილად, რომ ნაადრევად არავის შევემჩნიეთ. გავედით ხიდზე, აზერბაიჯანელთა საყარაულოს მივუახლოვდით. იქ ვერაფერს მიხვდნენ და გვკითხეს:

— რა მოხდა?

— ბაქოში მივდივართ. თუ გინდათ, წაგიყვანთ, — ვუპასუხეთ.

ამასობაში ორი წითელარმიელი წინა პლატფორმიდან ჩამოხტა. მათ ეფრემოვის დავალება შეასრულეს, საყარაულოდან სადგურ იალომასკენ მიმავალი ტელეფონისა და ტელეგრაფის მავთულები გადაჭრეს.

როცა ამ წითელარმიელებმა ეფრემოვს მოახსენეს, დავალება შესრულებულიაო, მან ხმამაღლა გასცა ბრძანება:

ანასტას მიქოიანი
მეთერთმეტე არმია ბაქოში მიდის

— სადესანტო რაზმი გადმოსხდეს!

აზერბაიჯანელი ჯარისკაცები გაიფანტნენ. ერთმა მათგანმა სროლა ატეხა. მაგრამ სროლა მალე შეწყდა და თხუთმეტი წუთის შემდეგ ჯავშნოსანი მატარებელი წინ გაემართა.

დაზვერვის მონაცემების მიხედვით რკინიგზის მარცხნივ, სადგურ იალომას მახლობლად, ტყეში, ჟანდარმთა რაზმი იდგა. მატარებლიდან დესანტი გადმოვსხით და დავავალეთ, ტყეში შესულიყვნენ და ჟანდარმებისათვის ალყა შემოერტყათ. ჩვენმა ქვემეხებმა რამდენჯერმე ესროლეს ყაზარმებს. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ ჟანდარმები გაიფანტნენ. სადესანტო რაზმს, რომელიც ლატვიელ მსროლელთაგან შედგებოდა, სამი კაცი დაეღუპა. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

მაგრამ ახლა ახალი ხიფათი დაგვემუქრა. სადგურ იალომასთან, რკინიგზის ხაზზე ამუშავებული ორთქლმავალი იდგა. ეფრემოვმა თქვა, ვაი თუ ეს ორთქლმავალი ჩვენკენ გამოუშვან, ჯავშნოსან მატარებელს დააჯახონ და ოპერაცია ჩაგვიფუშონო. მან ბრძანა, ორთქლმავლის წინა თვლებისათვის ესროლათ. ჩვენ კარგი არტილერისტები გვყავდა. მესამე სროლაზევე ჭურვი მიზანს მოახვედრეს. ორთქლმავალმა ცხვირი მიწაში ჩარგო.

სადგურს მივუახლოვდით. ვხედავთ, იქ არავინ ჩანს. მე და ეფრემოვი ჯავშნოსანი მატარებლიდან ჩამოვედით. მხარზე კარაბინები გვქონდა გადაკიდებული. მე ვაგზლის შენობაში მინდოდა შესვლა, მაგრამ ეფრემოვმა შემაჩერა.

— ასე არ შეიძლება, — მითხრა მან, გრანატა მოიმარჯვა და კარი შეაღო. შიგნით შევედით. დარბაზში არავინ დაგვხვდა. მეორე დარბაზის კარი შევაღეთ და რას ვხედავთ: თხუთმეტიოდე რკინიგზელი და რამდენიმე მგზავრი მაგიდებსა და სკამებს ამოფარებიან. რკინიგზელთა უმეტესობა რუსები იყვნენ.

— რატომ იმალებით? საბჭოთა ხელისუფლებას ეწინააღმდეგებით? — ვკითხეთ მათ.

— არა, — გვიპასუხეს.

— წითელი არმია მოდის, რკინიგზელები ადგილზე უნდა იყვნენ.

დამხვდურთა შორის იყო ჩასუქებული აზერბაიჯანელი. მას სატყეო მოსამსახურის ფორმა ეცვა. იგი ძალიან ღელავდა და გვკითხა, შემიძლია თუ არა ჩემს სასამსახურო ვაგონში ჩავჯდეო. რა თქმა უნდა, ნება დავრთეთ. ვცდილობდით, მშვიდობიანი ლაშქრობის ატმოსფერო შეგვექმნა და არა საომარი მდგომარეობისა.

რკინიგზელებს ვესაუბრეთ და სადგურ იალომაში წესრიგის დაცვა დავავალეთ. მათთან ორი წითელარმიელი დავტოვეთ.

როცა გათენდა, მიმავალი მატარებლიდან ვხედავდით, რომ რკინიგზის ორივე მხარეს გლეხები მიწას ამუშავებდნენ, ხნავდნენ, თესდნენ. ჩვენს მატარებელზე წითელი დროშა ფრიალებდა. გლეხები შეძახილებითა და ხელის ქნევით გვესალმებოდნენ. პასუხად ჩვენ ვიძახდით: „გაუმარჯოს საბჭოთა აზერბაიჯანს!“ „გაუმარჯოს აზერბაიჯანელი და რუსი ხალხის მეგობრობას!“

სადგურ ხუდატთან მუსავატელთა დაბლინდაჟებულმა მატარებელმა თავი გაგვახსენა. ბორცვიდან ჩვენს ჯავშნოსან მატარებელს სროლა აუტეხა. მაგრამ მარჯვედ ვერ ისროდნენ და ვერც ერთი ჭურვი ვერ მოგვარტყეს. ჩვენ არ გვიპასუხია. სამიზნეს ვერ ვხედავდით და ჭურვების ტყუილუბრალოდ დახარჯვა არ გვინდოდა.

წინ ფრთხილად მივიწევდით. გვეშინოდა, გზა დანაღმული არ ყოფილიყო. მუსავატელთა მატარებელი სროლით გვშორდებოდა. მალე სულ გაქრა. სადგურ ხუდატიდან მეზობელი სადგური ტელეფონით გამოვიძახე და ვკითხე. აზერბაიჯანელთა დაბლინდაჟებული მატარებელი და მისი მეთაური ლორთქიფანიძე მანდ ხომ არ არის-მეთქი. რამდენიმე წუთის შემდეგ ტელეფონთან ლორთქიფანიძე მოვიდა.

— რატომ გვეწინააღმდეგებით? რატომ გვებრძვით? — ვკითხე მე. — ჩვენ ომი არ გვინდა. გადმოდით წითელი არმიის მხარეზე.

— მე მეფის არმიის ოფიცერი და აზნაური ვარ. ბოლშევიკებს არ მივემხრობი!

ლაპარაკი შევწყვიტეთ.

როცა სადგურ ხაჩმასს მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ მუშათა დიდი ჯგუფი დაზიანებული რკინიგზის ხაზის შესაკეთებლად გამოსულიყო. ჩვენ ძალზე გაგვახარა იმ ამბავმა, რომ მუშები წითელი არმიის წინსვლისათვის ზრუნავდნენ. საშუალება მოგვეცა, გზა შეუფერხებლად განგვეგრძო. სადგურში ყოფნისას მიტინგი მოვაწყეთ. მიტინგში მონაწილეობდა ყველა, ვინც იქ იმყოფებოდა. ვილაპარაკეთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მნიშვნელობაზე, ხალხთა მეგობრობაზე, წესრიგის დაცვის აუცილებლობაზე.

უცებ ჩვენკენ ვიღაც გამოქანდა. თვალებზე სიხარულის ცრემლი მოსდგომოდა. ბაქოელი კომუნისტი პერევერდიევი ვიცანი, ჩემთან ერთად იატაკქვეშეთში რომ მუშაობდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ. მახსოვს, ვუთხარი, რა დროს ტირილია, უნდა ვიმუშავოთ-მეთქი. იგი იქვე, მიტინგზე გამოვაცხადეთ ხაჩმასის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ.

სადგურ სუმგაიტს მივუახლოვდით. ეფრემოვი ლევანდოვსკის გზადაგზა რეგულარულად უგზავნიდა ცნობებს ჩვენი წინსვლის შესახებ. სარდლობამ იცოდა ჩვენი ადგილსამყოფელი და, როგორც ჩანს, კმაყოფილი იყო ჩვენი მოქმედებით. მოულოდნელად სუმგაიტში ლევანდოვსკის დეპეშა მივიღეთ, იგი გვატყობინებდა, ჯავშნოსანი მატარებელი „III ინტერნაციონალი“ ძირითად ნაწილებს ძალიან მოწყდა და დაღუპვა ემუქრება, ამიტომ ცოტა უკან უნდა გამობრუნდეთ და არმიის სიახლოვეს იყოთო.

დეპეშა არასასიამოვნო იყო. ვერ მივხვდით, ადრინდელი ბრძანების შეცვლა რამ გამოიწვია, რა ინფორმაცია გახდა ამის საბაბი. ვფიქრობდით, ამისი მიზეზი მხოლოდ სიფრთხილე უნდა იყოსო. განვიხილეთ შექმნილი მდგომარეობა. უკან რომ გავბრუნებულიყავით, მტერი იფიქრებდა, გარბიანო და რკინიგზას აყრიდა. როგორ მოვქცეულიყავით? ლევანდოვსკის ვუპასუხეთ, სუმგაიტში ვართ, სანაპიროზე მიმავალი რკინიგზა უკვე გავიარეთ და უკან რომ გამობრუნდეთ, მუსავატელთა მთავრობის კასპიის ზღვის ფლოტილია ზღვიდან ცეცხლს დაგვიშენსო. ჩვენ ეს სახიფათო ადგილი უკვე გავიარეთ. ამიტომ, ვწერდით ბოლოს, ვთვლით, რომ ახლა უკან გამობრუნება შეუძლებელია. უნდა შევასრულოთ ადრინდელი ბრძანება და ბაქოში შევიჭრათო.

რადგან ლევანდოვსკი უკან გამობრუნებას არც ისე მკაცრად გვიბრძანებდა, გადავწყვიტეთ, პასუხისთვის აღარ მოგვეცადა და გზა განგვეგრძო.

ჯერ კიდევ სადგურ ხაჩმასში ხელში ჩაგვივარდა ბაქოს გაზეთი, საიდანაც შევიტყვეთ, რომ აზერბაიჯანის მთავრობა 27 აპრილს, საღამოს, ბაქოში უცხოეთის წარმომადგენელთა მიღებას აწყობდა.

— კარგი იქნებოდა, ბალაჯარი[1] დაგვეკავებინა, დიპლომატებისთვის ბაქოდან მომავალი გზა შეგვეკრა და თბილისში გაქცევის საშუალება არ მიგვეცა, — ვუთხარი ეფრემოვს.

მან საათს დახედა, დაფიქრდა და მითხრა:

— ალბათ მივასწრებთ, ვერ გაგვექცევიან.

— იცით, რატომ არის საჭირო ბაქოში მათი შეჩერება? — ვკითხე ეფრემოვს. — თუ თავის დაღწევა ვერ მოასწრეს, შეგვიძლია დავაპატიმროთ და მძევლად გვყავდეს, რომ შემდეგ ინგ-

[1] ბალაჯარი — რკინიგზის საკვანძო სადგური, საიდანაც ბაქოსკენ ჩიხი მიემართება.

ანასტას მიკოიანი
მეთერთმეტე არმია ბაქოში მიდის

ლისელთა მიერ დაპატიმრებულ რევოლუციონერებზე გადავცვალოთ.

ეფრემოვმა მხარი დაუჭირა. დიპლომატებმა ბაქოდან გასვლა ვერ მოასწრეს და დავაპატიმრეთ. მაგრამ შემდგომში ჩიჩერინმა დეპეშა გამოგვიგზავნა და მოგვთხოვა, პატიმრები გაგვეთავისუფლებინა. ჩვენ ეს მოთხოვნა შევასრულეთ.

ამ შემთხვევამ სხვა ამბავი გამახსენა, რაც ერთი წლის წინ ბაქოში მოხდა საყოველთაო გაფიცვისას, 1919 წლის მაისში.

მუშათა დელეგაციასა და საწარმოთა მეპატრონეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა „არბიტრის“ — მუსავატელი მინისტრის საფიკურსკის თანდასწრებით. დარბაზში იმყოფებოდა ინგლისის საოკუპაციო ჯარების წარმომადგენელი, მზვერავი, კაპიტანი ვალტონიც. მოლაპარაკებაში იგი არ მონაწილეობდა, მაგრამ მოლაპარაკების მიმდინარეობას კონტროლს უწევდა. მე მას მივუახლოვდი და ვითომ ხუმრობით ვკითხე, როგორ მოგეწონათ ჩვენი ფურცლები, გაფიცვის დღეს რომ გავავრცელეთ ბაქოში მდგარ ინგლისელთა გარნიზონის ჯარისკაცთა შორის-მეთქი. ფურცლები ინგლისურად იყო ნათარგმნი. მან ტიპიური ინგლისური იუმორით მიპასუხა: „ვერ გეტყვით ცუდია-მეთქი, რადგან ინგლისურად საძაგლადაა თარგმნილი.“ მეც ისეთივე კილოზე ვუპასუხე: „ინგლისურ თარგმანზე მართალს ბრძანებთ, კარგი მთარგმნელი არა გვყავს. მაგრამ მალე ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს და შესაძლებლობა მოგვეცემა, თარჯიმნობა დაგაკისროთ, თქვენ ხომ საუცხოოდ ფლობთ ინგლისურსაც და რუსულსაც-მეთქი.“ ერთმანეთს ღიმილით დავშორდით.

ახლა, ერთი წლის შემდეგ, როცა ჯავშნოსან მატარებელში ეფრემოვს დიპლომატთა დაპატიმრებაზე ველაპარაკებოდი, ეს ამბავიც მოვუყევი და ვხუმრობდით, რა კარგი იქნება, ბაქოში დიპლომატებს შორის ვალტონიც იყოს და თარჯიმნობა შევთავაზოთო.

...როცა ბალაჯარს მივუახლოვდით, უკვე ჩამობნელდა. ჩვენს მატარებელს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს. ეფრემოვმა სადესანტო რაზმს უბრძანა, გადმომსხდარიყვნენ და ჯავშნოსანი მატარებლის ორივე მხარეს რკინიგზას გაჰყოლოდნენ. მატარებლის წინ რამდენიმე წითელარმიელი მიდიოდა და ამოწმებდა, რკინიგზა დანაღმული ხომ არ იყო. მატარებელი წინ ნელა მიიწევდა და ბალაჯარში შუაღამისას შევიდა.

იქ ხანმოკლე მიტინგი ჩავატარეთ. მიტინგზე ბევრი მუშა მოვიდა. შემდეგ იქაური კომუნისტები, 30 კაცი, შევკრიბეთ და შაშხანები დავურიგეთ. დავნიშნეთ სადგურ ბალაჯარის რევოლუციური კომიტეტი. კომიტეტის წევრებად ადგილობრივი მუშები შევარჩიეთ.

ეფრემოვს აცნობეს, აზერბაიჯანის მთავრობამ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას სთხოვა, დასახმარებლად ჯავშნოსანი მატარებლები გამოგვიგზავნეო. შევიტყვეთ, რომ საქართველოს მთავრობამ ბრძანება გასცა, გამოეყოთ ჯავშნოსანი მატარებელი და აგრეთვე სხვა ძალებიც. ამის გამო ეფრემოვმა გადაწყვიტა, ერთი ჯავშნოსანი მატარებელი ელიზავეტპოლის (ახლანდელი კიროვაბადი) მიმართულებით 150-200 კილომეტრზე გაეგზავნა. თუ გზაზე საქართველოს ჯავშნოსანი მატარებელი გამოჩნდებოდა, შეტაკებას უნდა მორიდებოდნენ და ხიდი აეფეთქებინათ, რომ ჯავშნოსანი მატარებლის წინსვლა ორი დღით შეეჩერებინათ, ვიდრე ჩვენი მთავარი ძალები მოვიდოდნენ. დანარჩენ ჯავშნოსან მატარებლებს XI არმიის წინსვლა უნდა უზრუნველეყოთ.

ღამით ბაქოდან ლეგენდარულმა კამომ დამირეკა და შემატყობინა, აზერბაიჯანის მუსავატურმა მთავრობამ იგრძნო, რომ უიმედო მდგომარეობა ჰქონდა, კომუნისტებს შესთავაზა, ძალა-უფლებას მშვიდობიანად გადმოგცემთო და კომუნისტური პარტიის მოღვაწეები საპატიმროდან გამოუშვა იმ პირობით, თუ

მთავრობის წევრებს დევნას არ დაუწყებენო. ეს პირობა მიღებულიაო.

მე კამოს ვუთხარი, ბალაჯარიდან გამოვდივართ და დილაზე ბაქოში ვიქნებით-მეთქი. მატარებელი წინ გაემართა. ნელა მივდიოდით, რადგან გვეშინოდა რკინიგზა დანაღმული არ ყოფილიყო. 28 აპრილს დილის 6 საათზე ბაქოს ვაგზალში შევედით.

როცა ქალაქში ავტომანქანით მივდიოდით, ვხედავდით, რომ სახლის კედლებზე გაკრული იყო აზერბაიჯანის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიმართვა:

„ყველას, ყველას, ყველას!!!
მოსკოვი, ლენინს.

აზერბაიჯანის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ხელისუფლების სათავეში დადგა ქ. ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატისა და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის ნებით, აცხადებს რა ძველ მუსავატურ მთავრობას ხალხის მოღალატედ და ქვეყნის დამოუკიდებლობის მტრად, კავშირს წყვეტს ანტანტასთან და საბჭოთა რუსეთის სხვა მტრებთან.

აზერბაიჯანის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს შესაძლებლობა არა აქვს, საკუთარი ძალებით შეაჩეროს შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციური ბანდების შემოტევა, ამიტომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას სთავაზობს ძმურ კავშირს მსოფლიო იმპერიალიზმთან საბრძოლველად და სთხოვს, დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს რეალური დახმარება, გამოგზავნოს წითელი არმიის ნაწილები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი:

ნარიმან ნარიმანოვი, მირზა დავუდ ჰუსეინოვი, გამიდ სულთანოვი, ალიმოვი და ალი გეიდარ კარაევი“.

ჩვენ მივედით აზერბაიჯანის პარლამენტის შენობასთან, სადაც უკვე რამდენიმე საათია მიმდინარეობდა აზერბაიჯანის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა. შენობაში გახარებულნი შევედით. გამახსენდა ამბავი, ამ შენობის წინ რომ მოხდა ზუსტად ერთი წლის წინ.

მაშინ ბაქოში ინგლისის საოკუპაციო ჯარები ბატონობდნენ. მათი შტაბი ამ შენობის მახლობლად იყო მოთავსებული: იქვე, ყაზარმებში, ინგლისელი ჯარისკაცები იდგნენ. 1 მაისს მოეწყო მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც არალეგალურად მომუშავე კომუნისტურმა პარტიამ მოამზადა. სხვადასხვა რაიონის 50 ათასმა მუშამ მჭიდრო რიგებად ჩაიარა ბაქოს მთავარ ქუჩასა და სანაპიროზე. გზადაგზა რამდენიმე ადგილას შეჩერდნენ. ტრიბუნად სატვირთო მანქანები გამოიყენეს და მოკლე სიტყვები წარმოთქვეს. დემონსტრანტებმა ინგლისის ჯარების შტაბის შენობასაც ჩაუარეს. აივანზე ინგლისელი გენერლები და შტაბის ოფიცრები იდგნენ. შედგა ხანმოკლე მიტინგი. მე სატვირთო მანქანაზე შევდექი და სიტყვა წარმოვთქვი ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ, მათ მიერ ბაქოში დამყარებული პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ. მოვითხოვდი, რომ ინგლისელები დაუყოვნებლივ წასულიყვნენ კავკასიიდან, მოვითხოვდი მუშათა კლასის თავისუფლებას და დემოკრატიულ უფლებებს, მოვითხოვდი აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ჩემს სიტყვას ინგლისურად თარგმნიდა დემონსტრაციის ახალგაზრდა მონაწილე, ისე რომ აივანზე მდგარ ინგლისელებსაც ესმოდათ, რას ვამბობდი. შემდეგ დემონსტრანტები აზერბაიჯანის პარლამენტის წინაც შეჩერდნენ. მე აქაც წარმოვთქვი სიტყვა. სატვირთო მანქანაზე შემდგარმა აივანზე მდგომ პარლამენტის წევრებს მივმართე: შეხედეთ, რა ძალა მოდის ბაქოს ქუჩებში. იცით თუ არა, რომ ერთი წლის შემდეგ მაგ შენობაში თქვენ, კაპიტალისტები და

ანასტას მიქოიანი
მეთერთმეტე არმია ბაქოში მიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეები კი არ იქნებით, არამედ აზერბაიჯანელ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭო იქნება?

რა სასიხარულო იყო ამისი გახსენება ახლა, ერთი წლის შემდეგ, საპირველმაისო დღესასწაულის წინ, როცა იმავე შენობაში საბჭოთა აზერბაიჯანის მუშურ-გლეხური მთავრობის სხდომა მიმდინარეობდა! ბაქოელ რევოლუციონერთა ოცნება ვადამდე ახდა — 1 მაისამდე 2 დღით ადრე.

ორ ღამეს თვალი არ მოგვიხუჭავს: არც დრო გვქონდა და არც სურვილი. სავსენი ვიყავით სიხარულით და მოქმედების წყურვილით. 30 აპრილს ბაქოში XI არმიის ნაწილებმა იწყეს შემოსვლა. დაიწყო სახალხო დღესასწაული. — ქალაქში შემოვიდნენ კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი ორჯონიკიძე, XI არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრები: კიროვი, ლევანდოვსკი, მეხანოშინი. მათ მონაწილეობა მიიღეს დღესასწაულში, ჯავშნოსან მატარებელს „III ინტერნაციონალსაც“ ეწვივნენ და ჯარისკაცებს რეიდის წარმატებით დამთავრება მიულოცეს. ორჯონიკიძემ ეფრემოვს წითელი დროშის საბრძოლო ორდენი გადასცა.

ეფრემოვის დაჯილდოება ყველას უხაროდა. მაშინ წითელი დროშის ორდენი ერთადერთი საბრძოლო ორდენი იყო და იშვიათად თუ ვინმეს აძლევდნენ. ამით ეფრემოვის, როგორც წითელი მეთაურის, დიდი დამსახურება აღიარეს.

ეფრემოვთან სულ რამდენიმე დღე გავატარე, მაგრამ ეს დღეები ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ბრძოლაში, ცხოვრებაში არის მომენტი, როცა ადამიანს ორ-სამ დღეში უკეთ გაიცნობ, ვიდრე რამდენიმე წელიწადს ერთად მუშაობისას. მე ღრმა პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით განვიმსჭვალე ამ ადამიანის მიმართ, თუმცა მანამდე არ ვიცნობდი. ადამიანებთან ურთიერთობაში მომხიბლავი, ბრძოლაში უშიშარი, მშვიდი და შეუპოვარი ეფრემოვი ამხანაგებისა და ქვეშევრდომების უსაზღვრო ნდობას იმსახურებდა. ასე დამრჩა მახსოვრობაში ამ გმირი წითელი მეთაურის სახე.

...ბაქოში საბჭოთა ხელისუფლებამ მშვიდობიანად, სისხლისღვრის გარეშე გაიმარჯვა. მაგრამ გაქცეულმა მუსავატელმა მინისტრებმა, მემამულეებმა, ვაჭრებმა და რეაქციულმა ოფიცრებმა ელიზავეტპოლში სახიფათო შეიარაღებული აჯანყება მაისშივე მოაწყეს და იქ მდგომ ჩვენს ჯარებს შეეტაკნენ. ქალაქის ქუჩებში გამართულ ბრძოლებში აჯანყებულები დამარცხდნენ. მალე კონტრრევოლუციურმა ამბოხებამ იფეთქა ყარაბაღსა და ორ სხვა მაზრაში, მაგრამ ეს ამბოხებაც ჩახშობილ იქნა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ ამ ადგილებში განლაგებული მუსავატელთა ჯარები. აჯანყებათა ჩასახშობად გამართული საბრძოლო ოპერაციები განახორციელეს XI არმიის ნაწილებმა ლევანდოვსკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

მინდა გაგიზიაროთ შთაბეჭდილებანი ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე. მუდამ წელში გამართული, ჩაფიქრებული, სიტყვაძვირი ლევანდოვსკი, ყოველთვის მოკლედ, მაგრამ მოსაზრებულად და შინაარსიანად ლაპარაკობდა.

მიხეილ კარლის ძე ლევანდოვსკი დამამახსოვრდა როგორც გამბედავი, მტკიცე ნებისყოფის მქონე მეთაური. ერთი შეხედვით მკაცრი კაცი იყო, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა. მუდამ გულისხმიერად ეპყრობოდა წითელარმიელებს და მეთაურებს. განსაკუთრებით რიგით ჯარისკაცებზე ზრუნავდა. ამასთან ერთად იყო მომთხოვნი და მტკიცედ ასრულებდა მიღებულ გადაწყვეტილებას.

ორგანიზაციის საუცხოო უნარი, მხედართმთავრის დიდი ნიჭი, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულება ამ შესანიშნავი ადამიანის უმთავრესი თვისებები იყო.

ჩვენი ალპინისტები

გიორგი სანაღირაძე

ენგური, სექჯემბერი...

უზარმაზარი, ყვითელი მზე დაშტერებია ენგურს. მზეს უკვირს მოულოდნელი ფერიცვალება ენგურისა. გრანდიოზული პანორამა ას ოც კილომეტრზე გადაშლილა. მისი სიგანე ორმოცდაათი კილომეტრია. მთის გულში იჭრება გვირაბები, ისმის აფეთქების ხმა, გუგუნებენ უზარმაზარი თვითმცლელები. გაცბუნებული ვდგავარ. ყოველგვარი შედარება უსუსურია. ძნელია გაიხსენო, ან მიუსადაგო სიტყვა, რომელიც სრულად გამოხატავს ენგურჰესის მშენებლობის სიდიადეს. ადამიანის გენია კიდევ ერთ სასწაულს უმზადებს მომავალს...

...შენ ფრთხილად აღებ მანქანის კარს. გახსნილ საწვიმარს ქარი გიფრიალებს. მიახლოვდები, დგები ჩემს გვერდით. მესმის, როგორ აჩხაკუნებ ასანთს. სიგარეტს აბოლებ და მშვიდად უყურებ კლდეებს, ნაძვებს, კაშხალს. რას გამოხატავს შენი სახე? დაღლილობას? ფიქრს, რომელიც კარგა ხანია გაწუხებს და კიდევ დიდხანს იბოგინებს შენში? ერთსაც და მეორესაც. ჯვარზენში ბევრი რამ მითხრეს შენზე. სახე ოდნავ გაგფითრებია. „დღეს მეოთხედ მომიწია აქ ამოსვლა, — მითხარი ჩუმად, — და კიდევ ბევრჯერ მომიწევს“. შორს, კლდეებში დატანებული ხვრელებიდან ამოდის კვამლი და იყრება მიწა. „ესაა ჩვენი მშენებლობა“, — განაგრძობ და მაღალ, კუნთმაგარ ბიჭებს მაცნობ. „ერთი წუთით დაგტოვებ“, — მეუბნები მერე და ვიწრო ბილიკით ენგურისაკენ ეშვები. სიმართლე გითხრა, ზუგდიდში ჩამოსვლამდე ცოტათი სხვანაირად მყავდი წარმოდგენილი — ემხვარი, და ისიც ამოდენა მშენებლობის, კაშხალმშენის მთავარი ინჟინერი, ერთი კარგა მოსული გოლიათი იქნება-მეთქი! და ახლა, როცა ძალზე ფრთხილად ეშვებოდი ენგურისაკენ, თვალს არ გაცილებდი — ასეთმა ახალგაზრდამ, ასე ხმელ-ხმელმა და პატარა კაცმა როგორ მოდრიკე ეს გიჟი მდინარე, როგორ შეაყენე მთები ფეხისწვერზე და სურვილისამებრ ივსახურებ?!

გზისგამყვანთა ბრიგადის წევრებს ვესაუბრები. „ნოდარს ამოჰყევით?“ — მეკითხება სახეგარუჯული ჭაბუკი. „დიახ, — ვეუბნები, — ნოდარ ემხვარს“. შენი მოყავისფრო ფეტრი ხან აქ ამოცურდება კლდეებს შორის, ხან იქ. მერე ექსკავატორის წინ დაყრილ მიწას ეფარები. „მაგას აწი ვეღარ ამოიყვანთ იქედან“, — მეუბნება შენი მძღოლი. „ახლავე მოვბრუნდებიო, რომ მითხრა?“. „მაგასაც ვნახავთ“! — იცინის მძღოლი და რამდენიმე ხნის შემდეგ ვგრძნობ, რომ იგი მართალია. შენ სულ

გადაგავიწყდი. თვითმცლელ მანქანებს რაღაც უჭირდა. იქ ტრიალებდი.

შენმა ბიჭებმა მომხიბლეს. თითქმის მთელი ორი საათი ვლაპარაკობდი მათთან. საოცრად გამიშინაურდნენ და ეს მომწონდა. უშენოდ მანახვეს ის ადგილი, სადაც დრაგამ ინერტული მასალა უნდა გადაამუშაოს. აქვე შენდება ცემენტის გამამდიდრებელი ქარხანა. აქ დამზადებული ბეტონი ტრანსპორტიორებით გადაეცემა გვირაბს. ყველაფერი მექანიზებულია. ამ ქარხანას რვა საბაგირო გზა მოემსახურება და ამ საბაგირო გზების დანიშნულება მაოცებს. იგი ერთიათად დააჩქარებს ბეტონის მიტანას კაბელ-ამწეებამდე. შენმა ფეტრმა ისევ გაიელვა კლდეებთან. მერე მთავარ გზაზე გამოდიხარ და ჩერდები. შენკენ მაღალი, ხუჭუჭთმიანი, ცისფერთვალება ბიჭი მოაბიჯებს. „რას აკეთებ აქ, ბიჭი?“ გაკვირვებული ჩერდება. გიყურებს იგი, გიცნობს და ამიტომაც გიყურებს ასე გაკვირვებით. გუმანით გრძნობს, რომ შენ სხვა რამეს გულისხმობ და უმატებს: „მბურღავ-ამფეთქებელი ვარ.“ „მერე, პატრონი არა გყავს?“ „როგორ არა“—წითლდება. და არ იცის, რა უყოს ხელებს. შენ ამჩნევ ამას, ამჩნევ იმასაც, რომ მას ძალზე მსხვილი, დაკოჟრილი ხელები აქვს. „მარჯვე ბიჭია“, — ფიქრობ. „არ გიჭირს მუშაობა?“ „აქ კარგია“, — ამბობს და თვალს გისწორებს. იგი ცხაკაიადან ჩამოვიდა. „რა გქვია?“ — ეკითხები მორიდებით. „რაული, ბატონო, — და უმალვე უმატებს, — რაულ ბენდელიანი“. გინდა მოეფერო ამ ბიჭს. ყველაფერი ცხადია. იგი რომანტიკამ მოიყვანა აქ. სულ ბავშვია, მაგრამ სიძნელეს არ შეშინებია. ვინ იცის, რამდენი ეხვეწა მშობლებს. იქნებ გამოიპარა კიდეც? „ა?.. გეხუმრე. რა თქმა უნდა, გეხუმრე. მაინც, როგორ ვერ შეგნიშნე აქამდე?“ „კაშხალი დიდია, თქვენ კი ერთი ხართ“. — იღიმება მორცხვად და მხრებს იჩეჩავს. „ამისგან ნამდვილად დადგება კაცური კაცი. დადგება კი არა, უკვე არის, და ასეთი უნდა იყოს მუდამ. ჰო, ხელსაც შევუწყობთ“. შორს, ქვევით ენგური იკლაკნება. არა, შენ არ უყურებ ენგურს. შენ ამ ბიჭზე ფიქრობ, ისიც ჩუმად, გაბრწყინებული სახით მოგჩერებია. „რა გაინტერესებს ყველაზე უფრო?“ — ეკითხები. „სწავლა, ბატონო“. „კიდევ?“ „აქ ყოფნა“. „ვისთან ამხანაგობ?“ „შამუგიასთან. იცნობთ, ალბათ, ფეხბურთელია“. და გახსენდება: ჩაფსკვნილი, მზისგან გარუჯული, ჯვარზენის ფეხბურთელთა გუნდის სულისჩამდგმელი ვალტერ შამუგია, რომელიც ცხრამეტი წლისაც არ არის ჯერ. „საერთო საცხოვრებელშიც ერთად იქნებიან“, — ასკვნი. „გამომუშავება კარგი გაქვს?“ „მყოფნის. რაც მრჩება, ოჯახს ვუგზავნი. ბევრნი ვართ. ჩემს გარდა კიდევ ოთხი შვილი ჰყავს დედაჩემს.“ ამასობაში მთავარ გზაზე ავტობუსი ჩერდება. „ცვლა მოვიდა“, — ფიქრობ. რაულს მოუსვენრობა ეტყობა. „ამ ავტობუსს თუ არ გავყევი უკან, გაკვეთილების მომზადებას ვერ მოვასწრებ“. „მაშ, სწავლობ?“ „დიახ, საღამოს სკოლაში“. „წადი, გენაცვალე!“ — ეუბნები. მერე ხელს უწვდი. შენ გრძნობ, რა ძლიერია მისი ხელი, მერე იგი გარბის. ხედავ, როგორ გარბის გზის პირას სასწაულად გადარჩენილ ხეებს შორის, აბსტრაქტულ ქანდაკებებს რომ გვანან. აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი ხეობა და ხეობისიქეთა დაბლობი. მთავარი კვანძის მშენებლობის გვერდით, ტრასაზე, პირდაპირ კლდეზე სახლები შეჭუჭკულან. უზარმაზარ, გუგუნა მანქანებს გამოაქვთ და გამოაქვთ ჩამონაშალი კლდე. ბულდოზერები და ტრაქტორები ერთ წუთითაც არ ცხრებიან. მთის გული იბურღება და იქედან ლაღუმის აფეთქების ხმა ისმის. ეს მთა ოთხ ობიექტადაა დაყოფილი. ოთხი მხრიდან ერთდროულად ოთხი გზა ჰკვეთს მთას. ასევეა გადმოღმა მხარესაც. ენგური დამშრალა, სადღაც, ჩვენს ქვემოთ გვირაბში მიძვრება და გვერდს უვლის მშენებლებს. კიდევ რამდენიმე, წელი... ჰო, კიდევ რამდენიმე წელი და, მწყობრში ჩადგება ენგურჰესის პირვე-

ლი აგრეგატი. ეს იქნება თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიკალური, გიგანტური ჰესი. მისი სიმძლავრე 1.640 ათასი კილოვატი იქნება. ეს კი თხუთმეტჯერ აღემატება ლაჯანურჰესს. ჯვართან აიგება სამასი მეტრის სიმაღლის თაღოვანი კაშხალი და შეიქმნება უზარმაზარი ხელოვნური წყალსაცავი. საბერიოს მიწისქვეშა მთავარ სადგურამდე გვირაბის სიგრძე ორი ათეული კილომეტრი იქნება. და ამის შემქმნელი ეს პატარა ბიჭიცაა, რომელიც გაკვეთილების მოსამზადებლად მიიჩქარის შინ. ოდესღაც იგი იტყვის: „მე ვაშენებდი ენგურჰესს". დიახ, ამაყად იტყვის ამას და... უცებ, უბნის უფროსის ვალოდია ჭარბაძის ნათქვამი აგეკვიატა: „ახალგაზრდები რომ არ გაგვირბოდნენ, ყველაფერი შესანიშნავად იქნებოდა". როდის თქვა ეს ვალოდიამ? გუშინ? გუშინწინ? ვერაფრით ვერ გაიხსენე. თუმცა თვითონ ვალოდიაც აგერ არაა? სატვირთო მანქანის კაბინას მიყრდნობია ზურგით და სამუშაოთა მწარმოებელს ხუტა ზოდელავას ელაპარაკება. შენამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევს: „რა ჰქენით, ააფეთქეთ?" — ეკითხება ვალოდია. „ავაფეთქეთ". „მერე, ამდენ ხანს აფეთქებდით?" „ძნელი იყო. წინ დიდი ლოდები ეწყო. ჰოდა, ვაჟა შალამბერიძემ იმარჯვა. აქ, სათავე-ნაგებობათა კვანძში, პირველად შემოიღეს გლუვზედაპირიანი აფეთქება. ასეთი აფეთქება ეფექტურია და ქანის მოსწორებას არ ითხოვს. სწორედ ამან დააჩქარა მშენებლობის ტემპი. „საბერიოში სასწაულებს ახდენენ ბიჭები", — მისალმების ნაცვლად გეუბნება ვალოდია. შენ იცი ეს. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს ცნობა ნადირაძის ბრიგადის საკავშირო რეკორდის შესახებ. „ჩვენთან კიდევ იგრძნობა მუშების ნაკლებობა, — განაგრძობს ვალოდია, — დღეს ორი ჭაბუკი მივიღეთ, კომკავშირელები. სამტრედიიდან ჩამოვიდნენო, მითხრეს; კანტორიდან პირდაპირ აქ მოვიყვანე. ძალიან დამეცადინებული ჩანდნენ. ვიფიქრე, ამათ ერთი სული აქვთ მუშაობის დაწყებამდე-მეთქი. ასლამაზოვის ბრიგადაში გავამწესე. შეხედა ილია ასლამაზოვმა ბიჭებს, მადლობა მითხრა, კარგი ახალგაზრდები ჩანანო; და სწორედ ამ ახალგაზრდებმა გამომჭრეს ყელი — გაპარულან". „როგორ თუ გაპარულან?" „შეშინდნენ თურმე, აქ რა გაგვაძლებინებსო. ამ კვირაში ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა. მოვლენ ახალგაზრდები, დიდი ენთუზიაზმით შეაღებენ კანტორის კარს, გაფორმდებიან. — სად უნდა ვიცხოვროთ?.. ბევრს მივიღებთ?.. აქ მოწყენილობაა? და გაიხედავ, რამდენიმე დღის მერე აიკრავენ გუდა-ნაბადს. „რაღაც საოცარი რამ სჭირს ჩვენს ზოგიერთ ახალგაზრდას, — ფიქრობ: ეს ხომ მათი მშენებლობაა? თავიდან ექვსი ათასი კაცი ვიყავით და ირგვლივ არაფერი იყო, მიუვალი კლდეებისა და შმაგი ენგურის გარდა. 1961 წლის ცივი აპრილი იდგა და არავის შეშინებია. გვიჭირდა კი. ახლა ასეთი არაფერია. ახლა ჭაბუკები მზამზარეულზე ჩამოდიან — ხვდებათ ბინა, მშვენიერი გზები... კომფორტი რატომ არა გაქვსო? — იწყებენ წუწუნს. ვინ გიშლის, ბატონო, შეიქმენი ეს კომფორტი. ააშენე კლუბები, ნუ დაიწყობ გულზე ხელებს და ცხოვრებაც საინტერესო გახდება". — და შენს თვალწინ გაირბინეს კაშხალმშენის მოწინავე ადამიანთა სახეებმა. მათ შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც პირველმა დაჰკრა ამ მიწას წერაქვი, დააშრო ჭაობი, მოიტანა ქვა, მოჭრა ხეები და დაიდგა თავშესაფარი. აი, მაშინ იყო, რაც იყო! ისეთი ჭონჭყო და ტალახი დგებოდა გზაზე, ბულდოზერები ერთმანეთის მიყოლებით ეფლობოდნენ შიგ. ბევრი რამ აკლდათ. მაგრამ მერე მოთავკუდდა საქმე. და ახლა, აჰ წუთს, პირველი კრება გახსენდება, პირველი კომკავშირული კრება, აქ — ენგურჰესის მშენებლობაზე: პატარა, ჩახუთული დარბაზი ახალგაზრდებით იყო სავსე. დარბაზის შუაგულში იდგა გამხ-

დარი, სათვალიანი ბიჭი, თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. მორიდებული ჩანდა. დარბაზში სიცილი გაისმა. „ხომ ხედავთ, რცხვენია ბიჭს“, — თქვა ვიღაცამ. „აბა, ეგეთები არ იყოს“, — გამოექომაგა მეორე. კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი ამბობს ჩუმი, ჩახლეჩილი ხმით: „არაფერია. შეკითხვები გაქვთ?“ სათვალიანი ბიჭი სწორედ იმ წელს დაბადებულა, როცა შენ კომკავშირში მიგიღეს. „ავტობიოგრაფია გაგვაცნოს“, — ისმის დარბაზის კუთხიდან... ბიჭმა დაამთავრა რვა კლასი, ერთი წელი ავადმყოფობის გამო გაუცდა და ახლა მშენებლობაზე ჩამოვიდა. იგი სწავლის გაგრძელებასაც აპირებს, რა თქმა უნდა. ეს არის და ეს. ახლა ცდილობ, გაიხსენო იმ ბიჭის სახე. როგორი გახდა? მას მერე ექვსი წელი გავიდა, ექვსი წელი, კომკავშირული ბილეთის ექვსი ფურცელი. ნეტა, როგორია ახლა იგი? ძლიერი? ერთგული? პატიოსანი? სად უნდა ეძებო—ნიკოლოზ ფროლოვის ბრიგადაში, თუ აბიბო ქირიასთან? მშენებლობა დიდია. რომელი იყო ის — გივი ქაჯაია თუ უშანგი ჭულაშვილი, ომარ ხოხიაშვილი თუ მისი უმცროსი ძმა ზაური?.. ირგვლივ შესანიშნავი ახალგაზრდები არიან!..

შესვენების დროა. რაღაცნაირ მოთენთილობას გრძნობ, წუხელს აქეთ ლუკმა არ ჩაგიდვია პირში! გამყვანთა ბრიგადის წევრებს მოშორებით ცეცხლი დაუნთიათ, ლოდზე გაზეთი გადაუფარებიათ და დაუხვავებიათ ხორაგი: ღმერთო, რა არ არის აქ: წიწილი, იმერული ღვინო, ახალი წნილი, წკიპინა ჭადი და მეგრული საწებელი! ინებე, ბატონო! მშენებლები მორიდებით შეგცქერიან, კბილს გიჩენენ, გიღიმიან. ზევით, მთავარ ტრასაზე, მიწისქვეშგამყვანთა ბრიგადის კანტორა რომ შენდება, მანქანა გიცდის. შენ გეჩქარება, თბილისს უნდა დაელაპარაკო. ეს ტელეფონისტები პირდაპირ დაგტანჯავენ, ვიდრე საჭირო ნომერს შეგაერთებენ. მოთმინებიდან გამოგიყვანენ და აგაყვირებენ. ამაზე ფიქრობ, მაგრამ შუა გზიდან ბრუნდები უკან და საწვიმარს იხდი. ფეტრის ქუდს ქვაზე დებ, „ჩექმები უნდა ჩამეცვა“. შენი ახალი ფეხსაცმელი ერთიანად ტალახში ამოგანგლულა. „რა გაწმენდს!“ მაგრამ, ექსკავატორთან რომ არ მისულიყავი, არ შეიძლებოდა. მეექსკავატორე კარგი ბიჭი ჩანს. საიდან ვარო? წალენჯიხელი უნდა იყოს, მგონი. ვალიკო ჭანკვეტაძეც წალენჯიხიდანაა. ზის არხეინად, ფეხი ფეხზე გადაუდვია და ილუკმება, ილუკმება და თვალები უცინის. ექსკავატორის გრძელი ჩრდილი შუაზე ყოფს ფერდობს. ჩრდილის კიდე ვალიკოს მხრებზეც დაფენილა. მის ტალახიან ჩექმებს კი მზე აცხუნებს. „რაო, ისევ არ ჩამოიყვანე ოჯახობა?“ — ეკითხება იგი ბონდო ლარცულიანს. ბონდო ცაგერის რაიონიდანაა. შენ კარგად იცნობ ბონდოს. იცნობ ოთარ სილაგაძესაც, რომელიც ბონდოსთან ერთად მუშაობს გამყვანთა ბრიგადაში. „ჩამოვიყვან. ამ შაბათ-კვირას შევუთვლი“. „ჯერ სული ამოგვწვადე, ბინა, ბინაო და, როცა ბინა მოგეცით, მერე ამბობ ოჯახზე უარს?“ — იცინი შენ. იცინის ბონდოც. „იქნებ არ მოსწონს აქაურობა, ჰა?“ „აქაურობა რა შუაშია. ჩემთან არ უნდა ჩამოვიდეს?“ „ჰოო,“ — მრავალმნიშვნელოვნად იცინიან მშენებლები. ბონდო ლაჯანურჰესის მშენებლობაზეც მუშაობდა. მერე პირდაპირ აქეთ გამოეშურა. ახალგაზრდა კაცია. სარკესავით ნათელი სახე და დიდი, დაკოჟრილი ხელები აქვს. თავზე პლასტმასის მსუბუქი ჩაფხუტი ახურავს. სამუშაო ხალათის ზედა ჯიბიდან ორად გაკეცილი წერილი უჩანს. „წვერს რატომ არ იპარსავ?“ — ეკითხებიან ბიჭები. მხოლოდ ახლა ამჩნევ, რომ ბონდოს მართლაც კარგახანია აღარ შეუვლია დალაქთან. ერთიანად გაბურგძვნილა. „დღესვე გავიპარსავ, თორემ კორესპონდენტები აღარ მეკარებიან, — თვალებგაბრწყინებული იყურება ბონდო, — მოახლოვდა იუბილეს დღეები და ფოტოკორესპონდენტებმაც მოუხშირეს სიარულს. მე კი, არა და არ მიღებენ“. „სწორადაც იქცევიან, — ცაზე

გაკიდებული, ყვითელი მზით შეფერადებულ ღვინოს ჭიქაში ისხამს არონ ჭოლოკავა და იბადრება, — შეელიე მაგ წვერს, ცოტა სიზარმაცესაც მოუკელი და ქვეყანა გაგიცნობს, მტერს გულს მოუკლავ, მოყვარეს გაახარებ. ამისთვის არა ვცხოვრობთ?", „რაო, ეს მე ვმუშაობ ცუდად?" — წამოვარდა ბონდო. „ცუდად რომ არ მუშაობ, იმიტომ ვსვამ შენს სადღეგრძელოს, ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემო ბონდო!.. ეს შენ გაგიმარჯოს, ნოდარ!.."—და ნელ-ნელა წრუპავს. იგი დიდ ქვაზე ზის და იღიმება. მზემ ჩრდილი ცოტათი განზე გასწია. მაგრამ მაინც გრილა. ქარი ჰქრის, მთის ქარი. ქარი ელამუნება მშენებელთა მხრებს, ხელებს, ძვრება საყელოში. მოპირდაპირე მთის კორტოხზე ექსკავატორი წამოსკუპულა. „რა ჩქარა გარბის დრო" — ფიქრობ. გარშემო, მართლაც, საოცრად შეიცვალა ყველაფერი. ხედავ მთასა და მთას შორის ჩაგდებულ ტაფობს, რომელზედაც თეთრი შენობები წამოზრდილან. ამ ადგილს წინათ „კაშხალის დასახლებას" ეძახდნენ. ახლა კი იქ აღარავინ ცხოვრობს. მშენებლები უფრო კეთილმოწყობილ ბინებში გადავიდნენ, ეს ბინები ჯვარზენში აშენდა. „როგორ არის ჩვენი კულტურის სახლი? — კითხულობს ილია ასლამაზოვი, — დამთავრდება ვითომ მალე?". „ეგ ყველაფერი აკაკი საჯაიას სინდისზეა. მაგის ბრიგადა არ აშენებს? ჰოდა, ჩვენც პატარას თუ დავუცაცხანებთ, არაფერი დაშავდება". „რას ერჩით, ძალიან კარგად მუშაობს ის ხალხი!" — ამბობს ბონდო. ილიას ეღიმება. ილია ცნობილი კაცია ამ მშენებლობაზე. კაშხალმშენთა ნამდვილი სული და გულია. ამაგიც დაუფასდა — შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. „მაგრამ მე კიდევ მაქვს ერთი ორდენი", — იღიმება ილია. „კარგი ერთი, — გაოცებით უყურებენ ბრიგადის წევრები.— საიდან? როდის? ჩვენ რატომ არ ვიცით?" „რატომ არ იცით მერე?! — უკვირს ილიას, — თქვენც ჩემთან ერთად არ მიიღეთ?" — და შენ გრძნობ, რომ ილია მართალია. ილიამ ენგურჰესის მთელ კოლექტივთან ერთად მიიღო მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

...ახლა „კაშხალმშენის" სამმართველოს უფროსი შვებულებაშია. მთელი სიმძიმე შენ დაგაწვა, შენ ძალიან გინდა, კიდევ ცოტახანს დაჰყო ამ ადამიანებთან. მაგრამ სამუშაოთა მწარმოებლებთან პატარა თათბირი გაქვს ჩასატარებელი. დგები, მაგრამ არავის ემშვიდობები. მშენებლებმა იციან, რომ შენ კიდევ ამოხვალ აქ, იქნებ ერთი საათის შემდეგ, ან უფრო გვიან. მშენებლობა ხომ დღედაღამ სუნთქავს, გუგუნებს... მშენებლები თვალს გაყოლებენ. დიდ ლოდთან სხედან, სხედან სახელდახელოდ გაწყობილ სუფრასთან და ვეებერთელა ხელებით ჩაუბღუჯიათ პლასტმასის დასაკეცი ჭიქები. მათ კიდევ უნდა იმუშაონ ოთხი საათი. მერე მოვა ახალი ცვლა. შემცვლელებს ხუმრობითა და სიცილით შეხვდებიან ხოლმე. ასე იქნება ყველგან, მთელს ენგურჰესზე— საბერიოში და ჯვართან, მიწისქვეშ და მიწისზევით, მთის კენწეროზე და მთის შუაგულში.

მანქანაში ჯდები. მანქანა მიჰქრის. თვალებს ხუჭავ. და უცებ იქ, გონების კუნჭულში, შენდაუნებურად გახსენდება: ღამე. დიდი ქალაქი. ქუჩა. სწრაფად მიაბიჯებ. ჯოხის კაკუნი ავსებს ცარიელ ქუჩას. მოსახვევთან მამაკაცი დგას. მიხვდი: იგი აყურადებს შენს ფეხისხმას. ბრმაა. ქუჩას სჭრი და მამაკაციც ფეხდაფეხ მოგყვება — იგი შენ მოგენდო!..

ჰო, მუდამ უშეცდომოდ უნდა იარო, რათა არ დააღალატიანო შენზე მონდობილი ადამიანები — ისინი კვალდაკვალ მოგყვებიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვეთა ნ. ქუთათელაძემ. მხატვარ ა. ჟღენტის გრაფიკულ ნამუშევართა შთაგონების წყაროდ ქცეულა ლენინისა და მისი ღირსეული თანამებრძოლის ს. ორჯონიკიძის სახეები. ს. ორჯონიკიძის შესანიშნავი ბიუსტი შექმნა მოქანდაკე ნ. კანდელაკმა. კ. კიკნაძის ფუნჯი აცოცხლებს ლენინისა და სერგო ორჯონიკიძის შეხვედრის ერთ ეპიზოდს.

ე. ამაშუკელმა რევოლუციის რიგითი ჯარისკაცის უხეშ, მაგრამ უბრალო ხალხურ სახეში ჩააქსოვა პროლეტარული ბრძოლის მთელი ჰეროიკა.

თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს თავი ქართველმა პროლეტარებმა, რომლებმაც მამა-პაპათა საგმირო ხმალი ასახელეს. მკაცრი და მუქი ტონებით, დრამატულ სიტუაციაში გადაწყვიტა გმირ წინაპართა გზაზე დამდგარი მებრძოლი ახალგაზრდობის თემა ე. ამბოკაძემ. მოწიწებით მუხლმოყრილ ჭაბუკს მამა-პაპათა ხმალს გადასცემს ქართველი დედა; გზას ულოცავს, თავისუფლებისათვის ბრძოლას ავალებს თავის პირმშოს ჭაღარა ქალი.

1921 წელს საქართველოს ნანატრი გათავისუფლების დღე დადგა. ამ ისტორიულ თარიღს მიუძღვნეს ფერწერული ნამუშევრები მხატვრებმა ს. ნადარეიშვილმა და ი. მექვაბიშვილმა. თუ ს. ნადარეიშვილმა ქართველი გლეხისა და მუშის ძლიერი სახით გამოხატა რევოლუციის გამარჯვება ჩვენში, ი. მექვაბიშვილი სიუჟეტურად გადმოგვცემს 1921 წელს საქართველოს მიწა-წყალზე წითელვარსკვლავიანი მხედრების სასიხარულო გამოჩენის ამბავს.

პირველი ქართველი კომკავშირელები საზეიმოდ დებენ ფიცს საბრძოლო დროშასთან. ახალგაზრდა კომუნისტური ორგანიზაციის შემქმნელი ბორის ძნელაძე თვალებგაბრწყინებული შეჰყურებს თავის ამხანაგებს. ფუნჯის მსუყე მონასმებით ოსტატურად დაწერა ეს ფერწერული სურათი მ. გაბუნიამ.

შთამბეჭდავად გადაწყვიტა რევოლუციურ დღეთა აბობოქრება გ. ტაბიძის ლირიკული ლექსით შთაგონებულმა თ. გოცაძემ.

მონუმენტური ფერწერის მიღწევად ჩაითვლება კ. მახარაძის პოეტური ჟღერადობით, ნათელი კოლორიტულობითა და დიდი ემოციური ტევადობით შესრულებული „მიწა ქართული". მხატვარმა მეტყველი სახეებით გახსნა ქართული ბუნების სილამაზე, ქართული მიწის სიუხვე და ამ მიწის მკვიდრთა სულიერი სიმაღლე. ოქროსფერი სიმინდის ყანა მადლიანი შემოდგომის ბარაქით ავსილა. ყანის პირას დგანან ახოვანი ქართველი ვაჟკაცები და მოწიწებით გზას უთმობენ წინ მიმავალ ქალიშვილს. ფეხშიშველა ქალწულის მოძრაობა სავსეა კდემამოსილი გრაციით, ცეკვავს და მღერის მთელი მისი არსება. ამაყად ყელმოღერილსა და ყურძნის მტევნებით თავმორთულს მკლავები სამშობლოს დასალოცავად აღუპყრია.

ქალიშვილის კვალს მოჰყვება მხცოვანი გლეხი, ქარვისფერი ყურძნის მტევნები რომ მოაქვს თან. მოხუცისა და ქალიშვილისაკენ გაუწვდიათ ღვინით სავსე ჯამები ქართველ ვაჟკაცებს — წარსულისა და მომავლის სადღეგრძელოს ამბობენ ჭაბუკები. კანდამსკდარი ბროწეულები ვარდებივით აყრია მიწისგულს, ბროწეულები მოჩანს სიმინდის ყანაში, თავზე ბროწეულების წვიმა აწვიმთ ადამიანებს. გადამჭკნარ ეკალ-ბარდებს ფეხით მოთელავენ საქართველოს ამაყი შვილები. აი, ასეთი კომპოზიციით გადაწყვიტა ავტორმა თავისი ჩანაფიქრი და მაღალი იდეა მაღალი ოსტატობით გამოხატა.

სახელოვანი მამულიშვილის ე. ფიფიას პორტრეტში კ. მერაბიშვილი მეცნიერის ღრმად მოაზროვნე ბუნებას ჩასწვდა და განაზოგადა. ქანდაკებაში უბრალოდ და ძუნწად არის გადმოცემული პროფესორის სახე .მისი მოძრაობა სადა და დახვეწილია, პოზა თავისუფალი და

ლიანა მიქაძე
ქართველი მხატვრები
რევოლუციას უძღვნიან

ბუნებრივი. საოცარი სიცხოველითაა ნაძერწი ქირურგის მარჯვენა. ლბილ შუქ-ჩრდილთა გამაში ფსიქოლოგიურად აამეტყველა უ. ჯაფარიძემ სიმონ ყაუხჩიშვილის პორტრეტი. პოპულარულ ხალხურ საგმირო სიმღერათა სიუჟეტებზე ამოქსოვა თავისი გრაფიკული ნაწარმოებები „გურიაში რა გინდოდა“ და „სიმონა დოლიძე“ ს. მაისაშვილმა. თავისებური იუმორითა და ცოცხალი აზრით ბრწყინავს ლ. გუდიაშვილის „ჩემი ხმა ვერ წვდება ამ სიმაღლეებს“, რომელზედაც ძველი თბილისის პერსონაჟი — მემაწვნე ბიჭი თავისი ერთგული სახედრით სასაცილოდ გახირულა მრავალსართულიანი სახლების ახალ უბანში და უმწეოდ შესძახის სართულებს: „მაწონი! საწონი!“ ლ. გუდიაშვილმა მახვილგონივრულად და სახიერად დაუპირისპირა ერთმანეთს რევოლუციამდელი დედაქალაქი ახალ თბილისს.

კ. გურული, თემატურ-სიუჟეტური ჭედურობის ცნობილი ოსტატი, ლბილ მოდელირებას ანიჭებს ლითონის ფილას. ერთიან ხაზში ამოტვიფრული მისი „ეთერის სიმღერა“ და „ნასაკირალზე“. გ. გაბაშვილის „გუთნის დედა“, „სვანი მონადირე“ და „თუშის ქალი“ მეტყველი, პლასტიური ნაწარმოებებია. გაბედულად ეჭიდება ლითონს ი. ოჩიაურის ხელი. შთაგონებით, ხაზის რიტმული ძერწვით საოცრად რელიეფურს ხდის იგი თავის „ოლიმპიადას“.

ხაზის, ფერის, ფორმისა და პერსპექტივის თავისებური გაგება და აღქმა აქვს ნიჭიერ თვითნასწავლ მხატვარს ჯ. ხუციშვილს. მისი „შემოდგომა კახეთში“ ფიროსმანიშვილის დიდებულ სურათებს მოგვაგონებს. ხუციშვილი ჭეშმარიტ ეროვნულ ტრადიციებს აგრძელებს ქართულ ფერწერაში.

სიცოცხლითა და სიხალისით, მზიანი ფერებითაა სავსე დ. კვასხვაძის „საბავშვო ბაღი“. მხატვარს ემარჯვება მრავალსმეტყველი კომპოზიციის შექმნა და ძეტად თბილი განწყობის ფერებში მოქცევა.

ქართლისა და კახეთის, რაჭისა და გურიის ხედები ერთმანეთს სილამაზეში ეცილებიან ტილოებზე. ახლადგამოღვიძებული სიცოცხლის საგაზაფხულო ფეთქვა ჩააქსოვა თავის მეტყველ პეიზაჟში ი. ბეჟანიშვილმა. სვანეთის უძველესი კოშკები და სვან ვაჟკაცთა ამაყი სახეები ისევ იზიდავენ ჩვენს გრაფიკოსებსა და მოქანდაკეებს. ნებისყოფის სიმტკიცითა და უდრეკი სიმამაცით სუნთქავს ვ. ონიანის „მახვში“. პლასტიური და დინამიურია თ. დევდარიანის სკულპტურა „სვანები ენგურზე“. დ. ნოდიას ლინოგრავიურათა ახალი სერია „ენგურჰესის მშენებლობა“ პუბლიცისტურად და ლაკონურად მოგვითხრობს ჩვენი ხალხის შრომითს ენთუზიაზმზე. საინტერესოა აგრეთვე რ. კაკაბაძის ამავე თემაზე შექმნილი ფერწერული ნამუშევრები.

ჯ. მირზაშვილის „ფალავანი“ ქართული მიწის სურნელებითაა გაჟღენთილი. ფალავნის მთელ პოზაში იგრძნობა პირდაპირობა და სიმართლე. მღელვარებით სავსე და დაძაბულია სპორტული შეჯიბრის წყურვილით შეპყრობილ თანასოფლელთა მოლოდინი. ცნობისმოყვარეობითა და აღტაცებით შეჰყურებს ფალავანს გლეხის პატარა ბიჭი. ვაჟკაცური სანახაობის რიტმს აჰყოლია მედოლის მთელი სხეული. ფსიქოლოგიურად და კოლორიტულად თანხმიერია სურათი. ჯ. მირზაშვილი გულწრფელად გვიხატავს ჩვენი ხალხის ტემპერამენტის ყოველ ნიუანსს. მისთვის ყველაზე ძვირფასია უბრალო, გლეხური სახის სილამაზე. შთამბეჭდავია გ. თოთიბაძის, ზ. ნიჟარაძისა და ზ. წერეთლის ფერწერა. გვახარებს მათი შემოქმედებითი ძიებანი და სხვადასხვა თემის ახლებური მხატვრული გადაწყვეტა.

წერის ორიგინალური მანერითაა შესრულებული ვ. ქოქიაშვილის „ხევსურები“, დინამიურ კომპოზიციაში გადაწყვიტა გ. როინიშვილმა რევოლუციური სულისკვეთების სურათი „პროკლამაციების გაკვრა“. ნ. იგნატოვი ტრიპტიხით „სიმღერა საქართველოზე“ ჩვე-

ნი მრავალფეროვანი ბუნების ფონზე წარმოსახავს ქართველი მშრომელი ქალისა და კაცის სახეებსა და ნაყოფსავსე, მსხმოიარე ხეს.

ეფექტური და კოლორიტულია გ. თოიძის პალიტრა. ახალგაზრდა მხატვარი შესატყვის ფერებსა და სახეებს პოულობს ჩანაფიქრის განსახორციელებლად. „ქართული პასტორალი“ და „ახალი ცხოვრების დილა“ ჭეშმარიტი რეალისტური ნაწარმოებებია.

თანამედროვეობა და კომუნისტური მშენებლობის პრობლემები საოქტომბრო გამოფენის უმთავრესი თემაა. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვნება და კომუნისტური გარჯა გადააქვს მხატვართა ხელს ფართო ტილოზე, ქვისა და ლითონის ფილებზე, დიდების ძეგლს უდგამენ კოლმეურნე ქალებსა და კოსმოსის დამპყრობ გმირებს, მეჩაიეებსა და მეშახტეებს. მუშის მონუმენტური ფიგურა გამოძერწა გ. ცაბაძის ოსტატურმა ხელმა. ფართო ნაბიჯით, მხნედ და მსუბუქად მოაქვს ლითონის ზოდი კუნთმაგარ ვაჟკაცს. ერთ მთლიან, მონოლითურ მასაშია ჩამოსხმული კომუნიზმის მშენებლის ქანდაკება.

მოქანდაკე რ. სანაძემ ქვისმთლელის რიტმული მოძრაობა თავისუფალ სკულპტურულ კომპოზიციას შეანივთა, სტატიურ მომენტს დინამიურობა მიანიჭა და ქვისმთლელის შთაგონებულ შრომას მხატვრულად ამაღლებული რეზონანსი მისცა. დეკორატიულად, ლამაზი სტილიზაციით აამღერა ჭედური ფილები ა. გორგაძემ — მზე, ხარები და ყურძნის მტევნები ამოტვიფრა ლითონის ერთ ფურცელზე, ხოლო მეორეზე — კოსმოსური სივრცის დამპყრობი ადამიანის მამაცური ფრენა მორთო მზის დიადემით.

„ჩემი თემაა კოსმონავტები“ — ასე ეწოდება ბ. სირბილაძის ახალ ტილოს, რომლის დედააზრი ჩვენი საუკუნის ტექნიკურ მიღწევებთან ყოველი მხატვრის სულიერი დაახლოება გახლავთ. ბ. სირბილაძემ თავისუფლად და სახიერად შეასხა ხორცი თავის ჩანაფიქრს.

პროფესიონალიზმი და პოეტურობა, აზრის სისავსე და სილამაზე ახლავს საიუბილეო გამოფენის ყოველ ნაწარმოებს. დიდი ოქტომბრის ზეიმს უძღვნიან ქართველი მხატვრები ამ ძვირფას საჩუქარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

ჯერომ დევისის მოგონება ლენინზე

„პირველად ვლადიმერ ილიას ძე ვნახე, როდესაც იგი 1917 წლის აპრილში პეტროგრადს ჩამოვიდა... მოუთმენლობით შეპყრობილი ფინეთის სადგურისაკენ გავეშურე, რომ თვალი მედევნებინა დემონსტრაციისათვის. თუმცა მოედანი ფართო იყო, მაგრამ ახლომახლო ქუჩებიც კი ხალხით გაიჭედა. სადგურიდან გამოსული ლენინი ჯავშნოსანზე ავიდა და ცარიზმისაგან რუსეთის გათავისუფლება მიულოცა მუშებს. სიტყვა დაასრულა მოწოდებით: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“ შემძრა ლენინის სახემ. მას ახალგაზრდული, ენერგიული იერი ჰქონდა, იგრძნობოდა, რომ ლენინს გულწრფელად სურდა დახმარებოდა მასებს“.

ასე იწყებს თავის მოგონებას ლენინზე ჯერომ დევისი წიგნში „მსოფლიო ლიდერები, რომლებსაც ვიცნობდი“.

ჯერომ დევისი ის ერთადერთი ცოცხალი ამერიკელია, რომელიც რიდთან ერთად დაუვიწყარ 17 წელს „შეესწრო ახალი ქვეყნის დაბადებას“.

რევოლუციის ბელადმა მას თავისი ფოტოსურათი აჩუქა ასეთი წარწერით: „საუკეთესო სურვილებით ამერიკელ ინტერნაციონალისტებს. ლენინი“.

შემდეგში დევისი წერდა: „რევოლუციის დასაწყისშივე ჩემთვის ნათელი იყო, რომ ბოლშევიკები შეინარჩუნებდნენ „ძალაუფლებას და რომ რუსეთი გახდებოდა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო“.

დევისი მალე ამერიკაში დაბრუნდა და წლების მანძილზე ეწეოდა პროპაგანდას საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ.

1921 წელს იგი კვლავ ეწვია რუსეთს. რუსეთში შიმშილობა იყო. დევისმა თან ჩამოიტანა დიდი თანხა, რომელიც მას თავის ქვეყანაში საბჭოთა კავშირზე წაკითხული ლექციებით შეეგროვებინა. ეს თანხა მან თურმე ჩვენს ხალხს გადასცა. კალენდრის ფურცელზე ლენინმა მიაწერა: „ჯერომ დევისი, ბალტიმორის პროფესორი. ერთი მილიონი“.

1926-27 წლებში დევისი ისევ ჩამოვიდა საბჭოეთში, ხოლო 1932 წელს პირველი ხუთწლედის მშენებლობანი დაათვალიერა. ამის შემდეგ იგი რუზველტს ესაუბრა და დაარწმუნა პრეზიდენტი, ეცნო საბჭოთა სახელმწიფო.

1943-45 წლებში დევისი, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან რეპორტაჟებს წერდა. ჩვენს ჯართან ერთად იგი რუმინეთსა და პოლონეთში შევიდა.

დევისმა მრავალი ლექცია წაიკითხა საბჭოთა რუსეთის შესახებ, გამოსცა წიგნები საბჭოთა ქვეყანაზე. მისი უკანასკნელი წიგნი განსაკუთრებული სითბოთი და სიმართლით აცოცხლებს ლენინის სახეს.

დევისის დახასიათებით ლენინი შორსმჭვრეტელი სტრატეგი, გამოჩენილი პროპაგანდისტი, გაბედული ტაქტიკოსი და ისეთი რეალისტია, რომელსაც შეუძლია აირჩიოს ერთადერთი სწორი გზა ყველაზე ძნელ და რთულ მდგომარეობაში.

აფასებს რა ილიჩის მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, დევისი ლაპარაკობს ლენინის უდიდეს დამსახურებაზე ხალხთა ბრძოლის საქმეში. ლენინს შეეძლო „არა მარტო განესაზღვრა ბრძოლის პრაქტიკული ამოცანები, არამედ მასების წინაშე ახალი საზოგადოების შენების უდიდეს პერსპექტივებს ხსნიდა“. „იგი იყო მასების დამცველი, დამცველი ყველა განკიცხულის და გაჭირვებულისა... ლენინი იცავდა ქონების თანაბარი გადანაწილების სამართლიან პრინციპს და თვლიდა, რომ ეს შეუძლებელია კაპიტალიზმის დროს“.

პოლონეთი

პოლონეთის გამომცემლობის ინსტიტუტმა (პივ) საიუბილეოდ მოამზადა ცნობილ საბჭოთა მწერალთა ნაწარმოებები: ე. ბაგრიცკის, ა. ბლოკის, ს. ესენინის ლექსები, მ. გორკის ავტობიოგრაფიული თხზულება „ბავშვობა“, „ხალხში“ და „ჩემი უნივერსიტეტი“, აგრეთვე რომანი „დედა“ და შოლოხოვის „წყნარი დონის“ ახალი გამოცემა; დაიბეჭდა ა. ფადეევის „განადგურება“, ბ. ლავრენიევის „ორმოცდაერთი“ და „საბჭოთა დრამატურგიის ანთოლოგია“ სამ ტომად, რომელიც ს. ბ. ბალიცკიმ მოამზადა.

როგორც პრესა იუწყებოდა, „პივ“-ის „მცირე ზომის პოეტურ თარგმანებში“ გამოვიდა ა. ვოზნესენსკისა და ე. ევტუშენკოს ლექსები. დაიბეჭდა აგრეთვე გ. სემიონოვის მოთხრობები „გედები და თოვლი“.

პოლონეთის თეატრები ემზადებიან, ღირსეულად შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის ზეიმს. შემოდგომით ქალაქ კატოვიცეში ჩატარდა რუსული და საბჭოთა პიესის ფესტივალი.

როგორც ყოველკვირეული მიმომხილველი გვაცნობებს, ვროცლავის დრამატული თეატრი დადგამს მ. შატროვის პიესას „ექვსი ივნისი.“ კრაკოვის სლოვაცკის სახელობის თეატრი ამზადებს კ. ტრენევის პიესას „ნევის ნაპირზე“, ხოლო ქ. ბიდგოშჩის სცენაზე დაიდგმება ბ. ლავრენიევის „ღღვევა“.

საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში ყოველი წესიერი ადამიანის ვალია, გარკვეულად და სამართლიანად დადგეს საბჭოთა კავშირის მხარეზე და დაიცვას იგი მთელი ძალით.

ანა ზეგერსი

●

გახედეთ აღმოსავლეთს! თითქოს რუსი ხალხისათვის ცარიზმის უკუნეთიდან გამოსავალი არ იყო.

რევოლუციაზე და განსაკუთრებით, გამარჯვებულ რევოლუციაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

მაგრამ რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც შეუძლებელიც შესაძლო ხდება. ბოლშევიკები შეუძლებელს ახლა ბოლომდე შეასხამენ ხორცს.

ანატოლ ფრანსი

●

ოქტომბრის რევოლუციამ ყველას გაუხსნა გზა სოციალიზმისაკენ.

კალმირო ტოლიატი

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპერტუარშია რუსი კლასიკოსებისა და ახალგაზრდა საბჭოთა დრამატურგთა ნაწარმოებები.

პოზნანის „პოლონური თეატრი“ დადგამს დოსტოევსკის ცნობილ რომანს „იდიოტს“.

...ყველაზე დიდებული და ჭეშმარიტი რუსეთის რევოლუციაში — მისი უბრალოებაა. მან ყალბი საფარველი ჩამოხსნა ადამიანთა ურთიერთობას და მათ უშუალობა დაუბრუნა...

...სწორედ რუსეთში იწყება მომავლის ისტორია, სწორედ რუსეთში ისახება მსოფლიოს ახალი სიცოცხლე.

ანტონიო გრამში

ჩეხოსლოვაკია

„სვეტ სოვეტუ“ ოქტომბრის საიუბილეოდ

ჩეხოსლოვაკიაში ოცდაერთი წლის წინათ შეიქმნა გამომცემლობა „სვეტ სოვეტუ“ („საბჭოთა სამყარო“), რომელიც ბეჭდავს საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებსა და ლიტერატურას საბჭოთა კავშირზე. წლების მანძილზე ათასზე მეტი სახელწოდების წიგნი გამოაქვეყნა „სვეტ სოვეტუმ“, რომელთა საშუალო ტირაჟი 21-22 ათას ეგზემპლარს შეადგენს.

რამდენიმე წიგნი მიუძღვნა ამ გამომცემლობამ ოქტომბრის საიუბილეო დღეებს.

„ჩვენ უკვე გამოვუშვით დიდი პუბლიკაცია — „ლენინგრადი“ ფერადი ილუსტრაციებით. — თქვა გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა ირჟი პლახეტკამ. წიგნში „შთაგონების ბორბალი“ შედის 1905—1925 წლების რუსი და საბჭოთა პოეტების ნაწარმოებები. მომზადებული გვაქვს ჩეხური პოეზიის საიუბილეო ანთოლოგიაც „ლენინიანა“. მკითხველმა უკვე მიიღო ახალგაზრდა ისტორიკოსების ირჟი მუშკისა და მილოშ იანდის წიგნი, რომელიც შეიცავს ჩეხოსლოვაკიაში აქამდე გამოუქვეყნებელ მასალებს ოქტომბრის რევოლუციაზე.

სოციალისტურმა რევოლუციამ წინ წასწია კაცობრიობის საზოგადოებრივი წყობა და აანთო ყველაზე ნათელი კოცონი, რომლის ჩაქრობა შეუძლებელია, რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ცივილიზაციას.

ჯავაჰარლალ ნერუ

გულგარეთი

წიგნები საბჭოეთზე

ყოველკვირეულმა „ნაროდნა კულტურამ“ მკითხველს აცნობა, რომ გამოვიდა სდავჩო ვასევის წიგნი „ჩვენები მოსკოვში“. ვასევი დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა საბჭოთა ქვეყანაში, მოიარა მისი მრავალი კუთხე, გაეცნო უბრალო მშრომელებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, მსახიობებს, რამაც მას მდიდარი მასალა მისცა, რომ დაეხატა საბჭოთა ადამიანის განზოგადოებული სახე. რეცენზენტის თქმით, „ჩვენები მოსკოვში“ ბულგარული ლიტერატურის მიღწევაა.

ვასევის ნაწარმოებთან ერთად გამოვიდა მილევის „აღმოსავლეთის პოემა“, რომელიც ეძღვნება უზბეკეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ჟურნალმა „ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობამ“ მაღალი შეფასება მისცა ამ პოეტურ ქმნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მიმაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობა მსოფლიო ისტორიის ერთ უდიდეს მიზანს განახორციელებს და ყველა, ვისაც სწამს პროგრესი, უნდა იცავდეს მას, თუკი კაპიტალისტური სამყარო გამოვა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ეპტონ სინკლერი

●

ძველი მსოფლიო თავს იმით იწონებდა, რომ მან ანალიზის საშუალებით შეძლო შეეღწია მზისა და ვარსკვლავთა სამყაროში, შეძლო განესაზღვრა მათი წონა ერთი გირვანქის სიზუსტით, მაგრამ იგი არ იღვწოდა, პური გადაეწონა მშიერთათვის. რევოლუცია ნიშნავს სამყაროს სრულ გადაფასებას. კაცობრიობის შეხედულებები მოვლენათა შესახებ გადააყირავა პროლეტარიატმა და ადამიანებს, ჭეშმარიტი თანმიმდევრობით, მონაცვლეობის ბუნებრივი განვითარების წესით, პირველად დაანახვა მათი ამოცანები. ახალი მსოფლიოს სამართლიანობის საწყისი იყო პურის გადაწონვა-გადანაწილება. მან აქედან დაიწყო, მაგრამ დადგება დღე, როდესაც ხალხი ვარსკვლავეთში ავა.

[redacted] ანდერსენ-ნექსე

●

ყოველი გამარჯვება, წითელი არმიის ყოველი უდიდესი გმირობა, მხოლოდ ბარბაროსთა სამხედრო მანქანის ნაწილს კი არ ანგრევს, არამედ ანადგურებს იმ საოცარ ცრურწმენათა ციხე-კოშკს, ბოროტებამ და შურმა რომ ააგო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ლიონ ფოიხტვანგერი

●

მკითხველთა

საყურადღებოდ!

1968 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდება:

ოთარ ჩხეიძის „ალმართ-დალმართი“. რომანი.

გურამ რჩეულიშვილის „ბევრი გავშვი ერთად“. კინომოთხრობა.

რეზო ჭეიშვილის „მთვარის გარდაცვალება“. რომანი.

ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელა“. რომანი.

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. რომანი.

დემნა შენგელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, არჩილ სულაკაურის, ნოდარ დუმბაძის, თამაზ ჭილაძის, ედიშერ ყიფიანის, რევაზ ინანიშვილის, მერაბ ელიოზიშვილის, გურამ ფანჯიკიძის, გურამ სხირტლაძის და სხვათა მოთხრობები.

გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და **სიმონ ჩიქოვანის** გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები.

ირაკლი აბაშიძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლეგანიძის, ოთარ ჭილაძის, შოთა ნიშნიანიძის, გელა ახმადულინას, ევგენი ევტუშენკოს, გულატ ოკუჯავას, ივან დრაჩის, ვიტალი კოროტიჩის, ემილ ლოტიანუს და სხვათა ლექსები.

ჟურნალში შემოლებულია რუბრიკა **„უცხოური ნოველა“**. ტრადიციულად დაიბეჭდება დამწყებ ავტორთა ნაწარმოებების **„ჭაშნიკი“**.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში გამოქვეყნდება საინტერესო წერილები, სტატიები და რეცენზიები როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე.

ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტის **ანდრო ჟორდანიას** ვრცელი მოგონებებით დაიწყებს ჟურნალი საქმიან საუბარს სპორტის საჭირბოროტო საკითხებზე.

კვლავაც დიდი ადგილი დაეთმობა **უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკას.**

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

მარეკანი და ტიტული ოთარ ჯიშკარიანისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მგ. მდივნის — 5-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-35, პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-67 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 3501. უე 02270. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 14.000.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

F-51238

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236